ჯორჯოხი



ქუთაისი
ბაგრატის ტაძარი

3 2020

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

20003
9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 62-ე წელი | მაისი-ივნისი | №3 | 2020 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

ჟურნალის ეს ნომერი ეძღვნება
იმერეთში მცხოვრები მწერლების შემოქმედებას

მთავარი რედაქტორი
სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
რამაზ სურმანიძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფალავა

ოპერატორი
მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2020

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80; 599 16-99-85

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

თეიმურაზ ლანჩავა – ლექსები 3
ელგუჯა თავბერიძე – ცამეტი წელი (ქუთაისური თეატრის ხარაზოვული ოდისეა) 11
ზაალ ეგანოიძე – ლექსები 22
ცირა შალაშვილი – ლექსები 30
თემურ ამყოლაძე – საზღვარი (მოთხრობა) 36
ომარ გვეტაძე – ლექსები 41
ელისო ქაროსანიძე – მოთხრობები 45
ლია გვენეტაძე – ლექსები 50
ირმა ქურასბედიანი – ლექსები 56
მერაბ კვიცარიძე – ლექსები 60
თამარ მამისეიშვილი – ლექსები 62
ეკა აბუთიძე – ლექსები 64
ბექა ქებულაძე – ლექსები 67
მარიამ რევიშვილი – ლექსები 71
ნათია ჯიმშელეიშვილი – ლექსები 75
ია იაშვილი – ლექსები 78
მარიამ ვაჩიბერაძე – ლექსები 81

კრიტიკა, ესეისტიკა

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ავსტრიელი მწერლის რომანი ოსმალობის დროინდელ აჭარაზე 83
ელგუჯა ბუაძე – ფიქრები მარო მაყაშვილის „გაზაფხულზე“ 93
ლევან გოგიბერაშვილი – რამდენიმე ნიუანსი თეიმურაზ ლანჩავას შემოქმედებაში 107

თარგმანი

არნოლდ ჟოზეფ ტოინბი – რუსეთი და დასავლეთი (მთარგმნელი ნუგზარ კუჭუხიძე) 110

წერილები

მარიამ მარჯანიშვილი – ილია – ემიგრანტთა შემოქმედებითი საგანძურიდან 116

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ, ᲞᲠᲝᲖᲐ

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲓᲐᲜᲠᲐᲕᲐ

* * *

მივსტირი წარსულს, სურვილს ვავეშებ,
ვმწუხარებ მტრობით, ქვეყნის ღალატით,
რომ მეარსება შურის გარეშე,
გაქცევა ვცადე, დროს ვიპარავდი.

დროს ვინ გაექცა, შემომეხარჯა,
საათი, წუთი, თვალში – ნათელი,
არ ვანსხვავებდი, ვუყვარდი, ვძულდი,
ჩემთვის მთავარი იყო ქართველი.

ჩემთვის მთავარი იყო ქართული,
შევრჩი ერთგული ფიცსა და რწმენას,
გაუსაძლისი, ენით არ თქმული
ძალა მართავდა ჩემს ბედისწერას.

არის სამშობლო ყველაზე დიდი,
სამშობლოს იქეთ ცა და ღმერთია,
და რასაც გულით და რწმენით ვქმნიდი,
ვცდილობდი დროს რომ არ წაერთმია.

დრო ჩამოიხრჩობს თავს უდროობით,
არ მინდა ფიქრი დროში ჩავტიო,
ვარ მოწყენილი ამ მყუდროობით,
გთხოვთ მითანაგრძნოთ და მაპატიოთ.

გთხოვთ შემიყვაროთ როგორიცა ვარ,
ჯაჭვის პერანგით, ზოგჯერ შიშველი,
უსპეტაკესი, როგორი ცა ვარ,
მოვიღრუბლები და ვერ მიშველით.

არეულ დროში დავეძებ ჩემს თავს,
ხალხში დავეძებ და ვერ ვნახულობ,
ახლა ძნელია პოეტი გერქვას,
პატივისცემა დაიმსახურო.

ახლა ძნელია დროის ნარცისებს,
რომ მოაწონო თავი, გასწირო.
ძნელია, მაგრამ, ძნელი არც ისე,
სიყვარული ვერ გაანაწილო.

უუშორესი მიზიდავს სივრცე,
სად სული ჩემი ქრის და ფარფატებს,
ვიხდი სამოსელს, და ჰაერს ვიცმევ,
ვპატიებ, რაც ვარ თუ ვერ დამხატეს.

ბედისწერაში ჩავდე სურვილი,
რითი ვარსებობ, რომ დაგანახოთ,
რომ გაგრძნობინოთ ჩემი სურნელი,
და ჩემი ლანდი რომ დაგამარხოთ.

მიყვარხართ! ვყვირი, არავინ მისმენს,
გაოცებული მაჩერდებიან,
მაჩერდებიან, მაგრამ, რატომღაც,
ცარიელ სიტყვას არ მჯერდებიან.

გული მიირთვით, ინებეთ გული,
ხელებგაწვდილი ზეცას შევყვირი,
ცხოვრება არის ძნელი და რთული,
ტკივილის მსგავსი, სახად შეყრილი.

* * *

ჭორი გავრცელდა, ბათუმში
გემებს ჩუქნიან პოეტებს,
სტრიქონებს ახურდავებენ,
ცვლიან ბრინჯაოს მონეტებს.

გაოცებული ავყვირდი,
შეხედეთ, ლექსი რას შვრება,
თუ გამდიდრება სწყურიათ,
ლექსები წერონ ბავშვებმა.

მპასუხობს ჩემი კოლეგა,
გველისო ალბად დამშევა,
ჩვენ რომ გემები გვაჩუქონ,
ზღვა მიგვატოვებს, დაშრება.

მერე ორთავე ვიცინით,
პოეტებს სადღა წყალობენ.
სიტყვა რომ ლექსად აქციონ.
ლუკმაპურისთვის წვალობენ.

ლიფსიტებს ზღვაში ვინ დათვლის,
ანდა ბათუმში პოეტებს,
კარგია ყველა თავის გზას
და თავის ადგილს ჰპოვებდეს.

* * *

ჩემთვის დათო თედორაძე
წვიმიანი ბათუმია,
სიყვარულში პირველკაცობს,
ქართველია, ქართულია.

მისი პოეზია მიყვარს,
სადიდკაცო ლექსები აქვს,
გვერდით არ დაისვამს ჭილყვავს,
იმერული ფესვები აქვს.

გიჭირს?! თავსაც განაცვალებს,
სიტყვას გეტყვის ხალისიანს,
თუ ისურვებ, ზღვას გაჩუქებს,
იანვარშიც მაისი აქვს.

თუმცა ბევრჯერ გაგვიწვიმდა,
ერთმანეთს არ შევლევივართ,
ლომებს ვედიდკაცებოდით,
ჯიხვების ჯოგს შევრევივართ.

ახლა, როცა შემოდგომა,
ჩემს კარებზე აკაკუნებს,
ძმებს დავეძებ უდროობით,
დროის გამო დაკარგულებს,

დათო აქაც პირველია,
ხვაშიადის გამხელაა,
იგრძნობ რასაკვირველია,
სიყვარული რამხელაა.

დათო თედორაძე მიყვარს,
სიტყვას გეტყვის ხალისიანს,
თუ ისურვებ, ზღვას გაჩუქებს,
ზღვაც და გულიც თავისი აქვს.

* * *

გათავდა, აღარ მოგიძღვნი ლექსებს
გულს დაგიმალავ რომ აღარ გენდოს
ვეჩვევი ახალ თამაშის წესებს,
ვუარვყოფ წარსულს, მხიბლავდი ერთ დროს.
გათავდა, ველარ შეიტყობ რა მსურს,
რა მიხარია, ვცხოვრობ რა ნირით,
გადავაფარებ სიბნელეს წარსულს,
გზასაცდენილი ხულიგანივით.
ვწუხვარ, ხვალიდან ველარ შევხვდებით,
მსურს კარზე მომდგარ სიკვდილს მივხედო,
და როცა გაზეთს გაშლი შემთხვევით
ნეკროლოგიდან გადმოვიხედო.

* * *

მიშვებულია სინდისი,
სხვის სარეცელში ბალახობს,
ჩურჩულში კვდება ტკივილი,
რომ თავი არ დაგანახოს.
დროს თავის სიტყვა-პასუხით,
ვერ უსაშველეს მგოსნებმა,
და იმალება კარს უკან,
საწყალი პატიოსნება.
დამდგარა ჟამი ბოდვების,
გრძნობ აღარავინ დაგვინდობს,
დაფასებულა ბორდელი,
და დროც ბორდელში კაიფობს.

* * *

გაჩენის დღიდან ტახტზე დავისვი
და პოეზიის მადლი მფარავდა,
იყო ლექსები ჩემი კრწანისი
და პოეზია იყო მარაბდა.
ბევრჯერ ჩამაქრეს, ბევრჯერ ავენთე,
ხშირად სიავის მჩხვლეტდა ეკალი,
ბევრი ვიომე, რომ არ დამეთმე,
და უშენობას არ მოვეკალი.
დაეძებს თვალი ზეცაში ღრუბლის

გამწვიმებელს და მადლის დამნახავს,
ჩემი სიცოცხლე, სიცოცხლედ თუ ღირს,
მიუწვდომლობას თუ გადალახავს.
ახლაც სისხლიან ტორებს ილოკავს
ჩემი წარსული, მზისგან ნაფერი,
აინტერესებს ჩემგან რა რჩება,
მიუწვდომლობა თუ არაფერი.

* * *

ვერ დანახვიდან არ დანახვამდე,
გაუსაძლისი გრძელი წამია
სანთელს მინთებდი ჩემს დამარხვამდე
გრძნობდი ცხოვრება რა ძირ მწარეა.
სხვა მოლოდინებს დაეპატრონე,
არ გიფიქრია თუ რა მიყავი,
არ გიფიქრია ჩემზე, დამტოვე,
არ მაპატიე, რომ ბრმა ვიყავი.

* * *

მოვკვდები როგორც ფიროსმანი სულით ამაყი,
მაგრამ ჯერ ჩემი მარგარიტა უნდა დავხატო,
ვიცი დრო მოვა იაიებს გულზე დამაყრი,
მაგრამ საფლავი საძებარი უნდა გავხადო.
მოვა, დრო მოვა, ჩემს უფერულ, უდღეურ ლექსებს
წაიკითხავენ სევდიანი ვიშით, გოდებით,
მოვა, დრო მოვა, მოიძებნით წარსულის ფესვებს
გამოფხიზლდებით, უსათუოდ მოგაგონდებით.
მოვკვდები როგორც ფიროსმანი, როგორც ნიკალა,
მაგრამ ჯერ ჩემი მარგარიტა უნდა დავხატო,
მე დღეებს ვამღვრევ, სიცოცხლიდან სიკვდილს
ვიპარავ,
ჩემი საფლავი საძებარი უნდა გავხადო.

* * *

დავხატე ერთხელ ჩემი თავი, მაიმუნს ვგავდი,
მოვიდა ვიღაც უსახური, ნაღდი ურია,
თქვა, – ეს ყმაწვილი ნიჭიერი, თავისთავადი,
ერთი შეხედვით მშვენიერი მაიმუნია.
ლომი დავხატე და დავარქვი ავტოპორტრეტი,
მოვიდა ისევ, თქვა – მხატვარი მართლა ლომია,
იგრძნობა მასში გარდატეხვის მძლავრი მომენტი,
ჩანდა ნათქვამში იუმორი და ირონია.
გაძნელდა ყოფნა, შელევიხარ კაცის ღირსებებს,
გადასხვაფერდი, ეგუები თითქოს ახალ დროს,
როდესაც შენში გადაღლილი ლომი ისვენებს
დროს შუძლია მაიმუნი მართლა გაგხადოს.

* * *

ჩემს მტრებს, რომელთაც ძალიან ვგავარ,
გავუფერმკრთალე სახის ელფერი,
გავაგებინე ვინ ვარ და რა ვარ
და საკუთარი ხატი შევქმენი.

შემომცქერიან შურით და იჭვით,
მემუქრებიან ეკლიან ჭინჭრით,
მტრებთან, რომელთაც ძალიან ვგავარ,
ვარ დამნაშავე ჭკუით და ნიჭით.

ბიჭებო, გიჭირთ? მივეხალისე,
ბევრჯერ სიკეთის გაცემა ვცადე,
სხვისი სიკეთის აყვავილებით
არწივის ფრთები მიმაფრენს ცამდე.

* * *

თუ სიყვარული არაფერს ნიშნავს,
ზღვა რისთვის ღელავს, როცა ზღვასთან ხარ,
თუ სიხარული არაფერს ნიშნავს,
რატომ ბობოქრობს, როცა სხვასთან ხარ.

ზღვა რისთვის ხდება წყნარი, მორჩილი,
როცა მის ტალღებს მკერდით ეხები,
მეფერებაო, რისთვის მომჩივი,
როცა მკლავებით ტალღებს ეხვევი.

სანაპიროზე ვაგროვებთ კენჭებს,
და თოლიების ცქერით ვერთობით,
შენ ჩემი ზღვა ხარ და ფიქრის ტალღებს
ვამსხვრევთ ოცნების ერთადერთობით.

* * *

მზე შემოდგომის ხსოვნაში ჩადნა,
გაიყოლია თითქოს რიჟრაჟი,
ეს ყველაფერი შორიდან ჩანდა,
ეს ყველაფერი იყო მირაჟი.

ეს ყველაფერი წინადღეს ჰგავდა
თავმომწონედ რომ უნდა გასვენდე,

ეს ყველაფერი სამზადის ჰგავდა,
სიკვდილის წინ რომ ხალხს გაახსენდე.

დრო მოთმინების დასარწყურებლად
შესაძლებლობის ნულის ტოლია,
საკუთარ თავის დასარწმუნებლად
ხვდები რამდენი მტერი გყოლია,

მიაყურადე ტაშს ვინ გიკრავდა,
ვისგან და რისთვის გერგო პატივი
და დაინახე დიდ სირთულიდან
ყველაზე მეტად რაა მარტივი.

მზე შემოდგომის ხსოვნაში ჩადნა,
გაიყოლია დილის რიჟრაჟი,
ეს ყველაფერი შორიდან ჩანდა
და ყველაფერი იყო მირაჟი.

* * *

ავფრენილვარ სიხარულით ბევრჯერ ცამდე,
როცა გულმა ცაში ფრენა ინება,
ვერაფრით ვერ მოვახერხე, ბევრჯერ ვცადე,
ერთი გულის ორად განაწილება.

გამუდმებით ზეცისაკენ მექაჩება,
გამუდმებით აქეთ-იქეთ დამათრევს,
მიწა ფიქრობს, რომ მოკვდება, მე დამრჩება,
ზეცა ფიქრობს, ველარავინ წამართმევს.

ვინც წაიღო, უკან აღარ დააბრუნა,
ოცნებების სიხარულით შემძვრელი,
სიყვარულის დაბრუნება ბევრჯერ ვცადე,
არ მოხერხდა, ველარაფრით შევძელი.

გული კვდება, როცა ყველას ავიწყდება
და სურვილებს ველარაფრით შველიან,
ჩემი გული ისევ ცოცხლობს, არ მიწდება,
ჩემი გული ჩემია და შენია.

* * *

მე დავიკარგე, ჩემს თავში, ვეძებ
გულს სხეულს გარეთ დარჩენილს შენში,
არავინ ფიქრობს პოეტის ბედზე,
არც სისხლზე, დროით ამღვრეულ ფერში
როგორ ჭარბობენ ცისარტყელები
და ტანჯავს სურვილს განცდათა წყება.
მე დავიკარგე საკუთარ თავში,
რომელიც ხშირად კუბოში წვება.
იქიდან ხედავს რა არის წრფელი,
მოჩვენებითი, ყალბი თუ ფლიდი,
ასე ვარსებობ რამდენი წელი,
შენ რომ შენს გვერდით და ცოცხლად მთვლიდი.
ავსებულია სამყარო ბოღმით
და ჯოჯოხეთი ზეიმობს ცოდვით,
ვერ მნახულობდი, თუმცა მეძებდი,
ვერ მნახულობდი და მაინც მგრძნობდი.
შეუცნობელი რჩება ბოლომდე
ვნებები კაცის და ფიქრი ღმერთის,
ან ცაში რად გსურს, იყო, ცხოვრობდე
თუ მიწა ზრუნავს ყოველთვის შენთვის,
ვარ დარჩენილი ცხოვრების მიღმა,
ყოფიერების გარეშე, ვალში
წუთისოფელის, რომელიც მღრნიდა,
გაუცხოებად მაქცია ბავშვი.
მე დავიკარგე ჩემს თავში, ვისმენ
შენს გულისძგერას დარჩენილს ჩემში,
გაწვდენილი მაქვს ხელები ცისკენ
და ვიგლაგნები კოსმიურ მტვერში.

თენგიზ ჩირაძეს

მზის სხივს ვირეკლავ, ნუ გეწყინება,
თუ უკვდავების არ ვარ ერთგული,
არ დამემდურო თუ ვერ გირეკავ,
ზოგჯერ საკუთარ თავსაც ვემდური.

რაც მთავარია გული გიხსენებს
და ილანდება ფიქრი წამიდან,
ვერ შეველიეთ კაცურ ღირსებებს,
თავს რომ ვირთობდით, ის დრო წავიდა.

მოკვდა სურვილი ძმური შენდობის,
სხვას ჩვენი გული რომ დავანახოთ
და წარსულ დღეებს გაუგებრობის,
მოგონებები რომ დავამარხოთ.

მომავალშიაც ვეძებთ ნამცეცებს,
რომ ნაპერწკალი ცეცხლად ვაქციოთ,
რომ განშორების დროებითობა
დიდ მოლოდინად გადავაქციოთ.

ნუ გამახსენებ, რომ უნდა მოვკვდე,
რომ უკვდავების არ ვარ ერთგული,
ნუ გეწყინება თუ ვერ გირეკავ,
ხშირად საკუთარ თავსაც ვემდური.

* * *

დამესევიან ლექსები,
გადაქცეულან ფუტკრებად,
რას იზამ, თაფლს აგროვებენ
და ჩემთან ყოფნა უტკბებათ.
რას იზამ, გაკვირვებიათ,
ემოციური განცდები,
ლექსში ბავშვობას თუ კარგავ,
ეს იმას ნიშნავს, მარცხდები.
ვარ მსხმოიარე ხესავით,
რომ უნდა დატკბეს ნაყოფით,
ვარიგებ სიტკბოს წვეთობით
და ვამჩნევ მაინც არ ყოფნით.

ღია წერილი ჩემს მეგობლებს

დროს ნასესხები ფულივით ვხარჯავ,
ვიზოგებ, მაგრამ მაინც არ მყოფნის,
მოუთმენლობას მოთმენით ვტანჯავ,
მაინც ვერავის ვხედავ კმაყოფილს.
ვალდებული ვარ მოგცეთ იმედი,
არ გაგაწბილოთ, ნაწყენი დამრჩეთ,
რა ვქნა, არ ვმალავ რასაც განვიცდი,
ჭეშმარიტებას გულწრფელად გაჩვევთ.
რაკი სიცოცხლე ღმერთის ვალია,
უღმერთობაშიც თქვენთან მიგულეთ,
თუ უფულო ვარ, თქვენი ბრალია,
ღმერთს ვალს ვერ ვუხდი, თქვენ დაგიბრუნებთ?!

* * *

ჩამოდნა ხორცი გამძლე ხერხემალს,
ჩამოეღვენთა თაფლის სანთელი,
სახედშეყრილი შორიდან გკოცნი
და მრჩება ბევრი რამე სათქმელი.

მრჩება ურიცხვი და ულეველი,
რამდენი ღამე მშვიდი, უმთვარო,
რანდენი განცდა წლებით რონ ვშლიდი,
შენ მიფეშქაშე საგზლად, უფალო.

განცდამ და ფიქრმა სად არ ირბინა,
ზეცა ოცნების მშვიდი ჭერია,
მთვარეს ვიდგამდი თავზე გვირგვინად,
და ვარსკვლავები ხელში მჭერია.

გამძლე გამოვდექ, თუმცა გამრიყა,
ჭირმა, რომელიც ბევრჯერ მეწვია,
თოფი მესროლეს, დროს გავასწარი,
რა ვქნა თუ ტყვია თუ ვერ დამეწია.

მალე ეს წელიც გამოიზამთრებს,
ჩამისაფრდება სევდა საბანში,
და შენზე ფიქრით გავიყინები,
ვით ჯარისკაცი ომში, სანგარში.

მოვა ვიღაცა, ამირევს დავთარს,
გამთბარს სიცივე მომენატრება,
რომ გამიხსენო, დრო ნებას დაგრთავს
და საფიქრალი მოგემატება.

ასე ყოფილა ცხოვრება კაცის
და რაც ყოფილა, წარსულად დარჩეს,
დღევანდელობა ხვალინდელს არ ცვლის,
და მოთმინება იმედებს მაჩვევს.

* * *

გაიხადა, გაგვიხარდა,
უკვე მერამდენედ იხდის,
არაფერი გამოუჩნდა,
არაფრისთვის ბოდიშს გვიხდის.

ნიკა წულუკიძეს

თითქოს შემთხვევით ერთ დროში მოვხვდით
წყალობით უფლის, ღმერთით, გამჩენით,
მადლობას ვამბობთ ბოდიშის მოხდით,
ბედნიერი ვართ თუ გადავრჩებით.
წუხს დედამიწა, ტკივილი აწვიმს,
ცრემლი ასველებს ცოდვების ბუდეს,
ბედნიერი ვართ, ვარსებობთ, არ გვწყინს,
დასანანია სიცოცხლე გძულდეს.
გამოიტირა კაცობრიობამ თავი
და ახლა ცხოვრობს იმედით,
საუბედუროდ ღმერთთან, რომელიც
ადრე გვიხმობდა, გვიან მივედით.

* * *

სისხლი აღარ ჟონავს, მოწმობს,
დროშის ტარზე მიმხმარია,
თუმცა ბევრი რამე მომწონს,
არაფერი მიხარია.
წაეფარა ისტორიას,
დღევანდელი ყოფა ნისლად,
ყველაფერი გვეშველება,
ღმერთმა თუ არ გაგვასხვისა.
თუ ღმერთმა არ გვიღალატა,
მზე თუ არ ჩამოდნა სისხლად,
იქნებ შევაფხიზლოდ თავი,
იქნებ, საქართველო ვიხსნათ.

ოთარ ჭილაძის გახსენება

ნიჭს მიაგებდა პატივს,
იყო მშვიდი და წყნარი,
ლექსები ვთხოვე ერთხელ,
გადამიწურა წყალი.

ძველს ვერ გკადრებო, მითხრა,
ვერ შეელია ახალს,
არადა მის ლექსს მუდამ
სიახლის გემო ახლავს.

ისევ ვეახლე, ვთხოვე,
ცინცხალი ლექსი, ურცხვად,
ხელნაწერები სველი
გამომიტანა უცბად.

მოინანია „ცოდვა“,
გაგაბრაზეო მაშინ
და შეიბრალა ჩემში
გაწბილებული ბავშვი.

ვერ მოთოკავდი ლიქნით,
ცად ამაღლებულს რწმენით,
დაღლილი იყო ფიქრით
და, რა თქმა უნდა, წერით.

ნიჭს მიაგებდა პატივს,
იყო მშვიდი და წყნარი,
თვრამეტი იყო მარტის,
ცას შესცქეროდა მწყრალი.

სიტყვაძვირსა და უთქმელს,
პოეზიაში მძვინვარს,
გალაკტიონის გვერდით,
დღეს მთაწმინდაზე სძინავს.

* * *

მადაზე მოვყავარ ღიმილს და თქვენს ტუჩებს,
მსუყეა განწყობა, ვით თქვენი გულმკერდი,
მომეცით უფლება იმედი ავწონო,
თქვენს აჩრდილს უნაზეს, სანთელს რომ ვუკმევდე.
თან ახლავს თქვენს მზერას სიშმაგე ავბედი,
ვხვდები, რომ თქვენს სულში ქარიშხალს უვლია,
სურვილი გამოვთქვი, შევძლე და გავბედე,
ვიცი, რომ მთავარი გრძნობა და გულია.
უცხოა სიმშვიდე, ღირსებად რომ გახლავთ,
დარწმუნდით, როგორმე თქვენს მეტრფედ
ვითვლები,
მიგრძენით როგორმე და ზღვარს თუ გადახვალთ,
ჩემს თრთოლვას შეახეთ გრძნეული თითები.
უცხოა პარიზის და თქვენი ზმანება
ხვალ იქნებ დავშორდეთ, ვერასდროს ვერ მნახოთ,
მომწერეთ წერილი, ნუ დაგეზარებათ,
ღირსება დღეისდღის, არასდროს შელახოთ.
ინებეთ ცრემლები, ატარეთ სახსოვრად
და ყელზე შეიბით უნაზეს მძივებად,
მომწერეთ, რომ მეტრფით, რომ ისევ გახსოვართ,
რომ ღამე უჩემოდ არ დაგეძინებათ.

პარიზი, 1982 წელი

შოთა ბერეკაშვილს

ახლა ღირსებებს შენარჩუნება უნდა,
გველის სიბრძნე და ლომის სიმშვიდე გვმართებს,
გაჩენის დღიდან პირველკაცობა სურდა,
მთების სიმაღლით განებივრებულ ქართველს.
ვართ არწივები მოთვალთვალე და გენში
გვიზის სულსწრაფის მოუთმენლობის შიში,
ხმალი გვიჭირავს მარადიულად ხელში,
და გვესიზმრება ტახტი და სკიპტრა ძილში.
უპირველესად გამრთლიანება გვმართებს,
და პატრონობა ღვთისგან ნაბოძებ განძთა,
არ მოადუნებს შეუპოვრობა ქართველს,
არ მოასვენებს სწორუპოვრობის განცდა.
ხვალინდელი დღე ისევ ჩვენ უნდა ვიხსნათ,

გააფრთებული ურთიერთობის ფასად,
ჩვენი წარსული რომ ითვლებოდეს ღირსად
ამაღლებული დღევანდელობის მსგავსად.
ახლა ღირსებებს შენარჩუნება უნდა,
გველის სიბრძნე და ლომის სიმშვიდე გვმართებს,
ორპირობა და ძალმომრეობა სძულდა,
გაჩენის დღიდან, ლეგენდად ქცეულ ქართველს.

* * *

მეფეს ვირჩევდით და მეფე გვძულდა,
რადგანაც მეფეს ტახტი ებარა,
სამშობლოსათვის! – ბრძანებდა მეფე,
ცერზე დგებოდა მთელი ქვეყანა.
მამულისათვის რწმენით და ჯვარით! –
ისმოდა სიტყვა ღვთისშესადარი,
მამულისათვის! – ბღაოდა ჯარი
და თვითონ იყო მეფე სარდალი.
ერთი დროშის ქვეშ, ერთი სურვილით,
რწმენით, რომელიც ყველაფერს დასძლევს
აგებდა მეფე-მთავარსარდალი
თვალშეუწვდენელ ციხეს და ტაძრებს.
არ მოვიშალეთ შური და მტრობა,
(თუმცა არ გვქონდა ღვთის გარანტია).
გაბრაზდა ღმერთი და მიგვატოვა,
მეფის ღალატი არ გვაპატია,
დავრჩით უმეფოდ, მიზეზად წყენის,
მიტოვებული ღმერთით და ზეცით,
და წინამძღოლი რადგან არა გვყავს,
განწირულები ჩვენ თავთან შევრცხვით.
ათოვს საფლავებს ყვავილი ვარდის,
ირჩევს ქვეყანა ფარსადანს მეფედ
და ვცდილობთ შვილებს გზა დაბნეულებს
რომ მომავალის იმედი ექნეთ.

* * *

პარიზში ეიფელის კოშკზე არ ავსულვარ,
არაფრად მივიჩნიე სიმაღლე არნახული,
არაფრად მივიჩნიე რაც ფასობს, თავგასულმა,
ფეხებზე დავიკიდე პარიზის გაზაფხული.
ვიყავი პეგალზე, სექსისგან დავიცალე,
დიაცთა მორევში შიშველი გადავეშვი,
გადაწყდა კგბს ჭკვიანში გავეცვალე,
იმ დღიდან არსადაც არ გავეშვი.
მაინც მოვახერხე, ინგლისი ვინახულე,
(საერთოდ არ ვიცი ინგლისური),
ქალები?! ქალები მინდორში გავიტყუე,
წამომყვა იქაურ მინდვრის სუნი.
ვენაში, ვანაში უნაზეს ასულთან
თამაში მოვაწყვე, ღიმილში ჩავიძირე,
რადგანაც ქალბატონს თამაში აღარ სურდა,
თავს ხომ არ შევაწყენდი, ჩავიძინე.
რას ფიქრობთ, იმ გოგოს საკმაოდ ვნებიანს
ცოცხალი მეორედ ვნახავდი?
იმ ღამით მესიზმრა მეკავა ნიჩაბი,
ვხვნეშოდი, სურვილებს ვმარხავდი.
ზანგს გადავეყარე, მკლავებში მომიქცია,
მაკოცა, ჩამტკბილა ლოყები,
ახლადაც მაჟრჟოლებს (გამლანძღა პოლიციამ),
იმ ზანგთან შეხვედრას რომ ვყვები.
რის ფერი, რა ფერი, ვინ ვნახე, რა ვქენი.
მომავალს ვუნახავ ამ ამბავს,
არც ერთი ქალი და არც ერთი ქვეყანა,
რატომღაც ერთმანეთს არა ჰგავს.
პარიზში ეიფელის კოშკზე არ ავსულვარ,
არაფრად მივიჩნიე სიმაღლე არნახული,
არაფრად მივიჩნიე, რაც ფასობს, თავგასულმა,
ფეხებზე დავიკიდე პარიზის გაზაფხული.

* * *

ასდის სურნელი თევზის და ლუდის,
მზის მცხუნვარებით გათანგულ ბაზარს,
აქ კათხა ლუდი სიცოცხლეს უდრის,
ჭიქა არაყი აგიბნევს თავგზას.
ნაბახუსევი ჯარისკაცები
უთვალთვალებენ მკერდსავსე ქალებს,
იგინებიან ქუჩის ბაცნები,
და უპრაწავენ გოგოებს თვალებს.
არეულია რუსულ-ქართული
და ხვევნა-კოცნით დაღლილ ღამეში
ყველაფერია ნებადართული,
უპირველესად, ვნების თარეში.
ახურდავებენ თავის ღირსებებს,
ქალები მზისგან გარუჯულ მკერდით,
დროში ცხოვრობენ, დრო არ ისვენებს,
იცრიცებიან კაცების გვერდით.
ილანდებიან ნისლში გემები,
არღვევს სიმშვიდეს ხმაური ტალღის
და ხვდება პორტის მილიციელი
ჯარიმის ქვითრის შევსება არ ღირს.

მოვა დილით მზე და ააღდება,
ერთგული გახლავთ დროის შემქმნელის,
და ყველაფერი ისე გვარდება,
როგორც სიშიშვლეს და ზღვას შეჰფერის.

* * *

არიგებდნენ რუსთაველის პრემიებს,
ვერ იგებდნენ რუსთაველის წყენას,
სხვანაირი თვალით მისჩერებოდნენ,
მკითხველები უპრემიო მწერალს.
არიგებდნენ, ირიგებდნენ ხალისით,
გამადლიდნენ რომ მათ დროში იშვი,
დიდგულობდა უხარისხო, ხარისხით
და რუსთაველს ისიზმრებდა ძილში.
ზოგს სიმართლის გამარჯვების სჯეროდა,
რიგში იდგნენ გამწევები უღლის,
მაგრამ ხშირად უპრემიოდ რჩებოდა,
საქართველოს, ვინც, რომ მწერლად უღირს.

* * *

გამითამამდა თამადა,
მკითხა ხმამაღლა, რისხვით,
სამშობლოს რომ გაუჭირდეს,
თქვენი ლექსებით იხსნით?!
წავეპოტინე რუსთაველს,
დავუახლოვდი სიბრძნეს,
ეს ის დრო იყო, ღვინო რომ
გამბედაობას იძენს.
დუმილი ვერ გადავლახე,
ფიქრით გადავწვდით წარსულს,
კაცს იმას ვერ დაანახებ,
რისი დანახვაც არ სურს.

* * *

წუხელი მეფე ვიყავი,
უსახელმწიფო მეფე,
მეფობის დასტურს ვეძებდი,
სიგელ-გუჯრები ვქექე.
არ მყავდა ნაზირ-ვეზირი,
ჯორკო მრგებოდა ტახტად,
ხმალი მქონდა და წამართვეს,
დავრჩი საბრალო სახტად.
მოვიხმე მრევლი, გავჯავრდი,
რაში მომგვარეთ! – ვყვირი,
ცხენის მაგივრად მომართვეს,
სახადშეყრილი ვირი.
არავინ იყო გამგები,
ჩემი ფიქრის და სიბრძნის,
შევხედე ორი მამალი,
ერთი დედლისთვის იბრძვის.
ვიყვირე, ჩქარა დაკალით!
მიხვდნენ რომ მეფეს შია,
მომართვეს დედლის ბარკალი,
პურის სანაცვლოდ შვრია,
გამომეღვიძა, ვყვიროდი,
ყველას გიტირებთ ყოფას,
ცხადში მონობა გერჩივნოთ,
სიზმარში მეფედ ყოფნას.

* * *

კაცი კაცს სად არ შეხვდება,
სასაფლაოზე შევხვდით,
ცა დაგვცქეროდა ზემოდან,
სამარე იყო ფერხთით.
ვიღაც სატკივარს მარცვლიდა,
მაისის წვიმა გვეცვა,
უამინდობის მარცხიდან,
იცრემლებოდა ზეცა.
ღნაოდა ჭირისუფალი,
უგერგილოდ და მორცხვად,
არ ღირდა ჩვენი შეხვედრა
გახსენებად და კოცნად.
დავცილდით სიცილ-ტირილში,
ბრბოს შევერიეთ მცოცავს,
ერთი ტკივილი გკვებავდა
მიცვალებულს და ცოცხალს.
გზამ ფიქრით წაგვიყოლია,
გვიმახსოვრებდა წამი,
ტკივილში იბადებოდა,
დაღლილი ლექსის ბნკარი.
ვარდი, ეკალი ეყარა
გზაზე, ჭკნებოდა ფერხთით,
დარდს ზეიმობდა ქვეყანა,
სასაფლაოზე შევხვდით.

ედგუჯა თავგერიძე

ცამეტი წელი

ქუთაისური თეატრის ხარაზოვული ოდისეა

ხატიჯა

როგორც დაიწყო, ისე დავიწყოთ.

1879 წლის 18 აგვისტოს მეორე გილდიის ვაჭარმა კონსტანტინე სტეფანეს ძე ხარაზოვმა ქუთაისის ხელმძღვანელობას თხოვნა შეკადრა – გიმნაზიის ქუჩაზე (ქვემოთ დაგიკონკრეტებთ) მდებარე მიწის ნაკვეთი ცირკის ასაშენებლად მომაქირავეთ, ქირად 69 მანეთს მოგართმევთ წელიწადშიო.

ქალაქის გულის გულში, ბულვარში, თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო სახლის ასაშენებლად შემონახულ მიწის ნაკვეთს ორი წლით ვიქირავებ, ცირკს ავაშენებო.

ამ მიწის ნაკვეთზე ადრე საზოგადო სახლის აგებას თხოვდა ხმოსნებს ალექსი ჭიჭინაძე. ქალაქის გამგეობაა და ნაქირავებ სადგომშია, საბჭოც ასევეა, სათავადაზნაურო ბანკიც ქირას იხდის, თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოც იგივე დღეშია. სამივეს სამკვიდროს რომ თავი დავანებოთ, ათასკაციან დარბაზს ქუთაისში ძნელად ან სულაც ვერ იპოვი, ჰოდა, ავაშენოთ ერთი საზოგადო სახლი, სადაც ყველანი დამკვიდრდებიან. დაგვჭირდება, დარბაზში კრებებს ჩავატარებთ, უქმობისას წარმოდგენებს გავმართავთ, ფული შემოგვივა, თუ არ ავშენდებით, დაქცევით მაინც არ დავიქცევითო.

იმპერატორი რომ ჩამობრძანდეს, დარბაზი, რუსულის გავლენით, ზალა არ მოგვეძევება, სირცხვილი და თავის მოჭრაო – იძახდა ჭიჭინაძე და უზენაესის სტუმრობით ასაბუთებდა თავის იდეას, რომელსაც ისე აეფოფინებინა, აშენების გეგმასაც სთავაზობდა ხმოსნებს: მიწა ქალაქისაა, კირი მოგვეპოვება, რიონის წყალი და სილა აქვეა, საღორიის ტყეში შეშაა კირის გამოსაწვავად (მგონი, ამას პავლე თუმანიშვილი ამატებდა, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს), ბანკს ფული არ უჭირს, შეეკრას პირობით ქალაქი და სახლი აშენდებაო.

წარმოდგენა არ ჰქონია უფალ ალექსის ქუთაისის ბიუჯეტზე, საზოგადო სახლის ასაგები თანხა სადაა, ვალებში ვიხრჩობით. სახლის აშენება ამნაირი ჯიბეგახვრეტილობისას იმას ჰგავს, ეშმაკებს ღვინო რომ არ ჰქონდათ და ტიკებს ბერავდნენო.

მერე და მერე ხატოვანებას უფრო ამკვეთრებდა პავლე თუმანიშვილი.

დიდ ფულად ღირებული სასახლის ქუთაისში წამოჭიმვა იმას ჰგავს, კაცს ეზოში რამდენიმე საჟენი სილა რომ ეყაროს და მისი მოიმედეობით სახლის მშენებლობა წამოიწყოს, ან, სულაც, პედაგოგმა ასკაციანი, გინდ ორასკაციანი პანსიონი იმის იმედით გახსნას – სახლში ბატები მყავს, შეგირდებისთვის ბატის ფრთის კალმების ყიდვა არ დამჭირდებაო.

რაღაც მოთხრობაც ახსოვდა: კაცმა ნალი იპოვნა, ცას ეწია სიხარულით, ბარემ სამ ნალს ვიყიდი, მერე ცხენსა და უნაგირსაც შევიძენო, მაგრამ ის კი ვეღარ მოიაზრა, გახვრეტილ ჯიბეში სამი ნალის საღირალი ექვსი შაურის მეტი რომ არაფერი უჭყაოდაო.

ჩანაფიქრს ალექსი ჭიჭინაძეს ვერ დაუწუნებ, თუმც ის შეეშალა, ამ იდეის გამშავებელ შვიდ ხმოსანს ფრანგები რომ დაუძახა. მერე განმარტა, ფრანგებსა და მე ჩინური კედელი გვყოფს, ჩემგან განსხვავებულად მოფიქრალებს შევარქვი ფრანგებიო, იმართლა და იმართლა თავი, მაგრამ როყიოდ წამოსროლილი როყიოდვე დარჩა.

საზოგადო სახლის შვიდ მოწინააღმდეგე ხმოსანში კონსტანტინე ხარაზოვიც ერია. რა ვიცით, იქნებ მაშინ გაუკრთა გონებაში მიწის იმ ნაკვეთზე ცირკის აგება, თუმცა საეგებიოდ სხვა ამბავმა უფრო ააფოფინა.

კონსტანტინეს, შინაურები კოსტას რომ ეძახდნენ, ივანე პურადაშვილის თქმით, მოწინავე და განვითარებულ პიროვნებას, დიდი ქონება გააჩნდა, თეატრალური წარმოდგენებითაც ინტერესდებოდა. ოჯახის წევრებიც რომ ყოფილან ამით გატაცებული, იქიდანაც ჩანს, რომ შვილი არტისტი გახდა.

კონსტანტინეს, რასაკვირველია, ეცოდინებოდა, ცირკში თეატრზე ბევრად მეტი ფულის შოვნა რომ შეიძლებოდა, მაგრამ საცირკო ნაგებობის აშენების სურვილი, საეგებიოდ, თბილისის მუდმივი დასის გასტროლებმა გაუმძაფრა. მუდმივი დასი, 1879 წლის თიბათვეში, კონსტანტინესგან ქალაქის გამგეობაში თხოვნის შეტანამდე ერთი თვით ადრე ჩამოვიდა ქუთაისში და აქაურებს სასიამოვნო ჟრუანტელი მოჰგვარა. თიბათვის პაპანაქებაში ქალაქიდან კაციშვილი არ გასულა, სხვა დროს ამნაირ სიცხეში გუდა-ნაბადს აიკრავდნენ და გრილ ადგილებს მიაშურებდნენ, კიდეც დაისვენებდნენ, თვალს წყალს დაალევინებდნენ. ახლა უკეთეს ადგილას სად წავიდოდნენ, უფრო კარგს რას ნახავდნენ, ვიდრე ქართული სცენის უნიჭიერესი არტისტების – ვასო აბაშიძის და მაკო საუაროვას, კოტე ყიფიანისა და ბაბო კორინთელის, ზაალ მაჩაბლისა და მაშო ყიფიანის, ავქსენტი ცაგარლის და ნატო გაბუნიას, გრიგოლ ყიფშიძის, ნოდარ ჯორჯაძისა და ადამა ჩუბინაშვილის თამაში იქნებოდა. იმათ შემხედვარეს, სიცხე კი არა, თავიც ავიწყდებოდათ.

ქუთათურები რიონის სადგურზე დახვედრიან საგასტროლოდ ჩამოსულებს. კოტე მესხი ბაქანზე „ჭოტივით დარჭობილიყო“ და მოუთმენლად მოელოდა სტუმრებს. ისინი სასტუმრო „ივერიაში“, ბულვარის პირდაპირ, მერმინდელი ხარაზოვის თეატრის ახლოს დაუბინავებიათ. მიხვდით, ალბათ, ხარაზოვის შენობა ამ დროს არ არსებობდა და წარმოდგენები ცირკში იმართებოდა, რომელიც, ერთი მხრით – სასტუმროს პირდაპირ, ხოლო მეორე მხრივ მომავალი – ხარაზოვის თეატრის ახლოს, შუაგულ მინდორზე ყოფილა გამართული.

კაიხელა, უჭერო და უკედლებო ხის ცირკი დათიკო მესხს შპალერით გაუტიხრავს. არტისტობასთან დეკორატორობაც შეუთავსებია, მაგრამ მისი გულითადი ნამუშაკევი არტისტებისათვის სახათაბალო გამხდარა: „პეპოში“ გიქოს კოტე ყიფიანი თამაშობდა, კაკულის – ავქსენტი ცაგარელი. იმ ადგილას, სადაც კაკული გიქოს აჩქარებს – ჩქარა წავიდეთ, პეპო დაიჭირესო, გიქო ზოზინობს, ასეა პიესაში და რა ქნას?! ბურნუთს ეძებს, ყოვნდება, იშმუშნება. კაკული-ავქსენტის მართლა გული მოსვლია, კისერში უტაცნია ხელი კოტე ყიფიანისთვის, წინ გაუგდია, მაგრამ დათიკო მესხს ყველგან ერთნაირი შპალერი გაუკრავს. კარები არსად ჩანდა. ამიტომ საწყალი კოტე კურატივით დაჯახებია შპალერს, გაუხევია, გავარდნილა მეორე მხარეს და ავქსენტითურთ კულისებში მოუდენია ზღართანი.

თბილისელი გასტროლიორები ათ დღეს დარჩენილან ქუთაისში და ყოველი სპექტაკლის წარმოდგენისას მაყურებლებით იჭედებოდა დარბაზი. მოდიოდნენ და მოდიოდნენ, პატიჟებდნენ და პატიჟებდნენ. ორი თვეც არ გვეყოფოდა, ყველას რომ ვსტუმრებოდითო – იხსენებდა ავქსენტი ცაგარელი.

ქუთათურ ქალებს, თავიანთი ნარნარი ხელებით (ესეც ავქსენტისაა) საგანგებო სამოსი შეუკერავთ. სიყვარულის უკეთ გამჟღავნებას ძნელად მოიფიქრებ. ამიერიდან არტისტები ერთნაირ ტანსაცმელში იქნებოდნენ გამოწყობილი, მიხვდებოდი, პატივს მიაგებდი. ქალაქის ინტელიგენციას იოსელიანის ბაღში გაუმართავს გამოსამშვიდობებელი ნადიმი.

ვასო აბაშიძე და მაკო საფაროვაც იმ დღეებში დაქორწინებულან. ჯვარი დეკანოზ რაჟდენ გიგაურს დაუწერია და მოკრძალებული ქორწილიც, ზოგიერთი ქუთათურის მონაწილეობით, სასტუმროში გადაუხდიათ.

გაუცილებიათ, გული გაუტნევიათ საყვარელი მსახიობებისთვის. რას ვუშვრებოდით იმოდენა ფულს, სასტუმროს ქირის გარდა არაფერი გადაგვიხდიაო, – წუხდა ავქსენტი ცაგარელი.

ან სასტუმროს ქირა რატომ გადაახდევინეს, თუმც ის ვთქვათ, რისთვისაც ყოველივე გავიხსენეთ, თბილისის მუდმივი დასის გასტროლებს იმოდენა შთაბეჭდილება მოუხდენია ქალაქელებზე, რომ კაიხანს დიდი თუ პატარა მათზე ლაპარაკობდა.

ცირკს ავაშენებ, ისევ ჩამოვიყვან, ხალხს ავალაპარაკებო, რომ ეფიქრა კონსტანტინე ხარაზოვს, არაა გასაკვირი.

ცირკის აშენება საიმდროოდ ვერ აღასრულა. საზოგადო საქმის მოამაგე, მიუდგომარე ხასია-

თის, ფხიანმა და ტაქტიანმა ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა შეუშალა ხელი, თორემ პირადი ინტერესებით გატაცებულ სხვა ვინმესთან, დიდხანს ხვეწნაც არ დაჭირდებოდა, უცებ დაიყოლიებდა.

ქალაქს თეატრი არ გააჩნდა და ხარაზოვი ცირკის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის მიქირავებას ითხოვდა.

სად ცირკი, სად თეატრიო, იკითხავს ვიღაც. მართლაცდა, სად?! აქაური სცენისმოყვარეები წარმოდგენებს ხან იქ, ხან აქ მართავდნენ. სცენასაც, იმის მიხედვით, სადაც სადგომს იშოვნიდნენ, „კატის კნუტივით დააპორწიალებდნენ“. ჯერ სამეფო სახლში მართავდნენ წარმოდგენებს, მერე ჯარს დაჭირდა ის ადგილი და გიმნაზიის დარბაზში გადაბარგდნენ. იქიდან ცირკში გადავიდნენ, სადაც ერთ წარმოდგენაში 50 მანეთს იხდიდნენ. ცირკის მეპატრონე კაი ფულს შოულობდა. სცენისმოყვარეებისგან შემოსულს უცხოელი არტისტების გასტროლებიდან მიღებულ ფულებს თუ მივუმატებთ, აშენებაში დახარჯულს რამდენიმე თვეში ამოიღებდა.

ქუთათურები ქართულ წარმოდგენებს – ნაკლებად, ან, ხშირად, ძალით მიჩეჩებული ბილეთებით ესწრებოდნენ, გასტროლიორი მატყუარა ფოკუსნიკების სანახავად თავ-პირს იმტვრევდნენ. ბილეთებს ორი-სამი დღით ადრე ყიდულობდნენ, ზედმეტსაც იხდიდნენ, მეტზე მეტის გადახდასაც არ ერიდებოდნენ, ჯიბე ხელის გაკვრით ეხეოდათ. უბილეთოდ დარჩენილები დარბაზში სკამების ჩადგმას იხვეწებოდნენ, რისთვისაც ბევრს, ხშირად – ბილეთზე ძვირს იხდიდნენ.

ჯერ ჩამოვიდა ჟერარდი და იმდენ ხანს დარჩა, ხომ არავის ჩასიძებიაო, – ქირქილებდნენ, ესენი ქირქილებდნენ, ის ყოველ საღამოს ხალხით გადატენილ ცირკში მართავდა წარმოდგენებს.

ჟერარდი წავიდა, ჩამოვიდა თვალთმაქცი ბეკერი. მის წარმოდგენებსა და სულელურ ფოკუსებზე დასასწრებად სამი დღით ადრეც ვერ იშოვიდით ბილეთს, იდგა რიგები, იხვეწებოდნენ, ითხოვდნენ, ფასს არც კითხულობდნენ, ოღონდ დასწრება მოეხერხებინათ.

ბეკერს ორი კვირის განმავლობაში სუფთა მოგება ოთხი ათასი მანეთი დარჩაო. დიდი ფულია, თანაც ეს თუ ორ კვირაში დარჩა, ჟერარდი ერთ თვეს ხომ მაინც იქნებოდა ამ ქალაქში და იმას დარჩებოდა, თუ დარჩებოდა.

ბეკერის მერე ჩამობრძანდა, წინეებზე უფრო ცუღლუტი ბიჩურინა, რომელმაც ჯერ სეირნობა დანიშნა ბულვარში.

აფიშები იტყობინებოდნენ, ჰაეროსტატით ცაში აშვებას, რისთვისაც მნახველებს ოცი კაპიკის გადახდა მოუწევდათ. იმდენი ხალხი მისულა ბულვარში, რომ სუნთქვა უჭირდათ, კაცი – კაცის გვერდით, ქალი – ქალის მიყოლებით ისე ახლოს იდგნენ, ნემსიც არ ჩავარდებოდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ, მისულებს ემატებოდნენ, იმდენი გამხდარან, ორი ბულვარი ვერ დაიტევდა. დაღამებამდის პოლკის მუზიკით შეუქცევია ხალხი ბიჩურინას, მერე, ჰაეროსტატის მაგიერ, ქაღალდის ბუშტი ათი საჟენის სიმაღლეზე აუშვია ცაში, ბუშტი იქვე გამსკდარა და ჩამოვარდნილა.

მოტყუებული ხალხი პირღია დარჩენილები მდგარა ბულვარში. კაი ხანს ვერ გამორკვეულან, მერე ერთს, ორს, სამს დაუყვირია, აჩოჩქოლებულან, ადანდგარებულან, მაგრამ აღარც ბიჩურინა, აღარც ჰაეროსტატის ცაში ამშვები, არც ამფსონები ჩანდნენ თურმე სადმე.

მატყუარების, ცუღლუტების წარმოდგენებს აწყდებოდნენ, ქართულს დიდად არ ეტანებოდნენ. არადა, იმათ ნათამაშევ-ნაფოკუსევს თვალისთვის წყლის დალევინებას თუ დაარქმევდი, სცენის მოყვარეთა სპექტაკლები სხვა რომ არაფერი, ზნეობრივ საზრდოს მაინც მისცემდა ხალხს.

ხარაზოვი, რასაკვირველია, ცირკის ქალაქის ცენტრში აშენებას შემთხვევით არ ითხოვდა. გამვლელ-გამომვლელი გასტროლიორები იქაურობას უფრო მიეტანებოდნენ.

ამიტომ იყო, ქალაქის გამგეობა ამრეზით რომ მიეგება თხოვნას. უარის ტექსტი უცნობია, მაგრამ ხელი რომ აუქნიეს, არაა საეჭვო. საეგებიოა, ვიღაცამ, უფრო ვიღაცებმა ურჩიეს, ცირკის მაგიერ თეატრი ააშენე, ყველანი ყაბულს იქნებიან, საბუთებით თეატრად ნაგულისხმევი ცირკად მოიხმარე.

დაიჯერა.

1879 წლის 21 აგვისტოს ისევ თხოვა ქუთაისის თვითმმართველობას, ახლა დავაკონკრეტებ – გიმნაზიის ქუჩაზე, სასამართლოს გვერდით, ტერ-გუკასოვისა და ზუბალოვის დუქნებს შუა, ადრინდელი ორლოვის სახლის პირდაპირ თავისუფალი მიწა რომაა, ოთხი წლით მომაქირავეთ, ქვის ან აგურის, რკინისსახურავიან თეატრს ავაშენებ სხვადასხვა წარმოდგენების გასამართავადო.

კონსტანტინე ხარაზოვი ქალაქის მამებს წლიურ საიჯარო თანხად ახლა უკვე 100 მანეთს სთავაზობდა, ორისას წინდაწინ მოგართმევთ, დარჩენილი ორი წლისას – ყოველწლიურადო. ქირის ვადა რომ გაილევა, ქალაქს ჩემი ნაქირავები მიწა გასაყიდად ან სხვა რამისთვის თუ დაჭირდება, ექვსი თვით ადრე შემატყობინეთ, თუ არა და, იგივე პირობებით გაგვიგრძელეთ ხელშეკრულებაო.

კონსტანტინე ხარაზოვის სურვილი, აეშენებინა თეატრი, გულგრილს ვერავის დატოვებდა, ამიტომ მის განზრახვაში ისიც იკითხებოდა, ოთხი წლის შემდეგ ხელშეკრულებას არ შეუწყვეტდნენ, ოთხს კიდევ ოთხს და უფრო მეტსაც დაუმატებდნენ.

ითხოვდა ოთხი წლით ქირავნობას, გულის გულში სამიდღემჩიოს ფიქრობდა.

ხარაზოვს მამულიშვილობას რატომ არ უფასებთო, მეტყვით. რასაკვირველია, საქებარია, საშვილიშვილო საქმე კეთდებოდა, თუმცა ზედაპირზე სხვა სურვილი ილანდებოდა სიღრმეში – სხვა, – აშენებდა თეატრს, გულის სიღრმეში – ცირკს, რომელსაც, თუ დაჭირდებოდა, დუქნებადაც ადვილად გადააკეთებდა.

ვერავინ გაბედავდა, თეატრის ამშენებლისთვის უარი ეტკიცა, ან აშენების მერე გულცივად მოპყრობოდა: კი ააშენე, მარა, მიწა ქალაქისაა, გავყიდით, მეტს ვიხეირებთ, აშენებული, თუ გნებავთ, დაშალეთ, გინდ ქვა-ქვა, გინდ აგურ-აგურ წაიღეთო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ: თეატრს, როგორც საზოგადოებისთვის ნამეტნავად საჭირო ნაგებობას, ნიღბად რომ ირგებდა, მალე დარწმუნდებით.

კონსტანტინე ხარაზოვის ნათხოვნი ქალაქის გამგეობამ ოცდაშვიდი აგვისტოს სხდომაზე განიხილა – შენობა, რომლის აშენების პირობას გვაძლევს, სათეატრო წარმოდგენებთან ერთად, საარჩევნო კრებებისთვისაც გამოგვადგებაო. ალექსანდრე ჭიჭინაძის ნაგუმანევით კიდევ უფრო მტკიცე გახადეს ხარაზოვის ჩაფიქრებული. ამისა და ბევრი სხვა რამის გათვალისწინებით ხელმძღვანელობა დათანხმდა, მიექირავებინა ხარაზოვისთვის ქალაქის კუთვნილი მიწა, სიგრძით 16, სიგანეში 9 საჟენი, სულ 144 კვ. საჟენი რომ იყო, ოღონდ საიჯარო თანხა, ყოველწლიურად, ასის მაგიერ 120 მანეთი გადაეხადა.

ქალაქის თვითმმართველობის იმ სხდომაზე ისიც თქვეს: არც ახლა, არც მომავალში ვაპირებთ ამ მიწაზე რაიმეს აშენებას, იჯარით, დღევანდელი ტერმინია, გავცეთ, მუქთად გდებას ორი კაპიკის შემოტანა გვირჩევნიაო.

ეტყობა, კონსტანტინე და ქალაქის მამები სიტყვიერად მანამდე მოლაპარაკებულიყვნენ, ახლა კანცელარიულად აფორმებდნენ მოლაპარაკებულს.

ქალაქის საბჭომ უფლება მისცა ქუთაისის ხელმძღვანელობას, გაეფორმებინა ხარაზოვთან მიწის მიქირავებაზე ხელშეკრულება, ქირად, წლიურად, 100 მანეთი დაეტოვებინა, ოღონდ კონსტანტინესთვის განესაზღვრათ ის, რომ ქართული წარმოდგენებისთვის ქირის საფასურად 30 მანეთზე მეტი არ აეღო.

ვიცი, მოსაწყენია, განცხადებაში შენახვეწზე თხრობა, განხილვა-დამტკიცებაზე საუბარი, მაგრამ სინამდვილე, ხშირად, მშრალია, გამოწურულია, უღიმღამოა და მათ მიღმა იმალება ფარული ზრახვები.

მივყვეთ ფაქტებს.

ქირავნობის ხელშეკრულება ქალაქსა და კონსტანტინე ხარაზოვს შორის 1879 წლის 30 აგვისტოს გაფორმდა. კიდევ უფრო დავწვრილმანდებით და მოგახსენებთ, კონსტანტინეს, იმის გარდა, რაც ჩამოგითვალეთ, ნაქირავებ მიწაზე სისუფთავის დაცვა ევალებოდა, თუ ვერ მოახერხებდა, ყოველი დანაგვიანებისთვის ქალაქს ათ მანეთს გადაუხდიდა.

ხელშეკრულების გაფორმებიდან ძალიან მალე, 12 სექტემბერს, სახელმწიფო ქონების სამმართველომ ქალაქის თავკაცებს მოთხოვა: გვაცნობეთ, რის საფუძველზე ითვლებოდა გიმნაზიის ქუჩაზე, ტერ-გუკასოვისა და ზუბალოვის დუქნებს შორის, ორლოვის ყოფილი სახლის წინ მდებარე მიწა ქალაქის საკუთრებად. ვის, რა პირობებით მიაქირავეთ, ხელშეკრულებაც, კეთილი ინებეთ, გადმოგვიგზავნეთო.

ესეც არ მოხდებოდა შემთხვევით. ეტყობა, ბევრი დაინტერესდა, საჯარო ვაჭრობის გარეშე რატომ გაქირავდა ქალაქის გულში მიწა, თანაც ეს უწყება (სახელმწიფო ქონების სამმართველო) გუბერნატორს ემორჩილებოდა, რომელსაც ქართული თეატრის აშენება სულაც რომ არ გაეხარდებოდა. ეგონათ, მიწის ნაკვეთი ქალაქის საკუთრება არ იყო, ან არ ეგონათ, მაგრამ მაინც შეამოწმეს. თვითმმართველობიდანაც მალე უპასუხეს: მიწა, პოლიციის აღწერით, ქალაქისაა, ნომრით თერ-

თმეტია და კონსტანტინე ხარაზოვს მივაქირავეთ ოთხი წლითო.

ხარაზოვმა 1880 წლის თებერვალში გაასრულა თეატრის აშენება, რომელიც, სინამდვილეში, ფარდულს ჰგავდა, რადგან ერთი აგურის სისქის უჭერო ოთხი კედელი იყო. წვიმა თხლიშინით ჩამოდიოდა, დარბაზში ხმა არ ისმოდა. სცენაც საცირკოდ დადგა, კედლიდან ერთი საჟენის მოშორებით ვინც დაჯდებოდა, ვერაფერს ხედავდა.

დეკორაციებიც, კულისებიც სცენისმოყვარეებს, რვა წლის წინათ რომ იყენებდნენ, დაკონკილ ფიცრებსა და შეკოწიწებულ რაღაც-რაღაცეებს და უბინაობის გამო აქეთ-იქით დაათრევდნენ, იგივე დარჩათ.

სცენისმოყვარეები შენობის თეატრად გადაკეთებას ითხოვდნენ. ხარაზოვი ამბობდა – იქნებ იოლად გამოვიდეთ, იქნებ იოლი გზა მოვძებნოთო. თვითონ ფულების ჩაჯიბვაზე დაეჭყიტა თვალები, სხვებს ეუბნებოდა – იოლად გამოდითო...

ჯერ სცენისმოყვარეებს შეპირდებოდა რომელიმე დღეს თეატრის დათმობას, მერე სხვას გამოაჭენებდა, ამათ ახვეწებდა, იმათ ფულს მოამატებინებდა. საბოლოოდ ქუთათურ დასს ყელის გამოწევით შეეხვეწებოდა. ამ ერთხელ, ამ ერთხელ დავუთმოთ, მეორედ ამნაირი არასდროს მოხდება, ამ ერთხელ – მეორდებოდა და მეორდებოდა.

სცენისმოყვარეებს თხოვნა, ხარაზოვს – უარი არ ბეზრდებოდათ.

– კანსტანტინ სტეპანიჩ, იქნებ ფეხსაწმენდი დაგვედო დარბაზში შემსვლელთათვის! – ეხვეწებოდა ერთი.

– არა მაქს! – თავს აქნევდა.

– ტუალეტში საპონს ხომ არ დადებდით? – ეუბნებოდა მეორე.

– არა მაქს! – თავს გააქნევდა.

– სცენაზე ფარდას ხომ არ გამოგვიცვლით, კანსტანტინ სტეპანიჩ! – ეღრიჯებოდა მესამე.

– არა მაქს! – ისევ აქნევდა თავს.

– იმ ძველ დეკორაციას ხომ არ შეგვიცვლით!

– არა მაქს!

ამ კაცმა ამ ორი სიტყვის მეტი, მე მგონი, არაფერი იცის! – გაიფიქრა ერთმა და შებედა:

– თეატრს ხომ არ მისახსოვრებდით კანსტანტინ სტეპანიჩ?

– ვერ მოგართვით, ვერ მოგართვით! – ყველა კბილს აჩენდა.

– ცოდნია, სხვა სიტყვებიც ცოდნია, – ყვიროდნენ დანარჩენები.

თეატრი სახელისთვის ავაშენეო – იძახდა, არადა, სახრავისთვის აშენებულს ჰგავდა.

ხატიჯა ვინღააო, იკითხავთ.

არც ჩვენ ვიცით.

„დროებაში“ ალექსანდრე გამრეკელის წერილში ერთი კი არა, ორი წინადადებაა სხვა ტექსტისა შემთხვევით ჩავარდნილი:

„ქალს, სახელად ხატიჯას, დაუდგა მოჯამაგირედ და ერთ ხანს ემსახურა.

25 წლისა ამ ხატიჯამ ქმრად შეირთო“.

ამის შემდეგ, პოლიგრაფიული ტერმინით რომ ვთქვათ, ჰაერია, მერე მიყოლებით გრძელდება ტექსტი.

კაი კურიოზია, მიყვარს ამნაირები.

არ გაინტერესებთ, ქმრის შემრთავი ხატიჯა ვინ იყო?!

ნაკურთხი ამინდი

ახალაშენებულ ხარაზოვის თეატრში პირველად მასკარადი გაიმართა. ხალხი იმდენი მისულა, შიგ შესვლა ყველას ვერ მოუხერხებია, ბულვარში იდგნენ და ამბის გამომტანებს ელოდნენ.

არა გვგონია, აკაკი მასკარადით აღტაცებულიყო, მაგრამ იმ შენობაში რამდენიმე დღეში სპექტაკლები გაიმართებოდა, რაც, კნინი ნათქვამია, აინტერესებდა, უფრო – ციური მანანასავით მოელოდა. ამიტომ მივიდოდა, მაგრამ, ეტყობა, სათეატრო ნაგებობა თვალში არ მოუვიდა, მთელი მასკარადი მოღვრემილი დაიარებოდა, სხვები მხიარულობდნენ, ის უჟმურშეყრილივით აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს.

ბებერი დედაკაცის ნიღაბში გამოწყობილი გადაკიდებია.

– რამ მოგაწყინათ, ბატონო აკაკი?!

ისე მდუმარებდა, თითქოს არაფერს შეკითხვოდნენ. დედაკაცი არ ეშვებოდა.

– რამ მოგაწყინათ, აკაკი ბატონო, მითხარით, გიწამლებთ!

– ნუ შეწუხდებით, ძველი აფთიაქის წამლებს არ ვხმარობ – უთქვამს აკაკის და ძველებურად გაუხედ-გამოუხედავს.

მასკარადიდან რამდენიმე დღეში, 1880 წლის 21 თებერვალს, პირველი წარმოდგენა გაიმართა. მანამდე თეატრალური დასი, როგორც მაშინ ეძახდნენ, ქართული ტრუპპა, შეუდგენიათ, რომელსაც, მცირეოდენი ცვლილებით, ის წესდება მიუღია, თბილისის ქართული დასი (იმასაც ტრუპპას ეძახდნენ) რომ ხელმძღვანელობდა.

პირველად გიორგი ერისთავის „მზის დაბნელებას“ და ვოდევილს „ყვავი ფარშევანგის ფრთებით“ ამზადებენ წარმოსადგენადო. ზურაბ ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“ დამდგმელის, გიორგი ერისთავის საკუთრებად გამოუცხადებიათ. ხშირად ხდება ასე, რეჟისორის სახელი ყველამ იცის, ავტორისა მიავიწყდებათ, ამაებზე საუბარი სხვა დროისთვის გადავდოთ. ქუთათურები, ავად თუ კარგად, სათეატრო ნაგებობას ეღირსნენ, თანაც დასი ჩამოყალიბდა. ვინატროთ, გრძელი დღე ჰქონოდეს ქუთაისის თეატრს, საქმე ერთგულებასა და სიბეჯითეშია, თორემ იმერეთს კაი მოთამაშეები არასდროს ჰკლებიაო, – ამბობდნენ.

პირველად „მზის დაბნელება საქართველოში“ და რუსულიდან გადმოღებული „აყალმაყალი ცოლ-ქმარს შუა“ („ყვავი ფარშევანგის ფრთებით“ მაგიერ), წარმოუდგენიათ. მეორე წარმოდგენისას უკვე „ყვავი ფარშევანგის ფრთებით“ და მოლიერის „სიყვარული მკურნალია“ დაუწყვილებიათ. იმ კორესპონდენტს, რიგითობით მესამე წარმოდგენა მეორედ სპექტაკლი მიუჩნევიათო, თუ ვერწმუნებით, მესამე „ეჭვით ავადმყოფი“ ყოფილა.

პირველი წარმოდგენით დავიწყოთ – „მზის დაბნელება საქართველოში“:

ჩასკვარამებულ სცენაზე მსახიობები წაღმა-უკუღმა დარბოდნენ. თვალით ვერ დაინახავდი, ფეხების ბრაგუნით მიხვდებოდი, ერთნი – მარჯვნივ, მეორენი – მარცხნივ, მესამენი – თვითონაც არ იცოდნენ, საით მირბოდნენ. მარცხნივ გაქცეულები – მარჯვნივ, მარჯვნივ გარეკილები – პირიქით ბრუნდებოდნენ. მობრუალეთა დომხალ-ალიაქოთში ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ერთმანეთს დასდევდნენ, მადევრებს კიდევ სხვები მისდევდნენ და მისთანები. სცენა განათებული რომ ყოფილიყო, დაინახავდნენ, ყოჩივით თვალებმობრიალე არტისტი ვირივით ყროყინებდა, იმის უკან მორბენალი ტანმორჩილი მაიმუნივით ჭყაოდა, მაიმუნის მსგავსადვე იწმაწნებოდა. რომელიღაცა გაუგებარ სიტყვებს წამღერებით ამბობდა, მღეროდა თუ გალობდა, მამაზეციერი ვერ გაარკვევდა.

– მევალეებს ხომ არ დასდევენ? – პირველი მოქმედება რომ გასრულდა, ღაბაბოვანი გვამებისთვის განკუთვნილ სავარძელში მოკალათებული შვიდ ათეულს გადაცილებული ივანე ჯაიანი თავისკენ მოუბრუნებია ალექსანდრე გამრეკელს.

– ასე თავგამეტებით?! – კითხვა დაუბრუნებია იმას.

– რა ვიცი, ახლა ურიები აღარ დასდევენ მევალეებს ამნაირად?

– ურიები დაჭკვიანდნენ, ესენი დაგიჟდნენ!

– დაჭკვიანდებოდნენ, აბა, არ დაჭკვიანდებოდნენ? მევალის ქოფაკისგან დაგლეჯას რამდენჯერ გადარჩნენ საწყლები.

– აბა, კაცო, საცოდავი იცხაკა, რაფერ მაკლია. – თავი უცნაურად მოუფხანია – ქოფაკის მოსაგერიებლად ქვისთვის დაიხარა ყინვაში, მიწიდან ვერ ამოაძრო და დაიჩივლა, ჩემ მევალეს რო კითხო, კაპიკი არ უჭყავა, ე რამოტოლა შეძლება ჰქონია, დაგენაცვლე, ქვა დოუბია და ქოფაკი ოუშვია.

– ასე თავქუდმოგლეჯილი რომ დარბიან, ამათაც ქოფაკები ხომ არ დასდევენ?

– რა ვიცი, ვუყუროთ, დავინახავთ.

– სხვა რა გზა გვაქვს.

მეორე მოქმედებაში ვეღარც ხედავდნენ, აღარც ესმოდათ, სცენაზე, სცენის ქვემოთაც ყველაფერი მტვრის ბუღში გახვეულიყო, რაღაც ხდებოდა, რაღაცას ამბობდნენ, ანიშნებდნენ, აჩვენებდნენ, ეუბნებოდნენ, მაგრამ მაყურებლამდე არაფერი აღწევდა.

– სანამ მტვერი არ დაგვახრჩობს, არ დევიშლებით! – დაუძახნია ივანე ჯაიანს.

არავინ გაპასუხებია, თითქოს სწორედ იმისთვის მოსულიყვნენ, მტვერი ეყლაპათ, ხმაურით ყურები დაგუბებოდათ და გაბრუებულ-თავატკივებულები წასულიყვნენ სახლში.

უცნობმა ავტორმა „დროებაში“ მსახიობები მომეტებული პირუთვნელობით დაახასიათა, თუმცა იმ წერილში სხვა რამეცაა უცნაური, გაგრძელება იქნებაო – წერია გაზეთში, სინამდვილეში, წერილი არ გრძელდება, სპეკტაკლების რიგითობაც არეულია. გარეგნული მიუკერძოებლობით, უფრო ზუსტად, ავტორის პირადი შთაბეჭდილების გაც-

ნობით დავიწყოთ: ისე უხეიროდ, ისე გლახად წავიდა წარმოდგენა, რომ ვერ წარმოიდგენთ. უხეირო სპექტაკლები, ალბათ, გინახავთ, ეს უხეიროებს სათავეში ჩაუდგებოდა, გლახებიც არ მოგაკლდებოდათ, სულ კაი და კაი, ღმერთმა მოგვცეს, მაგრამ სადაა, ეს გლახათა უსტაბაშად მიითვალეთო.

თავსაც იმუნათებდა: ბევრ უხეირო წარმოდგენას დავსწრებივარ, ასეთს ვერ ვიხსენებ, ჯობდა, ავმდგარიყავ, ყველას დასანახად მიმეტოვებინა იქაურობა, იმას მაინც მიხვდებოდნენ, არ მომწონდა და ამისთვის გავეცალეო. საწყალი ზურაბ ანტონოვის ცოცხალი სცენები მსახიობებმა ისე ჩაათავეს, რომ ჯავრისა და მობეზრებისგან დავიხოცენითო.

მარტო საკუთარ თავს კი არა, მობეზრებით დახოცილებში ყველა მაყურებელს გულისხმობდა.

უარეს გლახა შეფასებას იშვიათად წააწყდები!

უხეირო სპექტაკლებს თავკაცად ჩაუდგებოდაო. არადა, შეიძლება, სცენური გადაწყვეტაა: ზურაბ ანტონოვის კომედიაში მეორედ მოსვლის, სამყაროს აღსასრულის მეტყველი სცენები იხატებოდა, რაც, სულაც, აურზაურით შეიძლება გადმოიცეს, მზის დაბნელების შიშით უაზროდ დარბიან, გაუგებრად ლაპარაკობენ, ყვირიან, ყროყინებენ, ჭყავიან, იგრიხებიან, ძრწიან, ოხრავენ. ასეთი შეიძლება იყოს მეორედ მოსვლის მოლოდინი, მაგრამ თუ ჩანაფიქრს ვერ მიგიხვდებიან, ყველაფერს უაზრო აურზაურად ჩაგითვლიან და სპექტაკლს უხეიროს დაარქმევენ. უფრო ასე მგონია, თორემ სხვანაირად ვერ ახსნი, რატომ დარბოდნენ, რისთვის ბღაოდნენ, ვირივით რა მიზანსწრაფვით ყროყინებდნენ, მაიმუნივით რისთვის ჭყაოდნენ და ასე შემდეგ.

რუსულიდან თარგმნილი „აყალმაყალი ცოლქმარს შუა“ კარგად ითამაშესო. ასეც იქნებოდა, გაბრაზებას, გაბუტვას, გაწყრომას და ამნაირებს უფრო ბუნებრივად, ყველასთვის გასაგებად განასახიერებდნენ, ვიდრე სამყაროს აღსასრულით გამოწვეულ შიშსა და ძრწოლას.

ქუთაისის დასმა ხარაზოვის თეატრში წარმოდგენები ალიაქოთით დაიწყო, აყალმაყალით გააგრძელა, სიყვარულით გაბჟნილ გრძნობას ეჭვი ჩაატანა საფუძველში და კეთილი ფინალით – მოლიერის „ცოლის შერთვევინებით“ დაასრულა.

„აყალმაყალი ცოლ-ქმარს შუა“, განსახიერებისას, შეიძლებოდა, „მზის დაბნელება საქართველოს“ დამგვანებოდა. ორივეში დიალოგს მოქმედება დაჩრდილავდა, შეიქმნებოდა აურზაურის, ალიაქოთის ეფექტი, რაც ორივე პიესის მხატვრული მიზანია.

უცნობი ავტორი პირველს უხეიროს ეძახის, მეორეს არაუშავს სპექტაკლად ნათლავს. პირველი და მეორე-მესამე წარმოდგენა ცა და მიწასავით განსხვავებული ყოფილა.

„ვერ წარმოიდგენთ ჩვენს გაკვირვებას, რომ ვხედავდით, რა მშვენივრად მიდიოდა ეს წარმოდგენა. აღტაცებაში მოგვიყვანა ამ მეორე წარმოდგენამ და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მთელი იქ დამსწრე საზოგადოება გამოვიდა თეატრიდან ყოვლად კმაყოფილი. პირველ წარმოდგენას შეეძლო შეეძულებინა, შეეზიზღებინა ყოველი კაცისათვის ქართული თეატრიცა და თვით ის მოთამაშენიც: და უნდა გამოვტყდე, მე კი ძალიან უხალისოთ წავედი მეორე წარმოდგენაზე, მაგრამ ამ მეორე წარმოდგენამ სწორეთ მოგვაწონა, შეგვაყვარა თეატრი. ეს წარმოდგენა დასამახსოვრებელია, რადგანაც აქედან უნდა ითვლებოდეს ქუთაისში ქართული ტრუპპის დაარსების დღე“.

ნანახით სიამოვნების ბურუსში გახვეული ავტორი ბოლოში მსახიობების თეატრალური პორტრეტების სიტყვიერ ჩამოძერწვაზე გადადიოდა. თანაც დასამახსოვრებლად, მართალია, მოჭარბებული პირუთვნელობით ხატავდა, ხანდახან ნამეტან პირადულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, მაგრამ ისე ნათლად ამბობდა, რომ მკითხველს სპექტაკლის მონაწილედ აქცევდა.

ანა მესხის მონაწილეობით სხვა წარმოდგენებსაც დასწრებია, მაგრამ არ მოწონებია მისი შექმნილი როლები. უშნოდ, უგემურად, რაღაცნაირი ძალდატანებით თამაშობდაო. შესაძლებელია, მის გემოვნებას არ ეთანადებოდა, მაგრამ იმის თქმა, აქტრისად სულაც არ მიმაჩნდაო, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, ნამეტანია.

ადრე არ მოწონდა, მოლიერის კომედიაში „სიყვარული მკურნალია“ და ვოდევილში „ყვავი ფარშევანგის ფრთებით“ ისე ითამაშა, რომ განაცვიფრა. სცენაზე ანა მესხის განსახიერებულ როლებს არც სიცხოველე აკლდა, საკვირველად შნოიანად მოქმედებდა, ისე თავისუფლად, იმდენად ბუნებრივად მოძრაობდა, რომ ეტყობოდა, კარგად შეეთვისებინა, რათაც უნდა გარდასახულიყო. ორივე როლში თავის ქერქში იყოო, ფრაზადაც კაია, თავის ქერქში ყოფნა, ცოტა ირონიული, მაგრამ იმის

კაი მიმანიშნებელი, სამოსივით რომ მოერგო ანა მესხს ის როლები.

წარმოდგენების ნახვამ უცნობ ავტორს იმის ახსნაც გაუადვილა, რატომ არ მოწონდა წინანდელები – ის როლები მსახიობის ნიჭის შესაფერი არ ყოფილანო. ეს კაია, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, ეთქვა, ანა მესხის არტისტული ნიჭის შეფასებაში რომ ცდებოდა. წარმოუდგენელია, ყველა სპექტაკლში მსახიობმა თავისი შესაძლებლობები სრულად გაამჟღავნოს, მაგრამ ისიც შეუძლებელია, ისე ცუდად ითამაშოს, რომ გათქმევინოთ – აქტრისად არ მიმაჩნიაო.

ქუთათური დასის პრიმადონას – მრევლოვის ქალის თამაშსაც იწუნებდა. ადრე – „გუვერნერში“ – პერეპეტუას როლი მშვენივრად განასახიერა, კომიკურებს კარგად ასრულებს, დანარჩენებში არც შნო ეტყობა, არც გამოთქმა უვარგა, სიცხოველეც აკლია. სცენაზე ისე მოძრაობს, თითქოს ნამძინარევია, ანდა ნამეტანი ეძინებაო. მთლად ასე გასანიორწყლებელიც არ იქნებოდა მრევლოვის ნათამაშევი. თანაც იმაშიც ვერ გაერკვევი, კომიკურ როლებს თუ კარგად ასახიერებდა, ამ კომედიებში რაღა დაემართა. ერთი სიტყვით, „აყალმაყალი ცოლ-ქმარს შუა“ ცოცხალ, ცქვიტ თამაშს მოითხოვდა და ამ მსახიობს თავისი მძინარა ხასიათით წაუხდენია.

ეფროსინე კლდიაშვილს, დამსახურებულად რომ დაუსაკუთრებია მშვენიერი მსახიობის სახელი, ორი ნაკლი ჰქონია, რომელთა გამოსწორებას დიდად სასურველად, უფრო – საჭიროზე საჭიროდ მოითხოვდა. პირველი, ყველანაირ როლს ერთნაირად თამაშობს და მეორე – დიქცია, გამოთქმა არ უვარგა, ჩქარა ლაპარაკობს. სიჩქარის გამოისობით სიტყვებს მკვეთრად ვერ ამბობს, მართალია, ხმამაღლა ლაპარაკობს, ხანდახან კიდეც ყვირის, მაგრამ სცენიდან მისი ნათქვამი მაინც ძნელად ესმის მაყურებელსო.

სიტყვების მკვეთრ გამოთქმას რომ დაეუფლება ეფროსინე კლდიაშვილი, მერე მათი განსხვავებულ კილოზე წარმოთქმაც შეეძლება, მსახიობი „გენაცვალე“-ს და „შე წუწკო, საძაგელო“-ს ერთნაირად რომ წარმოთქვამს, შეცდომაოო.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, იგივეს განმეორება აქაც შეიძლება. ორიდან ერთია საგუმანო: ან ნამეტანი პირადულია წერილის ავტორის განწყობა, ან მსახიობთა ნაკლი დიდად თვალშისაცემი ყოფილა.

განგესოვის ქალი პირველად გასულა სცენაზე. ბუნებრივია, ნაკლი ექნებოდა, სცენიდან მისი სიტყვები მაყურებლამდე ვერ აღწევდა, დაოსტატდება, გაიგებს, ჩურჩულითაც წარმოთქმული როგორ მიაწვდინოს დარბაზში მსხდომთო. საოცრად ნაზ და რბილი ხმის პატრონ ყმაწვილ ქალს სცენური მომხიბლავობა ახლაც არ აკლია, მომავალში დაიხვეწება, რაც იმის თქმის საფუძველს იძლევა, მსახიობი დასიდან არაა გასაშვებიო.

ეს არაა გასაშვებიო და, ქუთათური დასის შექმნისთანავე ზოგმა მსახიობმა – იქით, ზოგმა აქით გაიწია, ერთმა ნაწილმა, ძველები ვართო, თუ ხართ, დაძველდით, ახლები ახალს შევქმნითო.

ჯიბრი ღუპავს ყველა სასიკეთო საქმეს – დაწერეს გაზეთებმა.

ევგენია ჩხეიძისამ, ტყუილია, ორი წარმოდგენიდან სამოცი თუმანი არ შემოსულა, როგორც ისაა ზღაპარზე უფრო ზღაპარი, ცირკის მსახიობებმა, არ იკითხავთ, რას ეძახდა – რწყილის აკრობატებმა, ვითომც ათასობით მანეთი ჩაიჯიბესო. კაია რწყილის აკრობატები, თუმცა ევგენია ჩხეიძისას წერილში ყველაზე მეტად ეს ადგილია საინტერესო: არავითარი ახალი დასი არ იქმნება, სცენისმოყვარეებმა საქველმოქმედოდ „ქოროღლის“ დადგმა განიზრახეს, ვინმეს ვინმეს დახმარება ეწადოს, ვერ დავუშლითო.

არც არავის მიუქარავს, ახალი დასის შექმნის ამბავი მოჭორილია, ორის კი არა, ნეტავ, ერთის გაძღოლა შეგვაძლებინაო.

კი იძახდნენ, არა და არაო, მაგრამ ბზარი უკვე გაჩენილიყო, რამაც მალე იჩინა თავი. გაზეთების კორესპონდენტები უფრო ოპტიმისტურად ფიქრობდნენ – ქუთათურ დასში ხშირია უთანხმოება, მაგრამ განხეთქილება იქამდე არ მივა, დასი დაიშალოსო. პირიქით, ქართული თეატრის რიგიანად წარმართვისთვის დაფუძნებულ კომიტეტში კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ყიფიანი, ივანე მესხი, მოსე ქიქოძე და დიმიტრი ნაზარიშვილი ავირჩიეთო. კომიტეტმა ბევრი ვერაფერი გააკეთა, ვერ შეარიგა სხვადასხვანაირად მოფიქრალები. ბზარმა იმატა.

ამაზე მერე.

მასკარადის დღეს თებერვლის უჩვეულოდ თბილი დარი ყოფილა.

– რას ერჩოდი იმ ბეჩავს? – უთქვამს კირილეს აკაკისთვის.

– რა მექნა, ნაკურთხ ამინდს ვერ შევურაცხყოფდი, ავდექი და, აფთიაქი დავუწუნე!

ხმა ცაში

– რას ეძებ, ზაქარია?! – ეძახდა ნათურასავით გაღაჟღაჟებული წითელი კაცი ეზოში შემოხეტებულ ბერიკაცს.

– ხმას, – პასუხობდა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი თვალებგაცეცებული ზაქარია ჭეიშვილი.

– ხმალი წელზე გარტყია, შე საცოდავო! – სახე უფრო უწითლდებოდა.

– ხმალი რა ჯანდაბად მინდა.

– აბა, რას ეძებ?! – უმეორებდა თვალების ჭუტვით.

– ხმას, ხმას! – ყვიროდა ის.

– სად დაკარგე?! – უყვავებდა.

– რა ვიცი! – ხელებს აერთებდა.

– აპა, წაგართვა ვინმემ?! – უკვე იღრიჯებოდა კბილებჩაყვითლებული.

– მოლიერმა... – დარცხვენილი ბავშვივით მიწას ჩაჩერებოდა.

– ვინ?! – გაგონილით გახალისებული უფრო იღრიჯებოდა.

– მოლიერმა, მოლიერმა... – თავაუწევლად პასუხობდა.

– მორიელი სად ჯანდაბაში ნახე, შენი მკვდარი და ცოცხალი! – იცინოდა.

– მორიელმა კი არა, მოლიერმა... – სიმწრის ღიმილი ეფინებოდა სახეზე.

– ვინ ოხერია, გოდოუშენდა პატრონი!

– იყო ადრე... – თვალებს ისევ გიჟივით აცეცებდა.

– იყომ წაგართვა?

– არა, მოლიერმა, კომედიების ყიყლიყომ, – მარჯვენა ხელს, რამდენადაც შეეძლო, თეატრალურად იშვერდა.

– ამისთვის ვიღაცას ხმა წოურთმევია, დოუბრუნოს, თვარა მძინარეებს ხმლით დაგვადგება თავზე! – თავისიანებს გასძახა.

– რა ჯობია, თვალს რომ გაახელ და ხმალმომარჯვებულ ზაქარიას დეინახავ! – დაიძახა შეჯგუფებულებიდან ჭიამკვდარამ.

– მეორედ არ გნახო ამ ეზოში შემოთრეული, – შეუყვირა წითელმა, – რა გინდა აქ, რას ეძებ, რო დაბორიალობ?

– ხმას! – წამოიკნავლა.

* * *

ქუდბედიანი ყოფილხარ ზაქარია ჭეიშვილოო, – ეუბნებოდნენ და მხარზე ხელს უთათუნებდნენ. ნათქვამი ნათქვამად, მოთათუნება მოთათუნებად დარჩა. რაც შეემთხვა, ქუდბედიანობა იმას რანაირად ეთქმოდა?! ქუთაისის სცენისმოყვარეებში ახალ თავშერგულს პირდაპირ ღადარში უკრეს თავი, მოლიერის „ცოლის შერთვევინებაში“ პანკრასის – არისტოტელეს ფილოსოფიის მოთაყვანე დოქტორის განსახიერება მიანდეს. კი მიანდეს, მაგრამ ერთი გული სიხარულ-სინანულით ორად გაუპეს. ნამეტანი ნატვრააცხადებულს განსახოვნება დაუწუნეს.

გამოვიდა სცენაზე წვერულვაშშეღინღლული, განგებ დაბრძენებული, თამაშისთვის მოხუცი, სინამდვილეში – ჭაბუკური სურვილებით გულშეფანცქალებული ზაქარია-პანკრასი, თქვა ფრაზა, ხმაში სული ჩადო, გულის დაფენით ნათქვამი სიტყვები ნემსის ყუნწში გააძვრინა.

– არ ისმის, – დაიძახა ვიღაც დაბღვერილმა. ამას იმის – დაბღვერილის ხმა ესმის, პანკრასის ნათქვამი ნაღდად არ ეყურება, თორემ ტყუილად ან რატომ დაიყვირებდა ან რატომ დაიბღვერდა.

ზაქარიამ ბრძნულადვე, ფილოსოფიის დოქტორის უბნობის შესაფერად გააგრძელა.

– არ გვესმის, არ გვესმის! – ჯერ ერთი, შემდეგ რამდენიმე აყვირდა.

ხმა დააწვრილა, სიტყვები კბილებდაჭერილმა წარმოთქვა, ნათქვამი მაყურებლის ყურს რომ მიწვდენოდა. ცოტა ხანს აყურადებდნენ, მერე ისევ დაიძახეს:

– არ გვესმის, არ გვესმის!

– მე მესმის! – ამბობდა გულში ზაქარია, – ფილოსოფოსს წარმოგიდგენთ, მოქეიფეს ხომ არა, რომ ვიყვირო.

მოლიერს მიეცეს ქუთათური ახალბედა სცენისმოყვარის ცოდვა, ერთმოქმედებიან კომედიაში ყველაზე მეტს პანკრასი ლაპარაკობს, ორი, სამი პერსონაჟის – სგანარელის, ჯერონიმოს, დორიმენის ნათქვამი რომ შეაერთო, მიახლოებით იმდენს მასლაათობს, თანაც ფილოსოფიურად მძიმეს, მაგრამ რა ექნათ, ამ სიმძიმეშია სასაცილო, ვერ გაიგონებ, ვერ გაიცინებ. სცენაზე მობორიალე

ზაქარიას, რომლის ხმა არავის ესმოდა, წამიერად გაუელვა ფიქრმა – ვინმე ავგუნება განგებ ხომ არ იძახის, მოწადინებული აბნევს არისტოტელეს ფილოსოფიით დაბრძენებულ ჭაბუკს, – გაგახსენებთ, მოლიერის გმირი – ჯერონიმო რომ ამბობს, გონიერება ვალია ჩვენის ხნიერებისო. პირველი დამყვირებელი ხნიერი მოეჩვენა, დააკვირდა, ყმაწვილი გამოდგა. უკან წაიღო გაფიქრებული.

მეექვსე გამოსვლაში გამოჩნდება პანკრასი. თან, საიდანაც შემოვა, იქით მიბრუნდება, სგანარელს ვერ ხედავს და იძახის: გამეცალეთ, ბრიყვი ხართ, უმეცარი, ყოველნაირ სამწიგნობრო წესის უცოდინარი ბრძანდებით, სამწერლო უწყებიდან უნდა გაგაძევოთ კაცმა.

ეს სიტყვები – შენ ხარ უმეცარი, უუმეცრესი, განმაუმეცრებელი და ყოვლადგანუმეცრებელი – თუ არ გაიგონე, გაცინებას ვინ ჩივის, ყურს გაურკვევლად მოსმენილი რაღაც აბდაუბდა გეგონება, ათას რამეს დაუკავშირებ და გაბრაზდები.

ბრაზობდნენ.

არც სგანარელისა და პანკრასის პირველი შეხვედრა გამოიწვევს ღიმილს, რასაკვირველია, სიტყვები თუ არ გაიგონე, ფილოსოფიის დოქტორი მოწინააღმდეგეს რომ ლანძღავს, ამას ჰგონია, ჩემზეა გაბრაზებულიო, კაიხანს ეკითხება, მე, მე მგულისხმობთ თუ არაო და მაინც, არ იკითხავთ, რაზე გადარეულა არისტოტელეს ფილოსოფიის მიმდევარი? იმაზე, თუ როგორ უნდა ითქვას, – ფორმა ქუდისა თუ ფიგურა ქუდისა. ფიგურასა და ფორმას შორის განსხვავება გარეგანი სახეაო – ყვირის – ვინაიდგან ქუდი არი სხეული უსულო, ამის გამო უნდა ვიტყოდეთ, ფიგურა ქუდისა და არა ფორმა ქუდისო.

სიტყვები თუ არ მოგესმა, მართლა ვერ გაიცინებ.

არ იცინიან, არ ესმით, იმაზე თუ გაიღიმებენ, რა გაუგონარს გვეუბნება ეს მამაცხონებულიო.

სგანარელს ეკითხება, რა ენა გინდათ, იხმაროთ ჩემთანო. სგანარელი პასუხობს, ის ენა, რომელიც პირში მიძევს, მეზობელს ხომ არ დავესესხებიო. იცინიან, რასაკვირველია, გაიგონეს. ზაქარია უკონკრეტებს, რომელ ენაზე აპირებთ ჩემთან საუბარსო, ჩამოუთვლის ენებს, ბოლოს ისევ ფრანგულზე თანხმდებიან.

გაიღიმეს, ესე იგი, გაიგონეს.

ზაქარია-პანკრასმა წარმოთქვა ვრცელი განმარტება, სინამდვილეში – გაუგებარზე გაუგებარი აბდაუბდა – აყვირდნენ:

– არ გვესმის, არ გვესმის!

– თქვენ გაიგონეთ ჯანდაბა და ჯარხანა! – ფიქრობს ახალგაზრდა მოხუცი – იმდენს იყვირებთ, როლიც დამავიწყდება, თუმცა რას ვიზუთხავდი, მაინც არ გესმით, ვაცმაცუნებ ტუჩებს, ჩათავდება ჩემი სათქმელი, სხვა გმირების თითო წინადადებას გაიგონებთ, ჩემსას – ვერაფერს.

პანკრასი-ზაქარია ეუბნება სგანარელს, ამ ყურისკენ მოდი, უცხო ქვეყნის ენებისთვის ეს ყური მაქვს გამზადებული, მშობლიურისთვის ესო და თქმისთანავე ახარხარდნენ.

ვიღაცამ დაიყვირა.

– ასე, შე კაცო! გვესმის, გვესმის.

მოკლე ფრაზები ესმით, ვრცელი – არა. ისიც გაიგონეს, არსებასა და შემთხვევაზე, ლოგიკის განსაზღვრებაზე, ათის თუ ერთის კატეგორიასა და სხვა ფილოსოფიურ ცნებებზე სასაუბროდ რომ არ მისულა ცოლის მოსაყვანად ატროებული ბებერი სგანარელი, იმას რომ შეუწუხებია, მომავალი ცოლი არ გამიფეხრბილდეს, ქუდი არ მომხადოსო. პანკრასისეული და სგანარელისეული ქუდი სრულიად სხვადასხვაა და სასაცილო.

ისევ აყვირდნენ.

– არ გვესმის, არ გვესმის!

ზაქარია ჭეიშვილმა პანკრასის განსასახიერებლად იყვირა, იკივლა, მაყურებლებს ზოგი გააგონა, ზოგი – ვერა.

გაზეთებმა დაწერეს:

– წარმოდგენა გვარიანი კარგი გამოვიდა. როლები თითქმის ყველამ იცოდნენ და არ შეშლიათ.

ისიც დაწერეს:

– ზაქარია ჭეიშვილის ნათქვამი, მეტისმეტი სიჩქარის თუ როლის უცოდინრობის გამო, ხანდახან სრულიად იკარგებოდა...

„ქმრები გავაბით მახეში“ და მეიფარიანის კომედიის წარმოდგენისას ყველაფერი ისმოდა, თითქოს ისინი სხვაგან იყვნენ, „ცოლის შერთვევინება“ სხვა შენობაში ითამაშესო. ე. იოსელიანი იმერლის როლს ისე ოსტატურად ასახიერებდა, ტაში არა და არ წყდებოდა, გაბიჩვაძეც კაი რაჭველს ჰგავდა.

ზაქარია ჭეიშვილის სცენიდან ნათქვამი არ გვესმოდა!

ამ სიტყვების წაკითხვისას ჭაბუკ სცენისმოყვარეს გული გაუჩერდა, შემკრთალმა, მექანიკურად გაადევნა ნაბეჭდს თვალი.

– სიტყვების გაუგონლობა უმეტესად თეატრის შენობის ბრალი გვგონია, თეატრს ჭერი არა აქვს და ამიტომ იკარგება ხმა.

ამის დამწერს გაახარებს გამჩენი – გაიფიქრა ზაქარიამ და გაზეთი საგულდაგულოდ დაკეცა.

თავს ვიკლავდი, როლი პანკრასისა ჩინებულად დავისწავლე, მაყურებელს ხმა ვერ მივაწვდინე, რა მექნა. სულკურთხეულ მოლიერსაც ხშირად ვუკურთხებდი. დიდი ტირადების წარმოთქმამ დამღუპა, წინადადებათა დასაწყისი ესმოდათ, დანარჩენი ცაში ადიოდა. ჭეიშვილის გვარის კაცი ღმერთს ვაგებინებდი, მაყურებლებს – ვერა.

მერე და მერე დაჩემდა, სცენაზე გასვლისას ჯერ გულში ტიკინო-კუკუნოს იტყოდა, მერე ჭერისკენ გააპარებდა თვალს, ჩამოზნექილი, ან აფხეკილ-დაფხეკილი რომ ყოფილიყო, გონება გაუმლაშდებოდა, უხალისოდ ითამაშებდა.

უჭერო დარბაზში სიტყვის დაძვრაც რცხვენოდა.

მოლიერის „ცოლის შერთვევინება“ მდგომარე 1880 წლის 5 აპრილს წარმოადგინეს ქუთაისის ახალ თეატრში.

* * *

– რას ეძებ, ზაქარია, რას?! – ახლა სხვა უყვიროდა მის ეზოში მობორიალეს, თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ პანკრასის როლის განმასახიერებელს, უკვე მოხუცს.

– ხმას! – ფოლადს ურევდა ხმაში.

– ინასარიძეებთან არ გადახვიდე, კავკავიდან ბომბორა ძაღლი მოუყვანიათ.

– ინასარიძეებთან ხმას რა უნდა?!

რატომ არ უნდოდა...



ზაალ ეგანოიძე

სიცხე!.. სიცივე!..

მკერდის ხიხინი... მაჯაზე ხელი ხშირად,
ჯანატეხილი და სევდიანი ბავშვი...
ბებრის ოჯახში მე-მეთერთმეტე შვილად
იმ საუკუნის ოცდაცხრამეტში გავჩნდი.

სხვისი თვალებით ვიშინაურებ ჩემ თავს,
როცა წარსულის გადამოწმებას ვიწყებ;
რვა ათეული წელიწადია მთენთავს
სიცხე!.. სიცივე!.. სიცხე!.. სიცივე!.. სიცხე!..

წარმოსახვა — სასჯელი

ლეშზე დაფრენილ ძერასავით ტრიალებს ნისლი,
და წუთიწუთზე სხეულს იმატებს:
მე ვხედავ ასე, შენ გწერ და გიხსნი
და წარმოსახვას სასჯელივით ახლავს სიმართლე.

სასჯელის ხიდან მოწეულ ნაყოფს
გავიყოფთ ალბათ, შევხვდებით როცა,
რომ ამის მერე ზიარად ვნახოთ
ლეშზე მტაცებლის ხელახლა მოსვლა.

ვიღაცა მართლა დააფრთხობს ძერას
თუ ქორს დააფრთხობს – გეზელად ხმობილს;
მინიშნებებით ლექსების წერა
თანდათან ჩემი გამხდარა ჰობი.

მოიტანს ქარი შორეულ ჭალის
სუნთქვას მოიტანს და თოთო სურნელს;
„ავად იყავი, კვდებოდი ღამით,
აჰა, გათენდა და განიკურნე“.

ვინ, ვინ ჩამდგარა ჩვენ ორთა შორის,
ან ყურთან ვისი ჩურჩული ისმის;
არადა ამ დროს – აღარსად ქორი,
აღარსად – ძერა და თეთრი ნისლი.

მივადგამ კიბეს ლაჟვარდებს ნებით,
ნებით მივადგამ თუ ვინმეს ვბაძავ;
და გვიან ვხვდები – დამძიმდა მხრები
და გასახსნელი ცაც ჩაირაზა.

ეს იმას ნიშნავს – ისევე ფრენა –
თავს შიგნით ფრენა და მაჯას ვიხსნი;
ლეშზეც ხელახლა დაფრინდა ძერა,
დაფრინდა ქორი და თეთრი ნისლი.

კაცზე, მარტოობის მოყვარულზე...

წყალზე ამოხატულ ათინათებს,
როცა ხელი ვეღარ შემოწვდება,
გული ახირდება – „მათი გმართებს“
და შენც თავის დახრით ემოწმები.

მზერა, როცა მადააშლილია
და შინდს შეიფერებს შეფენებაც,
გამო-გამოარჩევს ქარში ნიავს,
მუხლზე ლეკვივით რო გეფერება.

ახლა მთა და ბარი იმოსება
(მართლა მეოცნებეს რა მოაწყენს);
ცოტა იმეტიჩრეს მიმოზებმა –
ლამის ტყემლის ხეებს გამოასწრეს.

ფანტელ-ფანტელების თოვაშია
ფიქრის მიზეზ-მიზეზ აცურება;
მოლზე გაგორება მოგაშია
მარტის აუხსნელმა მაცდურებამ.

შენდაუნებურად ახარისხებ
ფერში ფერის გადაპატიჟებას

და გულს ამის მერე დააკისრებ
ბებრის ყმაწვილივით გაგიჟებას.

ბევრი, ბევრი რამე გითარგმნია –
უფრო გაგიხდია გასაგები;
ამ დღეს ეს ღრუბელი ვისთან მიაქვს –
გამზეურებული დასაგები.

კაცზე, მარტოობის მოყვარულზე,
ჩუმად ყოველ დროში ეცინებათ;
ღამეს ფეხაკრეფით მოჰყვა რული,
მაგრამ გონებას არ ეძინება.

წვიმის სათავეზეც იოცნებებ,
მთვარის ნაღვერდალით გამთბარი ხარ;
მარტის ღამეები გიმოწმებენ –
თავთან, საკუთართან მართალი ხარ.

ბევრი, ბევრი რამე...

ი. ქ.-ს

მღვრიე ქაოსიდან გამოირჩა,
ტანი რიბი-რაბოდ ამოსწია:
ბედის მოზიარე გამოგიჩნდა,
ვინ თქვას – „შეღავათით გამოცდიან“.

მავანს წამოცდება – „მე მოგივლი“,
„მშველელს“ იჭვის თვალით აყურადებს;
ღონემიხდილობით შეპყრობილი,
მაინც რო ახერხებს –გაგულადდეს.

ამ დღეს თვალი თვალში გაუყარეთ,
ფიქრიც საზიაროდ შეაჯამეთ,
მერე აუტანელ საწუხარებს
გული ნაწილ-ნაწილ შეაჭამეთ.

ხელის გაწვდენაზე გაიკიდებს
სიტყვას – სხვა სიტყვა რო დააწიოს:
„ტანჯვას სულ ფეხებზე დაიკიდებ
კაცი – გულით თუ ხარ მამაციო?“

თავის ამდაგვარი შეგონება
ბნელში შემთვრალივით დაატარებს,
იტყვის: „შუქის შუქთან შეკონება,
თუ გსურს – ძალაც უნდა დაატანო“.

როცა მოურეველ წუხილიდან
დასჯილს აღარავინ გაიმედებს,
ამ დროს მოგესმება – „თუკი გინდა,
თავსაც – მიბრძანე და – გავიმეტებ“.

მჩატე ირონიით აიგორებს
მძიმე, ტარტაროზულ სინამდვილეს;
ძილში რა იმედი გაიგონა,
ცხადში წამებას რო იადვილებს.

ლანდზე ჩამოხსნილი სხეულია,
სულში – მოჟივჟივე ბელურებით,
ბევრი, ბევრი რამე შეუძლია,
შენ თუ შორიახლო ეგულები.

მზე: თარგმანში — პოეზია, თარგმანის-თარგმანში — ჭადრაკი

არავის არ ძინავს ისე არეულად,
როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს.

პაოლო იაშვილი

ბორბლის მთას – იგივე „ბურბულეთს“ –
იგივე მზის ღამესათევარს,
მძინარეც თვალღია უყურებ,
მზერაში ვუპირებ ჩატევას.

ვინა თქვა – წუთები ასეთი
მთვლემარეც სინათლეს არ ქსოვდეს;
რასაც რო ჩურჩულით ცას ეტყვი,
ასეთ დროს – მეც უნდა მახსოვდეს:

„ჩამცხრალი ვარვარის სითბოდან
ამოზრდილ ლავაზე – ბილიკი“...
სიზმარი სიცხადეს ითხოვდა
და სიზმარს – სიცხადე – პირიქით.

ამხელა ღირსების თავბალიშს
ჩვენს გარდა სხვაც ბევრი უყურებს;
იწყება სამყარო-ზღაპარი
და ყურშიც სამყარო გუგუნებს.

სუნთქვით და, მაჯით და, რიტმით და
ფრთხილად რო ჯამდება დუღილი,
ნოტიო უპეებს ვიწმინდავთ
და ღამეს ზიარად ვუღიმით.

პირველი მნათობის პარნასის
ხათრსა და რიდობას ვინ მოშლის;
სიტყვების ხელმჩატე გადასმით
„როქამდე“ მისულხარ სტრიქონში

და წარბის აზიდვით იშორებ
მუქარას და იქით ქადილობ
(მოთვინიერებულმა სიშორემ
კურცხლები რო გადმოგვადინოს).

მხარს გარეთ გამდგარი პუბლიკა
ცივ დუმილს აქამდე აწესებს;
„ეს ჟინი ბოლომდე თუ მიმყვა“ –
იტყვი და მეც თვალებს ვაცეცებ

და ვფიქრობ: „ეს შიში ვპოვე სად –
„მივრბივარ და მაინც მიჭერენ“...
რაც ბევრჯერ ცალ-ცალკე მოგვესმა,
მას ახლა ზიარად ვიჯერებთ:

„ჭადრაკიც ლექსია ერთგვარი –
იმასაც ფიქრები შვენისო“...
ამ დილამ ტანმძიმე ბექთარი
მოქსოვა და მჩატედ შენისლავს,

ბორბლის მთას – იგივე „ბურბულეთს“ –
იგივე მზის ღამესათევარს;
მძინარეც თვალღია უყურებ,
მზერაში ვუპირებ ჩატევას.

წარმოსახვა ამინდზე

ალვაყუჩობის ჟამი,
ტანში რო ურჟოლად დაგვიდის
ახასიათებს ამინდს
თუ წარმოსახვას ამინდზე.

ველი, ველი და ველი,
ვის და რატო და რა ვიცი,
და ჩამოსართმევ ხელის
სითბოს წინდაწინ განვიცდი.

შეიბოლება თვალი,
ლაჟვარდებით რო ერთობა
და ამ დროს ისმის ზარი –
ციდან ცოდვების შენდობის.

სივრცე! – სად არის სივრცე,
ჩემად რო უნდა ვიწამო:
თუ ვინმეს რამე მისცეს
საასპარეზოდ – მიწა მე!

ქარიფანტია წლების
შუქმოიაფე სამოსით
ამომდის მაინც ფრთები –
თუ რამეს ნიშნავს ამოსვლა.

კაფკა-ნეგატივი

ფრთხილად ვეთამაშებით
სიტყვით აზრის ამჩატებას:
– იჭახჭახებს შაშვები,
– ვიდრე ქარი არ ჩადგება.

– ჭიანჭველას მწკრივები,
– სტრიქონები ქართულები;
მივალთ კმაყოფილები, –
საუბარში გართულები.

– მთები ჩამოთოვლილი,
– საჩეჩელი! – დაგასწარი;
– ეზო, კარგად მოვლილი,
– პირისახე ლამაზმანის.

და ნიავიც რქენია,
როცა კარავად გადანათლე
(ეჭვი არ გამჩენია –
იმთავითვე გავამართლე).

თმიან გულ-მკერდს ვადარებ
როცა ახოს, ჩალით აშლილს:
– ჭალას – მართლა გადამრევ –
ვიოლინოს შალითაში.

გახსნა მომესურვება,
მხარზე ხათრად მიხუტება:
მინდვრები რომ ხუნდება,
მიდამო რომ იხუთება.

დუმილს ყური ათხოვე
და კარგახანს გაუმკლავდი;
რო ვიცოდე, რას გთხოვენ
ეს წუთები – დავუკრავდი!

ილამბება კაფია
თუ სურვილი ორთავესი:
– მაღლა ნისლის ქაფია,
– დაბლა ფშანის მოთქმა მესმის.

ახელფეხება ანუ ყალყზე შემდგარი ცხენის გამოხმობა სხვისი ტექსტიდან

მხედრის მაჯა აშენებს
ცხენის ახელფეხებას;
მგოსნის მაჯა – ასევე –
რაც რო სიტყვას ეხება.

„ტოკავს თვალწინ იაბო,
დარჩა უკან ფერდობი“...
შენ – ხედავ და მიამბობ,
მე – გისმენ და გენდობი.

ვკრიბავ ბგერებს აზიზად,
როგორც რამე თილისმას;
სმენა გააფაქიზა
სუნთქვამ ქარტეხილისმა.

და ღმერთს ლოცვას ვუგზავნი,
ბნელს რომ მზერით ვიცილებ,
და თვალებზე კურცხალი
ყინულივით ციმციმებს.

წევს ჩვენს შორის დრო-ჟამი
და მიზანიც გზაში დევს;
და ფარულად თოვს ნამი
და ცალ-ცალკე გვამშვიდებს.

„მირბის-მითოხარიკობს“ –
ზოგჯერ მაინც ჩამესმის,
და მეც – შენი არ იყოს –
მრჩება ხელში სხვა ლექსი:

ჭიხვინს აიმეგზურებს
რითმის გრილი შხეფებით;
თითქოს სკივრში ხელს ვურევ,
როცა შენს ტექსტს ვეხები:

უკვე სიტყვაც აშენებს
ცხენის ახელფეხებას
და ხელახლა გვაჩვენებს –
რაც მე და შენ გვეხება.

გაცვეთილი ხმელეთი

ისე ფარულად ირთვება
თვალსასეირო ყოველი,
რომ განცდის წამოზვირთება,
წამოხმარებას მოელის.

მზეც ხათრად ამოიხედავს,
ცას რომ ჩრდილები აცვია;
ბავშვი რომ მორბის რიყედან –
დაგეწევა და კაცია.

წამოიფხიზლებს ღერღეტა
სიო და მორცხვად შეუსტვენს;
რასაც რომ უსმენ – ვერ ხედავ,
რასაც რომ ხედავ – ვერ უსმენ.

შორ-შორს ტყეები ირწევა,
თუ უფრო – ტყეთა ქოჩრები;
„შუბლზე – ღრუბელი! – სიცხე მაქვს –
დავიფარებ და მოვრჩები“...

მახსოვრობაში – წარსული,
წარმოსახვაში – მერეთი;
ამ ჯადო-წრეში ჩასმული
გაცვდა ფეხებში ხმელეთი.

აქ – ვარდი, აქ – ყვავილია –
მზერას რომ მორცხვად მოება;
და ამის მერე ძილია,
თუ მჩატე უსაზღვროება.

ერთი ქვეყანა

„ვინ უნდა აღმოგაჩინოს?!“ –
თავთან ყასიდად ვდაობ:
„მივდივარ, არც რომ საჩინო –
შემცდარი მრევლის გამო“.

ვიღაცა ჩაეზიარა
ჩვენს დიალოგში ფრთხილად
და პირშეხსნილი იარა
დარჩა დეკემბრის დილას.

გავასაშუალე მიწა მე
ზეცით – მეორე პინით;

ტკბილი რომ მწარით ვიწამე,
მწარე ვიწამე ტკბილით.

ესეც – ამინდი პირჟამი
და ლოლოების რული;
მივდივარ, წვრილი ჟივჟავის
კვნესას მითარგმნის გული.

მეგონა, წლებს ვიპარავდი
(მიამიტობას ვენდე),
და ისე გავჭაღარავდი –
არ გამიგია დღემდე.

ტირის ლექსი და ვენახი –
ორმაგი მუზა ჩემი:
ძეწნის ტოტს ნაზად შეარხევს
თვალწინ ნიავი – ხემი.

შუბლზე ხვითქს – კიდევ რა უშავს,
პირზე რა ვუთხრა ღელეს,
ბებერაც ბევრი გაუჩნდა
მელნით დაფოთლილ ხელებს.

გადმოდის ღაზო თვალიდან
გაორებული მზერა;
„ამასაც მჩატედ აიტან,
როდესაც თავის გჯერა“.

ორთავეს რწმენად აერთებს
ღაწვზე შემდგარი ნამი,
მე ჩემი ტანჯვით გავერთე–
თქვენ რა დაკარგეთ ამით.

მივდივარ, ამ გულს გიტოვებთ,
როგორც კვირტების ფეთქვას:
ორ სამყაროში ვიცხოვრე–
ერთი ქვეყანა ერქვა.

ფრაგმენტების კიბე
(ორმოცდაათი საფეხური)

1.
მთვარეს თარგმნი თუთარჩელად
(ესეც არის შენი ნება);
ვარსკვლავები უკან რჩება,
სამყაროს რო ეღიმება.

2.
მზემ თავი გაიჯვარედინა
და გული ველარ ჩააყუჩე:
„მეტი არაფერი არ მეტკინა,
შენ ამ გამოცანას გადაურჩე“.

3.
უხორცო. უგრძნობელი. ქვითკირი.
რო გძინავს – ის ყურთან არის ახლოს;
მართლა რო ეშინოდეს სიკვდილის –
კაცი როგორ უნდა დაიძრახოს.

4.
ფრი-ფრი, ჭიამარია, –
ვერ იფერებს მოწყენას.
– ხვალ ხომ კაი დარიაო
კითხავ და... გემოწმება.

5.
„სვეტითა ღრუბლისაითა“,
„სვეტითა ცეცხლისაითა“,
მოდიხარ ან და საიდან?!
მიდიხარ ან და საითა?!

6.
ღრუბლები თანდათან
ფარსაგად დაგიდიან:
მზე გინდა?! – არა და
პირჟამი ამინდია!

7.
დაფ-სალამური და ბუკის ხმა
და ექო გაღმა და გამოღმა,
ამაზე უფრო ღრმად, ნუ მკითხავ –
ძნელია ბოლომდე გამოთქმა.

8.
უკანასკნელ დღეთა
უღიმღამო ნატამალი;
ვხედავ, მართლა ვხედავ –
არ – ნუგეში, არ – წამალი.

9.
„შეავსე!“... „დალიე!“... „ნუ დალევ!“...
„არ მითხრა!“... „ბოლომდე დაცალე!“...
ნელ-თბილი სიკვდილის სუფრაზე,
ვინ არის, ზეიმს რო გვაძალებს.

10.
ფერდი ფერდს მიეკონება,
დანამულ ბილიკს მივყვები
და ართობს გულს და გონებას
მოლზე შხეფები – ჩიტები.

11.
„სიყვარული ლოცვაში ვარჯიშია
და ლოცვა – ვარჯიშია დუმილში“ –
ეს ეგზიუპერის „კლავიშია“,
რო გავახმაურო – ნუ მიშლი.

12.
მთვარის ნაზი ჯადოთი,
სძინავს ახლა გარემოს.
ვჯავრობ – მაინც რატომ თქვი –
„შენს თავს მოუარეო“.

13.
შუქს დაემგზავრა მზერა,
თუ მზერას – თავად შუქი.
მე შენი მართლა მჯერა
და ვწუხვარ – სხვებს რომ უკვირთ.

14.
ქალწულის ხელში – რტო ნაზი,
ხმალზეც უფრორე ნალესი:
ფუნჯის სულ მჩატე მონასმით
სურათს გადაზრდი ხვალეში.

15.
ცაში დაიბინადრებ
როცა ნაოცნებარით,
აჟღერებას ინატრებ
ჩონგურის და ებანის.

16.
გადასასვლელი. მწვანე შუქია.
უნდა იჩქარო, თორემ რა იცი...
ხალთიდან შუბი ამოუყვია
შიშს და წინდაწინ კანკალს განიცდი.

17.
თიბათვის ჰიმნია ასეთი,
ჟამია ლხინის და გლოვის:
„არა მე“ – „ნამდვილად დავსველდი“,
„მე“ ამბობს – „მესიზმრა, მგონი“.

18.
ომი ომია – ყველგან არსებობს,
ყველა თანატოლ სივრცეს მოიცავს:
საკმარისია, ჩუმად ახსენო
და გულმა შიშის ფრთა გამოისხას.

19.
მაინც რა დამესიზმრა –
გამხელა რომ არ მინდა:
ვიღუპები ლექსისგან –
ჩემი სულის თარგისგან.

20.
ღამე – შავი მოსასხამი,
მხრებით უნდა ატარო და...
ჭალებს ყანის მოსავს ხამი –
თვალდათვალ რო ატაროვდა.

21.
ათასი თვალი გიმზერს –
ტანში მზარავს და მთენთავს:
როდის შედგები ქიმზე,
როდის დატოვებ შენს თავს.

22.
აწიც უნდა იარო,
მხოლოდ ამ დღის გემოთი
და აზრს ჩაეზიარო,
სამდურავით შემოთვლილს.

23.
აწამწამებს მოლზე ჩრდილებს
ტყე და ამბობს – „ბინდი ვარ“,
ვგრძნობ, მოვეჭარბ-მოვეხშირე
სამყაროს და... მივდივარ!

24.
ძირს – ტბორები და ისლი
და ისლთან ერთად – ხავსი...
მაღლა – ზეწარი ნისლის,
წყალ-სურნელებით სავსე.

25.
სოფელი ჰქვია. არ კმარა მხოლოდ,
მარტო სოფელი ჰქვიოდეს – ხვდები;
დაყვება ნიავს მდინარის სოლო
და იდუმალი დაყვება ხმები.

26.
მამლის ყივილზე დამფრთხალი
აჩრდილებივით დავრჩით;
მითხარი ერთი მართალი –
რამ შეგვაშინა მაშინ.

27.
გასულფონების ჟამი
გამცნო გუგულმა ტყიდან,
არ გეპატია მაინც
ორი სამყაროს ზიდვა.

28.
სენია მელანქოლია,
მინავლებული მზერით
და გშვენის, – შენ რა გგონია –
ზოგჯერ ნამდვილად გშვენის.

29.
სულს გაყიდი სიჭაბუკის ფასად? –
ურიგდები სიბერეს და ხვნეში;
ნაბიჯ-ნაბიჯ ემალები ასაკს,
ამნაირი გაორების ხელში.

30.
ღმერთს – გუნდრუკი! კაცს – მური და სურნელი!
მეფეს – ოქრო! – უამური ტვირთი.
და სამყარო, დღემდე განუკურნელი –
ტანში – სიცხე, შუბლზე – ცივი ხვითქი.

31.
თანდათან ყრუვდება მუსიკის სიმი,
ღრმავდება ღამე და ტბორდება თვალში,
ჩემზეც შეუფარებია თავი და ტირის,
ერთი პატარა და მორცხვი ბავშვი.

32.
იმსხვრევა, იმსხვრევა
წილიც და მეწილეც,
თავს ვუმხელ – „ის მე ვარ,
ამ დღეს რომ შეწირეს“.

33.
ფეხებზე დოლაბებს იშორებ
და თანდათანობით მჩატდები:
სიშორე, სივრცე და სიშორე.
სიშორე, სამყაროს დამტევი.

34.
დროდადრო – ფარული პაუზა
და ჩურჩულს ადევნებული ქოშინი,
ქაფდება, ასეთ დროს აუზი,
ქაფდება ტანგრძელი ორშიმით.

35.
თავზე გაყრის ვარსკვლავებს,
ხან ცხელი და ხან ცივი,
ცა და ჩუმად კანკალებ
უპატრონო ბავშვივით.

36.
პირ-სახის სათნო ღიმილიდან
ტუჩების იერიში გამოკრთა;
რა მოხდა ამის მერე, იგი მინდა,
ვიცოდე, ამის მერე რა მოხდა?!

37.
ქვრივობის რამე ელფერი –
მარტოსულობის სამოსი:
შეგფერის, მართლა შეგფერის
ასე დაღლილს და დაოსილს.

38.
ზის და აბნევს მდუღარებას,
ე. ი. ტირის,
ციხეს მოჰგავს მწუხარებით –
არ ეხსნება კბილი.

39.
წუთიწუთზე ღამდება,
წვეთიწვეთზე ივსება,
რა იოლად მჟღავნდება
ფსევდო გაგულისება.

40.
რა სიზმარმა უყელა,
საზიარო ცხოვრებას:
ბიჭობაში ლუგელას
ვსვამდით – გემახსოვრება.

41.
მოსაწყენი – სიუჟეტი,
კილოკავი – ბებრული,
მოქმედება? – ეჰ, ნუ მეტყვი –
ბამბის ძაფით შეკრული.

42.
უჩინარი ღალღების
ხმაში მელანქოლია,
შორს – ფშანები, ტალღების
ინახავენ ფორიაქს.

43.
ტყუილს როგორ შეიძლებს,
ვინც სიმართლე არ იცის,
დაიხსომე დღეისდღე
და თან – რასაც განიცდი.

44.
ზღვარზე თამაში... მაღლა ღმერთია,
ძირს კაცია და ჯილდო მოკვდავთა;
იმედი ძილშიც რომ წაერთმიათ,
ცხადში აქამდე მოთქმა მომკლავდა.

45.
ათასში ერთხელ რომ მეზმანება
წამი ნეტარი – შემკული ყოვლად,
სწორედ ამიტომ მიღირს წამებად,
თავის კი არა – ამ წამის მოვლა.

46.
შიშს, შემორჩენილს ზღაპრიდან,
ბოლომდე რომ ვერ დავშორდით,
ეს ნიშნავს – გვინდა, არ გვინდა –
შიშისგანა ვართ ნაშობნი.

47.
თვალები მოითხოვენ სივრცეს,
სხივიც გადატყდება – ეს არის;
ღელის შეტირებას ისმენ,
მელოგინესავით მკვნესარის.

48.
მეამბოხეთა ღრუბლიან ტევრს
ხანდახან მცირეს წავართმევ ჩეროს,
თუ ყურს ვუხედნი ამ ლექსით ბევრს
და ამის გამო ზოგადად ვმსჯელობ.

49.
ჩემს არყოფნაში ვიდგე,
ყოფნას ვნატრობდე ჩემსას,
ვიდრე, ვიდრე და ვიდრე
ბოლო სამსალას შევსვამ.

50.
წასვლას აპირებს ხალხის ყაყანში,
დასაბამიდან მცირე წილი აქვს,
სიზმარში მინდვრის ეტრატს გადაშლის,
რომ ცხადში წუთით გვაზიაროს ცის იდილიას.

51.
სიკვდილი – თავშესაფარი,
სიცოცხლე – ჟამი მშფოთვარე:
ყოფნა-არყოფნის ზღაპარით
შეჯამებული ორთავე.

* * *

კაცი ჯიბეცარიელი, ზოგჯერ უჭმელ-უსმელი,
მკლავი? – არა ტარიელის! ლექსი? – არა
რუსთველის!

არც რომ არისტოკრატული გვარ-ტომი და ჯილაგი,
არც ცხვარ-ძროხით მოფანტული საძოვრები
შირაქის...

მტრის ჯინაზე მაინც მღერის,
ხრიოკს ბარავს ქვიშიანს;
ფარავს ალბათ ღმერთის ხელი,
ანდა მართლა გიჟია.

* * *

ზალიკო ბებერმა, ზალიკო პატარა
მთელი დღე მშობლიურ ჭალებში ატარა.

საღამოს, ნაეკლარ ქუსლებზე ეფერა,
ზალიკო პატარას ზალიკო ბებერმა.

* * *

გაბრიელს

შენ – ჩემი მამის სეხნია,
მე – შენი მამის მამა:
ვზივართ და ვუსმენთ, მესკია
დილას რო სევდით ნამავს.

ჩემო ღაჟღაჟა ბადიშო –
ჭარბო რძეო და ღვინო,
სიტყვაში შეგიპატიჟო
და მოგეფერო – ვცდილობ.



ციცა შაღაშვილი

* * *

შენ თქვი, რომ ქარიც გაგიუცხოვდა,
და ღამეებიც თავის ხიბლს კარგავს
და ჩაბნელებულ ყოფის სცენაზე
უცბად იელვებს
კარმენის კაბა!
ვინ – მწყურვალ სურვილს
კარგავს გზადაგზა,
ვინ – პირველივით
ჰყვება ძველ ამბავს,
ურცხვად ცბიერი წუთისოფელი
ჟამს, შემპარავი სიცრუით ლამბავს
და ჩაბნელებულ
ყოფის სცენაზე
ისე გიზგიზებს, კარმენის კაბა –
აღარაფერიც აღარ ჩანს ირგვლივ,
აღარაფერი –
სიცოცხლის გარდა!..

* * *

მაწუხებს უშენობა,
მაწუხებს!
ვერაფრით ვაწყნარებ
ამ წუთებს,
გულზე ვიღაც მიჭერს
მარწუხებს,
არც გუშინ მძინებია,
არც – წუხელ...
ღამე – დღეს,
თავის ჯავრს
არც უმხელს...
მაწუხებს უშენობა,
მაწუხებს!

* * *

პირველქმნილი ფერი აქვთ
ჰიმალაის შროშანებს,
სურნელება სივრცეთა,
მკლავებს, ნატვრით, მიწვდიდა...
რა ახლოზე ახლოა,
ციდან – დედამიწამდე და –
რა შორეთზე შორია,
ცამდე, დედამიწიდან!

* * *

ცას ცრემლიანად წავჩურჩულე –
კახეთი მომენატრა მეთქი, და –
ქუთაისმა,
ისე ეჭვიანად გამომხედა –
მზერა დავხარე...

* * *

როცა გარდავიცვლებით,
ანუ – მთლად შევიცვლებით,
როცა ერთიმეორის
ფასს ერთბაშად მივხვდებით,
ჩაგვეხსნება მხრებიდან
წუთისოფლის უღელი,
შენ იქნები ქართულზე
კიდევ უფრო ქართული,
მშვენიერი ცა და
მის წიაღში ლივლივა,
მე ვიქნები ღრუბელი,
შენ იქნება მზე და
მე ვიქნები ზღვა,
შენ იქნება „სიტყვა“ და
მე ვიქნები ზმნა,
მე ვიქნები ბულბული,
შენ იქნები ვენახი,
შენ იქნები წვიმა და
მე ვიქნები ბალახი,
მზეს ბორჯღალა გულიდან

სხივი გადმოეღუნა –
შენ იქნება მარადი
სიყვარულის ქალაქი,
მე ვიქნები პატარა,
სიფრიფანა ბეღურა...
როცა გარდავიცვლებით,
ანუ – მთლად შევიცვლებით...

* * *

დღეებს უამურთ,
ჩემი ყოფის ჯალალ-ედინებს,
სულ უუბრალო,
განუკითხავ ცრემლად ვედინე,
ჟამი მდინარი
სახმამაღლო ფიქრს მაბედვინებს –
ეხლაც, აქამდეც,
რა ენაზე ვლაპარაკობდი,
რომ –
ჯერაც ვერვის
ვერაფერი გავაგებინე!

* * *

ჩემი აღარ არის ეს ქალაქი,
უკვე სხვისია!
დასრულებულა მის წიაღში
ყოფნის მისია,
სადღაც, თეატრთან,
მაშხალები შხეფებს ისვრიან –
მერე რაა, რომ გული ნატვრით
არ ამივსია!
ნაცნობი, ქარიც აღარსად ჩანს,
საქმე ისეა,
უცხო ბგერები, როგორც წესი,
სრულ პატივშია,
ლურჯთვალა რიონს
წამწამები დაუნისლია,
„წმინდა გიორგისთან“ კრავი მიმზერს –
ჩუმი სიცხეა,
სულეთის გზა, აქ, ასე კარგად
როგორ იციან!
ნაღდით იბრუნებს დრო ამ სოფლად
ყოფნის ნისიას...
ჩემი აღარ არის ეს ქალაქი,
უკვე სხვისია!..

* * *

შავ-თეთრი კაცი,
ფერადი ქალი...
ლოდინი მზის და
ლოდინი ხვალის –
სამოსელს ფერადს,
ჩუმად რომ აცლის
და სიზმრიანი
ფოთლების ქარით,
დიან და დიან
უჟამოდ წყალნი
და სოფლის ბოლოს,
შავ-თეთრი კაცი,
მიწასთან რჩება,
შავ-თეთრი ქალით...

კახეთი

* * *

„მიწაზე დაღვრილი წყალივით ჩვენც
ვეღარასდროს ვერ შევგროვდებით“...

ვზივარ მოწყენით
ხსოვნის ქალაქში
და დროის მგზავრებს
უთავბოლოდ ვათვალიერებ...

* * *

ისე, ვიცინით,
ისე ვერთობით,
ერთი-მეორის ლანძღვა-ქილიკით,
არც გვაგონდება, რომ იწურება
დედამიწაზე ყოფნის ლიმიტი,
არც გვეფიქრება – ცრემლი შენდობის,
მონანიების სუსტი ბილიკით,
როგორ მოგვისწრებს,
ისე თავდება
წუთისოფელში ყოფნის ლიმიტი!
ფერუუცვლელობს ჟამი ელამი,
საჩვენო დღეებს ისე მიითვლის,
წამიღა გვრჩება,
წამიღა გვრჩება
ამ სამზეოში
ყოფნის ლიმიტით!

* * *

შენი ყვირილი,
ბავშვის ხელით გავლებული სუსტი ხაზია,
ზემოდან ქვემოთ დაშვებული სევდის ოვალით,
პირის მაგივრად რომ ახატია მოქცეულ სახეს,
ხან კედლის ჯვარზე,
ხანაც, დაბლა, ქვის ფილაქანზე,
ყველას რომ ძალუძს, როცა უნდა,
გადაუაროს,
მანქანასაც, ადამიანსაც
და – როგორც წესი,
განწირული მისი ყვირილი
არასოდეს არავის ესმის,
მიშველეთო, –
არავის ესმის!

* * *

სულ ცის გემო აქვს
ამ წვიმასაც,
როგორც შენს ბაგეს
და სურნელება,
ღრუბლებს თმებზე რომ შეფრქვევია,
შიშველა სივრცეს
სახელიც ვერ დაურქმევია,
მზეთუნახავმა ბგერებმა რომ
ცით მიმოქარგეს.
სიცოცხლეს ნეტარს
არსებობის ბეჭედი ადევს,
მიწის აჩრდილი
ქარს უცხოზე უცხოდ შემოაქვს,
მუსიკობს სუნთქვა
და წვიმასაც,
როგორც შენს ბაგეს,
სულ ცის გემო აქვს, საყვარელო,
სულ ცის გემო აქვს...

* * *

ქალაქის მიკროავტობუსის გაქუცულ სკამზე,
სხედან,
როგორც ჩანს,
ახლობელი ქალბატონები
და – საუბარში,
ერთ-ერთი ამბობს –
მე, ჩემი ქმრის სიცოცხლეშიც
ქვრივი ვიყავი...
სამაგიერო პასუხს ვეღარ მივაყურადე,
გაჩერებაზე,
მეც ჩამოვედი...

* * *

ამდენი ხანი, სულ ამაო ღელვით ვიცადე –
აღარ მოდიან ცის დღეები დედამიწაზე!
რით დავიმშვიდო წუთი სოფლის,
როგორ მივწყნარდე,
თუ აღარ მოვლენ ცის დღეები
დედამიწაზე!
და – რაღა აზრი ექნება მაშინ
ხილვა-სიცხადეს,
ჟამი საუფლო თუნდაც ყოფის
გვირგვინს მიწნავდეს,
გინდ გამიმყარდეს ზღვა და ხმელი,
გინდ გამიწყალდეს...
თუ ცის დღეები
აღარ მოვლენ დედამიწაზე,
თუ ცის დღეები
აღარ მოვლენ
დედამიწაზე!

* * *

კარგა ხანია, სამშობლოსათვის
აღარ აჩენენ დედები შვილებს
და ხსოვნის ჩრდილებს,
ფერმკრთალებს და სახეშეშლილებს,
სხვა გზა არა აქვთ,
უკან უნდა გაბრუნდნენ ისევ
და მოლოდინის ჟამიერში
ჩაიხშონ სული.

ბუხარი

სული ამომდის ბოლივით,
მზერა ეწვებათ ქარაფებს,
ცა მაინც თუა ქართული,
აღარ დავეძებ არაფერს!
ისე კვდებიან კლდეები,
ეთხოვებიან სანახებს,

თვალსაც არავინ არ ახელს,
გულსაც არავინ არ ახელს!
მიწაღა თუ ჭირისუფლობს,
შემყურე ცოდვა-ბრალისა,
ჟამს ხვრეპენ ყოფის კაცები:
„ხვალემ იკითხოს ხვალისა!“

* * *

იყო და არა იყო, რა!
იყო ერთი და – მრავალი,
მარტო მრავალი კი არა,
მრავალზე უფრო მრავალი
და რაც უნდა თქვას ვიეთმა,
რეცეპტით წეროს წამალი,
მაინცდამაინც, ის ერთი,
ის ერთი ვინმე არ არი!
ღმერთი როდემდე გვიწყრება,
თვლემს დიოგენის ფარანი,
ამ საწყალ ოთხ მილიონშიც
ის ერთი ვინმე არ არი,
მაინცდამაინც, ის ერთი
კაცი
არა და არ არი!

* * *

დედამიწიდან, უჩემოდ,
გავალ ხსნილიდან მარხვამდე,
უაზროდ ვითვლი ჟამიერს,
ოთხმოცამდე და ასამდე,
რა მანძილია, ნეტავი,
ჩემს მარადიულ სახლამდე,
მელოდე, წუთისოფელო,
ვიდრე მეორედ მნახავდე!

* * *

არა ვეკრძალე,
რაც მომთხოვეს ჩემმა თვალებმა,
ყველა ვირწმუნე,
რაც მასმინეს ჩემმა ყურებმა,
ისეთი რამ თქვეს,
გამაოცეს ჩემმა ტუჩებმა,
ხოლო – ხელები,
რომ იქმოდნენ მრავალს და მრავალს
და თავს არასდროს არ ჰკითხავდნენ
ბოლოს და მთავარს, –
იმიტომაც ვარ ამ ყოფაში,
როგორშიცა ვარ!

* * *

მე უშენობას ვარქმევ სიბერეს!
სულ დავცოტავდი,
ვეღარ ვიბევრე,
ვეღარც ყვავილთა
სუნთქვა გავლექსე,
ვეღარც სიხარულს
მივუალერსე,
სული ნატვრასაც
ვეღარ ვუბერე,
წუთისოფელი
ვერ შევიფერე...
სულ დავცოტავდი,
ვეღარ ვიბევრე,
მე უშენობას
ვარქმევ სიბერეს!
მე უშენობას
ვარქმევ სიბერეს!

* * *

უფალო, ის ქვა,
მარიამს რომ სხვისგან ვიცავდი,
მე მომხვდა ისე,
სისხლი დღემდე მომდის თავიდან,
თვალსაწიერზე
ჩამქოლავი დგას და იცინის,
მარიამი, რომ
მის ცოდვებში
მაინც წავიდა!..

* * *

მშვიდად ვიყავი,
ჩემი თავი შენთან მეგონა,
ყრუ ვყოფილიყავ, ნეტავ,
ჩქამიც არ გამეგონა,
ვფარფატ-ვფარფატებ უსაყრდენო
ფოთოლი ვერხვის,
ვის ვკითხო, სად ვარ,

საპასუხოს ვინ და რას მეტყვის,
გამირბის ქარი,
წვიმაც, თავზე, შხაპუნით მივლის,
ლამის დავკარგო ჩემი თავის
იმედი ხილვის,
იქნებ ცამ იცის,
საწუთროზე ფრიად მაღალმა –
ამ სამყოფელში,
უუშენოდ,
ვარ, თუ –
აღარ ვარ!

* * *

ამ ღამეს, ალბათ, „ნატვრის სურნელი“,
ერქმევა ხილვათა სამზერიდან,
დავიწყებიათ საგნებს სიმყარე,
მთვარე კირჩხიბის ზოლში შევიდა,
შენი დროები რაღას მიცნობენ,
ჩემზე სიტყვაც არ სმენიათ შენგან,
რას მიხვდებიან უუჩემობას,
გულივით, სუნთქვა სად შეუჩერდა.
თავქუდმოგლეჯით რბიან დღეები
და მიაქვთ, „იყო“ სულ თითო-თითოდ,
უსასრულოში, მათივე ნებით,
თითქოს მე მიმყავს და არა თვითონ.
სად არის მაინც, თავის უფლება –
მიწაზე, ცაში, ჩვენში თუ – გარეთ,
მოხეტიალეთ საკუთარ ტყავში,
რა არა გვყოფნის და რა გვახარებს...
სურვილს აფხიზლებს ცა ღვინობისთვის,
ზარხოშობს მთვარეც – ჩემი წაწალი,
მაგრამ, სასთუმალს ისე დარაჯობს
საწუთრო, ავი დედინაცვალი,
ღრუბლის ბილიკზე, სანდო მეგზურად,
ქარს ზენაარი თუ შეეწევა...
ლანდად მიჰყვება ნატვრა თავის თავს,
მისდევს და ვერა და ვერ ეწევა.

* * *

საწუთისოფლო უცხოობის დამცადა ჰავამ,
ვეღარ ვცნობ ჩემს თავს,
გამუდმებით სულ სხვადასხვა ვარ,
ხან ღრუბელივით ცისა ვარ და ლაჟვარდში დავალ,
ზოგჯერ ფოთოლთა,
ზოგჯერ, სულაც,
ბალახთა ხმა ვარ,
ხმელეთიც ვარ და ოკეანეც, ხანდახან ზღვა ვარ,
რა ვუთხრა მეტი ჩემს მოშურნე მავანს და მავანს –
ჩემივე ნებით ედემიდან წამოსულს ვგავარ?

* * *

თბილისი-ქუთაისის ავტობანზე მდგარი
ბანერები მკარნახობენ – სოხუმამდე
410... 370... 300 კმ-ია

I

ნეტავი, მართლა ამდენი იყოს
და არ ამრეოდა სათვალავი,
სინათლის სხივივით გაფრენილი,
ამ გზას სულ ერთ წამში დავფარავდი.

II

340კმ-ია სოხუმამდეო –
სულ არხეინი მზერა-მანერით,
ისარს პირდაპირ გულში მიმიზნებს
ტრასაზე მდგომი ლურჯი ბანერი,
პიტალო კლდეზე, ჭრილობის ნაპრალს
ისე აერთებს ყვავილთა ზოლი,
თითქოს მანიშნებს ზეცა რაღაცას,
ხმაც მესმის, თითქოს, ცით მონაქროლი,
ამ ნაპირიდან იმ ნაპირამდე,
წამში გაირბენს მზის სხივი ლოცვით...
რა მანძილია, ჩემო ბატონო,
რა მანძილია 340!

* * *

მაშენებელი
სულ ამაოდ აგებს შენობას!
არ იკურთხება ზეცისაგან
მისი ხელობა,
თუ ბალავარში
სიყვარული არ ჩააშენა!

თვალი შევასწარ
კირითხუროს, მზერააცდენილს...
ხურდა ფულს ჰყრიდენ საძირკველში,
ყოფის კაცები!

ფსალმუნთა რაფსოდია

ლამის დასახლდეს ჩემი სული მდუმარებაში,
ნანგრევებიდან სევდა ჟონავს ბუკიოტების,
ჟამის წიაღში უცნაურად ფერნაოტები,
არც ავსებულა, მთვარე ისე მიდის კლებაში –
ლამის დასახლდეს ჩემი სული მდუმარებაში.

ვინ დაანათლა ამ სამყოფელს უტყვი სასჯელი,
სიყვარულისგან მოვლინებულს ტანჯვით მკვებავენ,
არც ავსებულა, მთვარე ისე მიდის კლებაში,
ამაოებით ილხენს ნება ყოფის მხარჯველი,
თითქოს საწუთროს დასდგომია ჟამი რევანშის –
ლამის დასახლდეს ჩემი სული მდუმარებაში...

წამომეწივნენ ცოდვები და კიდევაც გამცდნენ,
უფსკრული უფსკრულს სადღაც ასწრებს
ჩქამის ტერფებით,
ყოფის კაცები – საკუთარი თავის კერპები
მკვდარი თვალებით შეჰყურებენ ღამეულ მაცნეს –
საყოფიერო წამს ითვლიან თავის ქებაში...
ლამის დასახლდეს ჩემი სული მდუმარებაში.

გლოვის მინდორზე მოარულნი, როგორც სოფელში,
წყაროს ეძებენ უსასოოდ, ნატვრის კურთხევად,
რას შესთავაზებს ბედისწერა, რით ემუქრება,
სიხარულისთვის მივლინებულს ამ სამყოფელში.

ბაგეს იამებს მწყურვალება წვიმის ზედაშით,
ლამის დასახლდეს ჩემი სული მდუმარებაში...



თემურ ამყოდაძე

საზღვარი

(მოთხრობა)

უბედური კაცი ვარო, მითხრა ერთხელ, ის ოჯახი რა ოჯახია, შვილი ყოველდღე სახლში რომ არ შემოუდისო.

ყოველდღე კი არა, თვე ისე გავიდოდა ხშირად, ჭიშკარს არავინ შემოუღებდა, ისევ ათასჯერ შემომდურებულ-შემორიგებული ბიძაშვილი თუ შემოუვლიდა ხოლმე. არადა, ცხრა შვილი გაეზარდა, ცხრავე თავის გზას წეოდა და მამისთვის ხანდახან თუ მოიცლიდნენ; ესეც მაინცდამაინც არ ნაღვლობდა, ოღონდ, საქმის მორევა რომ გაუჭირდებოდა, მაშინ გაიხსენებდა – არ მოდიან, არ მეხმარებიან, წაღებით კი მიაქვთო.

არადა, ან ისეთი რა ებადა, ან იმათ რა მიჰქონდათ, ზოგჯერ ღვინოს თუ გამოსთხოვდნენ ათ-ათ ლიტრობით, ესეც ყვედრებით, დამუნათებით აძლევდა.

არ ვიცი, უყვარდა თუ არა ვინმე. თუ უყვარდა, მეტისმეტად გრილი სიყვარულით.

არც ის მგონია, თუ ვინმე სძულდა – ეგაა, გულგრილად უყურებდა სხვის გასაჭირს.

სხვისას კი არა, თავისიანისასაც.

შვილი დაეღუპა რუსეთში და მახსოვს, როგორ მანეთ-მანეთ ითვლიდა ჩამოსასვენებელ ფულს, ჯავრობდა, წასვლა რომ არ შეეძლო, ზედმეტს მიანგარიშებენო, – ოხრავდა, ეჭვიანად უყურებდა ამგზავრებულ უმცროს შვილსა და უფროს სიძეს.

მის თვალზე ცრემლი არ მინახავს, დაღონებული, დასევდიანებული კი იყო და მაინც ზედმეტად მომეჩვენა, ბალდახინს ადევნებულს მკლავი რომ გამოსდო ვიღაცამ, – როგორც იციან ჭირისუფლის მხრის გასამაგრებლად.

იმ წუთში ის გამახსენდა, სამი წლის წინ მისივე შვილიშვილის დაკრძალვაზე რომ ვნახე.

პატარა ბიჭი გარდაიცვალა, წლინახევრისა. ქელეხის სუფრა ჩემს სახლში იყო გაშლილი და იქაურობას არ ვშორდებოდი. ჭირისუფლებთან არც გაჩერებულა, სამგლოვიარო წრე შემოიარა, მერე სიძე-ქალიშვილის მეზობლებთან ჩადგა და ამინდზე, მოსავალსა და ამნაირებზე ალაპარაკდა.

– ეს ვინაოო, – სიმონამ მითხრა მერე – ანგელოზი შვილიშვილი ეგერ უსვენია, ეს კიდე ამინდზე ლაპარაკობსო, – გაოცებული შლიდა თავის აბრუნდულ-დაბრუნდულ ხელებს.

მოსამძიმრეებს რომ სუფრასთან უხმეს, თვითონაც წამოვიდა და მოიკალათა, თევზი და ლიმონათი ჩაგვიმატეო, მომხმარებლებს შეახსენებდა ხშირ-ხშირად.

მის გულში ვერაფრით ვიხედებოდი და უფრო მაინც ის მიკვირდა, ერთხელ რომ მითხრა – უბედური კაცი ვარო, ის ოჯახი რა ოჯახია, შვილი ყოველდღე რომ არ შემოუდის სახლშიო – შვილის სიკვდილიც თუ არ აძრწუნებდა, რას ნაღვლობდა, რად უნდოდა, სახლში ჰყოლოდა.

იქნებ იმას დარდობდა, კერია რომ უცივდებოდა ნელ-ნელა, იქნებ იმას, მის შემდეგ სახლ-კარი რომ გავერანდებოდა.

ბიძაშვილი ჰყავდა ერთი – გვარისა და ღობის მოზიარე. სანამ მამები ცოცხლები იყვნენ, თავად მესაკუთრეები არც ერქვათ და არც არაფერი ჰქონდათ გასაყოფი. მერე, ოჯახს რომ მოეკიდნენ და თავ-თავისი გაუჩნდათ, გოჯა-გოჯა ზომავდნენ მიწას.

საზღვარში ერთი დიდი მუხის ხე ედგათ, საზიარო ღობე ზედ შუაგულზე ებჯინა იმ მუხას თავის დროზე. მერე და მერე, ხე რომ გაიზარდა, ცოტა გვერდულად წავიდა სიმსხოში და იქით გასქელდა.

აიხირა, ღობე უნდა გადავწიოთ, ზედ შუაგულზე უნდა ადგეს მუხასო. არც ბიძაშვილმა დაუთმო, არც ეს დაწყნარდა და ხელკეტობანა შეექნათ. ხელკეტობანამ ხელისუფლების ყურამდე მიაღწია, დრო იყო ისეთი, მუშახელი ჭირდა და „ორსის“ ვენახებში უკრეს თავი ორივეს, „შრომა-გასწორების“ ბანაკში – უნდა ემორჩათ, აეკრათ, შეეწამლათ.

დათიკო მაღალი იყო, იულონი – დაბალი და სიმონამ მოიფიქრა, ბრიგადირი წააქეზა, ეგენი ბიძაშვილები არიან, ერთმანეთს ხმას არ სცემენ და მოდი, ერთად გავამწესოთ წამლობაზე, მაღალს მანქანა მოვკიდოთ, დაბალმა წყალი უზიდოს, სეირი ვნახოთო.

იულონი ფეხისწვერებზე აიწევდა, ძლივს აიტანდა ჩაფს მანქანის პირამდე, მკლავებში ძალა ელეოდა, უკანკალებდა, შაბიამნიანი წყალი ეღვრებოდა, დათიკოს ზურგზე ესხმებოდა, ერთიანად წუწავდა. დაბამბულში გამოწყობილს, მარილიან ოფლში გაღვრილს, მხრებ და წელმოხეხილს კანი ეყვლიფებოდა, ეწვოდა, მწარდებოდა, სული უწუხდა, ხვანცალობდა და უარესად იწუწებოდა.

სიმონა სიცილისაგან ბჟირდებოდა, თახთახებდა, ბედნიერი იყო – ეგეც თქვენო, იძახდა, – უკვირდა, როგორ წამდებიან და ხმას მაინც არ სცემენ ერთმანეთს, ადგილები მაინც რომ გაცვალონ, – ამან მანქანა მოიკიდოს, იმან წყალი უზიდოსო.

სახლში დაბრუნებულები ერთხანს შერიგდნენ – ცოლ-შვილმა შეარიგათ. მერე ისევ აუხირდა დათიკო იულონს – შიგ ღობეში საზიარო ჭა ჰქონდათ, ადგა და გაბრაზებულმა ის ჭა შუაზე ჩაფიცრა. ჯალამბრის ხმარება გაჭირდა, გაწამდა ცოლ-შვილი, მაჯაზე დახვეული თოკით უშვებდნენ ვედროს ჭაში, წელში წყდებოდნენ ამოქაჩვაზე.

საიდუმლო ჰქონდათ საერთო.

ფრონტი ერთად მოევლოთ და ერთადვე დაბრუნებულიყვნენ, დროზე ადრე – ერთი მარჯვენა ხელში დაჭრილი, მეორე – ფეხისთითებმოყინული.

წინა ხაზზე მისვლამდე, მანქანის ძარაზე მოკუნტულ ჯარისკაცთაგან ვიღაცამ ინატრა თურმე – ნეტა ხელში დამჭირდნენ, სახლში გამიშვებენო.

მაგაზე ადვილი რა არისო, ასწავლეს, ასწიე ხელი მანქანის ზემოთ, ნახე, რანაირად დაბზუიან ტყვიები, მოგხვდება ერთი ბრუციანი და დაგასვენებსო.

ვიღაც-ვიღაცებს ჭკუაში დაუჯდათ და მარჯვენა ხელების კორომი ამოვიდა მანქანის ძარაზე, მაგრამ, ჯინზე, ის ბრმა ტყვია არავის გაკარებია.

არაფერი გამოვა, ნამეტანი დაბალზე გვაქვს ხელიო – ვიღაცამ მოიფიქრა – მასე კი არა, ასე უნდაო, – თქვა და წამოდგა, მთელი ტანით აიმართა, ფეხზე ადგომა იყო და შუბლში მოხვდა ტყვია, სამუდამოდ დაასვენა, ერთბაშად გამოთიშა ომსაც, მშვიდობასაც, საფიქრალ-საწუხარსაც.

გაოცებული დააცქერდნენ. პირველად ნახეს ტყვიით სიკვდილი და შეძრწუნდნენ.

იულონი ხმას არ იღებდა, შეეჭვებული დაჰყურებდა ცხედარს.

მანქანიდან რომ ჩამოვიდნენ, დათიკოს უთხრა, ტყვია უნდა მესროლო ხელშიო. დათიკოსაც ეგ ეფიქრა და წილი ჰყარეს. დათიკოს შეხვდა წილი და ესროლა. სხვას ვერ გაენდობოდნენ, არადა, ხელში დაჭრილი კაცი ხომ ვეღარ ესროდა მეორეს და ახალი ხერხი უნდა ეცადა დათიკოს, ბიძაშვილი სანნაწილში მიაცილა და გამობრუნდა.

რუსული ზამთარი იდგა, ყველაფერი ითოშებოდა ირგვლივ. გაეგონა, თითები თუ მოეყინებოდა, თავს დაიხსნიდა ამ უბედურებისაგან. ხელის თითებს ვერ იმეტებდა, ფეხისაზე თანახმა იყო.

ბუშტმა შეაწუხა და განზე მიდგა, მთვარით გადაფერილ თოვლზე ყვითელი ვარსკვლავები და სვასტიკები გამოიყვანა, როგორც შეიძლო. შარდის სითბო ორთქლად ეჯრებოდა გაყინულ ჰაერს და მაშინ

იაზრა, მოდი, ჩექმებში ჩავიფსამ, თბილია, თავიდან არ შემაწუხებს, პირიქით – მეამება, მერე თვითონ იცის თავისი საქმეო.

დაენანა, ეს ერთი ჯერი რატომ დავკარგეო, სინანულით გადახედა სვასტიკებითა და ვარსკვლავებით ყვითლად გადაზიგზაგებულ თოვლს.

სანამ ნაწილში მოვიდოდა, კიდევ მოუნდა სიცივით შეწუხებულს. მაინც შეიკავა თავი, დავიგროვებო, იფიქრა, უფრო ბარაქიანად გავიხერხებო.

ითმინა და ითმინა, იხვანცალა საწოლში. გამთენიისას ადგა და ქნა საქნელი. თბილად აჭყაპუნდა ჩექმებში თბილი სითხე, ზოგი შარვალზე დაეღვარა. დაეწუწა. ჩექმები თოვლს გაჰკრა-გამოჰკრა, პირზე წყალი შეისხა და ბლინდაჟში შევარდა ხელ-პირის მშრალებით – ვერავინ ვერაფერს იეჭვებდა – კაცმა ხელ-პირი დაიბანა და წყალი შარვალზე ჩამოეწუწა.

დათიკო ფეხებდამზრალი დაბრუნდა სახლში, იულონი – მკერდზე ხელჩამოკიდებული.

ეს ამბავი, ეს საიდუმლო იყო, ერთმანეთს რომ უნახავდნენ და ერთხელ მაინც წამოსცდათ ჩემთან სიმთვრალეში – ლობიოსა და კუპატზე ვქეიფობდით ზამთრის ღამეში, ბუხრის პირას. ბუხარი და ორი კაციო, იულონი ამბობდა, სამი ვართ და გვცივაო.

– ეგ რა სიცივეა, აბა, სიცივე ის იყო, თუ იყო! ჰო, ჰოო... – დათიკომ ჩაიხითხითა და იულონს თვალი ჩაუკრა.

– აბა, აბა... – იმანაც ჩაიღურღულა და ცეცხლს შეშა შეუზარა. – სანამ მომხვდებოდა, მანამდე მეტკინა, რომ ვიცოდი, უნდა მომხვედროდა, – თქვა.

– თბილად რომ ჩაჩხრიალდა, ჯერ კი მეამა, მერე იყო, რაც იყო... ჰო-ჰოო... – თავისი გაიხსენა დათიკომ და ჩაიცინა.

რაზე ლაპარაკობთ-მეთქი, ვკითხე.

– ვუთხრათ? – დათიკო დაეკითხა.

– უთხარი... – ხელი ჩაიქნია იულონმა და დოქს მისწვდა, ღვინო ჩამოასხა ჭიქებში.

მითხრეს ის ამბავი.

ჭის ჩაფიცრული ტიხარი ჩალპა და კარგახანია ამოიღეს, აღარ გაუახლებიათ. საზიარო მუხაზე კიდევ დაობდნენ, ოღონდ ხელკეტებამდე აღარ მისულა საქმე.

იმხანად სოფლის გამგებლად ვმუშაობდი. მიწების მიზომვა, გლეხებისთვის თავ-თავისი მამაპაპეული წილის დაბრუნება განიზრახა მთავრობამ.

დათიკომ შემომითვალა ერთ დღეს, – მოდი, მნახე, ვკვდები, მგონია, შენს უნახავად ნუ ჩამიყვან მიწაშიო.

გამიკვირდა. არ ვძულდი, ვიცოდი, მაგრამ ჩემი მონატრება თუ შეეძლო, აღარ მეგონა. ერთ-ორ დღეს ვერ მოვიცალე.

მერე იულონისგანაც მომივიდა კაცი – მიბარებდა, ბიძაშვილობას, მნახე, საქმე მაქვსო.

მითხრეს, ისე დაუძლურებულ-დასუსტებულია ორივე, ამ ზამთარს თუ გაატანეს, გაზაფხულს მაინც ვერ გადარჩებიანო. ჰოდა, მეც ყველა საქმე გადავდე, მდივანს დავუბარე, უბანში მივდივარ-მეთქი და ბებრებს ვეახელ.

დათიკო შინ არ დამხვდა, იულონთან გადასულიყო. ბუხართან ისხდნენ და მდუმარედ ჩასცქეროდნენ ცეცხლს. კარის ჭრიალზე შემობრუნდნენ, ბებრული მზერა მომაპყრეს – სიხარულის ღიმილმა აჰკრათ პირსახეზე.

კარგა ხანს შევრჩი.

ხამუშ-ხამუშ წრუპავდნენ საფერავს, შუმს მე მაძალებდნენ, თვითონ ცოტ-ცოტას წყალს უმატებდნენ, არბილებდნენ.

რომ შევატყვე, დაიღალნენ და მოსვენება ჭირდებოდათ, დამშვიდობება დავაპირე, წავალ აწი-მეთქი, ვუთხარი.

იულონი აწრიალდა, დარჩი ცოტა ხანსო, მითხრა. დაღლილი იყო, მაგრამ ვერ მთმობდა, რაღაცის თქმა უნდოდა და დათიკოსთან ვერ ამხელდა, ვატყობდი.

კიდევ გნახავ-მეთქი, და ბებრულ, გალეულ მხარზე დავადე ხელი.

ეგ არ ვიცი, ახლა დარჩი პატარა ხანსო, მთხოვა. იქით დათიკო მეპატიჟებოდა – ისე რავა წახვალ, ჩემსას არ გამოივლიო. იულონი მის სიტყვას ჩაეჭიდა – გამოივლის, შე კაცო, აბა, რას იზამს, მარა წადი, ცეცხლი შეანთე, იმ გაბლიკებულ სახლში ხომ არ შეიყვან კაცსო.

კაი, აბაო, დაეთანხმა დათიკოც და ... გელოდები, იცოდეო, დამიბარა.

ერთხანს ვუყურეთ ფანჯრიდან, სანამ ჭიშკარს გააღებდა, გადასაბიჯგს გადაივლიდა.

– ბიძა-ძმისშვილობას, ერთი სახვეწარი მაქვს და ნუ გამაწბილებ! – მთხოვა და თვალებში შემომაცქერდა.

თავი დავუქნიე, მითხარი-მეთქი.

– დღეს არა, ხვალ წავალ მე იმქვეყნად და ჯავრად ნუ ჩამაყოლებ გულში, გამასწორებინე ეს საზღვარი... ეს თუ დარჩა ჩემს უკან... – იმ სკამს მიუკაკუნა ჯოხი, დათიკო რომ იჯდა წელან – თავისკენ მიიღობავს ჩემსას...

გაზაფხულზე აზომვა დაიწყება და შენს თვალწინ გავაკეთებ ყველაფერს-მეთქი, – დავამშვიდე.

– იქნება ვერც მივატანო გაზაფხულამდე და იმიტომ გეუბნები... ჩემი შვილები ვერც გაიგებენ საზღვარს და არც აინტერესებთ, წლისთავამდე მიაყიდიან აქაურობას! – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა.

რასაკვირველია, არ მითქვამს, თუ შენი სარგო აღარ იქნება, აღარც შვილებისთვის გამოდგება, რა ჯანდაბად გენაღვლება-მეთქი. ეს სურვილი, ეს ნატვრა ისე ჰქონდა ჩამჯდარი გლეხურ სისხლში, რომ მოენდომებინა, მაინც ვერ აგიხსნიდა, რატომ სურდა ასე. თავი დავუქნიე, დავეთანხმე.

– აგერ... – ბუხრის თაროზე მანიშნა – თოკი მაქვს, სამასი მეტრია... ეზოს ბოლოში, საზღვარში რომ რცხილის ლაჩია, იმაზე გამოაბამ, გაჭიმავ და ღელისპირში რომ კოპიტია, იმას უსწორებ... გესმის?

– მესმის, ვიცი... – ვუთხარი. – წავალ ახლა, დათიკოს გავუვლი...

– ჰო... – თავის დაქნევით დამეთანხმა.

დათიკოს პატარა ტაბლა დაედგა.

ცეცხლს მივენანეთ.

– გადასარევი ცეცხლი იცის რცხილამ... სულ რცხილები გვქონდა ქვედა საზღვარში... კოლექტივმა რომ ჩამოგვართვა მიწა, ძირფესვიანად ამოთხარეს და ვეღარც იტყვი ახლა დანამდვილებით, სად რა იყო. – თქვა სინანულით.

– მაშინდელი კი არა, გუშინდელი დაგავიწყდება კაცს.

– საზღვრების გასწორებას ამბობენ...

– კი, გაზაფხულზე იწყება.

– მივაღწევ იქამდე? – მოიჯავრა.

– რავა, გეჩქარება სადმე? – გავუიოლე.

– მიქელგაბრიელი არ მკითხავს მაგას მე... ახლა, რა მინდოდა შენთან... ძუა მოვატანინე მერაბიას გუშინწინ, სამასი მეტრიაო... ა! – კარადიდან გამოიღო. – რაცხა გლახას მეუბნება გული და ვინიცობაა, აღარ ვიქნე, ეზოს ბოლოში რომ რცხილის ლაჩია, იმაზე გამოაბი, გაჭიმე, ალაგ-ალაგ ტყვიას ჩამოვკიდებ, რომ არ აქანავდეს და ღელისპირში რომ კოპიტია...

– ვიცი, ვიცი!..

– დღეს-ხვალ, ჩემ თვალწინ თუ იზამ, შენზე ლოცვაში ამომძვრება სული...

– თოვს, ხომ ხედავ, დღეს-ხვალ რა იქნება და ჯერ გამიჯვნის ბრძანებაც არ მოსულა, კომისია უნდა მაგას და ათასი რამე...

– იულონი თუ დარჩა ჩემს უკან, ხომ იცი... ჩემი შვილები ვერც მიხვდებიან მაგას და არც აინტერესებთ... მზამზარეული, ჭურში ჩასხმული, ნალიაში შეყრილი – იცოცხლეთქვა!.. მიაყიდიან ჩემს მერე აქაურობას და უყარე კაკალი... – თავი ჩაიქნია და ჭიქას დასწვდა.

ჭიქამ, თამადის საფიქრალმა თითქოს დაავიწყა ის საწუხარი, მეტად აღარ უხსენებია, ოღონდ ეგ იყო, რომ მოვდიოდი, კიდევ გაიმეორა – აბა, შენ იცი, ჯავრად ნუ ჩამატან საფლავშიო.

იმ სავარაუდო საზღვარს ჩამოვყევი სახლისკენ მომავალი, წვივზე დადებულ თოვლში მოვაბიჯებდი, ღელის პირს ამოსულ კოპიტს ვუპირდაპირებდი, ხამუშ-ხამუშ უკან მოვიხედავდი და ვატყობდი – თოვლის ბრალი იყო თუ ღვინისა, კვალი მიხვეულ-მოხვეული გამომდიოდა, თოვლზე დაწერილი საზღვარი სწორად ვერ გამყავდა.

იმ ღამით გადაუღებლად ითოვა. სახლში, ჩემს საწოლში ჩამთბარს, საფერავით შებრუებულს ბერიკაცები მესიზმრნენ, იდგნენ რცხილის ლაჩთან, ჩემს ნაკვალევს გაჰყურებდნენ და უკმაყოფილოდ აკანტურებდნენ თავებს.

ერთი კვირის მერე მერაბია ჩამოვიდა გამგეობაში და მითხრა, იულონი მომკვდარა წუხელო, აქამდე ჩამოვამკვლიე გზა ტრაქტორით, სადგურამდე ჩავალ, ჭიჭია მიმყავს, ელმავალს გავაყოლო იქნება, შვილებს გავაგებინოთო.

მერაბია სადგურისკენ გაუყვა გრუხუნ-გრუხუნით, მე – აქეთ, იულონისას.

მეზობლები იდგნენ წინკარში, „პრიმას“ ეწეოდნენ და გაშტერებული გაჰყურებდნენ მკერდამდე თოვლს – ამას რა აიღებსო, დარდობდნენ, ან საფლავის გაჭრა არ გინდა, ან რამის მოტანა, ან მომსვლელ-წამსვლელს რა ეშველებაო. მომსვლელს მაინც და მაინც არ ნაღვლობდნენ, თავისი საშრომი აჯავრებდათ.

დათიკომ რომ დამინახა, სახლში შემიძღვა, ტახტზე გაშოტილ, ზეწარგადაფარებულ მიცვალებულს დამაყენა თავზე.

– იფიქრებდი ამას?! – ისე მკითხა, ცხადი იყო, პასუხს არ ითხოვდა. უფრო გატეხილი და დაძაბუნებული მეჩვენა. მივხვდი, ახალგაზრდის სიკვდილი, უსამართლო შემთხვევის ამბავი ასე არ შეაწუხებდა, ამ ტახტზე თავის ხვალინდელ დღეს უყურებდა და უფრო ამას ნაღვლობდა.

– უყურებ შენ?.. – გაოცებულმა მითხრა სიმონამ, გარეთ რომ გამოვედი – სულ ჩხუბობდნენ, სულ ხელკეტობანა ჰქონდათ და ნახე, ცრემლი მოადგა, მგონი, თვალზე.

იმ ღამით დათიკოც გარდაიცვალა – მშვიდად, უშფოთველად, უწვალებლად, ისევ მერაბიამ გამაგებინა დილით ეს ამბავი. ორივე ერთ დღეს დავასაფლავეთ – სანათესაო ერთი ჰყავდათ და შორიდან მომსვლელს გაუფრთხილდნენ.

იმხელა თოვლი იდო, ტყეში შესვლა გაჭირდა, ხე რომ გამოგვეთრია და ისევ სიმონას მოაფიქრდა – ეს საზიარო მუხა მოვჭრათ, საკუბოვე ფიცარიც ამოუვათ და ქელეხის შეშადაც იკმარებსო.

ერთ დღეს გაიჭრა ორივეს სამარე, ერთდროულად გამოასვენეს ორივე მიცვალებული სახლებიდან და მხრებზე აატივტივეს ბიჭებმა. ცივი, უმეტყველო სახეები ჰქონდათ, აღარც რამ ეჯავრებოდათ, არც რამეს იბარებდნენ, აღარც ისე უბედურები იქნებოდნენ, ამდენი შვილის, შვილიშვილის და შვილთაშვილის ერთად დანახვა რომ შეძლებოდათ, ასე მგონია.

თოვდა თხლად, მშვიდად. თოვლი ათეთრებდა, ასპეტაკებდა ნაკვალევს. ყველა ვალს იხდიდა, ჭირისუფალიცა და მიმსამძიმრებელიც – თავისას, აუცილებელს, გარდაუვალს, მშვიდად, გარდაუვალობის, აუცილებლობის შეგნებით, წესის, რიგის, ტრადიციის კვალობაზე, შეძლების პირობაზე. მე იმაზე ვფიქრობდი, უკან მობრუნებულს, ჭირისუფლებისა და მეზობლების სუფრაზე თამადობა რომ მომიწევდა, რა მეთქვა, როგორ მეთქვა, ვისთვის ან რატომ უნდა გამემხილა, იმ უბედურების უკანასკნელი სურვილი რომ ვერ ავასრულე, ან ვის აინტერესებდა, მტკაველი მიწა აქეთ დარჩებოდა თუ იქით. თუმცა თამადობა რა სადარდელი იყო, საითაც მინდოდა, იქით გამოვაბამდი სათქმელს ყურს, ამის მეტი რა მიქნია.

უკან დავბრუნდი, ჭიშკართან დავდექი და შორიდან გავხედე ერთი ხისგან გამოთლილ ორ სასახლეს, მჭვარტლისფერი ფანტელების კორიანტელში ოკრობოკროდ რომ მიცურავდნენ შორს, შორს და ის ღამე მახსენდებოდა, ამაოდ რომ ვცდილობდი წვივზე თოვლში ლარივით სწორი კვალის გატანას.



ომარ გვეტაძე

* * *

ქუჩებს ივლისი ჟრჟოლად ედება,
სუნსულებს სიცხე,
როგორც ქოფაკი
და თითქოს
ჩემთან ერთად ბერდება
ოთახი ხშული,
ვით სარკოფაგი...

მინდა გაგრძელდეს
საღამოები
და შენი თმების სურნელი ჰქონდეს,
სულ მალე მოვა
წვიმა ნოემბრის
და ის შეგვინდობს
ზაფხულის ცოდვებს!

ვარდები, გაშლილი ზამთარში

ეს დილა სიხარულს მპირდება,
ჩავნიშნავ დღეს ხსოვნის დავთარში,
მიხედე, ნუ გაგიკვირდება,
ვარდები რომ ჰყვავის ზამთარში!

ინახავს ბუნება ქარ-წვიმას
გახვეულს სიცივის კალთაში,
მაგონებს მე თავის განწირვას –
ვარდები, გაშლილი ზამთარში.

თაყვანს ვცემთ თითქოსდა ადვილად
ყრმას, მხსნელად გაჩენილს ქართაში;
ბავშვები უფსკრულის ნაპირას –
ვარდები გაშლილი ზამთარში!

რაც უნდა გულრწფელად გიამბო,
ვინ არჩევს დღეს ტყუილს მართალში,
დაღვრილი სისხლივით კიაფობს
ვარდები, გაშლილი ზამთარში!

ვთამაშობთ ცხოვრებას და ტკივილს
ვერ ვმალავთ, ვით მახვილს ხალთაში,
როცა ჩანს ღთისმშობლის ხატივით,
ვარდები გაშლილი ზამთარში!

* * *

გასხლულ ვაზის რტოებს ცრემლი მორევიათ,
ნედლი ჭრილობებით მზეს მიფიცხებიან
გულში გაზაფხულის მწვანე მორევია,
ყველა სატკივარი დამვიწყებია!

სადღაც ღრუბელი ჩანს – ერთი ფიორია,
ციდან ყვავილების ველი დახვავებას,
ახლა უკვდავებაც ისე იოლია,
როგორც ოკრიბაში ტყემლის აყვავება!

* * *

გავეხვიე ისევე
ფიქრის აბლაბუდაში
და ტკივილის ობობა
მის მარწუხებს მიჭერს,
იქნებ ხსნაა ქრისტეში,
იქნებ ხსნაა ბუდაში,
ვფიქრობ, რა მოვუხერხო
მოძალებულ ეჭვებს.

რაც წავიდა, იმისი
არ ჩანს თვალისმომკრავი,
გასულია ამ დღის და
ხვალინდელ დღის ყავლიც,
როგორც უკანასკნელი
ამოსუნთქვა მოკვდავის,
ადის სულის ბუხრიდან
სიგარეტის კვამლი!

გარდასახვა

ჩემი ცხოვრება არის თამაში,
ხან კაენი ვარ, ხანაც იობი,
მაგრამ ჯერ შენ არ დაგიკრავს ტაში –
ეტყობა ცუდი ვარ მსახიობი.

ალბათ დავრჩები მაგ მზერის მიღმა,
არ გამომიტან გულრწფელ განაჩენს,
სანამ სხვათა მსგავსს ვატარებ ნიღაბს
და საკუთარ თავს არ ვითამაშებ!

მე ისევ

მე ისევ ძველი სიზმრები მტანჯავს,
ჩუმად დაწერილ ლექსივით მორცხვი
და თუკი რამე ძვირფასი დამრჩა,
უკვე მოხვეტა დრომ ოქროს ცოცხით!

დღემდე შემორჩა ახალ სიმღერას
ის ჟრიამული ძველი სტრიქონის
და მიხმობს უკვე სხვა ბედისწერა,
როგორც საყვირი იერიქონის!

ნუ დამპირდები

კვლავ გადაიხსნა აპრილმა უბე
გამოაჩინა თოთო კვირტები,
იაიების დაგროვდა გუბე,
აღარ მძიმდება ღამით კირთებით,
რომ სულ იქნება მზე და სიცოცხლე,
მითხარი, მაგრამ ნუ დამპირდები!

* * *

ცდილობ და მაინც არ გეძინება,
არც ლექსი მოდის და არც ნუგეში,
ამ ტკივილს არვინ არ გეცილება,
ტყუილად მალავ ახლა უბეში...

თავს არ უტყდები, ვერ ბედავ კილვას,
რომ ერთი სიტყვით, სიტყვით უხეშით,
ვისთვისაც ღირდა სიზმრების ხილვა
დაგრჩა შორეულ სიჭაბუკეში!

* * *

შემოდგომაზე მეც ვიძარცვები,
თუმცა სათქმელი მაჭრობს ულევი,
ჭადრებიც დგანა, როგორც კაცები,
ცხოვრების სიბრძნით დატვირთულები.

ფერს არ კარგავენ რიონის ქვებიც,
ისინი წვანან კვლავ გვერდუცვლელნი,
მოფრინავს ქვემოთ დამჭკნარი ფრთებით
ფოთოლი, ჩვენი სულის ფურცელი!

* * *

რა ადვილია მიჰყვე დინებას
ვიდრე ლოდებზე ტალღა მიგახლის,
ბოლო წუთამდე გწამდეს იმ სახლის,
სადაც არა და არ გეძინება.

თავბრუდამხვევი ბრუნავს მორევი,
ჩაგიხვევს ნელა მღვიე სინათლე
და იმით, ბოლოს რასაც ინატრებ
არვინ იქნება შენი მომრევი!

* * *

ხანდახან ფიქრი მტკვრისებრ მდოვრდება
და ვეღარ წვდება ცისფერ სართულებს,
აღარ ვჯერდებით მარტივ ცხოვრებას
და ამ სამყაროს თვითონ ვართულებთ.

მერე ვერ ვიხსნით სახიდან ნიღაბს,
ტყუილუბრალოდ ვწყევლით ქარ-წვიმებს
და ველოდებით, რომ მოვა ვიღაც
და რთულ ცხოვრებას გაგვიმარტივებს.

* * *

იყო და დღემდე ან ვისი
იყო და აღარ არის,
ფიქრი რად უნდა, თავისით
მოვა ტკივილი ხვალის.
ჭრილობა არ დამიცხრება,
ვერც ნაპირს გაირიყოს,
ზღაპარიც ასე იწყება:
იყო და არა იყო...

* * *

ხმამაღლა ტირის გიტარის სიმი –
ეს შემოდგომა მოსულა უკვე,
გაბეზებული ნაცრისფერ წვიმით
ვიღაც მთებს ნისლის საკმეველს უკმევს.
და ვიოლინოს ნაღვლიან ტალღას
ვეხები, როგორც მთრთოლვარე ფოთოლს,
ეს სექტემბერი ძალზე ჰგავს ახლა
ასი წლის წინათ დაბეჭდილ ფოტოს.
მალავს ბუნება იდუმალ სახეს,
რომელიც ჩემთვის ამოხსნა არფამ,
ხოლო ვოლტორნის შექმნილი ჭაღი
დაეკიდება ტყეების დარბაზს.
ჩემი ცხოვრება სავსეა ხმებით
და ყველაფერში მუსიკას ვისმენ,
მე ხმებს ვნებდები და ჩუმად ვკვდები,
რომ გაზაფხულზე მოვიდე ისევ,
რომ ვიდგე ქარში დღისით თუ ღამით
და ქარს ვატანდე ფოთლების ნიღაბს,
ჯერ არ დამდგარა დოლების წამი,
ჯერ ვიოლინოს ატირებს ვიღაც!

* * *

როდესაც ქარი ტოტებს ერთმანეთს ახლიდა
შენ მშვიდი იერით გამოხველ სახლიდან
ქუჩის პირს ფარდული გაეღო დახლიდარს –
ვიღაცას ცხვირსახოცს უქნევდნენ სარკმლიდან.
კაცი ბრუნდებოდა ნასვამი, მაყრიდან...
ქარი კი ხმელ ფოთლებს სახეში გაყრიდა.
მოჩანდა ბაგრატი ქუდმოხდით მაღლიდან,
გიმზერდა მღვრიე ცა რიონის ტალღიდან,
თითქოსდა სამყაროს ძერწავდნენ ახლიდან,
შენ ამის შემყურეს, აბა რა დაგღლიდა...

* * *

დღეს მრავალია სიაში
მოჩანს პოეტთა კრებული,
მწამს ძალა პოეზიაში...
გალაკტიონისებური!

ის მუხის ნერგი დაზრება,
თუ შავმა ნისლმა შებურა,
უნდა გვიშველოს აზრებმა –
გალაკტიონისებურმა!

თუ გვინდა ვიყოთ პირველნი,
მფლობელნი განძად დებულის,
უნდა გვჯეროდეს ხილვების...
გალაკტიონისებურის!

ვუსმენდეთ იმ ქარს დაყურსვით
ატმის რტოს რომ შეხებულა,
თუნდაც გვიყვარდეს ბახუსიც
გალაკტიონისებურად!

არ გაქრეს დილის თრთოლივით
რითაც ვიყავით ქებულნი,
ღმერთო, ერს მიეც ტკივილი...
გალაკტიონისებური!

* * *

ჩვენ ერთი გვქონდა ეზო და სახლი,
მთებში ყანებიც გვქონდა ზიარად.
მერე ველოდი შენს ძვირფას ძახილს,
რომელმაც ასე დაიგვიანა.

ნაცრისფერ ქვაზე მიცოცავს სურო
მქროლავი ქარის ნაცნობ მოტივით,
ჩამქრალ სარკმელს და გატეხილ სურას
ვუყურებ ახლა ნატურმორტივით...

ბაბრატის ტაძრის დღესასწაულები

თითქოს მერცხალმა გაჭრა მაკრატლით
ცისფერი ზოლი ზეცის თაღების,
დღესასწაულებს ჩემი ბაგრატის
ახლა შორიდან დავენახვები.
თუმცა სამებამ, ფუძე უკურთხა,
ტაძრის გარშემო ჩაქრნენ ბაღები;
ქვის ზღაპარივით მოჩანს ჩუქურთმა
ხელთუქმნელი და ხელშესახები.
იქნებ ზაფხულის მოსვლას ელოდა,
მიცოცავს სურო, ვით საჭრეთელი,
აქ ყველა ლოდი საქართველოა,
საქართველოა ყველა კედელი.
სხვა ათწლეულის მინდვრებს მონამავს,
რაც გალავანში ჩქეფდა ბადაგი;
ალბათ აგებდნენ ქვეყნის მომავალს,
როცა განმტკიცდა აქ იატაკი.
დღეს ვერ ისვენებ, ფორიაქდები

მარიობიდან მარიობამდი;
და წევს წარსული ფოლიანტებში
როგორც ბინდბუნდში ნარიონალი.
და თუ აქამდე შენს თავს არ ჰგავდი,
დღეს ხვდები ამ გზას გვერდს ვერ აუვლი,
როცა მზის გულზე ფეთქავს ბაგრატი
ვით უკვდავების დღესასწაული.

* * *

გამომაღვიძა სიცივემ დილით,
(მარიობისთვე მეჯდა სასთუმალს)
და ცის ნათელი იით და ლილით
მომადგა თვალზე ცრემლის დასტურად.
ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს შეხვდით
ასე მიჯნური ხვდება საყვარელს,
მოვიდა ჩემი კეთილი ღმერთი
და შემამატა ფერად აკვარელს...
საწნახელივით ავსებას ველი,
მჯერა ოცნების, ცამდე მისულის,
საქართველოში იწყება რთველი
და ღამეები დიონისური.

* * *

სიზმარში გნახე, მოჩანდი შორით,
თუმცა საოცრად იყავ ნამდვილი,
და ყოფნასა და არყოფნას შორის
შუაში ეგდო შენი მანდილი.

უეცრად იქეც პატარა გოგოდ,
ფოთლებს რომ ატანს ამინდს ქარიანს
და მერე ისე გაფრინდი, როგორც
ხელისგულიდან ჭია-მაია.

ელისო ქარელიძე

მამის წიგნები

პირველი „დარბევა“ მამის ძველ წიგნებზე სახლში პირველი რემონტის შემდეგ განვახორციელე. მისი ხელით გაკეთებული კარადის ბოლო, ორი უზარმაზარი თარო სტუდენტობისდროინდელ მის კონსპექტებს, წიგნებს და ბროშურებს, გაზეთებს „სოფლის ცხოვრებას“ ეკავა. „მეღვინეობა“, „ტექნოლოგია“ „კონსერვების დამზადება“, „კონსერვები და მასალები“, „ვაზის ჯიშები“, „სოფლის მეურნეობა“ და უამრავი სხვა... ყდაგაყვითლებულ-გაქექილი წიგნები მიჯრით, სიმაღლეთა მიხედვით ეწყო... ფრთხილად გადაწევდა მინას, გადმოიღებდა, მარჯვენა ხელს აუცილებლად გადაუსობდა, თითქოს ეფერებაო და შეიტანდა მის ოთახში... აივნის ფანჯრიდან ვხედავდი მის ზვიად ფიგურას საწერ მაგიდასთან, ღამის ნათურის ფონზე რომ კითხულობდა, რაღაცას წერდა თუ აკონსპექტებდა, მერე გამოიტანდა და დააბრუნებდა წიგნს მის ადგილზე... ეს რიტუალი, რაც თავი მახსოვს, გრძელდებოდა... ჰოდა, გავცხრილე და გავატანე სამშენებლო ნარჩენებს რამდენიმე წიგნი, ბევრი კონსპექტი და უამრავი ბროშურა, ყველა გაზეთი... მაშინ მეგონა, რომ ვერ მიხვდა... ახლა ვხვდები, რომ არ გამოეპარებოდა შეუმჩნეველი, მაგრამ ხმა არ ამოუღია, მგონი თვითონაც იცოდა, რომ აღარ იყო საჭირო, საკუთარი ხელით ვერ გაიმეტებდა და შეეგუა, ვითომ ვერ გაიგო...

მეორე დარბევა მამის ისრაელში წასვლის შემდეგ მოვაწყვე, არა მარტო მისი ძველი წიგნების, რა თქმა უნდა...მხოლოდ დიდი მოცულობის „მეღვინეობა“, „საქონელმცოდნეობა“, „ვაზის ჯიშები“, „ენოქიმია“ და რამდენიმე საღადშემონახული წიგნი დავტოვე... ჩამოსვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მოიკითხ-მოიძია, რა თქმა უნდა... მანდაა-თქო და მივუთითე მის სტუდენტობა-ახალგაზრდობაზე, სიამაყით დაცულ-შენახულზე... კიდეებზე მიწერილ-ჩანიშნული, გაყვითლებულფურცლებიანი საგანძური უხმოდ გამოალაგა და თავის ოთახში ოდნავ კოჭლობით შეიტანა, მისივე ხელით ამოშენებულ-ამოყვანილ პატარა, ოთხთაროიან კედლის კარადაში, საბუთები და პირადი ნივთები რომ ეწყო, ფრთხილად შეალაგა...

აივნის ფანჯრიდან დავინახე, საწერ მაგიდაზე დაედო ლურჯყდიანი „მეღვინეობა“ და ხელისკანკალით ფურცლავდა... საერთოდ სულ კითხულობდა... ღამის ნათურის შუქზე იჯდა და კითხულობდა, წერდა, არჩევდა, წიგნებს იწერდა შვილთაშვილისთვის და წარწერებს უკეთებდა: მარიამ შანიძეს გურამ ბაბუასაგან და ხელმოწერა... მისი განსაკუთრებული კალიგრაფიით... მერე, მერე კი... ნებისმიერ „მისიანთან“ ჩიოდა, რომ დავუკარგე (არავთარ შემთხვევაში არ იტყოდა, რომ გავუჩანაგე) წიგნები, გავიტანე სახლიდან ინსტრუმენტი, გავყავი და „დავაცუცურაკე“ უზარმაზარი ბიბლიოთეკა... რაც ძვირფასი იყო, ის გაიტანა სახლიდანო, ბრაზობდა და არ მპატიობდა, მსაყვედურობდა და ვერ ეგუებოდა მისაღებში წიგნების სიმცირეს და „ბელორუსის“ უქონლობას... ხმა უკანკალებდა, ჯოხს აბაკუნებდა და ბრაზისგან მთლად გამწვანებულ თვალებს აკვესებდა...

მოვდივარ რამდენიმე დღის წინ ძველ ბავშვთა სამყაროს წინ და რას ვხედავ, ძველი წიგნების დახლზე დევს მამაჩემის ნადარდებ-გულნაწყვეტი „ღვინის დაყენების ტექნოლოგია“, „ვაზის ჯიშები“, „სოფლის მეურნეობა“... დგას გამყიდველი, პატარა ნანა და ბუზღუნებს: რა ჯანდაბად უნდოდა,

რომ დაიტოვა ეს ნაგავიო, ვინაა ახლა ამის მყიდ-ველიოოოო... ვუყურებ და თვალს არ ვუჯერებ... თითქმის ყველა გურამის სტუდენტობის თუ მისი ახალგაზრდობის, მისი ბიბლიოთეკის წიგნია... კი, მისია, ნამდვილად ის წიგნებია, მისიიიი... მამა-ჩემის წიგნები... აკანკალებული ხელით ვშლი და ველოდები სასწაულს, წარწერას: გურამ ქარო-სანიძის წიგნებიდან და მის ხელმოწერას... გული სადაცაა ამოვარდება საგულედან, ყურებში არა-ფერი მესმის, რაღაცას მეუბნება პატარა გამყიდ-ველი... მერე, როგორც იქნა, მეწმინდება ხედვა და... არც არაფერი აწერია გაყვითლებულ თავფუ-რცელს, თითქოს ვმშვიდდები... სათითაოდ ვაწყობ მამაჩემის წიგნებს დიდ ჩანთაში, ფულს ვაჩეჩებ გაკვირვებულ გამყიდველს და ბედნიერი მოვდი-ვარ სახლისკენ... აჩქარებული ნაბიჯით შევდივარ სადარბაზოში, აქოშინებული ავდივარ მეოთხე სა-რთულზე და მოუთმენლად ველოდები, როდის გა-იღება კარი... გახარებული შევდივარ მის პატარა, მისივე ხელით ნაშენებ-ნართავ ოთახში...

კედლიდან საყვედურნარევი ღიმილით მიყურ-ებს მამის სურათი...

ორმოცი დღე ხდება, მამა აღარა�ა...

მაპატიე, გურამ!!!

სურათი

რამდენიმე დღეა ვიგონებ ამ ამბავს, მამისგან ნაამბობს...

თითქოს უნდოდა და არც უნდოდა გაეგო ვინ-მეს მისი ეს „სისუსტე“, არადა ეტყობა იმდენად ღრმად იყო მასში ის მაშინდელი განცდა, რომ ვერ ივიწყებდა და...

ყველაფერი რომ დაინგრა იმ 90-იან წლებში, მამის „საკონსერვო ქარხანაც“ თან მიჰყვა. მისი ახალგაზრდობა, სტუდენტობა, შეგნებული ცხო-ვრება და წარმატებები ამ ქარხანასთან იყო და-კავშირებული... აქ გაატარა ყველაზე ბედნიერი წლები, აქ იყო მისი ერთი ცალი სამყარო და უცებ გამოეცალა ხელიდან ყველაფერი... მაშინ ვერ ვგრძნობდი და ახლა ვხვდები, რა უბედურება და-ტყდომია თავს... უცებ სამსახურის და საყვარელი საქმის გარეშე... ოჯახში ყველა უმუშევარი, ავა-დმოფი სიძე და შვილიშვილი – მისი ყველაზე დიდი ტკივილი... თუმცა არასდროს დაუჩივლია და უთ-ქვამს საყვედური... რა ქვეყანა დაანგრიესო იტყო-და და ხშირად იმეორებდა, იწყებდა მისი რჩეული პარტიის ქება-დიდებას... ფანატიკურად სწამდა, ერთგული იყო და არც არასოდეს უღალატებია საკუთარი პრინციპებისათვის... ახლა მიკვირს, როგორ გამოვიარეთ ის რამდენიმე წელი... ალბათ როგორც ყველამ... დაუზოგავად მუშაობდა, და-დიოდა სოფელში და ბეჭით ეზიდებოდა შეშას, მის მოყვანილ სიმინდს, ბოსტნეულს, ხილს და ბედნი-ერი იყო რომ ახარებდა ანუკას და ეკას... მის შვი-ლიშვილებს საჭმელი ქონდათ, მისი ხელით მოყვა-ნილ-მოწეული, როგორც ამბობდა, „ნატურალური და სუფთა“, თუნდაც ცოტა, მაგრამ ქონდათ!!! ყოველ ზამთარში, ტრადიციულად, ვეებერთელა მწვანე ემალის ქვაბში საკუთარი ხელით ამჟავებ-და კეჟერას, კომბოსტოს, პრასს და სხვა ბაღჩე-ულს, იგონებდა დედამისის ხელით მომზადებულ სადილ-ვახშამს და გვიწუნებდა ნახელავს... მისნა-ირად ვერავინ და ვერაფერს აკეთებსო,მარტო ნა-ნულის გამოსდის მსგავსადო, ამბობდა დაზე, ჩემ მამიდაზე; დედაჩემს გული სერიოზულად მოდიო-და, მე და ასმათი კი უხმოდ ვიცინოდით...

მერე იქ, სადაც თითქმის ყველა მნიშვნელოვან პოზიციაზე მუშაობდა, იქ სადაც ბოლოს მაცივრ-ების უფროსი იყო, დაცვის სამსახურში ადგილი გა-ნთავისუფლდაო, გაიგო და გავიდა სამუშაოოდ... საერთოდ, ოჯახისათვის არაფერ საქმეს არ თაკი-ლობდა, თვითონ მოაშენა ოთახები და დააგო ია-ტაკი, ამოიყვანა კარადები, ჩასვა ფანჯრები... ყვე-ლაფერი ეხერხებოდა, ყველაფერს ეჭიდებოდა და გამოსდიოდა კიდეც... მერე კი ამაყობდა...

ჰოდა, გავიდა სამუშაოდ იქ, სადაც მისთვის ყვე-ლაფერი ძვირფასი და ახლობელი იყო, იქ, სადაც უყვარდა და უხაროდა, იქ სადაც ყველაზე ბედნიე-რი წლები გაატარა და ამითაც ბედნიერი იყო: საქმე და სამსახური ქონდა!!! ჰქონდა იმედი, რომ...

თითოეულ ქვას და კედელს ელოლიავებოდა, იმ პოზიციაზე ყოფნაც კი ახარებდა... მორიგეობდა დილისა და ღამის ცვლაში გრაფიკით, ფეხით მი-დიოდა კიკვიძის ძეგლიდან ქარხნამდე... ახლა სულ ვფიქრობ, ნეტა რომელი გზით? საღამოს ცხრიდან დილის ცხრამდე... ან პირიქით... მას შემდეგ მიყვარს

ეს დრო... მამა რომ სახლში ბრუნდებოდა და სულ რაღაც მოჰქონდა შვილიშვილებისთვის, ის დრო... უბიდან სიხარულით ამოჰქონდა ქარხნის ეზოს თუნდაც ერთი ლეღვი, ვაშლი ან მსხალი... ჩვენ კი ვუცდიდით საერთო ბინის მეოთხე სართულზე, სადარბაზოს უჯრედში მის ამოშენებულ ციცქნა ოთახში, მისი ხელით გაკეთებულ შეშის ღუმელთან, მისი ბეჭით მოზიდული შეშით დანთებულ სითბოსთან...

ერთხელაც დაამთავრა ჩვეულებრივად დღის ცვლა საღამოს ცხრაზე... დეკემბერია, ახალი წლის წინა დღეებია, ყინავს... მოთოვა იმ წელს ძალიან და ალაპლაპებულია ყველაფერი... ღამით კი არა დღისით არაა ტრანსპორტი... ტკიოდა უკვე მარცხენა ფეხი... როგორც დედაჩემი იტყოდა, „ვირულმა შრომამ დაღი დაასვაო“... გადაადგა საქმე შემცვლელს, თავისი ძველი ოთახის კარები გამოკეტა და დაადგა წულუკიძის ქუჩას, ახლა რომ ასათიანი ჰქვია, ფეხით... მიდის წვალებით, თითოეული ნაბიჯი რომ სახიფათოა, არ მოცურდე... შორიდან ავტომატების კაკანი ისმის... კაციშვილის ჭაჭანება არაა ირგვლივ... იმხნევებს თავს და იმშვიდებს გულს, იქნებ სასტუმრო „თბილისთან“ ბუთას გადაეყაროს, გამყვებოდაო სახლამდე, გაივლო გულში... თითქმის ნახევარი საათი მოუნდა იქამდე მისვლას... ამაოდ... ადამიანის ბაიბური არ იყო გაყინულ, ჩაბნელებულ, ჩამკვდარ ქალაქში... მოუხვია ლენინის პროსპექტისაკენ და გულზე იტაკა ხელი... იქ, ჯიბეში, ანუკას სურათი ეგულებოდა, სულ რომ თან დაყვებოდა ბაბუას, უადვილებდა გზას, სამუშაოს, ცხოვრებას, ელაპარაკებოდა და ეტიკეტიკებოდა, ესლიფინებოდა და გაყავდა დრო სამსახურში, ათბობდა და ახალისებდა, ართობდა და აბედნიერებდა... სიმყარისათვის მიეყრდნო ხეს, ნერვიულად მოიქექა ყველა ჯიბე და კუნჭული... არსად იყო ანუკას ფოტო... ელდასავით გაკრა: ოთახში დარჩა გოგოჩიას სურათი, მაგიდაზე დადებული, წამოსვლამდე რომ უღიმოდა და ეალერსებოდა ბაბუკას, ამხნევებდა და ართობდა... ვეებერთელა, ბრტყელთითებიანი ხელი შუბლზე გამეტებით შემოიკრა... ტიტუუუუუუ!!! – დაუწვრილდა ხმა... ხომ დარჩა მისი გოგოჩია ჩაბნელებულ-ჩაკუკუნათებულ ფიცრულში, გაყინულ-გალიგვებულში, ხომ შეეშინდება ანუკას მარტო... მთელი ღამე რა უნდა მის დრანცულას იქ, ენაცვალოს ბაბუა, წრუწუნა და მისნაირი არ იყოს და არაფერი ატკინოს... უცებ შემოტრიალდა და გამოუყვა გზას უკან, ოდნავ აუჩქარა კიდეც ფეხს... ის იყო ჩაამთავრა ყინულიანი მონაკვეთი და აუცდა „მაუდის ბინებთან“ ფეხი, მთელი ძალით დაეცა... პირველი გაფიქრება „ხომ არაფერი მოვიტეხეო“ – ის იყო... ნელ-ნელა აამოძრავა ხელ-ფეხი, ტანი... ირგვლივ მიმოიხედა – არავინ იყო... გაჭირვებით წამოდგა, დიდი წვალების შემდეგ, კოჭლობით გადავიდა ქარხნის მხარეს, გაყინული ხელებით გააღო ჭიშკარი, შეეხმიანა დარაჯს, მივიდა მის ოთახთან, ხელის კანკალით გააღო კარები, აანთო ჭრაქი, მიუახლოვდა მაგიდას და... უღიმის მისი ანუკა, ცისფერი ნაქსოვი ზედა აცვია, ბაბუას ხელით გადაწეული „ჩოლკა“ უსწორმასწოროდ აყრია შუბლზე, ეშმაკურად უციმციმებს ბაბუასთვალებისფერი თვალები და უხარია, რომ მოაკითხა, არ დატოვა ბაბუამ მარტო. შვებით ამოისუნთქა, სურათს ხელი გადაიუსვა, აკოცა და ფრთხილად ჩაიდო გულისჯიბეში, ახლა ჩემთან იქნები, ბაბუო, – ჩაილაპარაკა და კარები გამოიკეტა.

გარეთ უკვე თოვდა და მიწას ფაფუკად ედებოდა... მიდიოდა დათოვლილ გზაზე, გულში შვილიშვილი ჰყავდა ჩაკრული, ვერც სიცივეს გრძნობდა, ვერც ფეხის ტკივილს, მისი ანაჩკუნა ათბობდა და ესიყვარულებოდა, უხაროდა რომ სახლში მიყავდა... როგორ მივიდა სასტუმრო „თბილისთან“ არ გაუგია, არც ავტომატების ხმა ესმოდა, არც ვიღაცეების ღრიალი შორიდან, ღიღინიც კი წამოიწყო: ბაბულია, ბაბუა, ენაცვალოს ანუკასო... სურათთან ლაპარაკსა და სიმღერაში გალია ლენინის პროსპექტი, ახლა აღმაშენებლად წოდებული, იმედიანად შევიდა მის მოშენებულ-აშენებულ-ნალოლიავებ ბინაში, მძიმედ, მაგრამ ბედნიერი ავიდა კიბეებზე და დააბრახუნა მისსავე გამოთლილ მძიმე კარზე... კარი იმწამსვე გაიღო და ლამპის შუქზე ანუკა დაინახა... ვარსკვლავივით კაშკაშებდა, ფართოდ უცინოდა, თვალები სიხარულით უბრწყინავდა, ცქმუტავდა, ხელებში უყურებდა და დაგვიანებას საყვედურობდა...

სახლში ბოლის სუნი იდგა, შეშის ღუმელთან, ერთ ციცქნა, სადარბაზოს უჯრედში ამოშენებულ ოთახში უცდიდა ოჯახი... ნათელა დაგვიანების მიზეზს კითხულობდა, ეკუნა ნატკენ მუხლებზე ებღაუჭებოდა და წამოდგომას ამაოდ ცდილობდა, შვილი ოხშივარადენილ კარტოფილს ურევდა... ანუკა კი ბაბუის უზარმაზარ, ნაჯაფ მარჯვენას ჩაჭიდებოდა და არ უშვებდა... ყველა ერთად იყვნენ... გარეთ საშინლად ციოდა, მაგრამ თბილოდა...

ქუდი

პირველად ქუდი მამის თავზე ჩემი ბებიის, მისი დედის დაკრძალვაზე ვნახე... 1984 წლის აპრილში...

ბებიაჩემი – ტატიანა, მორჩილი ტანის, არაქართული გარეგნობის ქალი იყო, ფერმკრთალი, მწვანე თვალებით და უთხელესი კიდურებით, საოცრად მშვიდი, ტკბილი და თბილი... საერთოდ, წყალტუბოელი ფანცხავები ყველანი ერთმანეთს გავდნენ... ახსენებდა ბიძას, ანტონ ფანცხავას, ილია ჭავჭავაძესთან ერთად ბანკი დაარსაო... ნათელი იყო ბებია... სითბო და შუქი მოდიოდა მისგან... ახლაც თვალწინ მიდგას მისი ჩაის დალევის მანერა: გრძელი, სანთელივით ჩამოქნილი თითებით ფაქიზად იღებდა ფინჯანს, ოდნავ ტუჩის შეხებით მოსვამდა და უკან დააბრძანებდა, საჩვენებელ თითს სახელურზე ნელ-ნელა ჩამოატარებდა, მურაბიან კამფეტს უმცირესს მოაკვნეტდა და საკმაო პაუზის შემდეგ ისევ ფრთხილად შეახებდა ჭიქას ტუჩებს... 6 შვილი გაზარდა, ერთიც, ახლადშობილი რომ დაღუპულიყო, ჩვენი ეზოს ბოლოში იყო დაკრძალული... ფაქიზი და მგრძნობიარე ბუნება ჰქონდა, ახლა ვხვდები, უჭირდა სოფლის ცხოვრება, მაგრამ ოჯახისათვის და შვილებისათვის ყველაფერს აკეთებდა... ნელ-ნელა გაიცრიცა და გაილია ფუსფუსსა და ზრუნვაში, 6 შვილზე სიყვარულის, ფიქრის, დარდის, ნაშრომ-მოსავალის განაწილებაში... ჰოდა, წავიდა უდრტვინველად, უხმოდ, როგორც იცხოვრა თავისი მოკლე 62 წელი, მაშინ რომ ბევრი და გრძელი მეგონა...

მამა ძალიან გავდა გარეგნობით ბებიას... სიმაღლით ბაბუას... რაღაც უცნაური, პატივისცემის უმაღლეს ხარისხში აყვანილი, მოკრძალებული და ძალიან ამაღლებული გრძნობით უყვარდა დედა... მახსოვს, ბოლო რამდენიმე ღამეც გაუთია მამიდასთან ერთად საავადმოფოში... ხომ იციან, ხშირად და ალალად თქმა მშობელზე, ღამაზი მყავდაო... მამაჩემი მართლა საოცარი გარეგნობის კაცი იყო თურმე ახალგაზრდობაში, შემდეგ ხომ მეც ვიცი... ბევრი რამ გამეგონა ბებია-მამიდებისა და მისი ბიძაშვილ-მამიდაშვილებისაგან გურამის „შესახედაობასთან“ დაკავშირებით... როგორ მიდიოდა წყალტუბოსა და ქუთაისის ქუჩებში და უყურებდა გამვლელ-გამოვლელი, დამსვენებელი თუ ძირითადი მაცხოვრებელი, ეპრანჭებოდნენ გოგონები, უგზავნიდნენ წერილებს, მათი მშობლები კი მის სიძეობას ნატრობდნენ... როგორ უყვარდათ თანაკურსელებს სუბტროპიკულში, სოხუმში, და არა მარტო თანაკურსელებს...

თვითონ არასოდეს იქებდა თავს, ან რაში ჭირდებოდა... ერთია მხოლოდ, ყვებოდა, რომ რამდენიმე ცნობილმა რეჟისორმა ფილმში გადაღება შესთავაზა, იგონებდა, სოხუმში „ბერეგზე“ სეირნობისას როგორ შეაჩერა ოთარ კობერიძემ და გამოეცნაურა, შეუქო გარეგნობა და ნამდვილი, უგრიმო ბაში-აჩუკი აგერა�ა, უთხრა თანმხლებ მეგობრებს. თვალებში უცნაური-ბედნიერი ცეცხლით იხსენებდა, როგორ ძმაკაცობდა ქუთაისის თეატრში მომუშავე ზურაბ ქაფიანიძესთან, დროს ატარებდნენ და ქეიფობდნენ გალა ბაბუას ეზოში მდგარ ბჟოლის ხეზე მისი ოქროსმედლებიანი არღნით... „ათას კაცში რომ ამოარჩევდი ისეთი იყოოო, ესახელებოდა ყველას მასთან ურთიერთობა და მეგობრობაო“, – იგონებდნენ ჩემი დეიდები, „პარადის გადამჩრდილავიო“ – კვერს უკრავდა მეორე ბებია, მისი სიდედრი...

არასოდეს დაუკვეხნია და მოუყოლია საკუთარი ისტორიები, მამაკაცური თავგადასავლები, სძულდა ქალებზე მოჭორავე კაცები, თუ რამე ჩასწვდებოდა ბოროტულად ნათქვამი, ქალის გამართლების მიზეზს ეძებდა მუდამ... კაცი იყო ბოლომდე... იცოდა საკუთარი თავის, გარეგნობის, განათლების ფასი... მუდამ ელეგანტურად ეცვა, ყავისფერი, ჩალისფერი, თეთრი... ერთ ან გარდამავალ ტონალობაში... ჭრელი არ უყვარდა არაფერი, არც ადამიანები... ქუდსაც კი არ იხურავდა არასოდეს... ოდნავ თმაშეთხელებულიც კი... ყველა სამკაული ზედმეტი იყო მისი გარეგნობისათვის.

ჰოდა, დედა რომ გარდაეცვალა, რაღაც ფერი მოაკლდა მამას, თითქოს დაპატარავდა, სიმკაცრე მოუტყდა მის გარეგნობას... პირველი ცრემლი მაშინ შევამჩნიე, თუმცა არც მალავდა... მეორე დღეს შავ პერანგთან, ჰალსტუხთან, კაშნესთან ერთად ქუდიც შეიძინა. ხომ გახსოვთ, იმ დროში თითქმის ერთ კვირას აყოვნებდნენ გარდაცვლილებს ოჯახში და ვხედავდი ჩემს ბიძებთან ერთად როგორ იდგა მთელი კვირის განმავლობაში, შავად ჩაცმულ-დახურული წყალტუბოს სახლის აივან-

ზე... იდგა 4 ძმა, 4 დიდი კაცი და სიგარეტს ეწეოდა... მაშინ პირველად დავინახე მის აკანკალებულ, უზარმაზარ თითებში სიგარეტი... ცივი და წვიმიანი დღეები გვედგა...

ქუდი არც დაკრძალვის შემდეგ მოუხდია მამას. მასზე 16 წლით უმცროსი ძმის, ემზარის გარდაცვალების შემდეგ კიდევ მეტად გაამრავლა და დაათბო ქუდები, ვასო ბაბუას არყოფნის შემდეგ კი უკვე სახლშიც იხურავდა... საოცრად განიცდიდა რომ ვერ მიუსწრო ცოცხალს... არადა გელოდებოდაო, „არ დააბოქლომოთ კარები, ხვალ შაბათია და გურამიე ჩამოვა"-ო, უთქვამს ბაბუას უშანგისათვის, უფროსი ბიძისთვის... მართლაც, ღია დახვდა დილით ჭიშკარი...

ბოლო დროს, უშანგი და გიორგი ბიძიას, ნანი მამიდას, ნოდარიკო ფანცხავასა და ლეილა ქაროსანიძის არყოფნის შემდეგ, ორ წელში რომ გამოეცალნენ, საერთოდ არ იძრობდა თავის თეთრ ქუდს, ვხედავდი აივნიდან, იწვა მის საწოლზე ჩაფუთნული და მეორე ქუდი ეხურა კიდე, უფრო დიდი და თბილი... ვიცინოდით მე და ანუკა, 2 ქუდით რა აძინებს-თქო, ეკაც კუსკუსებდა და ჭკუას არიგებდა, ეთამამებოდა... ერთადერთი მას არ ეპასუხებოდა, ეკას არ უწყრებოდა... სულ ბოლოსაც მას ეძახდა...

ახლაც ყურებში მესმის 10 დეკემბრის ღამით ბრახუნი კარებზე და ანუკას სიტყვები, ბაბუა აღარააო... სანამ ნათქვამს გავიაზრებდი, ვიგრძენი როგორ წამოვიდა გულიდან სიცივე, გაიარა ყელკისერი და სადღაც უკან, კისერი რომ თავს უერთდება, მამაჩემი რომ კინჩხს ეძახდა, აი ზუსტად იმ ადგილიდან თავის სულ ზედა ნაწილამდე გაიყინა... ასე თავ-სულ და გულგაყინულმა მე-5 დღეს დავკრძალეთ მამა... მაშინ პირველად მივხვდი, როგორ ვცდებოდი, ტრადიციების შემსუბუქებაზე რომ ვდებდი თავს... ყველაფერი ისე მინდოდა გამეკეთებინა, როგორც მას მოსწონდა... საერთოდ, ვცდებოდი თურმე ბევრ რამეში... მაღიზიანებდა ქელეხზე ფიქრი და სამზადისი, ერთს ვნატრობდი მხოლოდ, ჩავლილი ყოფილიყო შაბათი... უკვე მესამედ გადაფასდა ჩემში ყველაფერი ეკას ავადმყოფობისა და ბუთას არყოფნის შემდეგ...

ბუნებრივია, როგორც ყველამ, მეც გადავიტანე ეს დღე... საღამოს ბოლოს, დარბაზიდან გამოსულმა, უსაშველოდ შეციებულმა წამოვიხურე თბილი პალტოს „კაპიუშონი" და წამოვედით სახლში... დავჯექი დივანზე, მოძრაობა შეზღუდული დედის გვერდით, თბილ, გაღუღუნებულ მამის ნაშენებ სასადილო ოთახში და ვიგრძენი, რომ საშინლად მციოდა თავზე... ლასლასით წამოვდექი და შვილებთან მოვძებნე ქუდი... ამაოდ... მამის ოთახში შევედი... მისი სუნი იდგა... მისი... ჩემი მამის... გურამის ნაცნობი და თბილი სუნი... მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი... საწოლზე ობლად ეწყო მისი ტანსაცმელი, მათ შორის რამდენიმე სხვადასხვა სისქის, ფერის და ზომის ქუდი... თეთრი თან გავაყოლე... ნაქსოვი, მუქი რუხი, თეთრ ორნამენტებიანი ქუდი ამოვარჩიე და თავზე ჩამოვიფხატე...

რამდენიმე დღის შემდეგ, მე-9 დღემდე შავი, თბილი ბერეტი შევიძინე, ორი ერთად...

წელს არააო ცივი ზამთარი, ამბობენ...

უსაშველოდ მცივა, მამა...

მოუხდელად მახურავს ქუდი...

ლია გვენეტაძე

ავტობიოგრაფია

...მე დავიბადე ოქტომბრის თვეში და ხარის წელში, დიახ, ოქტომბრის გაცრეცილ მზესა და მოღლილი წვიმის ცივ სირბილეში, დავიბადე მშვენიერ სახლში, რომლის ეზოშიც ბლომად იდგა დიდი ხეები, რომელთა ბოლოებიდან ცა იწყებოდა თავისი განუმეორებელი იდუმალებითა და სიდიადით, მე, დავდიოდი სოფლის ნაპირას, სადაც საპოვნელებისაგან გამარჯნისფერებულ ტევრში, ვაგროვებდი სულის ყვავილებს და ვიზრდებოდი დაუნდობელი სიჯიუტით ხარის მსგავსად, სიმსუბუქით, როგორც ღობეს მიტმასნილი იასამანი და ახლა:

მიყვარს: ფიქრი და ოჯახი;
ვფიქრობ: უკვდავებაზე;
კმაყოფილი ვარ: საკუთარი თავისუფლებით;
მენატრება: ფრთები;
შემიძლია: ყველაფერი, რაც ადამიანს ახასიათებს – ცუდიც და კარგიც;
არ შემიძლია: უხმაუროდ სიცოცხლე;
მეშინია: ადამიანების უგუნურების;
ვმეგობრობ: სევდასთან;
ვეძებ: სრულყოფილს – არასრულყოფილებაშიც;
ღირსი ვარ: ერთგულების;
ვკარგავ: მეგობრებსა და წლებს;
ვემტერები: უწესრიგობას სულსა და სახლში;
მაინტერესებს: რისთვის მოდის ადამიანი ამ ქვეყნად?!
მახსოვს: გასრესილი ბარტყი ხის ქვეშ;
მრცხვენია: შიშის;
მწამს: უფალი;
მიკვირს: თავხედობა;
მიხარია: დღის გათენება;
ვჭორაობ: ყველაფერზე;
ვდარდობ: გარდაცვლილ მამასა და ძმას;
ვამაყობ: წინაპრებით;
ვეფერები: ნიჭსა და შვილს;
მესიზმრება: ღმერთიც და სატანაც;
ვეწევი: ქველმოქმედებასა და ჭაპანს;
მწყინს: უმადურობა;
ვხარჯავ: ენერგიასა და ფულს, გაუთვალისწინებლად;

ვღალატობ: ხანდახან საკუთარ თავსაც;
ვუსმენ: მსოფლიოს ხმას;
ვკითხულობ: ფილოსოფოსებსა და დედაჩემის ამბავს;
ვამზადებ: საკუთარ თავს სიკვდილთან შესახვედრად;
ვცხოვრობ: ისტერიულად შეშლილ სამყაროში და ოთხ ოთახიან ჩიხურ ბინაში;
ვყვირი: „გიყვარდეთ, სიყვარული!"
ვთამაშობ: ყოველდღე;
ვეთაყვანები: წესრიგს სამყაროში;
ვიტყუები: რომ არა ვიტყუები;
ვეჭვიანობ: საკუთარ თავზე;
ვიზიდავ: მტრებსა და უიღბლოებს;
ვილამაზებ: სულს, როგორც შემიძლია.

წერტილი

რა ადვილია, ასე უბრალოდ ადგე, ჩაიცვა, გაიხურო კარები
და სახლში დატოვო სიცარიელე,
სახლში, სადაც ყველაფერი შენ გეკუთვნის სიტყვიდან –
ჩემს სუნთქვამდე დამთავრებული.
ალბათ, რა მარტივია დატოვო სახლი, მაშინ, როცა მის ოთახებში
ჩვენი ყოველი ღამის ფერადი სიზმარია გამოფენილი
და სახლი, სადაც ყველაფერი ისე ძველია,
როგორც სიბრძნე და მოურჩენელ ჭრილობათა ისტორია.
რა იოლია დატოვო სახლი, სადაც კედლებსაც კი ეშინიათ მარტოობის
და სადაც ახლა, დღეზე უფრო ათჯერ მეტი ღამე შემოდის...
მე კი, აქ ვრჩები – სახლში, სახლში, საიდანაც, ასე ადვილია წასვლა და
ჩვენი ცხოვრების წიგნიდან, შენს კუთვნილ ფურცელებს ვანადგურებ,
რომ როგორმე შენგან გაჩენილი სიყვარულის სახადი მოვიხადო...
ჰო, ალბათ, ძალიან იოლია ადგე,
გაიხურო კარები და დატოვო სიმარტოვე,
როგორც ფურცელზე დასმული ბოლო წერტილი,
რომლის იქეთ, აღარაფერი გრძელდება.

ჩემი მეგობარი

ჩემი მეგობარი გოგონა შეშლილია.
ბავშვობიდან მოყოლებული
გაცრეცილი ჯინსებით,
დადის და აპრილებს აგროვებს.
ხანდახან, როცა ცაზე ღრუბლები გამოჩნდებიან,
თავისი უცნაური სიტყვებით
მზეს შეულოცავს ხოლმე და
ღრუბლებიც ქრებიან.
სულ ბორგავს, სულ ტკივილს ებრძვის.

ვნების კვირაში თივას სწვავს,
რომ მასავით შეშლილი მოჩვენებები,
თავისი უჩვეულო სიზმრებიდან განდევნოს.
ჩემი მეგობარი ხშირად აკვირდება პატარა გოგონებს,
რომლებიც ქალაქის გარეუბანში ჩუმად ეწევიან თამბაქოს
და იცინიან მუდამ იმაზე, რაც სრულებით არ არის სასაცილო.
მას არ უყვარს ეს სულელი გოგონები,
რომლებმაც ჯერ არ იციან, რომ დაისჯებიან,
რადგან არაფერს სწავლობენ დედების მაგალითზე
და რომლებიც ცხოვრებასაც ისე ექცევიან, როგორც
ფეიერვერკების ღამით, ბავშვები ასანთს.
ჩემმა მეგობარმა არ იცის, რა გრძელი გზაა შემოდგომიდან ზაფხულამდე,
რომ შხაპუნა წვიმასაც კი შეუძლია ტალახად ქცევა
და მერე ის მაინც დგება, იცვამს თეთრ კაბას,
რომ ცოტათი მაინც დაფაროს ცაზე მოსვრილი მთვარის
შავი ლაქები.
ჩემი მეგობარი არ არის ნამდვილი, უფრო რეალური,
ისე, როგორც ხშირად მხოლოდ სიტყვებად დარჩენილი საუბარი,
ამიტომ მგონია, რომ უკან ამოზრდილ ფრთებს მალავს,
რომ ადამიანები მისმა სიწმინდემ არ შეაშფოთოს.
ჩემი შეშლილი მეგობარი უბადლო მხატვარიცაა,
მხოლოდ მას შეუძლია აღწეროს თავისი მეგობრის, (ანუ ჩემი) ზერთული ბიოგრაფია
გაზაფხულიდან – ზამთრამდე, თავისი ყველა ნიუანსით.
მე, მხიბლავს მისი ეს საოცარი შეშლილობა,
რომელსაც არაფერი აქვს საერთო ადამიანთა დეტერმინაციულ საკითხებთან...
ჩემგან კი, ესაა ყველაფერი მასზე,
ის, რაც შეუძლია მეგობარმა, მეგობარზე სიტყვებით დატოვოს.

* * *

იყავით ჩემში, ჩემამდე და, და კიდევ შემდეგ,
(თითქოს სიცოცხლის მოელვარე სხივებით მწერდით)
და იწყებოდა დილა თქვენი უცხო სიმშვიდით,
ჩურჩულით, სუნთქვით, აღმაფრენით, მაღალი მკერდით.
წლები გავიდნენ, ქალბატონო, რა გაეწყობა,
ცვდება გრძნობები, ფერს იცვლიან თმებიც – გიშერის,
ჩვენ მოგვეახლა სიმარტოვე ფოთოლცვენისა
და სამწუხაროდ, გაზაფხულიც ვეღარ გვიშველის.
ახლა დიდ სახლში სიმყუდროვე გამეფებულა,
შავ როიალზე ძველებურად ღვივის ტიტები
და ფაიფურის შირმებიან, უძველეს ლარნაკს,
ისევ ატყვია სითბოდ თქვენი ბროლის თითები.
დაგვცვივდა ფრთები, სიყმაწვილემ კარი გახურა,
დრომ უბოდიშოდ ამოქოლა ხსოვნა ლოდებით
და ჩემს მოქანცულ და საშინლად დაღლილ თვალებში,
თითქოს ცრემლივით წვეთ-წვეთობით უხმოდ გროვდებით.
ხედავთ, მოცვივა ფანტელები, თეთრდება ქუჩა,

(და გვახსენდება რომ სურვილებს ზეცად მივყავდით),
ჩურჩულით, სუნთქვით, აღმაფრენით, თრთოლვით, სინაზით –
ო, მშვენიერო ქალბატონო, მე, თქვენ, მიყვარდით!...
თქვენა ხართ ჩემში, ჩემამდე და, და კიდევ შემდეგ...

DELETE*

ახლა ვზივარ და
ჩემს ცხოვრებას ვაკოპირებ,
რომ ორიგინალის ასლში, ქვემოდან – ზემოთ,
წავშალო დღეები, რომლებმაც ტკივილი მომაყენეს,
რომლებმაც მასწავლეს,
როგორ არ უნდა მიყვარდეს ერთგულება და თავდადება,
რადგან ძვირფასი – ძალზე მძიმეა და ხანდახან აუტანელიც.
ვმოგზაურობ სტრიქონთა შორის:
ახლო წარსული და შორეულიც,
სადაც მტრები მუდამ მხრავდნენ და ისევ მხრავენ
საკუთარ დროში,
საკუთარ აზრსა და საკუთარ შიშში
და სადაც ყველამ მიმატოვა მხოლოდ იმისათვის,
რომ მათ არ ვგავარ.
წინა სტრიქონზე კი,
მოგონებებმა ბავშვობაში გადამახედეს:
აქ, ყველაფერი იოლია, (კორექტურა თითქმის ნულია),
უბრალოდ, ერთი სასაცილო ბავშვი ვარ,
ვარდისფერი სათვალეებითა და ფუშფუშა კაბით,
რა მიამიტი ღიმილი მაქვს, ამ უზადო და ერთადერთ დროში,
სადაც ალბათ, არც არსებობს უნდობლობის განზომილება.
ავდივარ ზემოთ,
აქაც ვერაფერს ჩავასწორებ, წინასწარ ვიცი,
რადგან ვიღაცამ მოისურვა და დამხატა უიღბლო ქალად,
ქალად, რომელმაც საკუთარი მარტოობა გამოიგონა
და ყველაფერი შესწირა სიტყვებს,
სიტყვებს, რომლებმაც ცხოვრების მსგავსად
არ იციან ერთგულება და არც დანდობა,
სიტყვებს, რომლებსაც შეუძლიათ
დაგამსხვრიონ ციდან – მიწამდე...
ჰოდა, ასეა,
ვზივარ ახლა და ვშლი ყველა ნდობას
და ყველა სიტყვას,
სიცოცხლის დროში, შეცდომებად რომ გამეპარა.
ჩვენ ხომ, თითქმის, ყველაფრის გა(მო)სწორება შეგვიძლია...
საკუთარი სინდისის გარდა.

* Delete – (ინგლ.) „წაშლა“.

იობი

ჩემი სალამი მოღლილ სახეებს
ნაგრიგალევს და ნაიარქმნილებს,
სალამი ერთგულთ და მოღალატეთ,
ჩემი მოკითხვა, მხდლებსა და გმირებს.
სალამი მასაც, ვინც მოახერხა
და გამოფხიზლდა მრუმე სევდიდან,
იმასაც, ვინაც დამალა სითბო
და ამომგლიჯა გული მკერდიდან.
ჩემი სალამი, დაშვებულ დროშით
ვინც მხოლოდ მტრების ილოცა ნიშზე,
სალამი მასაც, ვინც დროსთან მოკვდა,
და აღმოცენდა საკუთარ შიშზე...
სალამი აზრში დაცემულ სიტყვას,
მხოლოდ სიძულვილს რომ მოიმეტებს...
სულში ტანჯვისგან გადამსხვრეული,
ვდგავარ იობი, ცის მოიმედედ.

მეუღლეს

ღვთის ნებით, მგონი ერთად ვბერდებით,
ცხოვრების ქარი გვისერავს ღაწვებს
და მხრებზე, შენი მკლავების სითბო,
ჩვენს მოგონებებს, გემივით არწევს.
შუადღის პირი მომდგარა კართან,
(დრო იყო, როცა წლებს არ ვითვლიდით)
და იფანტება ახლა დღეები,
ბაბუაწვერას სუსტი ფიფქივით.
მეხვევა ყელზე შენი ღიმილი,
(თითქოს სიცოცხლე, სიკვდილად მმართებს),
ვინახავ სულის სალარნაკეში,
შენგან არასდროს მორთმეულ ვარდებს.
მოვა დრო-ჟამი, დაუნდობელი,
ნაფეხურებს კვლავ აკრიფავს გზიდან...
და ჩვენი სულის ჩუმი ნათელი,
გამოანათებს სხივივით, მზიდან...
შენ ხარ მანძილი მიწიდან – ცამდე,
(მხოლოდ სიტყვით რომ არ ბევრდებოდი)...
არჩევანი რომ მომეცეს ისევ,
მე, მაინც შენთან დავბერდებოდი!

მომილოცეთ, დაბადების დღე!

დღეს, ჩემი დაბადების დღეა. სტუმრებიც მობრძანდით, სხვადასხვა აზრის, გულისა და ასაკის. სანამ საზეიმო ცერემონიალს დავიწყებდეთ, მაქვს პატივი და სურვილიც, გაგიმხილოთ ჩემი ამქვეყნად მოვლინების პატარა ისტორია: მე, დავიბადე ოქტომბრის თვეში და ხარის წელში. დიახ, ოქტომბრის გაცრეცილ მზესა და მოღლილი წვიმის ცივ სირბილეში. სამყაროში გაღვიძებული, სიმარტოვეში ვსწავლობდი იმედს, ერთგულებას, სასოწარკვეთას. დავიბადე და ჩემი ბედი გადმოეკიდა ცას წვიმის წვეთივით, რომელსაც ისე მწყუროდა მაღლა, მაგრამ მიწა – ჩემი ავი დედინაცვალი, მე, მაშორებდა ხელებით ზეცას და სკნელსა და ზესკნელს შორის ობლად გახიდულს, როგორც დაჭრილი ფრინველის ფრთებს, მასავსავებდნენ კოსმიური მძაფრი ქარები. მთელი სიცოცხლე ვეძებდი იმედს და ვკვნესოდი, როგორც მიტოვებული სახლის სიჩუმე... მე, დავიტირე თავი ჩემი, მაშინ, როცა უღვრთოდ დავეცი და მაშინაც, როცა დიადი მადლით, მე, ავმაღლდი საკუთარ თავზე... და ახლა თქვენ, ჩემო უცოდველად მონათლულო სტუმრებო, ასე რომ შეაჩვიეთ ხელები უფალს, ყალბი ჯვრისსახვით +, მომილოცეთ ეს ოხერი დაბადების დღე, ჩამაქრობინეთ ტორტზე ფერადი პარაფინის სანთლები, რათა უჩვეულო სურვილი ჩავიფიქრო, რომ: „არასდროს სამყაროში აღარ მოვიდე!!!“

მომიყევი მარტოობა

...მოდი და მიამბე,

როგორ გადაიტანე ბძოლა სიმარტოვეში, რომელსაც არ ქონდა იმედის არც ერთი ფანჯარა;

მომიყევი,

უმწეოდ დარჩენილი, როგორ ოცნებობდი ყველაფერ იმაზეც კი, რაც შენში არასდროს იწვევდა განსაკუთრებულ ემოციასა და აღფრთოვანებას;

მესაუბრე,

როგორ გენატრებოდი და თან როგორ გეშინოდა საკუთარი თვალების, რომლებიც იცოდი, ოდესმე მაინც გაგთქვამდნენ; მიამბე,

როგორ დაქვავდნენ მომლოდინე, გაშლილი ხელები, ხოლო დაღლილი ძვლები ისე გიჭრიალებდნენ, როგორც ქარბუქში, მიტოვებულ სახლში, შემთხვევითი ღიად დარჩენილი მძიმე კარები;

მომიყევი,

როგორ იქეცი საყოველთაო პრობლემად საკუთარი თავისთვის, რომელსაც არასდროს ჰქონდა გამბედაობა, სიმართლე დაენახა თავისი ძლევამოსილი სისასტიკით;

მესაუბრე,

როგორ თანდათან კვდებოდი საკუთარ თავში... სიცოცხლემდე, რადგან ყოველთვის, დაბადებამდე მთავრდებოდი...

მოდი და მომიყევი მარტოობა!

ირმა ქურასგედიანი

ქარსაც წაუღია წლებიც და სიბერეც

რა მოხდა თუ წლები უეცრად გავიდა
და კარზე სიმშვიდით მოგადგა სიბერე.
ცხოვრებას მე მაინც დავიწყებ თავიდან
და მტრების ჯინაზე სიყვარულს ვუმღერებ.

წლები რას მიქვია არ ნიშნავს არაფერს,
გულში თუ სიცოცხლის ხანძარი ანთია.
კვლავ გადავაგორებ დღეებს ვით კამათელს,
ჩვეული სიგიჟით შევხვდები განთიადს.

გულს ისევ გრიგალით მივსებენ მარტები
და ყოველ გაზაფხულს ოცნების ფერი აქვს.
ცეცხლად ინთებიან ბაღებში ატმები
და ახალ სიცოცხლეს კვირტებად ელიან.

თუ მაინც სიხარულს არა აქვს საზღვარი,
გულის კარს მერცხლები იმედით მიღებენ.
კვლავაც თუ გრძელდება ეს ჩემი ზღაპარი,
ქარსაც წაუღია წლებიც და სიბერეც.

დაბრუნდი დათა

ისევ აირია საყდარი,
შუღლი არ ასვენებთ ძმათა.
კაცი გამკითხავი სად არის,
გეძებ, არა სჩანხარ დათა.

იმედს ვეურჩები ფიქრიანს,
სანთლად აელვებულ ხმათა.
მიწას ისე ურცხვად ყიდიან
ბრალსაც აქეთ გვდებენ დათა.

ცხვრის ტყავი მოირგო ვინაც კი,
ვიცოდით მგელია მართლა.
წესია ბუნაგის ბინადრის,
გაწირვა, მირთმევა სხვათა

და ასე, ნელ-ნელა სასწორზე,
სამშობლოს სინდისი დადგა.
არავის შერჩება გახსოვდეთ,
ცრემლები ღვთისმშობლის თვალთა.

ღმერთი არ გაწირავს კურთხეულს,
ხმები შევაშველოთ ხმათა.
ერი დარაჯს ელის ღირსეულს,
სადა ხარ, დაბრუნდი დათა!

ვიდრე შენ მიღებ კარებს

დედას

როდის მოხვალო მკითხე,
პასუხი არ მაქვს ვხვდები,
აქ უშენობას ვითმენ,
იქ უჩემობით დნები.

მზერა აკვდება შარას,
ესეც ყოფილა ბედი,
გზას მოლოდინი ზარავს,
ნატვრას აყოლილ დედის.

მოვალ უთუოდ მალე,
ყველაფერს ვეტყვი უარს,
ვიცი გამიღებ კარებს,
ასე იშვიათ სტუმარს.

ბუხარს აავსებს სითბო,
სული მითბება დაღლილს
და კერას ძმურად ვიყოფთ,
მე და ბებერი ძაღლი.

უფრო ერთგული ჩემზე,
სულით ხორცამდე ჩვენი,

დედის იმედის ერთა,
შეუდარებლად წრფელი.

დატრიალდება დედა,
აჩქარებია სუნთქვა
და კუთხე-კუნჭულ ეძებს,
ჩემთვის შენახულ ნუგბარს.

მოვალ უთუოდ დედი,
რა გამაჩერებს გარეთ.
ვიდრე შენ სახლში მხვდები,
ვიდრე შენ მიღებ კარებს.

გახსოვს?

ქარმა მოხვეტა ქალაქის ჭორი
და დააგროვა ამბის გორებად.
შენ ჩემთვის ახლა ისედაც შორი,
მექეცი ფიქრად და მოგონებად.

დგება ზამთარი სევდის ფერებით,
თავს სინანული მატყდება ურჩად.
ფოთლებით ვეღარ მოგეფერები
ჭადრებს შიშველი მუხლები უჩანთ.

ნატვრად მექცევა მზე ოქროსფერი,
რაც იყო ალბათ ვფიქრობ რომ ღირდა.
ქარი სევდიან სონეტებს მღერის,
გახსოვს? – იმ დილას რა თბილად წვიმდა.

სიყვარული გვაკლია

თვით არ ვიცი რა გვაწუხებს,
რა იარა რა ტყვია.
მგონია რომ ყველაფერში,
სიყვარული გვაკლია.

ეხეთქება წუთი დღეებს,
ყინულიან ზამთრიანს,
გაზაფხულის მოლოდინში,
სული ყელში გაგვჩრია.

ვინ მოირგოს ვაჟკაცობის
და სიმართლის მანტია.

მგონია რომ სამართალი
ქვეყანაზე არც კია.

ვერ გაიგებ ქვეყნის ბედი,
გულზე რომელს ატყვია.
სახეს ნიღბად აფარებენ,
ქცევას ყალბს და საქმიანს.

თავში ვიხლი ნეტავ რისთვის,
რომელიმე პარტიას,
თუკი ვიცი რომ მას ქვეყნის,
სიყვარული აკლია.

მომკალით და ვერ ვირწმუნებ,
კაცს ლაჩარს და ლაქიას.
როცა ვიცი მას შარვალი,
ზრდილობისთვის აცვია.

გადარჩენის მოლოდინი,
მგონია რომ ფარსია.
რადგან ყველას მხოლოდ ერთი,
სიყვარული გვაკლია.

დამხატე მხატვარო

დამხატე მხატვარო, გახლავარ თანახმა,
საახეზე სიმშვიდე ჩვეული ხერხია.
ზაფხულის ფერები ისედაც გადახმა,
ქვეყანას აჩვენე თოვლი რომ მეწვია.

ოღონდაც გაფიცებ სულში ნუ ჩამხედავ,
იქ სულ სხვა გრიგალი და ფერთა ხვატია.
იქ წლები ჩვეული ხმაურით გახევდა,
იქ ჩემი ჭრელი და თავნება მარტია.

გაშალე აფრები, აწ ნება შენია,
ვით გსურდეს იმგვარი ფერებით დამხატე.
ჩემი სევდიანი დღეები მღერიან,
იციან თუ როგორ მოვედი აქამდე.

დამხატე! – რომ ვითომ სიმშვიდით ვიწვები,
რომ ჩემი წარსული სანატრელ მზეს გავდა,
რომ სულაც არ იყო მაცდური ფიქრები,
რომ თავდავიწყებით სულაც არ მიყვარდა.

ფერი იცვალე საქართველო

ფერი იცვალე საქართველო, გახდი სხვაგვარი,
ინათე მზეო, გამიბრწყინე ჩემი მთა-ბარი.

დაამხე ყველა სიბნელე თუ ავი ზრახვანი,
აავსე რწმენით, სიყვარულით უფლის ტაძარი.

კვლავ დააბრუნე ჩემს მამულში ძველი დიდება,
ქართველისათვის სხვა განცდაა კაცის ღირსება.

მიწა ქართული ღვთისაა და არ იყიდება.
ღვთისმშობლის თვალი დარდისაგან ცრემლით
ივსება.

ბოლოს და ბოლოს,უღმერთობას მოეღოს ბოლო,
ქართველო! – შენ ხარ შენი მიწის პატრონი
მხოლოდ.

ფერი იცვალე, ამიხდინე ოცნება დიდი,
ყველა გზა, მხოლოდ სიყვარულით, ტაძრისკენ
მიდის.

გეძებ

დაგეძებ ყველგან, მიწაზე, ცაში,
ამორძალი ვარ მოკვეთილ მკერდით.
ნათელში, ბნელში, წვიმაში, ქარში,
შეუცნობელი სურვილით გეტრფი.

ხარ ჩემი სუნთქვის განკითხვის ჟამი,
ცისკარი, ბნელს რომ აუხელს თვალებს.
დაგეძებ... შენ ხარ იმედის ბწკარი,
წამლად რომ შველი სულს ნაიარებს.

სიყვარულია ამბობენ ღმერთი,
ჭეშმარიტების ხილული განცდა.
ვიქეცი ფერფლად, სათქმელი ვერ ვთქვი,
ამაოება სამყაროს გასცდა.

ვარ წუთისოფლით შეშლილი ევა,
უფალმა იცის ვინა ხარ, რა ხარ.
შიშველი სულით მე შენს წინ ვდგევარ
და ვყვირი ღმერთო მიყვარხარ, მწამხარ.

წამო

წამო დავტოვოთ ქალაქი ერთად,
წავიდეთ სადმე უსიერ მთებში.
მე შენ გაგიმხელ რაც უნდა მეთქვა,
რომ მიყვარდი და ვერასდროს ვერ ვთქვი.

მოვნახოთ სადმე პაწია ჩერო,
გითხრა რაც გულში ვერ დამეტია,
მე ჩემს ფიქრებზე გიამბობ ჩემო,
რომ შენი სუნთქვა ჩემი ღმერთია.

წამოდი, ერთად სამყაროს გავცდეთ,
ამქვეყნიური დავტოვოთ ყოფა.
წამოდი... ისევ ბავშვებად დავრჩეთ,
ჩემი რომ გერქვას ისიც მეყოფა.

წამო... იქ სადაც სამყარო ვრცელი,
ცისა და მიწის უხმო ფიცია.
მითხარ სიცოცხლე რომ მომიძღვენი,
რომ უჩემობა არ შეგიძლია.

შენ

შენ ჩემი შემოდგომა ხარ,
ზამთარსაც შენთან ვაპირებ,
ხან სულის ამოხდომა ხარ,
ხანაც მამსგავსებ აპრილებს.

მაინც მოვარღვევთ ბილიკებს,
საგზლად ვიხმიეთ მცირედი,
მე პეშვით სხივებს გირიგებ,
შენ დარდი დაგაქვს შვილების.

მე მიწას ფეხს არ ვაკარებ,
შენ საჩვენოდ დგამ ნაბიჯებს,
ხან ქარბორბალას მადარებ,
ფიქრობ რომ ქარი წამიღებს.

მუზები შემომესია
საშემოდგომო განცდების,
მჯერა მიშველის მესია
ამ მიწას როცა გავცდები.

ჯერ სააქაო ამინდის,
მაოცებს ნაირგვარობა.
ხვალ რა იქნება არ ვიცი,
ხვალის ხვალემ ქნას წყალობა.

პირველი თოვლი ჩემს სოფელში

აქ რომ ჩანს, ეს ჩემი სახლია,
პირველი ფიფქებით ნაფერი.
კარგია დედა რომ სახლშია,
არ აფრთხობს თოვლი და ნამქერი.

ბუხარში ცეცხლია რომ ყვავის,
ძაღლი ყეფს ყველაზე ერთგული.
ჭიშკართან ბოჩოლა მომბღავის
და მკერდში ვერა ძლებს ეს გული.

მიხმობს და მეძახის კერია,
კვლავ ძველი ოცნებით ვირთვები.
ჩემს ოდაბადეში მელიან,
ბარიდან გამექცა ფიქრები.

მეცოდები საქართველო

მეცოდები საქართველო
ასეთი რა დააშავე,
რომ ვერ ამოისუნთქე და
ყოველთვის ხარ დამნაშავე.

მეცოდები ჩემო გულო,
რომ ვერასდროს დაგაწყნარე,
მიწავ ჩემო თაიგულო
მერამდენედ გაგაწამეს.

რა იქნება ერთხელ მაინც,
მზე ჩვენს ცაზეც რომ მზეობდეს,
პატივაყრილ ჩემს მამულში,
ვიღაც უცხო არ ძეობდეს.

საშველი რომ აღარ გაჩნდა,
სული როგორ გავამთელო,
ღმერთო ცოდვა შეგვინდე და
შენ უშველე საქართველოს.

საახალწლო დალოცვა

სვანურად

ხოჩა ზასუ ლახაგენა,
გუშკვე დეცი გუშკვე გიმარ,
ხვაი ხოჩა ლეთი ლადეღ,
სკვებდ ლიზიუ ახობინა.

მუჭხის ხოჩა ჭიშხუ ხუა,
ზაიმახე ჩიისუ ჯემზირხ,
მაგსუ შუდებდ ჯიზელალახ,
ქორს მერდეს ი ჯოდიად მეზის.

ხოშა ღერბეთ მაშედუ ჯარხ,
ხვაი კალანდავ აჯიენახ.
ლმზირევ ჯარხ ისკვე ქორვალ,
კვამ ნოსაუ აჯდეგენახ.

საახალწლო დალოცვა

ქართულად

მრავალ ახალს დასწრებოდეს,
ჩვენი ცა და ჩვენი მიწა.
ბევრი კარგი დღე და ღამე,
წინსვლის იყოს დასაწყისად.

მეკვლის კარგი ფეხი ახლდეს,
საახალწლო ლოცვას ულევს.
დაგილოცავთ თქვენიანებს,
სახლში მყოფთ თუ შორს წასულებს.

დიდი ღმერთი შეგწეოდეთ,
ახალი წლის მადლი გქონდეთ.
და გისურვებთ თქვენს თბილ ოდებს,
კვამლი აღარ ჩაქრობოდეთ.



მერაბ კვიცარიძე

ლადო ასათიანს

გუშინ ლადო ასათიანი დამესიზმრა და...

დამაგვიანდა შენზე სიტყვის თქმა
ამ სტრიქონებსაც სიმწრით ვახერხებ,
რა დაგიშავე ლადო ასეთი
სიზმრად ლექსებით რომ გამახელე.
აბასთუმანში შენი პალატა
უკვე ვერ იტევს ამდენ მნახველებს,
შენ კი დერეფნის ბოლოს დგახარ და
დგახარ და მარტო რითმებს ახველებ!

28.11.2016

მამაჩემი

ბავშვობის სურათები თავიდან დავალაგე,
რაღაც სხვანაირად მეტკინა ანაცერი,
ნუ გეშინიაო ხმა რომ შემომესმა,
ათასში გავარჩიე, ეს იყო მამაჩემი.
მერე მოვიყვანე ერთი თეთრი გოგო,
და რომ წარვუდგინე ჩემი ანარჩევი,
ჩემ შვილს თუ კი მოსწონს,
მეც ხომ იმ აზრის ვარ,
თავისთვის იღიმოდა კუთხეში მამაჩემი.
სათამაშოებიც გადმოვალაგე და
აგერ თოჯინებიც, ჩემი დის ანაჩემი.
ყოველთვის გვერდით მედგა,
ყოველთვის მამხნევებდა,
ყოველთვის მამაგრებდა,
გულწრფელად მამაჩემი.
სახლებიც ბერდებიან,
ქუჩებიც ბერდებიან,
ბერდება, რა თქმა უნდა,
რაც დარჩა დანარჩენიც.
ბავშვობის კარუსელთან,
ცხოვრების მოსახვევში,
თავიდან იწერება ახალი განაჩენი.
ბავშვობის სურათები თავიდან დავალაგე,
რაღაც სხვანაირად მეტკინა ანაცერი,
ქუჩაში პაემანზე დედაჩემს ელოდება,
ბეჭებში მოხრილი ჩემი ხნის მამაჩემი.

22.01.2019

მთვრალი მეტაფორები

გავხსენი პლისე და დავრჩი შენთან
და ჩამეძინა დილისთვის დაღლილს
მერე მზის სხივი უცებ ჩამესმა
მოუზომავი მთქნარება არღნის
ავდექი სწრაფად, სახელდახელოს
თან შეგიკარი კაბა ზონრებით
წამოვედი და ხიდზე მათხოვარს
ვაჩუქე მთვრალი მეტაფორები.

ქეთინოს

როცა დაღლილი მოვდივარ სახლში,
და სანადიროდ მიმზადებ საგზალს,
შენი ბრალია ხანდახან ჩემო,
ახალ მოდაზე რომ მიწევს ჩაცმა.
ხანდახან ლექსით გიშლი დალალებს,
სადღეგრძელოებს ისმენ მოთმენით,
ფეხაკრეფით რომ შემოვალ ჩუმად
მთვრალეულივით გეტყვი – მოვედი,
ხან ღამენათევ წიგნებს გიყვები,
დილით თვალები გევსება ისევ,
ო, რა ტკბილია შეხება შენი
უკიდეგანო რისხვების სივრცე.
მიძღებ თამადას, ექიმს და პოეტს,
შენი არჩივი ეს არის კარგო,
ასი წლის მერე როცა მე წავალ

და შენ დარჩები ფიქრებთან მარტო,
იცოდე შენს თავს არ უთხრა ჩემო,
ეს ყველაფერი ასეა რატომ,
მადლობა უფალს რომ მიძლებ ასეთს
და შენთან ერთად ერთ სახლში ვსახლობ.

დედას

ასე მგონია, მარჯვენა მომჭრეს,
ანდა არტახში ისევ გამკოჭეს,
მოვრბივარ, შენსკენ ღონემიხდილი
და ახლა შუბლზე გითვლი ნაოჭებს.

ამ დროს უეცრად მახურავ საბანს
ან მარტო ვიპყრობ ახალ სიმაღლეს,
მივდივარ მაგრამ არავინ იცის,
ცაზე ვარსკვლავებს როდის მივაგნებ.

მერე მთვარესთან ალავერდს შევსვამ
და თბილ ბუხართან მარტო დავთბები,
მერე დაგითბობ საყვარელ თითებს
და შენთან ერთად მარტო დავთვრები.

შენ იცი მარტო, ძვირფასო დედა,
ეს ჩემი ლექსიც ალბათ გაოცებს,
ნუ გეშინია, მეც მალე მოვალ,
მეც დამითვლიან შუბლზე ნაოჭებს.

კახა მაღლაკელიძეს

ცრემლები მახრჩობს, რითმა არ მყოფნის
არ მეწერება შენზე ლექსები,
ჩემი ბავშვობის ტკბილო ოცნებავ,
შენს ძმობას ვერვის დავესესხები.
ჩამოურიგე გული სუყველას,
არ გეყო ბოლოს გულის ფიცარი,
წინა აღდგომას სიცილით როგორ
შემომაჩეჩე კვერცხი ციცარის.
სასაფლაოზე წამოსვლა მინდა,
როცა ხშირდება ჩვენში წვიმები,
გუშინ სიზმარში ერთად ტიროდნენ,
ბუხართან მჯდარი შენი შვილები.
წყალტუბოს გზაზე ფოთლებს დილიდან
მიაცილებდნენ ქვენა ქარები,
რომ მოიტანონ საიქიოდან
ბაღის კიდეზე დანაბარები.
ვფიქრობ და მართლა ასე მგონია,
რა გავიხსენო, ანდა რომელი,
გაჩერებაზე გიცდის არ მიდის
ჭომისკენ, ძმაო, ექვსი ნომერი.
ყველა კარები გქონდა სულ ღია,
მაგრამ დაკეტე გულის სარქველი;
უნდა გენახა ალბათ სუხია,
რომ მისთვის გეთქვა ბოლო სათქმელი.
გულგაგლეჯილი წევხარ ვერხვებთან,
თითქოს ტკივილიც წარსულს ჩაბარდა,
შენი სიცოცხლე იყო დიდგორი,
შენი სიკვდილი არის მარაბდა!

18 აპრილი 2015

ცისარტყელა

ფოთლებზე სიცხე გაწოლილიყო
ცაში ეკიდა წვიმა მძივებით,
მთვარე ტიროდა ღრუბლებთან სატრფოს
მზეს დავარცხნილი ჰქონდა სხივები.

5 იანვარი 2016 წელი

* * *

გიჟივით მომნატრებიხარ,
უკვე ზამთარიც მოვიდა,
შენ ერთი დამრჩი ძვირფასო
ამხელა შემოდგომიდან.

* * *

კორონა ვირსუსს ებრძვის მსოფლიო,
მზადა ვარ ვიყო ყველას მაშველად,
თქვენ დარჩით სახლში, მე მოვალ თქვენთან,
თქვენი სიცოცხლის გადასარჩენად.

* * *

შენთვის ვყვირი, ჩემთვის ვამბობ
მე მგონია სხვაგვარად არ გამიგებ,
დარჩი სახლში, გევედრები დარჩი სახლში
შენს სიცოცხლეს გაფიცებ.

თამარ მამისეიშვილი

ძახილი მთების

უკანასკნელი მიიწურა ღამე აპრილის,
მივდივარ, ქალავ, ვეღარ შევძლებ ბარში დარჩენას,
ჩემს ჭერხოს კედლებს ემატება ბზარები ალბათ,
აწვიმს კოშკებს და ქავის კარზე ქისტის მარჯვენას.
მანდ ალბათ ქარმა, შარიანმა, გულცივმა მწყემსმა,
ხევს გადმორეკა ბატკნებივით თეთრი ღრუბლები,
ეს მერამდენედ მსაყვედურობს შორიდან დედა,
რომ მიმიჩვია ქალაქმა და აღარ ვბრუნდები.
ალბათ სწორფერსაც დავავიწყდი ცხრანაწნავიანს,
დავეხეტები ეულად და ჯავრით ვიშლები,
ვინ იცის ახლა, ჩემს ჭერხოში, როგორც დევები,
სხედან, ან ზეცას უმღერიან მთვრალი შინშნები.
დაღლილ კაცივით ჩაიმუხლებს არხოტის მთვარე,
დარაჯობს ბნელში წინაპართა მდუმარ საძვალეს,
კვლავ ყურს უგდებენ ხეობები არღუნის ხმაურს
და ქარაფებში შფოთიანი ქარი ხარხარებს.
დავდივარ, ისევ გულს მიღადრავს ძახილი მთების
და ვიცი უკვე ვეღარ შევძლებ ბარში დარჩენას,
ჩემს ჭერხოს კედლებს ემატება ბზარები ალბათ,
აწვიმს კოშკებს და ქავის კარზე ქისტის მარჯვენას.

ბალახი

შეგიმჩნევიათ სულ პაწია, ციცქნა ბალახი,
ზოგჯერ უცნაურ შფოთვითა და ხანაც
გულმშვიდად,
ჩვილი ბავშვივით თვალს უსწორებს მზეს და
სინათლეს
და შეუპოვრად მოიწევა მიწის პეშვიდან.
ხან მოცელილი, ჩამოშლილი მტვრად და
ნამცეცად,
სიცოცხლის ჟინით იბადება ისევ თავიდან,
ხშირად უხეში, ტლანქი ძალით მიწას გაკრული
და გათელილი ისევ დგება ნატერფალიდან.
უხმოდ მოცოცავს წვიმებისგან ტანდაცვარული
და არ აშინებს გაკერპებულს ბედთან ჭიდილი,
ამ ბალახივით ამტანი და გასაოცარი,
მარგუნე ღმერთო სიცოცხლე და მერე სიკვდილი.

ბოლო დროს ხშირად ვსაუბრობ ღმერთთან

ბოლო დროს ხშირად ვსაუბრობ ღმერთთან,
ვერ გამიგია ხომ არ ვბერდები?
გადავიწყებულ ქუჩებში დავალ,
შემომეჩვია სენტიმენტები.
მიკვირს უმეცარ და ბრიყვი კაცის,
რომელიც ხშირად სხვის ომში იბრძვის,
მიკვირს ხის ძირას დავარდნილ ბარტყებს
გვერდს რად უვლიან ასეთი ზიზღით?
მანგრევს ღალატი და შეთქმულება,
როდესაც მიწა ფეხქვეშ გეცლება,
ქუჩაში ცალყბად თქმული „როგორ ხარ,
შემომიარე, როცა გეცლება“.
მძულს ფარისევლურ წკრიალი ვერცხლის,
მძაგს სინანული ძალიან გვიან,
შეგინებული, მართალი სიტყვა,
უმისამართოდ ქცეული ტყვია.
სწორედ ამიტომ ვსაუბრობ ღმერთთან
და სიმარტოვეს ასე ვეჩვევი,
გადავიწყებულ ქუჩებში დავალ,
შემომეჩვია სენტიმენტები.

მიტოვებული სახლების სევდა

უცებ დატოვეს პატარა სახლი
და უბოდიშოდ წავიდნენ ერთად,
ცივ ოთახებში დასახლდა ქარი,
კარებს ურდულად წუხილი შერჩა.
კიბეზე მჯდარი დეკემბრის მთვარე

დუმდა, სამძიმარს იღებდა თითქოს,
ქარი, ამ სახლის თავხედი მდგმური,
ადრე ზედმეტი სტუმარი იყო.
ხარბი თვალივით ზვერავდა ირგვლივ,
არ ადარდებდა ქარსაც სრულებით,
რომ ვიოლინოს მტვრიან სიმებზე,
ბზინავდნენ ბავშვის ნათითურები.
გარბოდნენ გზები ხვატსა და თოვლში,
დროს ბარდებოდა პატარა სახლი
და შეუმჩნევლად მიჰქონდათ ქარებს,
მისი იმედი საშველის ნახვის.
ძველ აივანზე დატოვეს ბუდე,
ვეღარ გაუძლეს მერცხლებმა ღალატს
და ჩამსხვრეული სარკმლები ქარში,
გადასცქეროდნენ საყვარელ ქალაქს.
ერთ დღეს დატოვეს პატარა სახლი
და უბოდიშოდ წავიდნენ ერთად,
ცივ ოთახებში დასახლდა ქარი,
კარებს ურდულად წუხილი შერჩა.

კვლავ თავბრუს მახვევს აპრილის სუნთქვა

მზემ დაიმუხლა ქართლის მინდვრებზე,
არაგვის პირას ყვავილს რა დალევს,
ამ მღელვარებას გრძნობებს კი არა,
აპრილის მოსვლას გადავაბრალებ.
ჩიტს უცნაური ამბავი მოაქვს,
ველებზე ლურჯად წვება ღიღილო
და რაც ჩემს თვალებს გადაავიწყდათ
გულს კვლავ სწყურია ისევ იხილოს.
და თავბრუს მახვევს აპრილის სუნთქვა,
გეძახი, გეძებ ქცეულს ოცნებად,
მკვდრეთით აღმდგარი ყივჩაღის მსგავსად,
იმ სიყვარულის გასაცოცხლებლად.

ზამთარი დამრჩა გადასატანი

ერთ დღეს ჩავიცვამ ყაყაჩოს კაბას,
როგორც ვიცვამდი დიდი ხნის წინათ,
როცა კვირტები ფეთქავენ მზეზე,
ჩიტებს ჩამოაქვთ სიმშვიდე ციდან.
და გადაჩვეულ ღიმილს და ხალისს,
დამიბრუნებენ დღეები ნელა,
ამ უცნაური ცვლილების მიზეზს,
ერთბაშად უცებ მიხვდება ყველა.
ჯერ კი დეკემბერს გადააქვს ისევ,
ქალაქში თოვლი ნაზად და ფრთხილად,
ქუჩაში ტაძრის ხმიანობს ზარი,
დათოვლილ ტოტზე ბეღურებს სძინავთ.
სველ კიბეებთან მდარაჯობს ქარი,
ამ მოლოდინის სევდით ატანილს,
სანამ ყაყაჩოს ჩავიცვამ კაბას,
ზამთარი დამრჩა გადასატანი.

ციხის გოდება

როცა წინაპრის ნაკვალევს ვეძებ,
ამ ხავსმოდებულ, ბებერ ლოდებთან,
მგონია ხანჯლით დამიჭრის სხეულს,
მიტოვებული ციხის გოდება.
ცრემლებთან ერთად სწყდება ქონგურებს,
სამდურავი და საყვედურები,
მიმწუხრის ბინდში სევდიან თვალით,
იყურებიან სათოფურები.
ჩაადუღაბა კედლებში ჟამმა,
ქართლის ცხოვრების ყველა სტრიქონი,
გადააქცია მარადისობად,
მატიანე და ქორონიკონი.
ქარი სევდიან სიმღერას მღერის,
ამ ხავსმოდებულ, ბებერ ლოდებთან,
მერე შორს მიაქვს მიტოვებული
და დანგრეული ციხის გოდება.

მეყვავილე

ქუჩის კუთხეში ზის მეყვავილე,
კვლავ სხვათა ბედის ითვლის თარიღებს,
მთელი საღამო ფერად ყვავილებს,
არჩევს და ისევ სხვისთვის არიგებს.
სულ ბოლო კონას გადადებს გვრედზე,
სითბო ეღვრება დაქანცულს ხმაში
და შროშანები ღიმილით მიაქვს
მოხუცს ცოლისთვის ყოველდღე სახლში.
მიაქვს სიფრთხილით და მღელვარებით,
ვით პირველ გრძნობის ჩუმად განდობა
და უბრუნდება ხელახლა თითქოს,
აწ გაფრენილი ახალგაზრდობა.

ეკა აბუთიძე

* * *

არ ჩაუვლია ცხოვრებას უქმად,
თუმც უკვდავების არ მასვა წყალი,
იმედი მქონდა მომავლის ლუკმად
და ვფრთხიალებდი როგორც მერცხალი...

მარადისობას ფქვავს ნამცეცებად,
დრო, დღე და ღამის მუნჯი მშობელი,
როცა დაიწყებს ხელის ცეცებას,
უმანკო მზერით, დაუნდობელი...

* * *

ცხოვრება...
ვისთვის იებით სავსე ბილიკი,
ბედნიერებით სავსე სავანე,
ვისთვის უსხივო, ცივი დილეგი,
უბედურებით ჩუმი სამარე...

* * *

მე ოდა მაქვს დაბალ ღობით,
ვარ უძლური შენთვის ვინმე,
ცრემლი მომდის ღაპა-ღუპით,
ეს ვედრება შეისმინე....
ვარ სასახლის არამქონე,
ღამის ჩრდილში მარტოდ მდგომი,
განწირულს ხმა გამაგონე,
მკლავს მშვიდობის მარად ომი...
სულს მიწამებს შენი ჩხუბი,
ამსხვრევ დროის ფერად მინებს,
ცრემლი მომდის ღაპა-ღუპით,
ჩემი დარდიც შეისმინე...
მოკაშკაშე შენს ბაღნართან,
ვარსკვლავები ერთურთს ცვლიან,
სადაც სული დამიწყნარდა
ჩრდილად ყოფნა შემიძლია...
სიზმარს ისე ცხადად ვენდე
შევიშალო ლამის ვგონებ,
თუ ოდესმე გაგახსენდე,
დამიძახე, გაგაგონებ...

* * *

არ ვკამათობ ყოფასთან,
ამინდები ირევა,
მიჭირს უშენობასთან
ფიქრის დაკავშირება...
მთვარე გაწვა ღობესთან,
ღამეს უმზერს ირიბად,
მაინც რომ არ მომბეზრდა,
აზრის გადაბირება...
სიზმარში კი ცხოვრების
არის სხვა დაპირება...
არ ვკამათობ ყოფასთან,
ცამ შეიკრა კოპები,
ცხადში ვეღარ მოთავსდა,
ომი და მშვიდობები!

* * *

სალამი, პასუხს აგვიანდება,
გარეთ თარეშობს ქარი, რას შვრები?
ნახე, სევდიან მზერას ანთებენ
შენს მოლოდინში გარიჟრაჟები...
ამ უსინათლო თვალში მიყურე,
მკლავს უსასრულო ბედთან ჩხუბები,
სამოთხის კარი რად მომიხურე?
ჯოჯოხეთში ხომ დავიღუპები...
დღეს სულერთია რაა მიზანი,
ტკივილებს სულში რატომ ვერ ვიტევ,
სიზმრად ვარ შენი სულის ხიზანი,
და ჩემი ბედიც შენ გადაწყვიტე...
ლექსები არის აკვიატება?

და ჩვენი გზები ერთურთს არ კვეთავს?
სიხარულს მოსვლა აგვიანდება,
როცა კარს ამტვრევს სასოწარკვეთა...
შენ მწუხარება იგრძენი ჩემში,
რადგან სიამის ჩვენ ვართ ტყუპები,
წამით მოსული ამ სინორჩეში,
მარადიულად დავიღუპები...
არ მინდა ბედთან მწარე კამათი,
თვალებმა მზერა სულში ჩამალა,
დღეს შენს სიზმრებში ღამეს გავათევ,
გულს არ მინკურნავს მე სხვა წამალი...
მსურს უსინათლო თვალში მიყურო,
ნახო უფრთებო ცრემლის ჩიტები,
სიზმრის კარები არ მომიხურო,
გამეყინება თოვლში თითები...
ავდარი მუდამ ქრება დარებით,
ისმის ხმაური ღამის ქალამნის,
და ფიქრში მაინც გემუდარები,
მიიღო ჩემი წრფელი სალამი...

* * *

ღამე ჩამოწვა კვლავ შემზარავი,
და მიეძალა ფიქრები თრობას,
ქვეყნად შენს გარდა არ მწამს არავინ,
ბედი უცნაურ როლით ერთობა...
ან გასაკვირი რაა ამაში,
დროს ჩემი გრძნობის არა აქვს ხათრი,
კალენდარული წლების თამაშით,
მიხმობს ცხოვრების დიდი თეატრი...

* * *

ცივ ზამთარივით წამართმევ ძალებს,
რომ ძველებურად ცრემლები ვღვარო,
შენ უთქმელ ფიქრში უკვე დამკრძალე,
მაგრამ თავიდან მსურს შეგიყვარო...
შავი ფიფქები მეყრება სულში,
ჩემი სიკვდილი გინდა მახარო,
სიზმრად შენს გზაზე ბრმად სიარულში
ცხადად ვიხილე მთელი სამყარო...
სევდა ვატარე გულით ობოლი,
და ცოდვიანი ვფეთქავდი ევა,
თოვლის კაბაში გამოწყობილი
ნახე, შენს ბაღში რა ჩუმად ვწევარ...
დავემშვიდობე მე ყველა მათგანს,
გონებას შენზე ფიქრში რაც უყვარს,
რადგან ვერ ამჩნევ, ფეხს ისე ადგამ
სიზმრად ნაჩუქარ წუთებს სანუკვარს,
შემომესია სულში ბინდები,
უკანასკნელად მართმევენ ძალებს,
მზის საყდარში რომ შემოვფრინდები,
ჩემი სხეული თოვლში დაკრძალე...

* * *

მესიზმრებოდი ღამე გუშინაც,
ცაზე უკრავდნენ ღრუბლის რექვიებს,
მერე ძლიერად წამოუშინა
წვიმამ და ცხადში გამოვერკვიე...
კვლავ იშლებოდა სულის ფიქალი,
თვალს აწყდებოდა ცრემლების ტბორი,
ტუჩზე მომვარდა, როგორც გრიგალი
ბრმად განწირული შენი ამბორი...

* * *

მომაგონდება როცა ცამეტი,
დრო გონებიდან შლის სხვა თარიღებს...
მერე ვით მშვიდი ცა მოწამეთის,
ტკივილით გიმზერ და ხმას არ ვიღებ...

* * *

თვალებში ცრემლებს ვმალავდი დღემდე,
და არ მინდოდა გრძნობის გამხელა
რადგან არასდროს ამ წვიმის შემდეგ,
არ მომახვევდი თავს ცისარტყელას...
არ შეგაწუხებ, მე შორს ვიქნები,
სულში მინთია რწმენის ლამპარი,
მერე სიჩუმედ გარდავიქმნები,
შენში წვიმებად შემონაპარი...

* * *

ზამთარი მოვა თეთრი კარეტით,
ცამ ჩამოაწყო ღრუბლის თოფები,
შენ კართან დგახარ კვლავ სიგარეტით,
და ძველებურად გემშვიდობები...
შენზე სიზმრები მიმაქვს ულევი,
სულის ტკივილებს უჩუმრად ვიტან,
რადგან ამ ქვეყნად შენ მეგულები,
სამყაროს მიღმაც ვიქნები მშვიდად...

მა ‘რბაცუ

ობოლ ფოთოლივით სველ ტოტზე ვბარბაცებ,
ფიქრებმაც საღამო მოისხეს აქატის
წყდება ლაჟვარდებში დღეს ჩვენი რაგადი,
არ გენატრები? ნუ მოხვალ, მა ‘რბაცუ!
ღამე ეხეტება სარკმელთან თარნაკი,
ფიქრები გონებას აწყდება ურიცხვი,
ზეცამ ვაშლის ტოტზე ჩამოდგა ლარნაკი,
ისე კაშკაშებდა ის ერთი მურიცხი...
ნუ მიშემოდგომებ, ნუ მიგაზაფხულებ,
ასე განწირული წამიღოს ქარმაც რომ,
ზამთრის გაფითრებულ წამწამს ვაფახულებ
მოვკვდე მირჩევნია, ნუ მოხვალ, მა ‘რბაცუ!

* * *

სულის წუხილი ზიდეს თვალებმა
დუმილით გითხრეს სულის კივილი,
ბედნიერება არის ტკივილი,
უშენობა კი გარდაცვალება.

* * *

სულ სხვადასხვაა ჩვენი განცდები,
ვხვდები უთქმელად და საუბარში
ერთ დროს ნაცნობი პატარა ბავშვი,
ახლა უცნობად როგორ კაცდები...

* * *

ცხოვრება რა მწარე შარბათია,
და მაინც რა ტკბილად ვეტანები
დღეს ისევ უშენო შაბათია,
ამ მტანჯველ განაჩენს ვერ დავნებდი...
კვირაა საოცრად ნისლიანი,
თითქოს ბრმა პოეტის ბარათია,
წამი თვალში ჩაკვდა სისხლიანი,
განცდით შენს ფიქრში რომ მარადია...
ციდან ჩამოაბნევს სავსე მთვარე
ღამით ბრილიანტებს კარატიანს,
სიზმრად შორ გზაზე რომ დამედარე,
ზამთრის თეთრ ქათქათა ხალათიანს,
ახლა ეს სიჩუმე ამ ნეტარი
წამის სიკვდილამდე ღალატია...

* * *

დამსხვრეულ მინებს ვუმზერ ოთახში,
და დედის ტკივილს ცრემლი ჩამოსდის,
თითქოს ბავშვობის ლურჯი ცა დახშეს,
და სამყაროშიც ვეღარ მოვთავსდი...
ძირს დახეული სკოლის წიგნები,
ფეხმოტეხილი გარეთ თოჯინა,
ბავშვობა მყუდრო სახლის მიგნების
უიმედობას დაემორჩილა...
ყოფიერების არ მესმის არსი,
სიმართლის ზეიმს, კვლავ ახშობს ფარსი...
ამოუცნობი ბოროტი ძალა,
მეფობს და სახლში ბავშვობას კრძალავს...
და საუბარი არვისთან არ ღირს?
სიძულვილს სუნი აუდის არყის
ეს კაცი იყო ქვეყნად უცნობი
მამა და უფრო სასტიკი ქმარი...
ცრემლით ვათენე მზის მოლოდინში,
თავს მეცემოდა ღამე მეხივით,
და მერე დიდხანს, რკინის ლოგინში,
ვიწექ ბავშვობის ფრთებმოტეხილი...



ბექა ქეგუღაძე

შემოდგომის ფრაგმენტები

სიმართლეა, შევცოდე თუ მომიგონეს,
გევედრები მიმანიშნე უფალო!
ვერ იქნება სიძულვილის პოლიგონი,
სიყვარული – ალალი და უბრალო.

გასარჩევო საღრუბლოდ თუ სანისლებოდ,
ხელებზეცადაპყრობილი ლოცულობ.
სადაფისფრად შეფერილო დაისებო,
შუაღამის ბურუსივით მოცულო.

ქუსლავს ქუსლებდახეთქილი ტირანია,
ღადრავს კერა პირდაღრენილ ამინდებს.
მითხარი, რომ ძველებურად გიხარია,
გიორგობას სანთლები რომ აგინთეს.

მითხარი, რომ ახლებურად ტოკავს გული
და შენც თელავ ტაძრისაკენ გზა-ბილიკს.
რომ თაღებზე ფრესკები გაქვს მოქარგული –
ანგელოზის ფრთებით გამოგზავნილი.

გულში ტვირთად ჩაფენილო მონატრებავ!
სულზე ლოცვამოხატულო სამრეკლოვ!
ძილისპირულ ფიქრში გინდა მომვარდე და
აზვირთებულ ტალღასავით წამლეკო?

სიმწრისფერი დატყობიათ ჰემატომებს,
დაგავიწყეს რისიც დღემდე გჯეროდა.
შემოდგომა? ყვითელ ფოთლებს შეგატოვებს,
ღელის წელთან გადმოზნექილ ჩეროდან.

ჭადარი დგას და ოქროსფერ ფოთოლს მტვერი
უყურადებს... და იქვე ვარ მეც, ახლოს.

გამომძახის შარშანდელი ოქტომბერი,
რომ წლევანდელ კადრად გამომესახოს.

ჰო, ბუხარიც ელოდება სუსხს და ნამქერს,
საკვამურთან ატუზული ალიდან.
თუ აქამდე შიშითა და კრძალვით გაქეს,
შემხმარ ფოთლად გამოგფშვნიან ხვალიდან.

გამომიშვი, ვნახავ ქარი თუა გარეთ,
ვნახავ ციდან გადმოსროლილ გვირგვინებს.
სიყვარული მენატრება უანგარო,
ისეთი, რომ წარსულს არ შეგიგინებს.

შემოდგომა მენატრება ფოთოლცვენით,
ჰორიზონტზე რომ ყვითელი ალი ჩანს.
ენკენისთვე – ნემსის ყუნწში მომლოცველი,
ბორცვებ მინდორ მობნეული ხალიჩა.

ცხადია თუ სიზმარია ვიგვიანებ,
სასთუმალთან ცრემლით გავითარეშე.
შემოდგომა – უხიბლო თუ ხიბლიანი,
არ არსებობს ფოთოლცვენის გარეშე.

ვერ იქნება სიძულვილის პოლიგონი,
სიყვარული – ალალი და უბრალო.
სიმართლეა, შევცოდე თუ მომიგონეს?
გევედრები მიმანიშნე უფალო!

ნეიტრალური ხაზი

მემარტივები არც ისე,
თმებში სიცოცხლის სუნი გაქვს,
ხედავ, მინდვრებში „ნარცისებს“
ცა რომ გვირგვინებს უნიღბავს?

ხედავ, მინდვრების გადაღმა
მზემდე აწვდენილ გუმბათებს?!
ცამ რომ სიწმინდით დანაღმა
და დღითიდღე რომ უმატებს.

გისწავლე როგორც მოთხრობა,
გაშინაარსებ ეს წლები.
ნოემბრის ბოლოს მოთოვა
და შენ არც თოვას ესწრები.

რომ ამ ნოემბრის მოტივებს –
მთის ნისლისფერი ფონი აქვთ
და სიყვარულის მაგივრად
სიძულვილი რომ ჰგონიათ.

აქ სიყვარული არ ხარობს,
მხოლოდ უღრუბლო ცაში ქრის.
შენი გული და სამყარო
ვერც მე მაქვს ამონაშიფრი.

ამ შემოდგომის იერი –
გაუმჭირვალე თქორი ხარ.
ყელს ჩემთან ახლოს იღერებ
და მე კი სხვაგან მგონიხარ.

მტკივა, რომ სხვისად გახსოვდი,
ჩემად მინდოდი მე კიდევ.
ხმაურის ყველა ასოთი –
დუმილად გადამეკიდე.

არ შეუძლიათ ამდენი
ხვეწნა-მუდარა იოგებს.
თვალ-ყურს შორიდან გადევნებ
და ნერვებს ასე ვიოკებ.

ხედავ, მინდორში „ნარცისებს“
ცა რომ გვირგვინებს უნიღბავს?
მაინც რთული ხარ არც ისე
და მაინც ღმერთის სუნი გაქვს.

ქუთაისს

სიყვარულით ვაზის ყლორტად აიზიდე,
გულის ფეთქვა შეკოკრებულ გულთან ისმის.
ღმერთო, აწმყო დაულოცე ბაღისკიდეს,
მომავალი დაგვილოცე ქუთაისის!

ცა – მაღალი, მზე – ამაყი, ხმა – ძლიერი,
ისეთია, ბედ-იღბალიც რომ ამართლებს.
შავარდენი ააფრინე ბაზიერო,
დამიპურე ჩემს ქალაქზე მოამაგე.

ყველა გამვლელს – გამომვლელი უხარია,
თვალზე ცრემლი უტოლდება მირონცხებას.
აქ დაკრული ტაშიც ისე მქუხარეა,
რომ ჭრილობაც უფრო მალე გვიხორცდება.

აქ ის ხმაა, ის ბგერაა, ის ტონია,
საიდანაც სიყვარულის სუნთქვა ისმის.
ასეთია მშვენიერი ისტორია –
სიამაყით ფრთაგაშლილი ქუთაისის.

თეთრი ხიდის ჰორიზონტი არის კადრი,
რიონზე რომ გაშოლტილან თეთრი ქვები.
ამ ქალაქის ერთგულებას არ იკადრებ?
ქუთაისის შვილი ისე ვერ იქნები.

ბაგრატიდან გელათს უჩანს წალკოტები,
გელათის ცას მოწამეთის ჰავა სტუმრობს.
ქუთაისის სიყვარულში ავტოკდები,
სიცოცხლეც რომ ამ წუთასვე დავასრულო.

ასეთია მშვენიერი ისტორია,
ცამდე ვაზად აშოლტილი ქუთაისის.
აქ ის ხმაა, ის ბგერა და ის ტონია,
საიდანაც საქართველოს სუნთქვა ისმის!

შარშან ამ დროს...

შარშან უფრო გიხაროდა დეკემბერი,
შარშან უფრო გახარებდა ჩემი ხმა.
ემოცია ფილტვებივით დაგებერა,
დაგებერა და ხმაურით შეგნიღბა.

ვარსკვლავები დეკემბერშიც კიაფობენ;
ამ ზეცაზე მზე ამოდის ყოველთვის.
ზღაპრებს თითქოს წარსულიდან მიამბობდი
და წარსულსაც ამ ზღაპრებში ტოვებდი...

ახლა ფერმკრთალ ჰორიზონტში იხლართები,
სურვილი გაქვს ხელთავიდან გადარჩე.
ჩემს განცდებზე გიყვებოდნენ მიხაკები,
დრო გიამბობს უსათუოდ დანარჩენს...

არასოდეს არსად წაჰყვე ეჭვებს ნებით,
ყვავილს მაინც გაზაფხული მოგიტანს.
ახლა ისეთ მოსისხლე მტრად გეჩვენები,
დაბრუნებას რომ არ აცდი ომიდან.

ემოცია ფილტვებივით დაგებერა,
დაგებერა და ხმაურით შეგნიღბა.
შარშან უფრო გიხდებოდა დეკემბერი,
შარშან უფრო მშვიდი იყო შენი ხმა!...

გეწყინა და გაბრაზდი

ისტორია სათქმელივით მეტისმეტი...
და სათქმელი – მეტისმეტად ლამაზი.
მაპატიე, თუ გულდასმით ვერ გისმენდი
და რაც გითხარ, გეწყინა და გაბრაზდი...

ვზივარ. ზარის ხმა მომესმის ბეთლემიდან,
სანამ შენი ხმა მისწვდება გოლგოთას.
გულზე ტვირთად, სულზე ჯავრად მედები და
ამომძახი ძირმომპალი ორმოდან.

ჩემი ჯვარის, ჩემი სუნთქვის ბილიკები,
ღმერთმა ნუ ქნას, უგზო-უკვლოდ გამიქრეს.
სანამ მოხვალ, სანამ მომექილიკები,
შენს ცრემლებზე ცოტა მაინც მაფიქრე.

მაპატიე თუ გულდასმით ვერ გისმენდი
და რაც გითხარ, გეწყინა და გაბრაზდი...
ისტორია სათქმელივით მეტისმეტი..
და სათქმელი – მეტისმეტად ლამაზი.

შენი სამშობლო რამ შეგაძულა ასე?!

ჩვენში არ ფასობს აწმყო – შექმნილი ამ წამს.
ღმერთის არა სწამთ, ღმერთი არ უყვართ ჯერაც.
რაც სიმართლეა, ვიცით და მაინც არ გვწამს,
რაც ტყუილია, ვიცით და მაინც გვჯერა.

ყური დაუგდე ჭარმაგს, ცხოვრებით ტანჯულს
და მოკრძალება შემოიქსოვე ტანზე.
მოეშვი თვალის სხვის სამშობლოსთან პაჭუნს,
შენი სამშობლო რამ შეგაძულა ასე?!

რომ აიკარი გუდა-ნაბადი, წადი,
ვისთან ერთად ხარ, ვის კალოს ლეწავ მუხლით?!
მოგენატრება ბუხარში კეცზე მჭადი,
შენი ძმის ლოცვით, ალალად თქმული მწუხრი.

მოგენატრება შენი დიდედის სუნთქვა,
საბძელის თავზე ახმაურება სეტყვის.
დაიმახსოვრე, რაც კი წინაპარს უთქვამს
და გაიხსენე, შვილს რომ იგივეს ეტყვი...

ბოროტება რომ არ არსებობდეს, აფსუუუს?!
გრძნეულის სიტყვა, რად გაიხადე ჭერად?!
იცი სიმართლე, მაგრამ უწოდებ აბსურდს!
ტყუილიც იცი, მაგრამ ბრიყვულად გჯერა!...

მონოლოგი 2

„ქუჩაში უცებ ხშირად ვჩერდები,
შენი ნახვის თუ შეძენის შიშით“...

ზურაბ გორგილაძე

ახლა საღამოა, ვზივარ აივანზე,
ლოცვებს მიკითხავენ უცხო დიაცები.
თავი ოცდაათი ვერცხლით დაიფასე,
ჰოდა სულერთია – მკლავ თუ მიმკაცრდები.

ცრემლი თვალებიდან სისხლად ამოცალე
და მტრის ბარძიმიდან შესვი გარინდებით.
(როცა ჯვარცმა არის შენი სალოცავი,
როცა ჯვარცმულია ჩემი ამინდები).

ნახე, ერთმანეთში როგორ საუბრობენ
შემოფეთქებული ხმები ატმებიდან,
როგორ ყვავილობენ ქუჩას ალუბლები,
შენ კი მიმატოვებ, ისე ადგები და...

აღარც სიყვარულით სუნთქვას დამიფასებ
და სხვა სულერთია – გკლავს თუ გიმკაცრდება.
უკვე ოცდაათი ვერცხლით ჩამოფასდი,
ლოცვაც შეაჩერეს უცხო დიაცებმა...

ახლა...

ახლა, არაფერზე აღარ ვფიქრობ,
გარდა ღმერთისა და სულისა.
ძმაო, აწი მახე არ დამიგო,
ძმაო, ორგულობას ნუ იზამ.

ახლა არაფერზე აღარ ვდარდობ,
გარდა ცოდვისა და წარსულის.
ერთხელ ყველასავით, ერთხელ მეც მიყვარდა –
ერთი მშვენიერი ასული.

ახლა არაფერზე არ ვწუწუნებ,
გარდა სახვალიო იმედის.
წუხელ დუმილი რომ დაგიწუნე,
დილით სხვა დასკვნამდე მივედი.

სუნთქვას ვიხლაფორთებ, (ასე მიჯობს)
სულზე ჩემს სამშობლოს ვიშანთავ.
ფრთხილად, შემთხვევით არ დაგებიჯოს
ფეხი – ჩემი საზღვრის ნიშანთან.

ჩემი სამლოცველო ამ ცაშია,
ჩემი საყდარი და კელია.
უნდა დავაპუროთ, საცა შიათ,
საცა ხელგაწვდილნი გველიან.

ძმაო, აწი მახე არ დამიგო,
ძმაო, ორგულობას ნუ იზამ.
ახლა, არაფერზე აღარ ვფიქრობ,
გარდა ღმერთისა და სულისა.

დამესიზმრე...

დამესიზმრე ამდენი წლის შემდეგ.
დამელანდა შენი სახის კონტური.
დაბადების თარიღიდან დღემდე
(რაც არ უნდა გასაკვირად ჟღერდეს),
შენ მაინც ხარ „ბრენდული“ და „მოდური“.

შენს სურვილებს როგორ უნდა ვებრძოლო,
ჩემს ოცნებებს შემოვაჭრა ფრთები?
უშენობა, გახსოვს როგორ მეძნელა?!
დაბადება ხელმეორედ გეცადა,
სიკვდილისთვის რახან გვიანდები.

ცრემლიანი მონატრების მოჰიკანს,
ხშირად არა? იშვიათად მიხმე.
არ იდარდო, ვინმე ცოლად მოგიყვანს,
მერე მოვალ, ჩემი ხელით მოგიტან,
შენს სახეზე შემოგლეჯილ ნიღბებს.

უთქმელობის განცდაც გამოაცალე –
ფერჟანგიან სიმარტოვის ღიობს.
ვზივარ ახლა, თავს სხვა ლოცვებს ვაძალებ,
უფლის ლოცვის სადიდებელს ვიძალებ,
შენზე ფიქრმა რომ არ გადამძლიოს.

ერთხელ მაინც (ღიმილით ან ქილიკით),
ერთი სიტყვა ჩემთვის მაინც გეთქვა...
წარსულიდან მომავალი ბილიკი...
და აწმყოზე გამავალი ბილიკი...
მომავლისთვის გასავლელი ბილიკი...
გიკურთხოს და დაგილოცოს ღმერთმა!

ტიტრები

ველარ ვიხსენებ შენს ჩვეულ ღიმილს,
ღიმილს, რომელიც ანთებდა ღამეს.
დრო ისევ დინჯი ნაბიჯით ივლის,
დრო უსათუოდ მოჰყვება რამეს.

მიფორიაქებს სიმშვიდე სხეულს,
ეზოში ისევ აყეფდა ძაღლი.
ვწუხვარ, რომ ველარ გიხილე წლეულს
და პირში ყველა სიმართლეს გახლი.

აცრემლდა თვალში კოცონი ფიჭვის,
ოქროს სიზმარი შეადნა ნამგალს.
ან რა აზრი აქვს მილხინს თუ მიჭირს,
ბედნიერი ხარ იქაც და აქაც.

სულ არ განაღვლებს ბედ-იღბლის ბედი,
დროს ჩამორჩი და ფეხს ისე ითრევ..
რა შეგრჩენია იმაზე მეტი
ვიდრე ხარ, ანდა იყავი ვიდრე.

დრო ისევ დინჯი ნაბიჯით ივლის
და უსათუოდ მოჰყვება რამეს.
აღარ ვიხსენებ შენს ჩვეულ ღიმილს,
ღიმილს, რომელიც შვენოდა ღამეს.

მარიამ ჩევიშვილი

სამოთხესაც კი მიატოვებდი

ვერ შემოვსაზღვრე გრძნობა წესებით,
ხელში კალამი ავიღე წყაროდ,
და ჩემს სიყვარულს ვჩუქნი ლექსებით,
შენს ნაცვლად ახლა მთლიან სამყაროს.

არ მკითხო რატომ! (ამინდი აფრენს),
თითქოს ღრუბელი წვიმას გლოვობდეს,
ცხოვრების ტალღა მალეწავს აფრებს,
და ვიბრძვი მაინც, ვიბრძვი ბოლომდე...

მერე რა თუ ვარ სინაზით ქალი,
არ ნიშნავს – ფოთლის შრიალზე ვკრთები,
იქნებ მეომრის სული მაქვს მძლავრი...
იქნებ დავფრინავ არწივის ფრთებით...

იქნებ და გულში სიცოცხლე მერჩის,
მნაცრავს ვნებები, სითბოდ მოვედი,
შენ რომ იცოდე რა ბრწყინავს ჩემში,
სამოთხესაც კი მიატოვებდი.

მელოდა

შეიხსნის მაისი წელამდე სამკერდეს
და ტანში დამძაფრავს ატმების ფოკუსი,
გთხოვ, სიტყვა გრძნობებზე თამამად გაბედე,
რომ ჩემში აყვავდეს ვარდი და კროკუსი.

თორემ მზე ამოვა ბერძნული არტიდან,
იქ სადაც განათდა ცა როცა ბნელოდა,
მე მოვალ შენთან და ადგები ტახტიდან,
ვით ზევსი მპყრობელი რომელიც მელოდა...

რომ შეგძლებოდა

ვერ შევიცვლები! ვინც ვარ დავრჩები,
ბევრი პაუზა, ცოტა ხმაურით,
ალბათ მეორედ ვეღარ გავჩნდები,
დრო გაქროლდება აურზაურით.

ამოწურავენ აპნისს არჩვები,
შენც ამოწურავ ჩემს სულს გრძნეული;
და გაურითმავ სტრიქონს დარჩები,
კალმით ფურცელზე გამომწყვდეული.

ოღონდ საჩემოდ, ძველი ფერებით...
მე პოეზიით გესაუბრები,
მწამს, მხოლოდ ასე მოგეფერები
მარადიული თავისუფლებით.

მაგრამ მაკვირვებ, არხარ უცვლელი!
დრომ შეგაჩვია გადავიწყება,
და მეც შევიპყრე თეთრი ფურცელი,
ტრიუმფალური თავდავიწყება.

მიდის ცხოვრება განართულები,
გული ბადაგმა ბევრჯერ ჩაწმინდა...
ოჰ, რა ძლიერად გიერთგულებდი,
რომ შეგძლებოდა გეთქვა რაც მინდა...

ხომ შეიძლება ვიყო პიკასო

მოადგა რიონს შუადღის ფიასკო,
მედეამ ცაზე თმები გაფინა,
ხომ შეიძლება როგორც პიკასო,
თეთრი ხიდიდან გადამაფრინა.

ხელებგაშლილი მყარად თითებში,
ვიჭერ კალამს და ვიწყებ ოცნებას,
თითქოს გაცურდა არგო მითებში...
უქუთაისოდ არ მეკოცნება.

როგორც თუთები, როგორც ნუშები,
ამ გაზაფხულმა თუ ჩამიარა,
შენს მონატრებას რაღას უშვრები,
სიყვარულმა თუ გადამიარა?!

მოდი! ჩამოდგი ჩემში ცხოვრება,
იცი, ძვირფასო ახლა რა დროა?!
აღარაფერი მემახსოვრება,
დასაწყისიდან რაც დრომ მადროვა.

ჰაეროვნება ამაკიაფებს,
თვალებში ღელავს სიცოცხლის ტბები,
სულს ვეღარავინ გამიიაფებს,
მხოლოდ ძვირფასი გრძნობებით ვტკბები.

მარწევს რიონზე ფიქრის ფიასკო,
მზემ ბაგრატს სხივი გადააფინა,
ხომ შეიძლება ვიყო პიკასო,
თეთრი ხიდიდან გადამაფრინა...

ბედაგ

შენც გაიზრდები დიდი,
ცა კვლავ დარჩება შორი,
დაიკეცება ხიდი,
დიდს და პატარას შორის.

სიცელქის ხშირი დრამა
გადმოინაცვლებს ქალში,
და ხელს ჩაგკიდებს მამა
შეგიყვანს უფლის სახლში.

გეცმება კაბა გრძელი,
ოღონდ დედოფლის, თეთრი,
სვეტიცხოველის ძელი,
გამობრწყინდება მკვეთრი.

შეგეგებება სანდოდ,
წინ საქმრო ოქრომკერდით,
და მამა შენს ხელს ანდობს,
ეტყვის: – დაურჩი გვერდით!

გაწყვეტ ცრემლების ასხმას,
როგორც უცნაურ ზღუდეს,
გირჩევს გრძნობების თავსხმა,
მშობლის დატოვო ბუდე.

მოდის ვნებების ჯარი,
დაგრჩა ნაბიჯი ერთი;
მორჩა, დაგწერეს ჯვარი!
გვირგვინს გიკურთხებს ღმერთი.

შენ აღარ გქვია ბავშვი!
– ყურში ჩაგძახებს დედა,
და უკვე ქმარის სახლში,
ღამის გათევას ბედავ.

ყოველთვის

მთის იქით დავლიე წყარო და
მთის აქეთ მადლობას ვტოვებდი,
სიცოცხლე რისთვისაც წვალობდა,
აქამდე ისეთი მოვედი.

ვიღაცა მიქრობდა სინათლეს
და მაინც ყველაფერს ვხედავდი,
შემცდარი თავს არსად ვიმართლებ,
ღალატზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი.

ახლაც მაქვს პატარა ოცნება...
ჩემეულ ჭიას თუ ვახარებ,
სანამდე ცხოვრება მოცვდება,
ხან ვტირი, ხან კიდევ ვხარხარებ.

ვის რაში ვჭირდები დარდებით,
დილიდან ღიმილი ამყვება,
მე არსად მივლია ფანდებით,
რაცავარ ის სული დამყვება.

თუ მიყვარს ვპატიობ შეცდომებს,
შეუმცადრს მოკვდავებს ვერ ნახავ,
არასდროს ვეძებდი შემცოდეს,
ძალების მცოდნოდა შენახვა.

მუდმივად ჭკუიდან ვსაზღვრავდი,
თუმც გულმა თავის გზით მატარა,
სიყვარულს არა აქვს საზღვარი,
არც შეძლება აქვს პატარა.

ამიტომ არ მინდა არშია
გრძნობებში, ლოდინმა მაწვალა,
ასაკი არაფერ შუაშია,
დრომ უკვე იმდენი მასწავლა.

მთის იქით დავლიე წყარო და
მთის აქეთ მზის სხივით ვსავსეობ,
ყოველთვის უფალი მწყალობდა
და დღესაც უფალით ვარსებობ.

ვერავინ იტყვის

გასავლელ გზაზე მზეს ამოვკვეთავ,
რაც გამაჩნია შრომის ფასია,
რომელ სივრცესაც მე გადავკვეთავ,
ვერავინ იტყვის ჩემზე: – ფარსია!

რადგან არასდროს მომსურვებია,
საქმეში ნიღბით თამაშის მხარე,
სამაგიეროდ მომცურებია,
გულწრფელობისთვის ტკივილი მწარე.

მაინც ვძლიე და დღემდე ასეა,
მიზნამდე რთულად მისასვლელს ვარჩევ,
ცხოვრება ბრძოლით ისე სავსეა,
ძალა მჭირდება ცოცხალი დავრჩე.

მაგრამ ამ ძალას უფალი მაძლევს!
სისხლმა იკითხოს მტერს თუ დაექცა,
რომელ სივრცესაც გავკვეთავ, გავძლებ!
ვერავინ იტყვის ჩემზე: – დაეცა!

ქართველობას გაუფრთხილდით

შვილებო, საქართველოს უერთგულეთ!
თქვენ ხართ იმედი და მომავალი,
ვიცი, ააძგერებთ მამაც გულებს,
გზაზე სიყვარულით მომავალნი.

გრძნობებს არასოდეს შეამცირებთ,
აწმყო, სინათლისკენ სვლას დაიწყებს,
ფესვებს გაუფრთხილდით! შევარცხვინე!
ვინაც ქართველობას დაივიწყებს.

დაფრენს სულიწმინდა ლაჟვარდებში,
გვიმზერს თეთრი მტრედი სამშვიდობოდ,
ბევრჯერ დაგიმიზნებთ ლავანდებში
მტერი, მზის სხივს რომ დაგამშვიდობოთ.

მაგრამ იფხიზლეთ და გამარჯვდებით!
ვიდრე ბოროტება ქცევას შერყვნის,
უნდა შემოიქცეთ გამარჯვებით,
როგორც ღირსეული შვილი ქვეყნის.

ხელთ გაქვთ ბიბლია და რუსთაველი,
ორი საგანძური, ზნე ათასი,
სვეში მარტვილობა ცურტაველის,
სულში თავგანწირვა პაატასი.

ჭკუა თამარის და სადავითო,
ტახტი – ფუძე! როგორ მოუხდებით!
ეშმა თავის ჯარებს გადაითხოვს,
როცა შემართებით დაუხვდებით.

გქონდეთ ერთგულება შესამოსი,
შრომა მოსავალით აგეწიოთ,
ღვინო სადიდებლად ღმერთის მოსვით,
მადლი დღეგრძელობის დაგეწიოთ.

შვილებო, ქართველობას გაუფრთხილდით!
უცხო ერებში არ გაირიყოთ,
გულს ხომ ვეღარავის გაუცვლიდით,
დაე, საქართველოს გულში იყოთ!

ნუ გამიშვებ

თუ გამიშვებ ხელს სიცოცხლე ათრთოლდება,
ჩამოკეცავ ჩემი ფრთების შრიალს,
უშენობა სიცივესთან გატოლდება,
ჩამოვრჩები დედამიწის ტრიალს.

სიხარულს სხვა, სხვა კუთხიდან დაინახავს,
მე შენით ვრწყავ სიხარულის რტოებს,
გული წყენას სამუდამოდ არ ინახავს,
პატიებას ვერსად მიატოვებს.

დრო, ერთხელაც მზის სინათლეს ისე წაშლის,
ყველაფერი გაგვიხდება შორი,

ჩაუფიქრდი... მცირეოდენ ყოფნის წამში,
ერთმანეთის მოსწრებაა სწორი.

რომ არ დაგვრჩეს არსებობა მიგდებული,
ნუ გამიშვებ ცამდე თავისუფალს!
სამყაროში სიყვარულზე დიდებული,
არაფერი შეუქმნია უფალს.

* * *

ხელი არ ახლოთ მაისის ვარდებს!
არ ჩამოწყვიტოთ მზის სიცილები,
გამიფანტავენ სევდიან დარდებს,
მთელი წელი რომ ვერ ვიცილებდი.

წითელ, მოთეთრო ვარდისფერ კოკრებს,
დაუცქვეტიათ ნაზი ყურები,
ამ სილამაზეს რა ხელი მოკრეფს,
უნდა დაჯდე და დატკბე ყურებით.

ისედაც ჭკნება ოდეს ყოველი,
ნაჩქარებ სიკვდილს არავინ ითხოვს,
ის სიხარული რასაც მოველი,
ახლა ვარდებში იშლება თითქოს;

და მეც ვარდობა ვარდის თვით მიწევს,
მომწიფებულა გული აისში,
ისე ტკბილია სიცოცხლე, მიწვევს,
უნდა ავყვავდე ჩემს ქუთაისში.

თუ

შენ თუ არ მატკენ, სხვა რას დამაკლებს,
ნერვებს სხვებისთვის რატომ ავიშლი,
არ მოგიყვები რაღაც არაკებს,
ჩემი ცხოვრების წიგნს გადაგიშლი.

სადაც სიცოცხლის ის დრო წერია,
როცა გრძნობები ფსკერზე დავიდა,
თითქოს სათქმელად არაფერია,
მაგრამ ძვირფასო, წლები გავიდა...

და მიჭირს კიდეც უკან მოხედვა,
ადრინდელი დღე უკვე არ არის,
მიზანში ხდება რთული მოხვედრა,
თორემ ისარის მეტი რა არის.

შენ არ დამაგდო ბეჭზე ოღონდაც,
სხვამ?! სხვამ რაც უნდა ის ჩაიდინოს,
მე შენი მწყინდა მცირეც როგორღაც...
რუ კი იმისთვის არის იდინოს...

შეგეფარები ძლიერ მკლავებში,
დარდი მომინდა გამოვიტირო,
კარგახანია მიწად დავეშვი,
რეალობა რომ გამოვიჭირო...

სხვები წავიდნენ, შენ არ დამტოვო!
მცივა, გავლურჯდი, ვთრთი ადგილიდან,
მსურს ეს სილურჯე ცას შევატოვო
და დამინახო სინამდვილიდან;

როგორც საწყისი თეთრი ფურცელის,
სადაც ორივემ შევრწყეთ ხიდები...
შენთვის დავრჩები გამოუცვლელი,
თუ სამუდამოდ გამიფრთხილდები.

გაიღიმე

საქმეები გამოგაჩენს ჩემო ადამ!
წლები გადის, ფიქრი ძველს დროს გაგონებს,
მოგინდება დაბრუნება უკან მაგრამ,
წინ ცხოვრება ახალ ბილიკს აგორებს.

მიუყვები ამ ბილიკს და მარცვალს თესავ
სიყვარულის! დრო მოსავალს აძნელებს,
ზოგი გირწყავს, ზოგიც გიჭრის ნათესებს და
გეღიმება, ისევ შენს გზას აგრძელებ.

ერთხელ მაინც მოისურვებ შეიცვალო,
სიკეთის წილ თუ სიკეთე არ მოდის,
მაგრამ იქნებ ფეხი ვეღარც მოიცვალო,
როცა ამჩნევ ბოღმა სულარ გამოგდის.

მეტი წილი საპასუხო იმას ხვდება,
ვინც შემოჰკრა მოფხიზლების ზარები,
ჯერ სადახარ! მილიონი შემოგხვდება,
არეული, დარეული მგზავრები.

თუ გატკინეს ჭრილობები ამოკემსე,
გაიღიმე, მოერიდე ჭაობებს,
გზაზე მაინც სიყვარული გამოთესე
და ნაყოფი გამოგიზრდის თაობებს.

ნათია ჯიმშელეიშვილი

ავაზა

ისეთ კაცს გისურვებთ რომელიც,
გრძნობების გახდება ავაზა,
ლამაზ თვალებისთვის კიარა,
თვალებში ჩაგხედავს ლამაზად.

იგი, ვინც დაგითვლის წამწამებს,
იმედებს დაგიფენს ღრუბლებად,
და ისეთ სიყვარულს გაჩუქებს,
დარდს ფერი რომ გაუხუნდება.

გატარებს სიზმრებად, ფიქრებად,
ხელის გულს დაგითმობს სავარძლად,
გაცხოვრებს პატარა ქოხმახში,
უბრალოდ და ისე ლამაზად...

რომ მთვარეს გიგავდეს ღიმილი,
დალალი გეფინოს მინდვრებად,
ზედ ია-ენძელამ იხაროს
და გყავდეს ღმერთივით იმედად.

ყოველი სატუჩე სასმისი,
შენ იყო, ბახუსიც თავადა,
შორს თუ ხარ, მით უფრო უყვარდე,
გესისხლხორცებოდეს თანდათან.

ჩიტივით ჩაისვას უბეში,
მაგ შენი მთრთოლვარე ხელები,
და ვინძლო, ტირილი მოგინდეს,
შეგაშროს, არ გკადროს ცრემლები.

მამაკაცს გისურვებთ, ღირსების
და გრძნობის გაგიხდეს ავაზა,
ვნებების საკლავად კიარა,
თვალებში ჩაგხედოს ლამაზად.

ქალად რომ გარდიქმნას სამყარო,
ყოველი სიზმარი ბავშვობის,
ირგვლივ რომ ლამაზნი ბრწყინავდნენ,
შენ იყო პირველი მათ შორის.

და თუკი იგრძენი ოდესმე,
რომ გახდი ერთ დღესაც მეორე,
დატოვე თავისი ღირსებით
და შენს სიმარტოვეს ეომე.

და რადგან დუელში გახვედი,
შეიგრძენ მეტოქის ჭიდილი,
სირცხვილთან დამარცხდე, მერწმუნე,
გერჩიოს დუელში სიკვდილი.

ისეთ კაცს გისურვებთ ქალებო,
შენს გრძნობებს გაუხდეს ავაზად,
გაცხოვროს პატარა ქოხმახში,
უბრალიდ და მაინც ლამაზად.

* * *

ვერვინ დამითვლის სულში მაისებს,
აკვირტდებიან ზოგჯერ მარტები,
როგორაც ახლა მე გისაკლისებ,
ნეტავ შენც ისე თუ გენატრები.

ვცადე მოლბერტზე გადამეტანე,
და ვერსად გპოვე სიმშვიდის გარდა,
ის ანგელოზი, მე რომ დავხატე,
ყველაზე უფრო თვალებით გგავდა.

ხარ მიწიერი სულის მეხოტბე,
ფრესკაზე ქმნილის თანაზიარი,
როცა უთუოდ ჩემი მეგონე,
თურმე ძალიან იყო გვიანი.

მაგრამ ხომ ისევ გაიმაისებს,
გადიდარებენ აპრილ-მარტები
როგორაც ახლა მე გისაკლისებ,
ნეტავ შენც ისე თუ გენატრები.

* * *

მე ბავშვობიდან მოვდივარ შენთან,
და მიტომ მიძგერს გული სხვაგვარად,
არ უნდა მეთქვა, ან უნდა მეთქვა,
დარდიდან მზისებრ გამოსადარად.

ახლა ისე ვარ, როგორც მიმინო,
თბილისამდე რომ ცხელ ორთქლში ჩადნა,
მსურს ღრუბელივით გადავიფრინო,
და გადაგაწყდე დარდიან მტკვართან.

მე სიწრფელიდან მოვდივარ შენთან,
სამკაულად რომ შვენის ბავშვობას,
არ უნდა მეთქვა, ან უნდა მეთქვა,
არ იყავ ჟინი, არც თამაშობა.

იყავ და იყავ და უფრო იყავ...
და ხარ და ხარ და იგივ ხარ დღემდე,
ჩემში მალული უენო სიტყვა,
და უძილობა დუმილის შემდეგ.

ახლა ისე ვარ, როგორც მიმინო,
თბილისამდე რომ ცხელ ორთქლში ჩადნა,
მსურს, ღრუბელივით გადავიფრინო,
წაგაწყდე სადმე დარდიან მტკვართან.

* * *

ვესტუმრე სამყაროს დროებით,
თავად დამპატიჟა უფალმა,
ცხოვრებას ლხინით, ხან გოდებით,
მივილევ, სამარეც სულ თან მაქვს.

კეთილიც ვიყავი, ბიროტიც,
ავი, ხან ძალიან სათუთი,
ხან ღია ფერებით მხატავდნენ,
ხან ზედმეტ ფერებით გავმუქდი,

ხან მქმნიდნენ, მძერწავდნენ ვით სურდათ,
ხან თავად ვიქმნიდი სახებას,
თუ ღმერთით შობილი არ უნდათ,
ვაი იმ ყოფით დაბადებას.

გაგსვრიან ტალახის გუნდებით,
თითქოსდა პირს გბანენ შერცხვენილს,
შენ თავის მართლებას უნდები,
დარდისგან ვერადა ვერ ცხრები.

სიკვდიმდე სხვის ნებით იცხოვრებ,
შენზე კი ცოდვა-მადლს წონიან,
უფალო ნეტავი იცოდნენ,
ღვთის შვილი თიხა რომ ჰგონიათ.

თავიდან რომ მზელენ გულდაგულ,
ხელებზე ეს ოფლი იცხონ რომ,
ეჰ, როდის მივხვდებით რომ ყველამ,
საკუთარ ცხოვრებით ვიცხოვროთ.

* * *

თუ გვიყვარს ერთურთის დანდობა,
თუ სიყვარულისგან ვგიჟდებით,
ღმერთს ერთმანეთისთვის მადლობა,
ერთმანეთს ყოველთვის ვჭირდებით.

დრო არი უფალთან შეხვედრის,
სულიდან-ხორციდან დუმილად,
სულის ხსნა არ ხდება შემთხვევით,
ვილოცოთ შენდობა თუ გვინდა.

ყოველდღე ჯვარს ვაცვამთ იესოს,
პილატეს თვით უმოქმედობით,
ეშველოს ღვთისმშობლის ივერსო,
ვბოდავთ და იუდას ვენდობით.

და ითმენ, და ითმენ იესო,
დუმილით შემოსილ სიმშვიდით,
მხოლოდ ხორცს ვანაყრებთ მშიერს, რომ
დავეცეთ თვით სულის შიმშილით.

* * *

მთვარე ხის ტოტზე ვაშლივით ება,
ფანჯრიდან მზერა ტოტებს იწევდა,
გამთენიის შუქს შემოეჭამა,
ვიდრე მზე სოფელს ფერხთით იწვენდა.

მას შემდეგ მუდამ იმავ ფანჯრიდან,
თვალები მოსჩანს მშიერი ბავშვის,
შემოღამების ლოდინით მძაფრით,
ხის ტოტზე როდის გასკდება ვაშლი.

ხორციდან სულამდე

ხორციდან სულამდე დიდია მანძილი,
სულიდან ხორცამდე სულ ერთი დაცემა,
იუდას კალთიდან რთულად არს დაცდილი,
ადგომა, უფალთან
მისვლა და დარჩენა.

არსობის წამიდან დიდია მანძილი,
ათასჯერ სიკვდილის გავლით გაწამება,
სიცოცხლე, არარის ძნელი, არც ადვილი,
რთულია ცხოვრება და გარდაცვალება.

* * *

შენთან მომაქვს სიყვარული კალათებით,
და ვარდები სულში იკვირტებიან,
მომიხმობ და... აბა როგორ დაგაკლდები,
ეს თვალებიც შენს წინ გამოტყდებიან.

თითქოს რამე უნებლიედ ჩაიდინეს,
და ღაწვებზე დამაფენენ წამწამებს,
შენ კი მაშინ ისე თბილად გამიღიმებ,
შვებას მომგვრი უშენობით ნაწამებს.

შენთან მომაქვს ვარსკვლავები ამ პეშვებით,
ღამის ცა კი ჩვენ დაგვეძებს ისევე,
თავს გარიდებ, მაგრამ ფიქრში არ მეშვები,
დარდით შენ მღლი, ისევ შენთან ვისვენებ.

ახლა უნდა ჩავიკარგო ამ ლექსებში,
ისევ უნდა სიტყვებს დავეკაუჭო,
გაგიმხელ და ფიქრებშიც ვერ დაგეხსნები,
რომ გიხილო თვალი უნდა დავხუჭო.

* * *

მიყვარდა შეხვედრა შენთან და
ბაასიც მიყვარდა შენთან,
ხან გემალებოდი ბავშვურად,
ხან მჭირდა ცრემლებთან შერთვა.

ღამეებს ათევდა მუსიკა,
ვუსმენდი სევდიან ხმათა,
და მერე... და მერე... და მერე,
ვკვდებოდი საკუთარ თავთან.

მყინავდა გრძნობათა სიშიშვლე,
სამყაროს წლები რომ სცვივა,
ჰო ახლაც, ჰო ახლაც, ჰო ახლაც...
მცივა, მცივა და მცივა.

მიყვარდა თამაში შენთან და
გაბუტვაც მიყვარდა შენთან,
ხან გემალებოდი ბავშვურად,
ხან მჭირდა ცრემლებთან შერთვა.

ქალი

შენი ბრალია სამოთხის შექმნა,
ჯოჯოხეთიც კი შენი ბრალია,
ედემში უფალს რა უნდა ექნა,
როცა ცდუნებამ გძლია ძალიან.

ბოტიჩელმაც რომ შექმნა ვენერა,
გალასთვის შენ ხარ ქალი ოლოლი,
სამყაროვ ბედად გამოგეკერა,
რომ ქალის სახელს გადაჰყოლოდი.

ხარ ქარიშხალი, ზღვა რომ არიო,
ხან მზე ხარ თითქოს მშვიდი და ათბობ,
გინდა სამყარო მთლად გადარიო,
ევას სისხლი გაქვს, მაცდურად სათნო.

რაკი ევა ხარ დასაბამიდან,
არსობის შუა წერტილში ზიხარ,
თუ აფროდიტე იშვი ქაფიდან,
ედგარ ალან პოს ანაბელ ლი ხარ.

სამყაროვ ქალი არის მედეა,
ქალად შობილა მადლი და ცოდვა,
ომების ტალღა სწორედ შენზეა,
შენ შვი ადამის ჯიში და მოდგმა.

ფიროსმანისთვის ხარ მარგარიტა,
უსირინოზოდ ზღვამაც ვერ გაძლოს,
სუყველა ტკივილს სიამედ იტან,
უქალოდ ღმერთი სამყაროს არ სცნობს.

ია
იაშვილი

* * *

ლექსი, რომელიც ყოფილმა სატრფომ
ჩემამდე კიდევ მიუძღვნა სულ სხვას,
ახლა შენდამი ნატვრებით მავსებს
და მარტოობის ყინვებით მსუსხავს.

თოვლის დნობას ჰგავს ეს გატაცება,
გაქრება ისე, კვალს არ დატოვებს.
წკაპან-წკუპუნით, თეთრი მუსიკა
ყურთან წაკითხულ სტროფებს მაგონებს.

მინდა გახარო თებერვლის მზეში,
თოვლადფიფქული სურვილი სუნთქავს,
სიამოვნებით გნახავდი სადმე...
დღეს რომ გეძებდი, არავის უთქვამს?

ქალი

შემომხვდა, თვალები უბრწყინავდა,
თბილ-თბილი სიტყვებით ამავსო,
მარტო არ იყო და მიმახვედრა,
ეს დღე, სხვა დღეებს არ გავსო,

მივეკართბილე, გამიხარდა,
ფიქრმა გამიტაცა შორეთში,
დრო იყო, მეც ასე დავფრინავდი,
ქუჩაში, ხალხის მორევში.

ხომ არის, ზუსტად რომ გგონია
ბრიალინტია, ალმასი!
მის გარდა ვერვინ გამოგიწვევს,
საბედისწერო თამაშში.

შენ თავს რაღაც ხდება აუხსნელი,
ვარსკვლავები შვილად გიჩუქებს,
ფრთებშლილი ვარდი ხარ, ის ფუტკარი,
თაფლის არომატი მის ტუჩებს.

წყვილმა ის ზამთარი გამახსენა,
ქალაქს ვაღვიძებდით სიცილით,
ერთხელ, თეთრი ძაღლი აგვედევნა,
წკმუტუნ-ჯიუტ კუდის ქიცინით.

სახლამდე გვდია, გვეხალისა,
მერე მოწყინდა და წავიდა.
ჩაქრა ცეცხლოვანი წერილები,
ორად ორ სიტყვამდე დავიდა...

იანვრის სუსხიანი ღამე იყო,
თოვდა სოფლებსა და დაბაში,
გავხედე, გაზაფხული მიდიოდა,
ერთ ჩვეულებრივ კაბაში.

* * *

რას არ დავთმობდი, რომ მწერდე რამეს,
სულ უმნიშვნელოს, მძიმეს ან წერტილს.
გადამწკრივებულ ძახილის ნიშნებს,
უსიტყვო ფრაზებს, ტირეს და წყვეტილს.

ჩემი ნანატრი მზიანი კალო
დატბორილია შენი სიტყვებით,
მე ვგიჟდებოდი, შენ მოკლედ მწერდი
„ცოტაც მოიცა, ერთად ვიქნებით“.

თავსხმაა გარეთ, ვერაფრით ვთბები,
უაზროდ ვწევარ და ვილუმპები...
როგორ არ მსურდა სხვების მოსმენა,
ჩამჩიჩინებდნენ – „დაიღუპები!“

სიზმრების გემო მამხნევებს ღამე,
და თვალს რომ ვახელ, მაშინ მიქრები,

სულ გისმენდი და ვერ მოვასწარი,
შენთვის რომ მეთქვა, როგორ მჭირდები...

რას არ დავთმობდი, რომ მწერდე რამეს,
სასაცილოა, როგორ სხვისდები,
როგორ მიყვარდი, როგორ მიყვარხარ,
მაქედან არ ჩანს, ველარ მიხვდები...

სასწაულია! ფიქრებს ვერ ვდევნი,
ვერ ვუსმენ შოპენს, ვერ ვუსმენ მოცარტს,
გადაიჭედა შენი ხმით სივრცე
და ცაზე მხოლოდ ვარსკვლავი მოჩანს...

* * *

პური გავტეხეთ, გადაგვავიწყდა,
თმენათა წესი – ხორცზე უარი!
როცა ერთად ვართ, აღარ მგონია,
სხვაგან სამოთხე კიდევ თუ არი...
ხელუკარაბლად გვათოვდა წუხელ,
ღმერთი მეგონა ჩვენი სტუმარი!

ხუმრობა

შენ მართალი ხარ, ბავშვები არ ვართ,
ვიცით წამის და აფრენის ფასი,
ერთი სიცოცხლით იმდენად შორს ვარ,
როგორც მიწიდან, პლანეტა მარსი.

სასაცილოა ლექსებს რომ გიწერ,
აგერ, სულ გუშინ, არც კი გიცნობდი,
ახლა ხვალინდელს სხვაგვარდ ვუმზერ,
როგორც მზე ზღვაზე, ამოსხივოსნდი...

შენ მართალი ხარ, ბევრი დრო არ გვაქვს,
გამოეჩქარე მომისწარ სულზე,
ერთი ისეთი შეხვედრა დავთქვათ,
რომ სხვები წერდნენ ჩვენ სიყვარულზე...

* * *

წუხელ ჩემს სიზმრებს ღამეს უთევდნენ,
ხეს შეხიზნული თეთრი გუნდები,
გამომეღვიძა, მივყარ-მოვყარე,
ზღაპრის, ფიქრის და ძილის გუდები...

გამოვექეცი თებერვლის ყინვებს,
ვით მწყერი ძაღლებს, ძაღლებს დაგეშილს,
იქნება სადმე, გზად შეგეყარო
ასაკით მთვრალს და ლექსით გალეშილს...

სალამი ველებს, ჭალებს და მინდვრებს,
ვერ ვიტან ქალაქს, ქილიკს და შიმშილს,
„რაც უფრო შორს ხარ“ – ტკბილი სიმღერა,
სულაც არ მშველის და ნერვებს მიშლის.

მე გჩუქნი ამ ტბის უნაზეს ფერებს,
კრიალა ჰაერს, გულს რომ გაივლის,
მაგრამ რა ვუყო გაყინულ დღეებს,
ეს აღტაცება, როცა ჩაივლის...

* * *

მიდის ოქროს დღეები,
შემოდგომის ფერება,
ნუთუ შენი ხელები,
სხვასაც მოეფერება...
გულის კარი გამიღე,
გზა მე შენკენ მიძევსა,
ჩემთან ყოფნა თუ გინდა,
მოვიფიქრებ მიზეზსა...

* * *

მე გამყავს წამი შენამდე
და არ მაქვს თავი უშენოდ ყოფნის!
და სულაც არ მყოფნის არაფერი,
ველარ ვახერხებ ფოფინს...
არც არაფერი არ მიხარია,
ტყვედ ვყავარ ლოდინს.
და თუ ვინმეს საითმე
მიუხარია..
მიუქარია...
მიუთოვლია...
უვლია...
უვლიან ჩემს ფიქრებს
ჩვენი სიმღერები...
ისეთი დღეა, იმღერები...
და მე გამყავს წამები
შენამდე,
მე გამყავს წამები
თმენამდე...
შეხვედრამდე!

* * *

უკიდეგანოდ მიყვარდა
მზემდე, ცის ზემოთ, კიდემდე!
უეცრად გაქრა მანძილი,
სივრციდან, სახლის კიბემდე...

* * *

გეძებ აწმყოში –
წამი-წამ, კვალ-კვალ,
გადმოვამკვლიე
თეთრი ზეგნები...
ვერ გხედავ, მაგრამ
მაინც ჩამესმის,
როგორ ბორგავ და
გტკივა ნეკნები...
დაგეძებ ყველგან –
კარი-კარ, ტყე-ველ,
როგორც ჩემს ნაწილს,
სულს – მოზიარეს,
მე ვხვდები ახლა,
თვით დედამიწა,
ერთ ღერძზე რომ დგას,
მიტომ ტრიალებს.
გეძებ აწმყოში,
და არ მეთმობი,
ვით ბავშვობაში
ბებოს თავშალი,
მონატრებაზე
უფრო მეტი ხარ
ჩემი ცხოვრების
თეთრი მარშალი.

* * *

რა გეცინება,
მზე მეცილება
შენს სიყვარულში –
ისე ანათებს!

* * *

ისე გინატრე,
გათოვდა წუხელ...
ზღვაზე შტორმია,
მთაში ყინვები.
და როგორც ბავშვი,
შენს მხრებში გყავარ,
გერდას და კაის
ზღაპარს მიყვები..
უნდა იპოვო ის,
ვინც გჭირდება,
სიყვარულია
მიზეზი ყოვლის!
მე მართლა მჯერა
სასწაულების,
ზღაპრებისა და
ქათქათა თოვლის.

20 20 02 12

მარიამ ვაჩიბერაძე

თორმეტი განცდა

დეკემბერს უყვარს თეთრფარფატა თოვლის ფიფქები
იანვარში, რომ მოირთვება ათას ფერებად,
შობა-ახალ წელს მოსალოცად თქვენთან მოვედი
მინდა გისურვოთ სიცოცხლე და ბედნიერება!
თებერვალს ართობს აბუზული ჩიტ-ბატონები
სარკმელთან საკენკს, რომ უცდიან ანცად, გუნდებად
მარტში ნაკადულს უერთდება ფიფქთა გროვები
აპრილის სითბო ჩაიღვრება გულში წნულებად.
მაისში ვარდებს დაასკდებათ ქორა კვირტები,
დედოფლის გვირგვინს მერცხლები, რომ ფრენით დაადგამს
სიყვარულში ხომ ივნისსაც კი გავეჯიბრები,
ივლისში მზის სხივს ვაფრიალებ ოქროსფერ ფარჩად.
აგვისტო ტალღებს შემაგებებს ლურჯად მშფოთვარეს
სექტემბრის ლაზათს რა გაუძლებს დიდია ვნება,
ოქტომბერი ხომ ჭრელა-ჭრულა წინდებს ჩაგვაცმევს,
ნოემბრის ღამე თავზე თეთრად დაგვათენდება.
რა შეედრება წელიწადის თორმეტივე თვეს
თორმეტი განცდით, მოლოდინით, გულებს რომ გვივსებს
თორმეტივე თვეს ათასფერად ცისარტყლად ვაქცევ
და სიდიადით დავამშვენებ, წლის ოთხივე დროს!

* * *

გარდავიცვლები და მოვალ წვიმად
სახეზე ცრემლად რომ დაგედინო
განუგეშო და გაკოცო მინდა,
გულში ტკივილი რომ აღარ იგრძნო.
გამოიდარებს და მოვალ ქროლვით
წუხანდელ ფიქრებს აგირევ როცა,
ღიმილით ბაგეს დაფარავს თქორი
გუშინდელ წვიმას რომ მორჩა ცოტა.
მერე მზედ მოვალ, მწველი სხივებით
ზღვის ტალღებს თრთოლვით შველა რომ სთხოვო,
რადგან წვიმისგან მე ზღვად ვიქეცი
სისველით იქნებ, კვლავაც შეგიგრძნო.

* * *

უკიდეგანო სივრცეს მივცემ აზრებს მშფოთვარეს
ტილოზე ფერად სილუეტად ავსახავ ძველ დროს,
ტოტიდან-ტოტზე მოლიცლიცე წვეთების ჩქამებს
ნოტებად შევქმნი ავაჟღერებ ძველებურ ჩელოს.
სამყაროს შევცვლი ბოროტებას დავმარხავ ქვესკნელს
სიკეთეს დავთეს, რომ მოვიმკათ ათასჯერ მეტი,
სიყვარულს მერცხლებს გამოვატან კუდ-მაკრატელებს
მშვიდობის მტრედებს ცად ავაფრენ, გჯეროდეთ ჩემი!

* * *

თაობებს გვიკლავს ეს ოხერი დროება ჩვენი,
ხალხო! იფხიზლეთ, სააქაო იქცა გოდებად,
დაღლილ-დაქანცულ გოგო-ბიჭებს ჩავჭიდოთ ხელი,
თორემ დავკარგეთ, რაც რუდუნით მოგვცა მშობლებმა.
ამ თაობებმა უნდა შექმნას ქართველთა მოდგმა,
სად გვყავს ტყუილად დასაკარგი ქართული გენი,
ქართულ მიწაზე ჯოჯოხეთი როდის მორჩება,
ღვთისმშობელს შევთხოვ, დაიფაროს შვილები ჩვენი.
ჰეი, ქართველნო, გონს მოვეგოთ, გიჩოქებთ ყველას,
ცრემლად იღვრება ღვთისმშობელი ცოდვილთა ხელში,
ეს სიძულვილი სიყვარულით რომ ჩანაცვლდება,
უფლის წყალობით, დალაგდება ირგვლივ ყოველი.

* * *

ვარდებით მოვრთავ ტახტრევანს და ზედ დაგაბრძანებ
გვირგვინად წითლად მოელვარე ლალებს დაგადგამ,
ყელზე მძივებად თეთრ მარგალიტს დაგახვევ ასჯერ
ტანზე ჩაგაცმევ აბრეშუმის ძაფებით ნაქარგს.
მერე გაკურთხებ იდედოფლე, ქალი ხარ კლდემა
დაუსაბამოდ მანდილის რომ ძალა ხელთ გერჩის,
უფალმა შეგქმნა შენ სამყაროს დასამშვენებლად
ამიტომ ადამს სხეულიდან წაართვა ნეკნი.
თუმცა ცბიერად გაუღიმე აგემე ვაშლი
ქვეყანა ცოდვად ააბღავლე დიდია გვემა,
მოგიტევეს და კვლავ კეკლუცად გიჭირავს თავი
რადგან ქალი ხარ, რადგან შენ ხარ თვით უფლის დედა!



ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ
ᲜᲘᲙᲝᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚ ᲐᲭᲐᲠᲐᲖᲔ

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ავსტრიელი მწერლის – არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერის რომანი „აჭარლები“ პირველი მხატვრული ტექსტია, რომელშიც ყოვლის მომცველი მასშტაბურობითა და ისტორიული სიმართლით არის ასახული ოსმალობის დროინდელ აჭარაში არსებული რეალობა (რომანი ქართულ ენაზე თარგმნა რუსუდან ღვინეფაძემ). კერძოდ, ავსტრიელი მწერალი ფართო სპექტრით წარმოაჩენს იმ რთულ ვითარებას, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სოციალური კუთხით არსებობდა ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონში რუსეთ-თურქეთს შორის 1877-1878 წლებში გამართული ომის წინარე ხანაში.

რუსუდან ღვინეფაძის ინფორმაციით, არტურ ზუტნერის ხსენებული რომანის ქართულ ენაზე გადმოთარგმნა მისთვის შეუთავაზებია ენციკლოპედია „აჭარის“ მთავარ სამეცნიერო რედაქციას, რომლის წიგნთსაცავში დაცული ყოფილა 1888 წელს გერმანიის ქალაქ შტუტგარტში გოთური შრიფტით გამოცემული ამ რომანის ეგზემპლარი.

არტურ ზუტნერის ხსენებული რომანის გამოქვეყნების შესახებ ქართველ მკითხველს პირველად გაზეთმა „ივერიამ“ აუწყა 1888 წლის 21 ივნისს გამოქვეყნებული ინფორმაციით. კერძოდ, რედაქციის შეტყობინებით, „ბარონს სუტნერს, რომელიც ამ ოთხი წლის წინეთ ტფილისში იყო და აქაურს გაზეთებში დაბეჭდა ვეფხის-ტყაოსანზედ თავისი კრიტიკული წერილი, ახალი რომანი დაუწერია გერმანულს ენაზედ ქართველთა ცხოვრებიდან. რომანს ეწოდება სახელად „აჯარი“ და იბეჭდება ნაწილ-ნაწილად შტუტგარტის ჟურნალში „გერმანული რომანების ბიბლიოთეკა“.

არტურ ზუტნერის ბიოგრაფიიდან დღესდღეობით ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებიდან ცნობილი არაა, მწერალი ხსენებულ რეგიონში პირადად იმყოფებოდა თუ არა. ერთადერთი ინფორმაცია, რასაც ამასთან დაკავშირებით გვაწვდის არტურის მეუღლე ბერტა თავის მოგონებათა წიგნში, ისაა, რომ საქართველოში ცხრაწლიანი ცხოვრების შემდეგ ისინი სამშობლოში სწორედ ბათუმის პორტიდან გასული გემით დაბრუნებულან. კერძოდ, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის იგი ამასთან დაკავშირებით: „შევუდექით ბათუმიდან შავი ზღვით ხომალდით მოგზაურობას შინისაკენ, შინისაკენ, შინისაკენ!“

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არტურ ზუტნერის რომანში ბათუმისა და მთელი აჭარის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება და იქაური გეოგრაფიული გარემო უცდომელი სიზუსტითაა წარმოსახული, შეიძლება ვთქვათ, რომ მწერალი მანამდეც იქნებოდა ნამოგზაურები ხსენებულ ადგილებში.

ამის თქმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს ა. ზუტნერი სამხედრო კორესპონდენტის მოვალეობას ასრულებდა და ამ ომთან დაკავშირებით ავსტრიულ

პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, იმ პერიოდში მას პირადადაც ჰქონოდა მონახულებული ხსენებული ადგილები.

რომანის მთარგმნელის – რ. ღვინეფაძის მართებული ხაზგასმით, არტურ ზუტნერი „საფუძვლიანად იცნობს აჭარის ისტორიას, აჭარელთა ტრადიციებს; საოცარი ხატოვანებით აღწერს მათ ჩაცმულობას, ფოლკლორს, ლამაზ და ზოგჯერ მკაცრ ბუნებას“. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომანის სამოქმედო სივრცე მხოლოდ აჭარით არ შემოიფარგლება და მასში ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ ისეთი რეგიონების ყოფაცაა მეტ-ნაკლები მასშტაბებით ასახული, როგორებიცაა: მურღული, ართვინი და ახალციხე.

როგორც ითქვა, „აჭარლებისადმი“ ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონის ოსმალობისდროინდელ ყოფაზე, გარდა ა. ზუტნერის რომანისა, არათუ უცხოურ ლიტერატურაში არ შექმნილა სხვა ნაწარმოები, არამედ ეს თემა თვით ქართულ მწერლობასაც კი დარჩა ყურადღების მიღმა.

განსხვავებით მისი მეუღლის - ბერტა ზუტნერისაგან, რომელიც 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ამსახველ თავის მოგონებებში ამ ომთან სისხლხორცეულად დაკავშირებული ქართული პრობლემის შესახებ ერთი სიტყვითაც კი არ ამბობს რაიმეს, არტურ ზუტნერის რომანში ჩვენი აჭარელი მოძმეების თავგანწირული ბრძოლა ოსმალთა ბატონობისაგან მათი მხარის განსათავისუფლებლად და კვლავაც დედასამშობლოსთან შესაერთებლად აშკარად გამოხატული პროქართული სულისკვეთებითაა ასახული.

რომანში დასაწყისიდანვე ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ აჭარა და მისი უმთავრესი ქალაქი ბათუმი ოდითგანვე ქართულ რეგიონს წარმოადგენდა და „წმინდა ქართული ანუ ქართველური ტომისა იყო“. ავტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ „ისლამი ხუთი საუკუნის მანძილზე განუწყვეტლივ ყოველ ღონეს ხმარობდა, ძალით გაენადგურებინა ეს ძველი ეროვნული მეხსიერება, დღესაც მიწის ყოველი გოჯი, ყოველი მტკაველი აქ ქართველთა მკვიდრობაზე მოწმობს. ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე დიდი ხნით ადრე მთავარი მდინარის ჭოროხის ვიწრობები, მისი შენაკადები და მთელი არემარეები იმ სახელებით იყო ცნობილი, რომლებიც მათ დღემდე მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებებით შემორჩენიათ და თითქმის უკლებლივ ქართული წარმოშობისაა“.

არტურ ზუტნერის ხაზგასმით, სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ „ჭოროხის აუზში ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით ქვეყნის აყვავების ხანის დროინდელი ეკლესიებისა თუ ციხე-სიმაგრეების ნაშთებს, რომელთა წარწერები ძველ ქართულ ენაზეა შესრულებული; ქართველთა ძლევამოსილი მეფის თამარის სახელი კი აქ ყველას ისევე ეკერა პირზე, როგორც მთებს გადაღმა, თბილისში, სადაც ამ კავკასიელი სემირამიდას რეზიდენცია იყო“. რომანის პერსონაჟთა მტკიცებით, „თამარი იყო უდიდესი დედოფალი, რომელიც კი ოდესმე ყოფილა და მისი მეფობის ხანაში მთელ ქვეყანაში მხოლოდ სიკეთე სუფევდა“.

დამოწმებულ ფრაგმენტებში გამოთქმულ მოსაზრებებს, რაშიც დღევანდელი ჩვენი მკითხველისათვის ახალი არაფერია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ორი უმთავრესი ფაქტორი სძენდა: პირველი, ის, რომ თამარ მეფესთან დაკავშირებულ ამ მოსაზრებებს თავის პერსონაჟებს უცხოელი ავტორი გამოათქმევინებდა ესოდენი ხაზგასმით და, მეორე, იგი ამას იმ დროს აკეთებდა, როცა საუკუნეების განმავლობაში მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი და უცხო ქვეყნის დაქვემდებარებაში მცხოვრები ჩვენი მოძმეების არცთუ მცირე ნაწილი ეროვნული გაუცხოების გზას ადგა.

კერძოდ, ამის თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მუსლიმანური ფანატიზმის ტყვეობაში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი მშობლიური ფუძიდან იყრებოდა და საცხოვრებლად ოსმალეთს აფარებდა თავს.

ა. ზუტნერის რომანი საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ მწერალი რელიგიურად გაუცხოებულ ამ ადამიანთა ფრაგმენტულ სახეებსაც წარმოსახავს. მაგალითად, ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის – თამარის შორეული ნათესავი რუსუდანი, რომელიც მასთან ახლო პიროვნული ურთიერთობებით იყო დაკავშირებული, მწერლის ხაზგასმით, მუსულმანურ ფანატიზმს იმდენად ჰყავდა შეპყრობილი, რომ „ყოველივე ახალსა და არათურქულს ზიზღითა და სიძულვილით ეკიდებოდა და ღვთის გმობად მიაჩნდა,

თუ ქალს სახე ჩადრით არ ჰქონდა შებურული. იგი გაუთავებლად ტუქსავდა ახალგაზრდა ქალიშვილებს იმის გამო, რომ ისინი ევროპულ სამოსში გამოეწყვნენ“.

ა. ზუტნერის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა არც თუ მცირე ნაწილი, რომლებიც ეთნიკურად ქართველები იყვნენ, მუსლიმანური რელიგიით სავალდებულო წესების დაცვას მხოლოდ გარეგნულად და მოჩვენებითად ცდილობდა. მაგალითად: „მანდილოსნებსა და გოგონებს თავზე ჩადრები ებურათ, რომელთა ბოლოები სახეს უფარავდნენ, მაგრამ დროდადრო, ცეცხლოვან ცეკვაში, საბურავი გადაიწეოდა და იქიდან ხან წითელი ღაწვი, ხან ბრიალა შავი თვალები, ხან კი ალუბლისფერი ბაგეები გაიელვებდნენ ხოლმე. თუმცა ჩადრებს დიდად არ დაგიდევდნენ, მით უმეტეს, რომ შერიფ-ფაშას სტუმარი ქალები სრული თავისუფლების მაგალითს იძლეოდნენ“.

ა. ზუტნერის ხაზგასმით, აჭარის მკვიდრ ქართველთა გარკვეული ნაწილის მიერ მუსლიმანური რელიგიით სავალდებულო ნორმათა ამგვარ დარღვევათა გამო ამ რეგიონის გუბერნატორს – შერიფ-ფაშას სტამბოლიდან საყვედურიც კი მიუღია და იგი მკაცრად გაუფრთხილებიათ იმისათვის, „სათანადო სიმკაცრეს რომ არ იჩენდა მაჰმადიანური წესების დასაცავად“.

როგორც ა. ზუტნერის რომანიდან თვალნათლივ ჩანს, ქართული სახელმწიფოებრივი სივრცისა და წინაპართა რელიგიური რწმენისაგან მრავალსაუკუნოვანი მოწყვეტის მიუხედავად, ავსტრიელი მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა უდიდესი ნაწილი ეროვნულ სულისკვეთებას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ისინი თავიანთი ცნობიერებით კვლავაც რჩებოდნენ ქართული ეთნოსის სისხლხორცეულ ნაწილად. სწორედ მათი ამგვარი ეროვნული თვითშეგნების თვალნათლივ გამოხატულებას წარმოადგენდა მათ მეხსიერებაში წარუშვლელად აღბეჭდილი ისტორიული წარსულის წარმომჩენი ის ეპიზოდები, რის სიმბოლოდაც ავსტრიელ მწერალს პირველ ყოვლისა თამარ მეფე და ამ რეგიონში მრავლად არსებული ქრისტიანული საკულტო ნაგებობების ნაშთები მიაჩნდა.

როგორც არტურ ზუტნერის რომანის გაცნობით ვრწმუნდებით, ავსტრიელი მწერალი ღრმად და საფუძვლიანად არის გარკვეული ისტორიულ მოვლენათა არსში და მის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა ცხოვრებას იმ მოვლენათა კონტექსტში წარმოაჩენს, რითაც ოსმალობის დროინდელ აჭარაში განვითარდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის წინარე ხანაში.

ამ მოვლენათა კულმინაციად იმ სახალხო აჯანყებას წარმოსახავს, რომლითაც ადგილობრივმა მოსახლეობამ არა მარტო ოსმალური ხელისუფლების მმართველობითი პოლიტიკის შედეგად აღზევებულ უსამართლობათა წინააღმდეგ გაილაშქრა მასობრივად, არამედ იმხანად რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ შემადგენლობაში შემავალ საქართველოსთან საუკუნეთა განმავლობაში გაწყვეტილი ერთობის აღსადგენადაც.

მიუხედავად იმისა, რომ არტურ ზუტნერის რომანში ხსენებული სახალხო აჯანყების მოხდენის ზუსტი თარიღი დასახელებული არ არის, რუსეთ-თურქეთის ზემოთ ხსენებული ომის წინარე ხანაში აჭარის რეგიონში განვითარებულ მოვლენათა საფუძველზე მაინც შეიძლება იმის დაბეჯითებით თქმა, „აჭარლების“ უმთავრეს სიუჟეტურ ღერძად ქცეული სახალხო აჯანყება რეალურად მომხდარ მოვლენას რომ წარმოადგენს და არა ავტორის ფანტაზიით წარმოსახულ ამბავს.

კერძოდ, როგორც ოსმალეთის შემადგენლობაში მოქცეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მასობრივმა სახალხო აჯანყებებმა მოიცვა. მათგან განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა 1862, 1873 და 1875-1876 წლებში მომხდარმა ანტისახელისუფლებო გამოსვლებმა. მართალია, ხელისუფლებასთან შეიარაღებულ დაპირისპირებებში გადაზრდილ ამ მასობრივ სახალხო გამოსვლებს თავდაპირველად სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები ედო საფუძვლად, მაგრამ შემდგომში ადგილობრივი მოსახლეობის უმთავრეს მოთხოვნებს ეროვნული პრობლემაც დაემატა და ხალხი უკვე საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან შეერთების მოთხოვნითაც გამოდიოდა აქტიურად.

ამ გარემოებას აქ ასე ხაზგასმით იმიტომაც აღვნიშნავ, რომ ავსტრიელი მწერალი თავისი რომანის უმთავრეს სიუჟეტურ ღერძად აჭარის მკვიდრთა ანტისახელისუფლებო გამოსვლის მიმდინარეობას სწორედ ამ მიმართულებით წარმოგვიდგენს. მართალია, მოსახლეობის მღელვარებასა და ანტისახე-

ლისუფლებო ამბოხებას თავიდან სოციალური და ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა და აჯანყებულები ოსმალური ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენელთა უკანონო ქმედებებს დაუპირისპირდნენ, მაგრამ შემდგომში მათმა ამ მოძრაობამ მკაფიოდ გამოკვეთილი ეროვნულ-ქართული ხასიათი შეიძინა და ამბოხებულები უკვე ღიად და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე მოითხოვდნენ დიდ საქართველოსთან მათი მხარის შეერთებას, რადგანაც ისინიც ქართველები იყვნენ.

ა. ზუტნერის არაერთგზისი ხაზგასმით, მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ხელისუფლებამ მის მიერ დაპყრობილ აჭარაში, კლარჯეთსა და სხვა ქართულ რეგიონებში მცხოვრები ქართველები ძალადობრივი გზით მოწყვიტა წინაპართა სარწმუნოებას და გაამაჰმადიანა, იქაური მოსახლეობის „დიდი ნაწილი სულის სიღრმეში მაინც რჩებოდა ერთგული ძველი რწმენის და წარმომავლობისა, რომლითაც მათი წინაპრები ამაყობდნენ“.

ავსტრიელ მწერალს სწორედ ამის თვალნათლივ გამოვლინებად მიაჩნდა ის მოვლენა, რომ საუკუნეთა განმავლობაში უცხო სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მოქცეული აჭარის მკვიდრი ქართველობა მაინც რჩებოდა „ფართო გაგებით ქართველად“.

ოსმალობის დროინდელ აჭარაში მოსახლეობის ანტისახელისუფლებო გამოსვლის უმთავრეს შედეგად არტურ ზუტნერი პირველ ყოვლისა იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ აღნიშნულმა მოვლენამ ისტორიული საქართველოს ამ მხარეში მცხოვრები ბევრი ქართველის ცნობიერებაში გააღვივა ეროვნული თვითშეგნების მინავლული გრძნობა და ისინი ღრმად და დაუეჭვებლად დაარწმუნა იმაში, რომ მუსულმანური რწმენის მიღების მიუხედავად ისინი პირველ ყოვლისა მაინც ქართველები იყვნენ.

მაგალითად, აი, როგორი ფსიქოლოგიური წიაღსვლით გამოხატავს მწერალი ოსმალთა ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი ერთ-ერთი მათგანის სინანულს იმის გამო, რომ თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, მას უკვე იმის რეალური შესაძლებლობა აღარ ჰქონდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ზემოთ ხსენებული პროცესის მონაწილეებს ისიც რომ შეერთებოდა და ისიც ჩამდგარიყო მათ რიგებში: „არჩილი პატიოსანი, ღირსეული კაცი გახლდათ, რომელსაც ეს სავალალო მდგომარეობა გულწრფელად აწუხებდა, მაგრამ ის მბრძანებელთა სამსახურში იყო, მათ პურს ჭამდა და თუნდაც ამ ერთადერთი მიზეზის გამო არ ჰქონდა უფლება, იმათ წინააღმდეგ გამოსულიყო. გარდა ამისა, ძველქართული სულისკვეთება კარგა ხნის მიძინებული იყო მასში და მის ასაკში ასეთი საქმეებისთვის აგზნება უკვე შეუძლებელი იქნებოდა. ის მგლების ხროვაში მოხვდა და ამიტომ მათთან ერთად უნდა ეყმუვლა“.

ამ ისტორიული ერთობის სიმბოლურ ხატებად აჭარის მკვიდრთა ცნობიერებაში პირველ ყოვლისა თამარ მეფის სახელი იყო დამკვიდრებული. მათ ამგვარ ეროვნულ თვალთახედვას საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების შესახებ წინაპრებისაგან მათთვის ზეპირსიტყვიერად მოთხრობილი ის რომანტიკული ამბები განსაზღვრავდა, რომელთა უმთავრეს გმირადაც სწორედ თამარი იყო მიჩნეული.

აქედან გამომდინარე, შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან აჭარის განსათავისუფლებლად და დედასამშობლოსთან შემოსაერთებლად ბრძოლის პერსპექტივა ა. ზუტნერმა გარკვეულწილად თამარ მეფის დროინდელი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ძლიერების რომანტიკულ მოგონებებსაც დაუკავშირა. მაგალითად, საკუთარი მხარის ბედნიერი მომავლისთვის მებრძოლ პატრიოტ ძალთა ერთ-ერთი თავკაცი – ჯამბეკ თაგუირიძე ერთგან ამბობს, რომ ყველა სხვა დროს „ის დრო ჯობდა, როცა დიდი დედოფლის მძლავრი ხელი იფარავდა ჩვენს საბრალო ქვეყანას“.

ა. ზუტნერის რომანის უმთავრეს ღირსებას პირველ ყოვლისა ის ფაქტი წარმოადგენს, რომ მწერალი ღრმად და საფუძვლიანად არის გარკვეული ამ მოვლენის არსში და ისტორიული სიმართლით წარმოსახავს აჭარის მკვიდრთა აქტიურ ბრძოლას ოსმალური კირთებისგან მათი მხარის განსათავისუფლებლად და კვლავაც დედასამშობლოსთან შემოსაერთებლად.

ავსტრიელი მწერლის აზრით, აჭარის ქართულობისა და მისი მოსახლეობის ქართველობის უტყუარად დამადასტურებელ უმთავრეს არგუმენტად თუნდაც იმის გახსენებაც იკმარებდა, „ჭოროხის აუზში ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ შეხვდებოდით ქვეყნის აყვავების ხანის დროინდელი ეკლესიებისა თუ ციხესიმაგრეების ნაშთებს, რომელთა წარწერები ძველ ქართულ ენაზეა შესრულებული და დღეს სა-

მწუხაროდ მხოლოდ ნაწილობრივღა იკითხება; ქართველთა ძლევამოსილი მეფის თამარის სახელი კი აქ ყველას ისევე აკერია პირზე, როგორც მთებს გადაღმა, თბილისში, სადაც ამ კავკასიელი სემირამიდას რეზიდენცია იყო“.

როგორც დამოწმებული ფრაგმენტებითაც თვალნათლივ ჩანს, ა. ზუტნერი საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად იცნობს ე. წ. „ოსმალოს საქართველოს“ ტრაგიკულ წარსულსაც და თანადროულ ყოფასაც. მწერლის მსოფლმხედველობრივი თვალთახედვისათვის პრინციპულად უცხოა და მიუღებელი რელიგიური აღმსარებლობებისადმი დიფერენცირებული მიდგომა და ამ თვალსაზრისით იგი მუსლიმანური სარწმუნოებისადმიც ისეთივე პატივისცემითაა განმსჭვალული, როგორც ქრისტიანობისადმი. თუმცა, ამისდა მიუხედავად, რომანში მაინც დაბეჯითებით ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ წინაპართა რელიგიისგან იძულებითი მოწყვეტა და მაჰმადიანური სარწმუნოების მიღება „ოსმალოს საქართველოს“ მკვიდრთა ისტორიულ ბედისწერად ქცეულ იმ ტრაგიკულ მოვლენას წარმოადგენდა, რომელმაც მათს ეროვნულ ცნობიერებაში ბევრი რამ შეცვალა მნიშვნელოვნად და არსებითად.

მაგალითად, ავტორის თქმით, ხსენებულ რეგიონში, მოყოლებული XVII საუკუნის დასაწყისიდან, როცა „გამარჯვება დარჩა ისლამს... ყოველივეს, რასაც კი ქრისტეს სახელი ერქვა, სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს და აყვავების დროინდელი ყველა ძეგლი ისე გაანადგურეს, რომ მათგან მხოლოდ კედლებიღა შემორჩა. მოსახლეობა თანდათან ბედს შეეგუა. მაჰმადიანმა მბრძანებლებმა ისეთი მმართველობა დაამყარეს, რომ მთელი კლარჯეთი და აჭარა რკინის კლანჭებში ჰყავდათ მოქცეული“.

მიუხედავად ამისა, ა. ზუტნერის მართებული აღნიშნვით, თურქთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის უღელქვეშ მცხოვრები კლარჯელების, ჭოროხისპირელებისა და აჭარლების უმეტესობა „სულის სიღრმეში მაინც რჩებოდა ერთგული ძველი რწმენის და წარმომავლობისა, რომლითაც ოდესღაც მათი წინაპრები ამაყობდნენ“. რაც შეეხებოდათ ქვეყნის მმართველობაში გარეულ პირებს, მწერლის თქმით, მათთვის „უფრო მომგებიანი საქვეყნო ინტერესებზე თვალის დახუჭვა და საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა აღმოჩნდა“ და ბევრი მათგანი, განსაკუთრებით კი კაიმაზამები (თემის განმგებლები), თავიანთ თემში „თავს პატარა მეფედ გრძნობდნენ“.

ა. ზუტნერი ყოველივე ამის შესახებ არა მარტო ზოგად ინფორმაციას გვაწვდის, არამედ ამ ორი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ცნობიერებისა და ეროვნულ-მოქალაქეობრივი თვალთახედვის მქონე პიროვნებათა შორის მიმდინარე გამძაფრებულ ბრძოლათა და დაპირისპირებათა შესახებაც გვიამბობს საკმაოდ დინამიურად. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ამ ბრძოლათა მთავარ წარმმართველ პირებად მწერალმა დამპყრობი ერის წარმომადგენლები კი არ აქცია, არამედ თავად ამ მხარის მკვიდრი შვილები. კერძოდ, ოსმალური კირთებისაგან საკუთარი მხარის განსათავისუფლებლად მებრძოლ ქართველებს პირველ ყოვლისა ეროვნულად გადაგვარებული მათი თანამემამულე დიდგვაროვნები და მაღალჩინოსნები უპირისპირდებიან.

ა. ზუტნერი სავსებით ობიექტურად აღნიშნავს იმ უმნიშვნელოვანეს როლს, რასაც ბათუმი ოსმალთა ბატონობის ხანაშიც ასრულებდა მთელი რეგიონის მასშტაბით. კერძოდ, მწერლის ინფორმაციით, ოსმალთა ბატონობის პერიოდში ფაშა, რომელიც რეგიონის უმაღლეს ხელისუფალს წარმოადგენდა, სწორედ ბათუმში იჯდა და მის დაქვემდებარებაში თერთმეტ ნაწილად ანუ კაზად დაყოფილი მთელი აჭარა და კლარჯეთი შედიოდა. ბათუმშივე ჰქონდა ბინა მეჯლისს (სახელმწიფო საბჭოს), ტრიბუნალსა და საბაჟოს; იქვე იყო განლაგებული ბატალიონის გარნიზონიც.

მწერლის ხაზგასმით, რეგიონის ცენტრად ქცევამ და ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ ბათუმს ოსმალთა ბატონობის პერიოდშივე შესძინა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია. სახელდობრ, XIX საუკუნის 70-იან წლებში, როცა რომანში აღწერილი მოვლენები ვითარდება, ბათუმში „უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობანი იმდენად გაცხოველდა, რომ ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფო იძულებული გახდა, საკონსულოები გაეხსნა და მათი წარმომადგენლები თავიანთი ოჯახის წევრებიანად სიამოვნებით იყენებდნენ შესაძლებლობას, ერთფეროვანი ცხოვრება გუბერნატორის სახლში გამართული თავყრილობებით გაეხალისებინათ“.

როგორც რომანიდან თვალნათლივ ჩანს, გარესამყაროსთან ბათუმი უმთავრესად არა მარტო ზღვით იყო დაკავშირებული, არამედ სამდინარო გზითაც. კერძოდ, ისტორიული წყაროებიდან და მოგზაურული ლიტერატურიდან კარგად ცნობილ ფაქტს – ჭოროხისა და აჭარისწყლის ფართოდ და ინტენსიურად გამოყენებას სანაოსნოდ – ავსტრიელი მწერალიც განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცევს. ნაწარმოებში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი იმ როლის წარმოჩენას, რომელსაც ხსენებული მდინარეები ასრულებდნენ იმხანად როგორც ტვირთების გადატანის, ისე მგზავრთა გადაყვანის საქმეში.

მიუხედავად იმ სირთულეებისა, რასთანაც კლდოვან მთათა კალაპოტში ჩამომჩქეფარე ამ მდინარეებში ნაოსნობა იყო დაკავშირებული (განსაკუთრებით დინების საწინააღმდეგოდ სვლის დროს), სახმელეთო გზათა მეტისმეტი სიცუდის ან საერთოდ არარსებობის გამო, ჭოროხი და აჭარისწყალი იმხანად მთავარ საკომუნიკაციო ფუნქციას მაინც ასრულებდა. ავტორის თქმით, ამ მდინარეებზე „საკმაოდ გაცხოველებული მოძრაობა იყო“.

ამგვარ მოგზაურობათა ამბები რომანში ისე შთამბეჭდავად და რეალისტურადაა მოთხრობილი, რომ ეს ყველაფერი ავტორმა, როგორც ჩანს, არა მარტო გადმოცემითა და თეორიულად იცოდა ესოდენ კარგად, არამედ ეტყობა, თავადაც იყო ამ სანაოსნო გზით ნამგზავრი.

მიუხედავად იმისა, რომ რომანის სამოქმედო გეოგრაფიული არეალი ძირითადად ბათუმით, სხალთით, ციხისძირითა და აჭარის სხვა ადგილებით შემოიფარგლება, მასში მოქმედება, დროდადრო, სხვა დასახლებულ პუნქტებშიც ვითარდება და ავტორი იქ არსებულ მდგომარეობასაც აღწერს მეტ-ნაკლები მასშტაბებით (მაგალითად, მურღული, ართვინი, ახალციხე, ტბეთი...).

ა. ზუტნერის რომანში საკმაოდ ღრმადაა განსჯილ-გაანალიზებული ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემა. ამ პრობლემისადმი ნაწარმოების მოქმედ გმირთა დამოკიდებულებაში ორი უმთავრესი თვალსაზრისი იკვეთება: პირველი (რასაც თავად ავტორიც აქტიურად ემხრობა და უჭერს მხარს), ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და საუკუნეთა განმავლობაში დამპყრობთა მიერ ძალით მიტაცებული ტერიტორიების კვლავაც ქართული სახელმწიფოსთვის მიერთება; და მეორე, ამ ტერიტორიების ისევ ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში დარჩენა. განსხვავებით პირველი თვალსაზრისისაგან, რომლის რეალურად აღსრულებისთვის ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ბრძოლას, რომანის მიხედვით, საერთო-სახალხო მასშტაბები აქვს შეძენილი, მეორე თვალსაზრისს მხარს ძირითადად დამპყრობთა სამსახურში მყოფი ჩინოსნები უჭერენ თავიანთი პიროვნული კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

ა. ზუტნერის რომანის მიხედვით, XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აზვირთების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად პირველ ყოვლისა სოციალური უსამართლობა და მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იქცა. მწერლის თქმით, აჭარელთა დიდი ნაწილის ცნობიერებაში საკუთარი ეროვნული უფლებების დასაცავად ბრძოლის ის სულისკვეთება, რისთვისაც მათი წინაპრები სიცოცხლესაც კი სწირავდნენ, იმხანად უკვე იმდენად იყო მიმცხრალ-მინავლული, რომ ბევრი მათგანი იარაღს მხოლოდ „სამკაულად ატარებდა“. მაგრამ ხსენებულ პერიოდში აღზევებულმა სოციალურმა უსამართლობამ მოსახლეობის დიდი ნაწილი საბრძოლველად განაწყო და ეროვნული ფესვებისკენ მიახედა. მწერლის თქმით, „თუკი აქამდე ზეწოლას ემორჩილებოდნენ და კულტისა და ცხოვრების წესის საკითხებში მუსულმანურ კანონებს მისდევდნენ, ახლა ზოგიერთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის ძველქართულ წარმომავლობას და ხმამაღლა აცხადებდა, წინასწარმეტყველის მიმდევრებთან არაფერი გვაქვს საერთოო“ :108). ავტორის ხაზგასმით, ხელისუფლების დევნისაგან თავის დასაღწევად ამ ადამიანთა ნაწილი წინაპართა ნაფუძარს ტოვებდა და თავს რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში მყოფ ისტორიულ სამშობლოს აფარებდა.

ა. ზუტნერი არაერთგზის უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ოსმალეთის დაქვემდებარებაში მოქცეულ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართველები ეროვნულ გადაგვარებასა და სოციალურ უსამართლობას თავს მხოლოდ მაშინ დააღწევდნენ, თუ კვლავაც დედასამშობლოს შეუერთდებოდნენ და ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში მოექცეოდნენ. აშკარად გამოხატული თავისი პრორუსული პოზიციიდან გამომდინარე,

ავსტრიელი მწერალი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ამის რეალურად მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის აქტიური საბრძოლო დახმარებით იყო შესაძლებელი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, „სამუსლიმანო საქართველოს“ პრობლემის ამ გზით გადაწყვეტა, რასაც, რომანის მიხედვით, ამ რეგიონის მცხოვრებ ქართველ პატრიოტთა დიდი ნაწილი უჭერდა მხარს აქტიურად, პრინციპულად მიუღებელი იყო ეკონომიკურად დაწინაურებულ პირთათვის. მაგალითად, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის – მურზა-ხანის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მოსახლეობა დასახმარებლად „მეზობელ სახელმწიფოს“ (ე. ი. რუსეთს) მიმართავდა, მაშინ იგი „მთელ თავის ქონებასა და გავლენას გამოიყენებდა იმისათვის, რომ ეს მოძრაობა ჩანასახშივე ჩაეხშო“ და „პირველივე მოღალატეს“, ვინც მას გზაზე გადაეღობებოდა, საკუთარი ხელით გააგდებინებდა თავს“.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ზუტნერის რომანის ზემოთ ხსენებული პერსონაჟის ანტირუსული პოზიცია მისი ეროვნული თვალთახედვის შედეგს კი არ წარმოადგენდა, არამედ პიროვნულ სარგებლიანობაზე დაფუძნებული პოზიციის გამოხატულება იყო, რუსული კოლონიალიზმის მისეული შეფასებიდან მაინც აშკარად ვლინდება ამ მოვლენისადმი თავად ავტორის კრიტიკული დამოკიდებულებაც.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს იმ შეფასებიდან, რომელსაც თავად მურზა-ხანი აძლევს რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას დაპყრობილი ქვეყნებისადმი: „რუსები! მაგას (იგულისხმება აჭარელ აჯანყებულთა თავკაცი – ა. ნ.) ჰგონია, უკეთესად წაუვა საქმე, თუ რუსები დაეპატრონებიან ქვეყანას? შემიძლია ვუამბო, როგორ დაკარგა მამაჩემმა კინაღამ მთელი თავისი ქონება, როცა მათ აფხაზეთი ჩაიგდეს ხელში და ძლივს მოასწრო ყველაფრის გადარჩენა – მამულები გაყიდა და აქ (ოსმალეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში – ა. ნ.) გადმოსახლდა. და ახლა იმ შეშლილებს უნდათ, ის გაუმაძღარი მგლები შემოგვისიონ? – არა, არასოდეს“.

მურზა-ხანისაგან განსხვავებით, დედა საქართველოსთან აჭარის შეერთებისთვის აქტიურად მებრძოლი რაზმის თავკაცი – ჯამბეკი თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზანსწრაფვის არსს ერთგან ამგვარად ხსნის და განმარტავს: „ჩემი სამშობლო ის მიწა-წყალია, სადაც გავიზარდე... რა უნდა მქონდეს საერთო იმ სამარცხვინო ტირანებთან, რომლებიც მზად არიან ძარღვებიდან სისხლი გამოგვწოვონ? არაფერი; ისინი ჩვენთვის უცხონი არიან – იმ მოდგმისანი, რომელსაც ჩვენ არ ვეკუთვნით, რომელიც საუკუნეების წინ ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა სხვისი სიკეთის დასაპატრონებლად. ჩვენი მამული აქ არის, სადაც ვდგავართ; ჩვენს ძარღვებში ქართული სისხლი ჩქეფს და არაფერი გვაქვს საერთო გადაღმიდან მოსულ მჩაგვრელებთან. ამიტომაც უმალ მამულის მხსნელად ვიგრძნობ თავს, ვიდრე მის მოღალატედ, თუ ძველი, ნამდვილი თვისტომის მხარდამხარ ვიბრძოლებ საძულველი უღლისაგან ჩემი ქვეყნის განსათავისუფლებლად“.

რომანის მთავარმა გმირმა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის დაწყების წინ წარმოთქმული ამ სიტყვების სიმართლე პირველ ყოვლისა ამ ომში თავისი აქტიური მონაწილეობით დაამტკიცა. ჯამბეკი გამონაკლისი არ ყოფილა და ანალოგიურად ფიქრობდნენ მისი თანამებრძოლებიც. მათი აზრით, ოსმალთა ბატონობისაგან თავის დახსნითა და რუსეთის განმგებლობაში გადასვლით მათი „ქვეყანა (იგულისხმება აჭარა – ა. ნ.) გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა“. ამიტომაც, – შეუვალი თვითდაჯერებით ამბობს ერთ-ერთი მათგანი, – „თუ საქმე ისე წავა, რომ რუსეთი დააპირებს თავისი კალთის ქვეშ შეგვიფაროს, სიცოცხლეს არ დავიშურებ, რათა ამ წამოწყების განხორციელებას შევუწყო ხელი“.

ა. ზუტნერის რომანისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მწერალი ოსმალობის დროინდელი აჭარის მკვიდრთა და საქართველოს დანარჩენ მხარეების მოსახლეობას შორის არსებულ ურთიერთობაზეც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას. კერძოდ, როგორც ავსტრიელი მწერლის მონათხრობიდან ნათლად ჩანს, მიუხედავად სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სივრცეში ცხოვრებისა, ე. წ. ოსმალოს საქართველოში მცხოვრებ ქართველთა ცალკეულ წარმომადგენლებს ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებთან კავშირ-ურთიერთობა მაინც არ ჰქონდათ გაწყვეტილი და საკმაოდ რთული სასაზღვრო ბარიერების არსებობის მიუხედავად აქაურ მოსახლეობასთან აქტიურადაც კი იყვნენ დაკავშირებული.

სწორედ ამ ურთიერთობის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ოსმალური ხელისუფლების დევნისაგან თავის დახსნის მიზნით აჭარელმა მეამბოხეებმა თავი ე. წ. რუსეთის საქართველოს, კერძოდ კი ახალციხეს, შეაფარეს. მწერლის ინფორმაციით, იქ „ხშირად ჩამოდიოდნენ სხალთის ახლო-მახლოდან და იქაურ ამბებს ჩამოუტანდნენ“. უსაფრთხოების მიზნით ახალციხეს თავშეფარებულ ჯამბეკს, რომელიც ხსენებული აჯანყების ერთ-ერთი თავკაცი იყო, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ თანამემამულეებთან იმდენად ახლო ურთიერთობა ჰქონდა, რომ მათი აქტიური თანადგომითაც უწევდა ორგანიზებას ოსმალეთის ბატონობისაგან მათი მხარის განსათავისუფლებლად დაწყებულ სახალხო ამბოხებას.

მაგალითად, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის მწერალი იმ ურთიერთობათა შესახებ, რითაც თავიანთი დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიზნის განხორციელებისათვის მებრძოლი ჯამბეკი და მისი რაზმელები იყვნენ დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის წარმომადგენლებთან: იმ შემთხვევაში, თუ ახალციხეში მყოფი ჯამბეკი სასურველ დონეზე საქმის მოგვარებას ვერ შეძლებდა, მაშინ „ერთი გამოსავალი რჩებოდა – თბილისს გაემგზავრებოდა, სადაც სიყრმის მეგობრები ეგულებოდა და დარწმუნებული იყო, გაშლილი ხელებით შეხვდებოდნენ.

დაიქირავა ცხენები და მცირე შესვენების შემდეგ რამდენიმე კაცით იმ გზას დაადგა, რომელიც ოზურგეთისა და ახალციხის გავლით უმოკლეს დროში ჩაიყვანდა ადგილზე. მეოთხე დღეს ახალციხეს მიაღწია, სადაც ერთ თბილისელ ახალგაზრდა კაცს შეხვდა, რომელთანაც ბავშვობაში მეგობრობდა“.

როგორც ითქვა, ავსტრიელი მწერლის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა პატრიოტულ თვალთახედვას მტკიცედ მოტივირებულს უპირველეს ყოვლისა თავად ავტორის მიერ ყოველგვარი დაეჭვების გარეშე არაერთგზის გამოხატული ის თვალსაზრისი ხდის, რომლის მიხედვითაც აჭარა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენელ ღვიძლ ნაწილს წარმოადგენს, რომლის მოსახლეობა ისტორიულ სამშობლოში მცხოვრები მოძმეებისაგან მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ნიშნით – სარწმუნოებით განსხვავდებოდა. მაგალითად, მწერლის თქმით, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი – ჯამბეკი თუმცა აჭარელი, მაგრამ „ფართო გაგებით ქართველი იყო“.

ა. ზუტნერის ხაზგასმით, რუსეთ-თურქეთის ზემოთ ხსენებულმა ომმა სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მშობლიურ წიაღს მოწყვეტილ აჭარელთა ეროვნულ ცნობიერებას თითქოს საბურველი ახადა და ბევრ მათგანს „ახლაღა გაახსენდა, რომ აქამდე ხელისუფლების სათავეში უცხოელი დამპყრობლები იყვნენ, რომ მთებს გადაღმა თანამოძმენი ცხოვრობდნენ, რომლებიც რუსეთის ბატონობის ქვეშ გაცილებით უკეთ გრძნობდნენ თავს. ეროვნულმა საკითხმა ერთ ღამეში წამოიწია და ამით მოძრაობამ სულ უფრო და უფრო მეტი მხარდამჭერი შეიძინა. თუ ქუჩებში აქამდე მხოლოდ თურქული ისმოდა, ახლა ქართულმა ენამ იმძლავრა; რუსულ ფრაზებსაც გაიგონებდით – თითქოს ქალაქის მცხოვრებნი ხელის ერთი დარტყმით მთლიანად შეცვალესო“.

ა. ზუტნერის რომანში ის იმპერიული პოლიტიკაც იქცა კრიტიკული მხილების საგნად, რომელსაც ოსმალეთის ხელისუფლება ატარებდა ხსენებული რეგიონიდან ადგილობრივი მოსახლეობის არაქართულ რეგიონებში გადასასახლებლად და მათ ნაფუძარზე უცხო ეთნიკური ჯგუფების დასამკვიდრებლად. როგორც ცნობილია, ამ ტრაგიკულმა მოვლენამ რუსული მმართველობის პერიოდში გაცილებით ფართო მასშტაბები შეიძინა და რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, მუჰაჯირებად გადახვეწილ ქართველ მუსლიმანთა ნასახლარებზე მასობრივად დაესახლებინა რუსი ეროვნების მოქალაქენი და ამ გზით ხელოვნურად მოეხდინათ ხსენებული ადგილების რუსიფიკაცია.

ორივე იმპერიის ხელისუფალთა მიერ მიზანსწრაფულად გატარებული ამ მზაკვრული პოლიტიკის არსი ავსტრიელი მწერლის რომანში შემდეგნაირადაა გაშიფრული: „რეჯიბ-ბეგს მიზანშეწონილად მიაჩნდა, აყრილების ადგილას ისინი ჩაესახლებინა, რომლებიც უკვე მის რჯულზე იყვნენ გადაჯიშებულნი, და ამიტომ ჩამორთმეული მამულების დიდ ნაწილს იმათთვის ინახავდა, ვინც სანაპირო ზოლიდან უნდა გადმოესახლებინა“. ასე რომ, ხელისუფლების მესვეურები ამ გზით „ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა მკვიდრი ტომი თანდათან განედევნათ საკუთარი ქვეყნიდან და თავად გაეშალათ ფრთები“.

ა. ზუტნერის რომანი შესაბამისი პერიოდის აჭარასთან კლარჯეთ-შავშეთის დამაკავშირებელი გზების შესახებაც გვაწვდის საინტერესო ცნობებს. როგორც ავტორისეული მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, რელიეფის სირთულის გამო ხსენებული რეგიონების საგზაო ინფრასტრუქტურა ძალზე მოუწესრიგებელი იყო, რაც გადაადგილებისთვის საკმაოდ დიდ სირთულეებს წარმოქმნიდა. ასეთ ვითარებაში ამ დანიშნულებით უმთავრეს როლს მდინარეების: ჭოროხისა და აჭარისწყლის ფართოდ გამოყენებას სანაოსნოდ.

ა. ზუტნერი არა მარტო ზოგადად გვაწვდის ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით, არამედ დიდი სიტყვიერი ხელოვნებითა და დეტალიზაციითაც აღწერს ნაოსნობის ამ პროცესს. კერძოდ, ხსენებულ მდინარეთა მეტად მნიშვნელოვან სანაოსნო როლს შესაბამისი პერიოდის აჭარასა და შავშეთ-კლარჯეთში და აღნიშნული სამდინარო გზით მოგზაურობასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს მწერალი ისეთი ნიუანსობრივი დეტალიზაციითა და ღრმად შთამბეჭდავი ემოციურობით მოგვითხრობს, რომ რეალურად გვექმნება საფუძველი იმის სათქმელად, თავად ისიც რომ იქნება ამ სანაოსნო გზებით არაერთგზის ნამოგზაურები.

მაგალითად: რომანის მთავარმა პერსონაჟმა ჯამბეკმა და მისმა დამხმარეებმა მდინარე აჭარისწყლის ხეობაში მდებარე ერთ-ერთ სოფელში სტუმრად მიწვეული გუბერნატორისა და მისი თანმხლები პირების წასაყვანად „ყველაზე დიდი და ახალი ნავები შეარჩიეს და რაც შეიძლებოდა, მოხერხებულად მოაწყვეს. ერთში გუბერნატორი უნდა მოეთავსებინათ თავის მეგობრებთან ერთად მთელი დღით, მეორე კი ქალებისათვის ღამის გასათევად იყო განკუთვნილი; ხოლო მესამეში მხლებლები და მსახურები დაბინავდნენ“ (ზუტნერი, 2007:21). საპატიო სტუმრების ეს ეკიპაჟი „საღამომდე ესკორტი ნავების სოლიდური რიცხვით შეივსო“.

როგორც ავტორისეული მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, აჭარისწყალზე გაცილებით მნიშვნელოვან სანაოსნო როლს ასრულებდა მდინარე ჭოროხი, რომელიც ბათუმთან შესაბამისი პერიოდის ართვინისა და ამ მდინარის ხეობაში მდებარე სხვა დასახლებული პუნქტების დასაკავშირებლად ყველაზე ხელსაყრელ საკომუნიკაციო არტერიას წარმოადგენდა. მიუხედავად სამდინარო კალაპოტის მეტისმეტი სირთულისა და მდინარის მეტად ჩქარი დინებისა, ხსენებული რეგიონების მოსახლეობა სახმელეთო გზის ფაქტობრივი არარსებობის გამო უპირველეს ყოვლისა ჭოროხს იყენებდა უმთავრეს სამიმოსვლო არტერიად.

ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტებს ა. ზუტნერის ხსენებული რომანიდან: „დინება მალე ისე გაძლიერდა, რომ ნავი ნაფოტივით მიექანებოდა ფიცხ ნაკადებში... მდინარის პირა სანახები ელვისებური სისწრაფით მიჰქროდნენ მათ გვერდით.

ხეობა სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა და ნაპირები, მურღულთან რომ დამრეცად ეშვებოდა მდინარისაკენ, ახლა სულ უფრო ციცაბო ხდებოდა...

ნავი სულ უფრო სწრაფად მიიწევდა წინ, ტალღები აქეთ-იქით ისროდნენ და ნიჩბებს ღრჭიალი გაჰქონდა, როცა მენავე მთელი ძალით დააწვებოდა ხოლმე, რომ ვერაგულად ჩამალული რიფებისათვის აევლო გვერდი, ან ხის დაკორძილ ტოტს არიდებოდა, რომელიც ქვებში გაჩხერილიყო და შეიძლებოდა ნავის კედელი შეენგრია... მდინარე ზოგან ისე მკვეთრად უხვევდა, რომ თამარს სუნთქვა ეკვროდა, როცა ხედავდა, რა სისწრაფით მიექანებოდა პატარა ნავი ჩამოზვავებული ქვებისაკენ. ერთი წამიც და ნამსხვრევებად უნდა ქცეულიყო, მაგრამ უმალ მკვეთრად შემოტრიალდებოდა და ბეწვზე ასცდებოდა სახიფათო ადგილს... რაც უფრო ვიწროვდებოდა კლდეკარი, მით უფრო ბობოქრობდა, ქუხილითა და ღრიალით რბოდა და უზარმაზარ ტალღებს მოაგორებდა მდინარე...

ცურვა სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა. რამდენჯერმე მესაჭესაც კი აღმოხდა შეშფოთების ამოძახილი“.

მდინარით დაღმა ცურვასთან შედარებით გაცილებით რთულ და წარმოუდგენლად მძიმე საქმეს წარმოადგენდა დინების საწინააღმდეგო გზით ნაოსნობა. კერძოდ, თუ ქვემოთ მომავალი ნავები მდინარის ტალღებს მოჰყვებოდნენ ზემოთ აღწერილი ხიფათიანი გზებით, აღმა მიმავალთ უკვე მენავეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი მიათრევდა თოკებით. არტურ ზუტნერის ინფორმაციით, აღნიშნული გარემოებიდან

გამომდინარე, ნავი ართვინიდან ბათუმამდე ჩამოსვლას მხოლოდ რამდენიმე საათს ანდომებდა, მაშინ, როცა ამავე გზის საპირისპიროდ გავლას უკვე ოთხ დღეზე მეტი სჭირდებოდა.

„აჭარლებისადმი“ ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მწერალი ოსმალობის დროინდელ აჭარელთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მხარეებსაც წარმოაჩენს ეთნოგრაფიული სიმართლით. მაგალითად: „აჭარლებისა და გურულების ეროვნული სამოსი კავკასიაში ყველაზე მოხდენილია: მოკლე, მომდგარი, მკერდზე გადახსნილი ზედატანი, რომელშიც ღია ფერის მოჟილეტო-მოპერანგო ხიფთანი გამოსჩანს. შარვალი თეძოებზე განიერია, ბარძაყებსა და წვივებზე კი მჭიდროდ შემოკვართული, წელზე შემოკრული კუშაკით – განიერი, ზოლიანი აბრეშუმის შარფით; ფეხზე თხელი, ჭვინტიანი ქალამნები აცვიათ, რომლებიც ხშირად რბილი ტყავის გამაშებით გრძელდება“.

ან კიდევ: „როგორც ყველა კავკასიელს, აჭარელსაც წესად აქვს იარაღის ტარება: სარტყელში გარჭობილი ხანჯალი და ხშირად ორი დამბაჩა, უხვად მოვერცხლილი, რომლებიც ჩვეულებრივ უკან, ხერხემლისკენაა გაწეული, მკერდის ორივე მხარეს კი ორ რიგად ჩაწყობილი, ერთმანეთზე ფილიგრანული ძეწკვით გადაბმული ვერცხლის ქილიშები უმშვენებს. როგორც წესი, ტყავის თასმაზე მიმაგრებული აქვთ პატარა ჯიბე, რომელშიც მოთავსებულია ფოლადი, კვესი და პატარა კოლოფი ქონით, ტყვიების გასაპოხად, ქამარში კი ლითონის ან ტყავის ბრტყელი მათარაა შემალული“.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ზუტნერის „აჭარლების“ პრობლემატიკა მხოლოდ განხილული საკითხებით არ შემოიფარგლება და იგი პერსონაჟთა მრავალსახოვნებითაც და ლიტერატურული ინდივიდუალობითაც გამორჩეულ ნაწარმოებს წარმოადგენს, ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, მაინც იძლევა მყარ საფუძველს მასში წარმოსახული ეპოქალური სინამდვილისა და ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემებისადმი ავტორისეულ დამოკიდებულებაზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად.

აჭარისა და ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ სხვა მხარეების ისტორიული და თანადროული ყოფის წარმოსახვის დროს ავსტრიელი მწერალი ყოველთვის ხაზგასმული დაბეჯითებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებული ეს რეგიონები ჩვენი ქვეყნის ღვიძლ ნაწილებს წარმოადგენს. ამიტომაც მათი მოსახლეობის დიდი ნაწილის აქტიური ბრძოლა კვლავაც ერთიან ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სივრცეში დასაბრუნებლად, რაც რომანში საკმაოდ შთამბეჭდავად და მასშტაბურადაა ასახული, მწერალს ისტორიული სამართლიანობის აღდგენად მიაჩნია.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართული თემატიკით დაინტერესებულ უცხოელ მწერალთა შორის არტურ ზუტნერი ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამორჩეული ავტორია, რომელიც საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანადაა გარკვეული მოვლენათა არსში და ქართველი ხალხისადმი აშკარად მხარდამჭერი პოზიციებიდან წარმოაჩენს შესაბამისი პერიოდის ცხოვრებისეულ სინამდვილეს.

ედგუჯა
ჯუაძე

ფიქრები მარო მაყაშვილის „გაზაფხულზე“

- მარო მაყაშვილი – სამშობლოს სამსხვერპლოდან ზეცას ამაღლებული ქალწული;
- იოსებ გრიშაშვილის, კოლაუ ნადირაძის და ალექსანდრე აბაშელის გულის სიყრმიდან ამოდუღებული ლექსების ემოციური შტრიხები და მონასმენები;
- მარინა ცვეტაევა: „მილურსმული სამარცხვინო ძელს, სლავური სინდისის ძველის...“;
- კოტე მაყაშვილის, – გაჰკრა კვალი! ბნელა, ცივა... მოკვდა მზე!;
- აკაკის „დამეხსენი ჩრდილოელო...“ და სულმნათი მგოსნის ორიოდ სიტყვა პატარა კახზე.

„დიდი ძილის შემდეგ ამოჰყო მზემ თავი, თვალები დაისრისა, ზარმაცად გადმოხედა დედამიწას და გაიფიქრა: „ნეტა რას აკეთებენ იქ, დიდი ხანია არ ჩამიხედნია“. დედამიწამაც იგრძნო სითბო და ნელ-ნელა გადაიძრო თავისი თბილი საბანი. აჩუხჩუხდენ რუები. აღელდნენ ხეები, მოუთმენლად ელოდნენ თავიანთ კეკლუც კაბებს. ცამაც გადიფარა ცისფერი. გაცოცხლდა ბუნება და გაცოცხლდა სულდგმულიც...“ ასე იწყებს კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფე მარო მაყაშვილი (1901-1921) თავის ერთ-ერთ მოთხრობას „გაზაფხულს“. მზემ თვალები დაისრისა და ზარმაცად გადმოხედა დედამიწას, აჩუხ-ჩუხდენ რუები, აღელდნენ ხეები... ყველგან გაზაფხულის მათრობელა სურნელი ტრილებს.. ბუნების მშვენიერებით მოხიბლული გოგონა გაზაფხულის შემოსვლას მთელი არსებით გრძნობს. ყვავილების სილამაზით ტკბება და ირგვლივ დატრიალებული სურნელებით კვლავტკბობას განიცდის. მისი განცდები გულწრფელია. გულწრფელად სჯერა, რომ შორეული ქვეყნებიდან მოფრენილი ფრინველები ერთად იკრიბებიან და ჭორიკნობენ. საჭორიკნო ამბები თბილი ქვეყნებიდანაც ბევრი ჩამოიტანეს და სამშობლოშიც ბევრი დახვდათ. სანამ ფრინველები ჭორიკნობენ მთვარე მფლობელი ღამის სივრცისა დაბრძანდება თავის ციმციმა ალამით. სიჩუმეა სიოც განაბული სთვლემს ტოტებში. ზოგან წამოიკვნესებს ბულბული... ყვავილები ერთმანეთს ეკონებიან. მთვარე თვალს ავლებს არემარეს, რწმუნდება რომ ყველგან მშვიდობაა, გამოესალმება იქაურობას და ისევ მიიძინებს. მის მაგივრად მზე გაუცინებს კვლავ გაღვიძებულ დედამიწას. – მზის გაღიმებით ამთავრებს გაზაფხულის პეიზაჟის აღწერას, სადაც პეიზაჟის თითოეულ ფრაგმენტს, თითოეულ შტრიხსა თუ მონასმს განწყობის შესატყვისი ელფერი დაჰკრავს. ჩვენს ყურადღებას სიტყვათა შეკავშირების მხატვრული ფორმები, გამოყენებული ლექსიკა და ხატოვანი სიტყვა-თქმებიც იპყრობს. მოგვწონს სრულიად ყმაწვილქალის შეთამამება სინტაქსთან, რადგან იგი სითამამეშიც ზომიერი, მოკრძალული და გულწრფელია. სითამამეს გულწრფელობა შვენის. კარგია: „მზე თვალებს ისრეს“. „აღელდნენ ხეები“, აღელვებული ხეები თავ-თავიანთ „კეკლუც კაბებს“ მოუთმენლად ელოდებიან, მთვარე დაბრძანდება თავის „ციმციმა ამალით“, ასეთ დროს ხის ტოტებში განაბული სიო თვლემს“... მთვლემარე სიო, კეკლუცი კაბები... ვკითხულობთ და ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს მხატვრულ სიტყვასთან მორცხვად შეთამამებულ ქალიშვილს გაზაფხულზე სიყვარული ეწვია

და სიყვარულით აღძრულ განცდებს გაზაფხულის ლამაზ-ლამაზ ფერებში ხატავს. ჩვიდმეტი წლისა მალე გახდება. ქალურ ოცნებაში ნაფერები სიყვარული ეწვია და უზომოდ ბედნიერია, მაგრამ ვერაფერს უხერხებს იმ ტკივილს, რასაც მოყვასის გაუბედურებული ყოფით განიცდის, ვერაფერს უხერხებს შინაგანად დეტერმინირებულ მოთხოვნილებებს, ფსიქოლოგიური ველის დაძაბულობას, რასაც ის მახინჯი რეალობები იწვევს, რომელ რეალობაშიც მისი ხალხი და ქვეყანა ცხოვრობს. სასიცოცხლო ფსიქოსოციალური ველის ასეთი დაძაბულობისას გამაღიზიანებელ ფაქტორებზე რეაქციის ენერგეტიკული მუხტის ექსპრესია კულმინაციას აღწევს და ფსიქიკურ ცნობიერში იბადება შინაგანი პროტესტის განცდა აწმყოსადმი, რომელ აწმყოსაც ვერ ურიგდება, რადგან ვერ ურიგდება არც თუ შორეულ წარსულს, რომელმაც მახინჯი აწმყო შვა. მახინჯი აწმყო შვა რუსეთ-საქართველოს ვითომცდა მეგობრობის ხელშეკრულებამ (1783 წ.) და რუსების გაბატონებამ საქარველოში (1801 წლიდან). „ამ ომმა ხომ სულ მთლად გააუბედურა ხალხი. დაიწყო და აღარ მთავრდება“. ოჰ, ეს დაუმთავრებელი მსოფლიო ომი (I მსოფლიო ომი 1914-1918 წ.წ.). სხვისი ომი თავის სამშობლო საქართველოს უცხო პატრონის ომი, სადაც უცხო პატრონმა მტრის მოსაგერიებლად ორასი ათასი ქართველი ვაჟკაცი წაასხა. სოფელში დედაკაცებიღა დარჩა. ვინ მოიყვანს სარჩოს, ვინ დააპურებს ბავშვებს. მუშახელი სხვის ომში იბრძვის და სისხლისაგან იცლება. „რამდენმა დედამ ცრემლით გაგზავნა თავისი შვილი სხვის ომში სასიკვდილოდ. რამდენმა დედამ ღამეები ლოცვაში და ტირილში გაატარა. საბრალო დედები, გაზარდეს შვილები წვალებით, ეხლა რა დღე დაადგათ!.. სამშობლო, საქართველო აღარ არის, მტერი სამშობლოს კი არ აწუხებს, სამშობლოს უცხო პატრონს, რომელმაც მტერი უნდა მოიგერიოს და საბრალო ქართველი წაასხა, სად არის სამართალი! ერეკლევ, ერეკლევ რაზედ დაგვღუპე. მართალია, შენც სხვა გზა არ გქონდა, მაგრამ რუსს რად მიგვეცი. იმიტომ, რომ ვიტანჯოთ? რად? რა დაგიშავა საბრალო ერმა, ღმერთო!“ მშობელი ერის გაუბედურებულ ყოფაში ჩავარდნის გამო მსგავსი სამდურავი იშვიათად თუ ვინმეს უთქვამს: „ერეკლევ, ერეკლევ რაზედ დაგვღუპე... რუსს რად მიგვეცი,... რად! რა დაგიშავა შენმა ერმაო...“ მაგრამ ამით არ ამთავრებს სათქმელს: – ოჰ, რა ცუდია მონობა! შენ გინდა და სხვა გიშლის... ამისთანა მფარველი რომ ღმერთს არ გაეჩინა, უფრო კარგი იქნებოდა... ამ რუსობამ გლეხებიც კი ძალიან გააფუჭა, სინდისიც დაუკარგა და ნამუსიც... გამხეცდა და თავის მოძმე ქართველსავე ჰკლავს... ადამიანი დაიღუპა, გაფუჭდა. აი რუსობამ შედეგი მოუტანა ჩვენს ერს. ნუთუ დადგა ის დრო, როდესაც ძველებურად უძგერდეს ყველას გული. ღმერთო, მალე, მალე მოვიდეს ის დღე და ქედმოხრილნი მარტო შენი მონები ვიქნებით. რა იქნა ძველი ჩვენი განათლება, სწავლა და კულტურა. სუდარა გადააფარა ამას ყველაფერს ოხრად დარჩენილმა რუსმა. ოჰ როგორ მძულან! მეტადრე ახლა! ამ ომის დროს და მერე: ვკითხულობ ყაზბეგის წიგნს, სადაც რუსეთის მთავრობის მოქმედებაა! ეგ ერთი ერია მგონია ესეთი უღმერთო, უბედური, გაუნათლებელი და ღმერთისაგან დაწყევლილი. ღმერთო, მოგვიმართე ხელი!“ ასე ამთავრებს გულში ვერდატეული სევდიანი ამბების თხრობას და იქვე სვამს თარიღს: 1918 წლის 20 მაისი, 10 საათი საღამოსი, თბილისი“. დასმული თარიღიდან ირკვევა, რომ მარო მაყაშვილს თავის „გაზაფხული“ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (1918 წლის 26 მაისი, ნაშუადღევის ხუთი საათი, თბილისი) თითქმის ერთი კვირით ადრე შეუთხზავს. მაყაშვილების ღირსეული შთამომავალი მაშინ ჩვიდმეტიოდე წლისა იყო და სამშობლოს ბედზე მისებრ დაფიქრებულ რეფლექსურ მკითხველს აოცებდა სოციალური და ეთნოფსიქოლოგიური რეალობების ანალიზის უნარით, ისტორიული სამართლიანობის განცდით, განცდებისა და განწყობების ყმაწვილქალური სიწმინდითა და პატრიოტული მგზნებარებით, მაგრამ არანაკლებ გაოცებას იწვევს თხრობის ველზე საკუთარი თავის პოვნისა და საკუთარი თავის გამოხატვის თავისუფლების მაღალი ხარისხით, რუსეთის იმპერიის ჟანდარმული რეჟიმისადმი სიძულვილითა და მშობლიური ერის სამსახურში დამაშვრალი ერეკლე მეფისადმი გამოთქმული სამდურავით: „ერეკლევ, ერეკლევ რაზედ დაგვღუპე მართალია, შენც სხვა არ გქონდა, მაგრამ რუსს რად მიგვეცი... რად? რა დაგიშავა საბრალო ერმა, ღმერთო!“

მარო მაყაშვილი არც პირველი იყო და არც უკანასკნელი ვინც პატარა კახისადმი სამდურავს ვერ მალავდა, თუმცა სამდურავის მთქმელთა კარგა სიმრავლეში სხვებთან შედარებით საკმაოდ წინდახედული, ფრთხილი და თავაზიანია, მეფე ბატონს სამდურავს ეუბნება. – „ერეკლევ, ერეკლევ რაზედ დაგვღუ-

პეო“, მაგრამ ხანში შესული ჭარმაგი მეფის მიერ რუსეთისაკენ გადადგმული საბედისწერო ნაბიჯების თითქოს გამართელებას ცდილობს, არადა თავადაც კარგად იცის, რომ იმ კონკრეტულ ფსიქოსოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობაში, რომელშიც ცხოვრობს, მეფისა და მისი მრჩევლების მიერ ჩრდილოეთისაკენ გადადგმული ნაბიჯების გამართლება შეუძლებელია, თანაც გამართლებული, ყოველთვის არ არის მართალი. ამას საზოგადოდ ვამბობთ, თორემ კაცთა სამსჯავრო ვერც ერთ დროში ვერ იქნება სამართლიანი, რამეთუ „ცრუ არიან ძენი კაცთანი სასწორთა მათ ზედა სიცრუვისათა და იგინივე ამაოებით არიან ურთიერთას... და შენი არს, უფალო წყალობაი, რამეთუ შენ მიაგო კაცად კაცადსა საქმეთა მისთაებრ“ (ფსალმ. 61).

ქრისტიანულ სწავლებაზე აღზრდილ მარო მაყაშვილს ღრმად სწამს, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი მსაჯული მხოლოდ და მხოლოდ უფალი ღმერთია, რომელიც თავად არის ჭეშმარიტება. დიდება მის სახელს! წმიდა მამათა გადმოცემით უფალმა და მაცხოვარმა ჩვენმა მსოფლიო წარღვნის შემდეგ უარი თქვა ცხოვრებისეულ ყოფით რეალობებში მოფუსფუსე ადამიანების განსჯაზე – „ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თქვენდა!“ (ლუკა 12-14). იოანეს სახარებაში ვკითხულობთ, – „არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად. რაჲთა დასაჯოს სოფელი, არამედ რაჲთა აცხოვნოს სოფელი მის მიერ (იოანე 3, 17); ამავე სახარებაში ძე ღმერთისა უფალი იესო ქრისტე ამბობს: – „თუ ვინმე მოისმენს ჩემს სიტყვებს და არ დაიცავს, მე არ განვიკითხავ მას, რადგან სოფლის განსაკითხად კი არ მოვედი, არამედ სოფლის სახსნელად“ (მათე 12, 47). ამდენად, მიუწვდომელმა და ამავე დროს მარად ჩვენთან მყოფმა ძალა სახიერმა წარღვნის შემდეგ ამ წუთისოფლად კაცთა განსჯა და განკითხვა არ ინება, მით უფრო არ ინება სოფლის დასჯა, ადამიანებს „მსაჯულად და განმყოფელად“ არ დაუდგა და ყველა ეს მისია მათვე დააკისრა. სხვადასხვა დროის კანონმდებლებმა, რომელი ქვეყნის შვილებიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, თავიანთი ქვეყნების კანონ-სამართალი პირველ ყოვლისა დროის მოთხოვნებს შეუსატყვისეს, რადგან დრო არის ამ წუთისოფლად კაცთა ცხოვრების ავის და კარგის პირუთვნელი შემფასებელი. დრო ბრალს სდებს... დრო მბრალდებელია... დრო სამართლიანი მსაჯულია. ვერც ერთი საეკლესიო, სახელმწიფო თუ პოლიტიკური მოღვაწე, თავის დროის ვერც ერთი გამოჩენილი და ფრიად დაფასებელი პიროვნება ჟამთა ტრიალში ჩამომდგარი ახალი დროის სამსჯავროს ვერ ასცდა და ამ წუთისოფლად კაცთა ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ვერც ვერასოდეს ასცდება. ბევრი პიროვნება ახალი დროის სამსჯავროზე „საქმეთა მისთაებრ“ კვლავ დიდად დაფასდა; ჩამომდგარი დროის სამსჯავრომ ბევრი აღზევებული პიროვნების სიტყვით თუ საქმით ჩადენილ უმსგავსოებას ფარდა ახადა და იმ ბევრს მაღალ წოდებებთან ერთად ჩინ-მედლებიც აჰყარა, – ღმრთის სამსჯავროზე წარსადგენად ჩინ-მედლები და წოდებები ვერაფერი საბუთებიაო. ზოგიერთმა, გვინდოდა გვეთქვა არაერთმა, პატივმოყვარე პერსონამ დროის სამსჯავროს განაჩენი უსამართლობად მიიჩნია და უფალთან გასაჩივრება გადაწყვიტა, თავის ხელით გამოკერა ხურჯინი, შიგ ჩააწყო სიგელ-გუჯრები, ჩინ-მედლები და ორდენები, მოხვეჭილი თვალმარგალიტითა და ძვირფასი სამკაულებით შემკობილი ჯვრები, მოიგდო ზურგზე და გაუდგა გზას გოლგოთას მთისკენ, რომელ მთის თხემზე განკაცებული და კაცთა ცოდვების გამოსასყიდლად ჯვარზე ვნებული ქრისტე ღმერთი ეგულებოდა, მაგრამ ხურჯინი შუა გზამდეც ვერ მიიტანა, რადგან ვერ წიკა, შებარბაცდა და მოწყვეტით დაეცა. არადა, ეგონა წიკავდა. ადრეც გვითქვამს, – ყველაფერს წიკვა უნდა, – ჩინ-მედლებსაც, მაღალ სოციალურ სტატუსსაც, სამეფო გვირგვინსაც, საჯარო თუ საეკლესიო ძალაუფლებასაც, ბედნიერებასაც და მწუხარებასაც, სიხარბით და გაუმაძღრობით მოხვეჭილ დიდძალ ქონებასაც, სიყრმისა თუ სიჭაბუკის წლებში შინაურ-ახლობლების მხრიდან დაბეჩავება-დაჩაგვრის (ე. წ. „ბულინგის“ – ე. ბ.) გამო წლების მანძილზე გულში ჩაღვრილ ღვარძლსა და ბოღმას, რიგ სხვა მიზეზ-გარემოებათა გამო აშლილ ფიქრებს ათას სიგლახეზე. მ. შ., საშინელ შურისძიებაზე. დანამდვილებით ძნელი სათქმელია ვინ რა ვერ წიკა და რატომ, მაგრამ შინაურებზე, ახლობლებზე და მშრომელ ერზე დაბოღმილმა სოსელომ და ღორეშელმა სერგომ რომ სიჭაბუკის წლებშივე ქრისტეს ჯვარი – ჯვარიპატიოსანი მხრებიდან ჩამოიგდეს, ღმერთს აუმბოხდნენ და ამით საკუთარ თავში ქრისტე ღმერთის რწმენასთან ერთად ქრისტიანული ზნეობაც ჩაკლეს, ამას რა მტკიცება უნდა.

რახან ღვთის წინააღმდეგ ამბოხებულმა ქართველთ მოძულე სერგომ თავის თავში ქართველი და ქრისტიანი ჩაკლა, სმოლნის ბელზებელის ვალოდია ულიანოვის პარტიული დავალების შესასრულებლად ისედაც მრავალტანჯულ საქართველოს წითელი არმიის ურდოები ყოველი მხრიდან შეუსია. სარწმუნო ისტორიული წყაროების მიხედვით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბოლშევიკური რუსეთის ჯარების პირველი შემოჭრა მოხდა 1921 წლის 11 თებერვალს, როდესაც მეთერთმეტე წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სომხეთიდან გადმოლახეს და გეზი თბილისისაკენ აიღეს. წითელგვარდიელთა ურდოები ვლადიკავკაზიდან და ჩრდილო კავკასიიდან დარიალის ხეობით, მამისონის უღელტეხილით შავი ზღვის სანაპიროთიც შემოუსია საქართველოს და გზად იავარქმნა ყოველივე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასაპყრობად არა მხოლოდ მე-11 არმია, მე-8, მე-9, მე-13 არმიების მოწინავე სამხედრო-შეიარაღებული ძალები და ფანატიკის ათეისტთა კავალერიები წამოიშალნენ. საქართველო უმძიმეს განსაცდელში ჩავარდა. ქართველობა შეძრა მოღალატე თვისტომის მუხანათობამ, ქართულ მიწაზე წითელგვარდიელების განუკითხავმა თარეშმა და ბოლშევიკურ-ათეისტური ხუნტის დაუნდობლობამ. დღეს ეს არავის უკვირს, მაგრამ მაშინ, ამ ასი წლის წინათ ვერავინ იფიქრებდა საქართველოს მთასა და ბარში ამდენი გულღვარძლიანი კოლაბორაციონისტი თუ იქნებოდა ჩაბუდებულ-ჩამუდრებული. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობა უმძიმეს განსაცდელში ჩავარდა. ირანისა და ოსმალეთის დასაფრთხობად ერეკლე მეფის თხოვნით თბილისში შემოყვანილი მეფის რუსეთის ჯარის (ერეკლე მეფის თხოვნისა და გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე რუსის ჯარი თბილისში შემოვიდა 1783 წლის 3 ნოემბერს, რასაც დიდი იმედით შეხვდა ირანისაგან, ოსმალეთისაგან და ლეკებისაგან გაწამებული ქართლ-კახეთის მოსახლეობა, მაგრამ მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ვაის გაეყარნენ და ვუის შეეყარნენ. – ე. ბ.). „სამართალმემკვიდრე“ ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმია უბედურებას უქადდა მრავალეროვან დემოკრატიულ საქართველოს. „ბაბუის ნაჭამმა ტყემალმაო...“ ნათქვამია, მაგრამ ის ტყემალი ისეთი ცხარე გამოდგა, რომ მხოლოდ შვილიშვილებს კი არა, შვილთაშვილების მრავალ თაობას, ვიდრე დღემდე, მოჰკვეთა კბილი. ცივილიზებულ ევროპულ სივრცეზე ორიენტირებული ქართლ-კახეთის დიდი მეფე ერეკლე II დარწმუნებული იყო, რომ ევროპულ ოჯახში გაერთიანება რუსეთის გზითაც შეიძლებდა. ის მამაცი და ბრძენი მეფე გახლდათ, მაგრამ რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკური ზრახვების შესახებ ბევრი არაფერი იცოდა და კარსმომდარი სიბერის ჟამს საბედისწერო შეცდომა დაუშვა,, ცდუნებას აჰყვა და ცდუნების მიზეზი არა მხოლოდ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური სიძლიერე იყო, არამედ რუსი ხალხის მართლმადიდებლობაც. დიდმა მეფემ შეცდომა დაუშვა, ცდუნებას აჰყვა თუ ცამდე მართალი იყო, კიდევ კაი ხანს იქნება საპოლემიკო, მაგრამ ფაქტი ჯიუტია და ვერსად გავექცევით, – რუსეთის გზით ევროპულ ოჯახში კი არა, რუსულ ჩიხში აღმოვჩნდით, საიდანაც, აგერ ორას ოცდამეჩვიდმეტე წელი გავიდა და თავი ვერაფრით დაგვიღწევია; 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობს აქტით თითქოს დავაღწიეთ, მაგრამ?..

1921 წლის 11 და 15 თებერვალს სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოჭრილი წითელარმიელთა შენაერთები თბილისზე გადამწყვეტი შეტევის მისატანად ბრძანებას ელოდებოდნენ. საომარი მოქმედებებისათვის სათანადოდ მოუმზადებელ ქართულ ჯარს ყოველი მხრიდან მომხდური მტრის მოგერიება არ შეეძლო, რასაც საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის ნაკლებობაც განაპირობებდა. მოვლენები ისე სწრაფად ვითარდებოდა, რომ საქართველოს მთავრობამ სამშობლოს დასაცავად გამოსული მოხალისეები იარაღითა და საბრძოლო მასალით ვერ უზრუნველყო, საქართველოს ახალ ფეხადგმული დემოკრატიის მხარდამჭერმა ევროპულმა სახელმწიფოებმაც სამხედრო ტექნიკით დროული დახმარება ვერ შეძლო და ომის შესაჩერებლად დიპლომატიური მცდელობებიც ამაო გამოდგა. ასეთ დროს სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა თვისუფლებისმოყვარე სტუდენტი გოგონები. ისინი და ყველა მათი თანატოლი გოგონა თუ ვაჟი, რომლებიც სამშობლოს დასაცავად სიცოცხლეს არ იშურებდნენ, გმირები იყვნენ. სამშობლოსათვის თავდადებული სტუდენტი ახალგაზრდები დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გაამხნევა და დალოცა. უნივერსიტეტის წინ იმდენი გულანთებული ჭაბუკი შეიკრიბა, რომ სტუდენტ გოგონებსა და ახალგაზრდა ქალბატონებს თბილისის მისადგომებთან გაგზავნაზე უარს ეუბნებოდნენ, უარი უთხრეს მარო მაყაშვილსაც, მაგრამ მან ყველა წინააღმდეგობა დაძლია, წითელ ჯვარში

მოწყალების დად ჩაეწერა და კოჯრისაკენ მიმავალ სანიტარულ დანაყოფს შეუერთდა. თებერვლის შუა რიცხვები იდგა და ქართველი მეომრები თავგანწირვით იბრძოდნენ კოჯორთან, რათა მომხდური წითელარმიელების ურდოებისგან დაეცვათ თბილისი. მარო მაყაშვილი წინა ხაზზე საბრძოლველად წასვლას ითხოვდა, მასში მაყაშვილების სისხლი ყიოდა და სამშობლოს მტრებთან თავგანწირული ბრძოლისათვის აღანთებდა. მან ბევრ დაჭრილ თანამემამულეს აღმოუჩინა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, დაჭრილები ფრონტის ხაზიდანაც გამოჰყავდა და იშვიათ სიმამაცეს იჩენდა. ჭრილობა მძიმედ დაჭრილ წითელარმიელ თანატოლსაც გადაუხვია და სიკვდილს გადაარჩინა. სასიკვდილოდ მტერიც კი არ ემეტებოდა, მაგრამ იმასაც კარგად აცნობიერებდა, რომ ომი ომია და როდესაც დამპყრობელი ცეცხლით და მახვილით მოდის, სამშობლო უნდა დაიცვა და მომხდურ მტერს ცეცხლი და მახვილი უნდა მიაგებო. ქართველმა მებრძოლებმა წითელარმიელთა ურდოებს ცეცხლი და მახვილი მიაგებეს და გააფრთებული ბრძოლებიც გაუმართეს, მაგრამ მტერს რიცხობრივი უპირატესობაც ჰქონდა და იარაღითა თუ ტყვიაწამლითაც ბევრად უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილი.

საქართველოს მიწა-წყალზე წითელარმიელების შემოჭრიდან მერვე-მეცხრე დღეს თბილისის მისადგომებთან, გამორჩევით კოჯორის მხარეს სასტიკი ბრძოლები გაიმართა. სუვერენული სამშობლოს დასაცავად თავგანწირვით იბრძოდნენ ქართველი ახალგაზრდები. 19 თებერვალს საღამოს სროლები თითქოს მიწყდა. ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა, ისმოდა ვაჟკაცების გმინვა, დაჭრილები ერთმანეთს ამხნევებდნენ. ახალგაზრდა მეომრებსა და წითელი ჯვრის მოწყალების დებს დაჭრილები ბრძოლის ველიდან გამოჰყავდათ და ჭრილობებს უხვევდნენ. მოწყალების და მარო მაყაშვილი დაღლას ვერ გრძნობდა, დაჭრილებს მზრუნველობას არ აკლებდა, მეომრებს ამხნევებდა და წითელარმიელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ჟინით აღანთებდა. თვალებში ნაპერწკლები ენთო და ეს ნაპერწკლები კეთილშობილებას ასხივებდა. მასში ბორგავდა მაია წყნეთელის, თამარ ვაშლოვნელის, თინა წავკისელის მებრძოლი სული, სული ძლიერი და ღვთისნიერი. ღვთისნიერების ერთ-ერთი გამოვლინება ისიც არის, რომ სასიკვდილოდ მტერიც არ ემეტებოდა, მაგრამ მტერმა გაიმეტა, როდესაც ქართველების სისხლით დამთვრალმა წითელგვარდიელებმა ყუმბარები გამოსტყორცნეს, მაროს ახლოს გამსკდარი ყუმბარის ნამსხვრევებმა, ამ ღვთისნიერ ქალწულს, გულ-მკერდი შეულეწა, ძვლები დაუმსხვრია და დასისხლული სხეული დაუფლითა... მეფევ, ბატონო, რა დაგიშავა ერმა შენმა,.. ღმერთო! სამშობლოვ ტკივილო ჩემო... მოწამებრივი იყო მისი სიკვდილი. მძიმე ჯვარს, რომელიც ღმერთმა არგუნა, სუსტი მხრებით ეზიდებოდა ... მერე მამა ეტყვის, ცნობილი პოერი კოტე მაყაშვილი:

...არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა სამუდამოდ დამიზამთრა მაისი!
გულზე სევდა შემომაწვა თავის მძიმე ლოდებით
საქართველო გაიჟღენთა მაყაშვილთა გოდებით,
დავიღალე... დავიჩაგრე... და შენი ვარ მხმობელი,
ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე მშობელი!
სამშობლო თუ შენ – რომელი, ახ ვიტირო რომელი?!
დავდნი ცრემლად ორივესთვის სხვათა ცრემლთა მშრომელი!...

ეს ოცსტროფიანი ლექსი „მარო მაყაშვილს“ 1922 წელს „პოეზიის დღეზე“ წარმოუთქვამს, მაგრამ ზოგად ტექსტულური ანალიზი, – უსაზღვრო წუხილზე დასმული მახვილები, სიტყვათა შეკავშირებებისა და ცალკეული ფრაზების, იგივ სათქმელის მრავალწერტილებით წყვეტის ინტენსივობა (მრავალწერტილს სვამს შვიდგან ე.ბ.); ძახილის ნიშნების სიხშირე (ძახილის ნიშანი დასმული აქვს ათგან – ე. ბ.); საკუთარ თავში უიმედობის დათრგუნვის მცდელობისა და თავისი თავის გამხნევების ნებელობის ენერგეტიკული მუხტების სიჭარბე და სხვ. ცხადყოფს, რომ ტკივილით სავსე სევდიანი სტრიქონები ქალიშვილის გმირული სიკვდილიდან მალევე შეუთხზავს.

ლექსი „მარო მაყაშვილს“ სევდიანი მოტივებით, ტკივილის გამოხატვის სიმძაფრითა და სისხლის ყივილში აბორგებული სულისკვეთებით მამის გოდებასთან ასოცირდება, სადაც განწყობა პრევალირებს

შთაბეჭდილებებზე. ასე ვერ ვიტყვით უზომო ტკივილითა და მწუხარებით შეთხზულ ლექსზე „გაქრა კვალი!..“ ლექსში გამოხატული მწუხარება ფსიქოემოციური განწყობისა და წარმოსახვის ნაყოფია. პოეტში ავბედობის შეგრძნებებს აღძრავს მისი ოჯახის ტრაგედია. მას სტკივა მშობლიური ერის სატკივარი, სტკივა სამშობოლო და სამშობლოში მაყაშვილების გოდება. ის ხედავს „შავ ნისლს“, სტკივა შავი ნისლით დაბურული მიწის მკერდი, „ის“ ეძახის „მას“ – „მოდი ჩემთან, ერთად მოკვდეთ!..“ ის ისევ მარტოა... სცივა... სტკივა! მოკვდა მზე!“... აქ მინავლებულ გოდებას ანაცვლებს „დატირება“. მან დაიტირა მზე, დაიტირა ხილვები და ხილვებში არეკლილი მახინჯი სინამდვილე, დაიტირა თავის თავიც, მაგრამ მზის ჭირისუფალი არსად ჩანდა „არსით ხმა!.. მცივა... მტკივა!...“

გაქრა კვალი! ბნელა, ცივა... მოკვდა მზე!
გულში გაწყდა რაღაც... მტკივა!.. მოკვდა მზე!
შავი ნისლი ბურავს არეს, მიწის მკერდს!
სევდის ფიქრი გულზე მცვივა... მოკვდა მზე...

მზე მომკვდარაო, – ხმა გავარდა. საიდან არ მოცვივდა ხალხი. ჭირისუფლების ტევა არ არის ღმერთო! რამდენი ჭირისუფალი ჰყოლია მზეს!.. ჰო, მაგრამ მათ შორის რამდენია ნაღდი?... მზის გარდაცვალებას გლოვობენ ფარისევლები, დარდით აღარ არიან მთვარეულები. პროცესიას მიუძღვება ქათქათა მთვარე, თანაც ფიქრობს – მაინც სად იყო ამდენი თავლაფდასხმული პირმოთმინე და ფარისეველი? მთვარე ანათებს, მაინც ბნელა... მაინც ცივა... გულში გაწყდა რაღაც... სტკივა!...“ „სევდის ფიქრი გულზე სცვივა...“ საქართველოს საამაყო შვილის მარო მაყაშვილის სისხლის ბოლო წვეთამდე დაწურული უბინო სხეული მშობლიურ მიწას მიაბარეს და ცრემლით დაიტირეს. გმირ ქალწულს გლოვობდა ყოველი ქართველი და საქართველოს მკვიდრი ყოველი ერის შვილი, ვისთვისაც სანუკვარი იყო სამშობლოს თავისუფლება.

გმირი ქალწულის დაკრძალვის დღეს დაეცა დედათბილისი. თოვლით დაბურულ თბილისის თავზე 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ააფრიალეს. იმავე დღეს იოსებ გრიშაშვილმა დაწერა ლექსი „ახალ ხელისუფლებას“, სადაც ის მიმართავს ბოლშევიკურ მთავრობას.

...ჰა, აღსრულდა! თქვენ მიხვედით, ჩვენც მიგიღეთ ცრემლით ცხელით,
მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ, რომ სხვის ხიშტით შემოხველით.
განა ჩვენ აქ გვქონდა ტახტი ან ზედ დავსვით ვინმე მეფედ,
რომ ქართველთა წმინდა სისხლი დაღვარეთ და ააშხეფეთ?
განა ჩვენი არწივები გაურბოდნენ დროშას წითელს –
რომ დღეს ჩვენზე ახარხარებთ ყველა ბილწს და ყველა სკვითელს?
ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ გამარჯვებულ რუსულ ჩექმას.

და ფინალური ორი სტრიქონი:

ხოლო ვინმემ თუ გაჰბედა, რომ მოგვსპოს და გადაგვთელოს –
ვიტყვი: მოკვდა საქართველო, გაუმარჯოს საქართველოს!

ეს ოცდაორსტრიქონიანი ლექსი, როგორც ვთქვით, დათარიღებულია 1921 წლის 25 თებერვლით. მაშინ პატრიოტულ შემართებასთან ერთად დიდ გაბედულობა უნდოდა ასეთი ლექსის შეთხზვას, მაგრამ აწ მთაწმინდაზე დავანებულ დიდ ქართველში მამა-პაპათა სისხლი ყიოდა და მშობლიურ ხალხზე მტრადმოკიდებულ ქართველ ბოლშევიკებს გასძახოდა, – მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ, რომ სხვისი ხიშტით შემოხვედით... რომ ქართველთა წმინდა სისხლი დაღვარეთ და ააშხეფეთო. პოეტს სტკივა სამშობლოსათვის მერძოლი ქართველების სისხლის თითოეული წვეთი, სტკივა უთანასწორო ბრძოლებში ქართველების დამარცხება და მარცხის გამო ყველა ბილწისა და სკვითელის ხარხარი, აქ პოეტი მარცხთან ერთად ეროვნული თავმოყვარეობის შელახვით აღძრულ განცდებს გადმოგვცემს. ყველა ბილწი და სკვითელი ნიშნის მოგებით ქირქილებს, დაგვცინის, ხარხარებს და ყველაფერ ამის მიზეზი ისიც არის,

რომ სამშობლოს მოუმრავლდა ბილწი და ცინიკოსი შვილები. მსგავსი აქცენტები იშვიათობაა მაშინდელ პოეტურ ნაწარმოებებში. პოეტმა თბილისის თავზე წითელი დროშის აფრიალების დღესვე შეთხზული ეს ლექსი ა. სუმბათაშვილის (1857-1927) საღამოზე წაიკითხა და ამის შემდეგ ქართულ საზოგადოებაში ხელნაწერების სახით გავრცელდა. მაშინ იოსებ გრიშაშვილი (1889-1965) ოცდაცამეტი წლის პოეტი იყო და სამწერლობო-პოეტურ წრეებში მისი შემოქმედება ჯეროვნად ფასდებოდა. ღვაწლმოსილი მოღვაწის ა. სუმბათაშვილის საღამო 1922 წლის დეკემბერში ფართო საზოგადოების მონაწილეობით ჩატარდა და ცხადია პოეტის ანტისაბჭოური ლექსი ცენზორს არ გამოპარვია. პოეტი დააკავეს, ხელბორკილები დაადვეს და საპყრობილეში ჩასვეს. მას შემდეგ ლამის საუკუნე გავიდა და დღეს საქართველოში პატრიოტული განცდებისა და მართალი სიტყვისათვის არავის სჯიან, უბრალოდ დასცინიან, ამ დროში კი სამშობლოს სიყვარულით ანთებულ პატრიოტებს სასტიკად უსწორდებოდნენ და მართალი კაცის ადგილიც ციხეში ან სამარეში იყო.

იოსებ გრიშაშვილი გრძნობდა, რომ საპყრობილე არ ასცდებოდა და ამის მიუხედავად, დაჭერამდე რამდენიმე თვით ადრე კიდევ ერთი ლექსი დაწერა. ლექსს „ავლაბარი“ ჰქვია „ძველად ამ ნაწილს ქალაქისას ერქვა ისანი, ჯალალ-ედინი აქა სთხოვდა რუსუდანს ხელსა, აქ უგზავნიდა თვალმარგალიტს აურაცხელსა, აქ გურჯისტანზე რამლს ისროდა სპარსთა მისანი“ მომდევნო სტრიქონში დედაისტორიის კიდევ უფრო სიღრმეებში მიდის – „მეტეხს, შუშანიკს, დღესაც ამკობს „შუქნი მზისანი“, – მაგრამ ქვეშ მტკვარი თუ გაჰყინავს ტალღას ფიცხელსა, მყის მეტეხიდან სისხლს აწვდიან ნორჩსა და ცხელსა და სოღანლუღში მიდის მტკვარი ოქროისანი“.

ვკითხულობთ პოეტის კალმით გადმოცემულ ამბებს და ვგრძნობთ, რომ მცირედი ისტორიული წიაღსვლები უფრო მთავარ სათქმელს ემსახურება. მას ეამაყება გმირული და ტკივილით სავსე წარსულიც, რადგან იმ ტკივილშია ნაწრთობი თავისუფლებამოყვარე ქართველი კაცის მებრძოლი სული. ეს ყველაფერი ზედმიწევნით იცის და თავის ცოდნას მკითხველს უზიარებს. წარმოსახვითი სურათოვნება, რომელსაც ცალკეული ფრაგმენტების სახით ხატავს მოზაიკური ხელწერის საინტერესო ნიმუშია, – აქეთ ჯალალ-ედ-დინი ხელს სთხოვს მთელ კავკასიურ და წინააზიურ სამყაროში სილამაზით და სულიერი სიმტკიცით სახელგანთქმულ რუსუდან მეფეს, იქით რამლს ისვრის და არც მთლად დარწმუნებული წინასწარმეტყველების სპარსთა მისანი; „მზის შუქნი“ ამკობს მეტეხს, შაშანიკს... პოეტის ქვეცნობიერში გამოკრთის მოლოდინი იმისა, რომ ოდეს მტკვარი „გაჰყინავს ტალღას ფიცხელსა, მყის მეტეხიდან სისხლს აწვდიან ნორჩსა და ცხელსა... და ბოლოს პოეტის გულში ვერდატეული სათქმელი:

ბევრჯერ აიკლეს ეს მიდამო! და სპარსთა ჯართა
ალეწინებდნენ ზუჩ-მუზარადს, ჩაჩქან-აბჯარსა, –
მაგრამ ვცოცხლობდით მოყვარულნი დროთ ტრიალისა,
დღეს კი ქართველი გულში მუდამ წყევლას აჩაღებს:
და წყევლა იმას, ვინც მაღრიბის ველურ ყაჩაღებს
გაუღო კარი თერგდალეულ დარიალისა.

აქ, ამ სტრიქონში ორი კითხვა ითხოვს მკითხველის პასუხს: ვინ, ვის ზუჩ-მუზარადს და ჩაჩქან-აბჯარს ალეწინებდა მომხდურ „სპარსთა ჯარსა“? ეს ერთი და მეორე კითხვაც, – მაღრიბის ველურ ყაჩაღებს ვინ გაუღო კარი თერგდალეულ დარიალისა?

„ერეკლე, ერეკლე, რაზედ დაგვღუპე... რუსს რად მიგვეცი, რად?!“
„რუსი რომ არის, ეგეთი უღმერთო მგონი... ეგ ერთი ერია?!“

ალბათ გეცნობათ ტკივილითა და მწუხარებით ნათქვამი სიტყვები.

წრფელი იყო მისი სიყვარული. „დღეს ვლოცულობდი ეკლესიაში, მუხლმოდრეკილი ვიყავი ღვთისმშობლის წინ. წმიდა დედა ღიმილით მიმზერდა და თითქოს ჩემს თხოვნაზე დასთანხმდა. „მე მჯერა, მჯერა შენი უზენაესი ძალისა, ამისრულე, ამისრულე უფალო, ვიტანჯები!“ – წერდა ერთგან. მისი „ფიქრები წყაროსთან“, რომელიც 1919 წლის აგვისტოში ახალქალაქად ყოფნისას შეუთხზავს, განცდებითა

და შთაბეჭდილებებით აღძრული ფიქრების მკითხველზე განდობის წარმატებული მცდელობაა. სიცოცხლის არსზე დაფიქრებული სრულიად ახალგაზრდა მარო მაყაშვილიც თავისი „ფიქრების“ მაგალითზე გამოხატვის თავისუფლებით გამორჩეული ავტორია.

...მარო აღტაცებულია N ალაგის მშვენიერებით, მას ახარებს იქ გაშენებული ხეხილი და ხეხილის ქვეშ დაფენილი დამათრობელი ჩრდილი. აბიბინებული მინდვრები გულს უმშვიდებს ადამიანს. ფიქრით დაღლილი და ფიზიკურად დაქანცული მარო წყაროს წააწყდება, რომელიც ერთი ცაცხვის მეზობლად ამოჩუხჩუხებდა. ისე მოხიბლა იმ ალაგმა, რომ იქვე მიწვა და ოცნებას მიეცა. „ტკბილია ოცნება მყუდროებაში. საღაო ჟამი იყო, ჰაერში სიჩუმე სუფევდა. მზეც მისუსტებული უკანასკნელ სხივსღა უგზავნიდა არეს. დაუდეგარი და მოუთმენელი მთვარე მზის ჩასვლამდე დასკუპულიყო ცის კამარაზე და თითქოს ეუბნებოდა, – „ მზეო, ახლა ჩემი რიგიაო“. ჩამობნელდა, ჩემს გულსაც თითქოს სიბნელე ეპარებოდა, ტკბილი ოცნებიდან მწარეზე გადავდიოდი, ასეთი სასტიკი შეცვლა ძნელი იყო. ჩემდა მოულოდნელად ეს ფიქრები იბადებოდნენ ჩემს თავში: მაგალითად, რომ დავუკვირდეთ ცხოვრებას, რას წარმოადგენს იგი. რა უმნიშვნელოა ქალი მამაკაცის წინ. რა არის სიყვარული. ეს აზრები მიბნევენ გონებას. ყოველ ამ კითხვაზე ვეძებდი პასუხს. ბოლოს იმ აზრს დავადექი, რომ ბევრს არაფერს წარმოადგენს ადამიანი. იგი ხეხილივით ხარობს, მხოლოდ უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს მით, რომ ის აზროვნებს და მოქმედებს. დანარჩენით კი ისიც იბადება, იკვებება, მრავლება და ბოლოს როგორც ყველა, ხმება და ეს ყველაფერი იქცევა არაფრად და იმ არაფრისაგან ისევ მისი მსგავსი დაიბადება და ამოვა“.

ტკბილია ოცნება ხეხილის ქვეშ დაფენილ დამათრობელ ჩრდილში... ტკბილია ოცნება მარტოობაში... ტკბილია ოცნება მყუდროებაში, ძნელია არ დავეთანხმოთ წაღმა მეოცნებე ქალწულს.

რა კაია, არა! – „დაუდეგარი და მოუთმენელი მთვარე მზის ჩასვლამდე დასკუპულიყო ცის კამარაზე და თითქოს ეუბნებოდა „მზეო, ახლა ჩემი რიგიაო“. ეს სურათი ალბათ ყველას უნახავს, მაგრამ დღისით, მზისით ცის კაბადონზე დაუდეგარი მთვარის მოუთმენლად წამოსკუპების სცენური სურათოვნება ესოდენ შთამბეჭდავი შტრიხებითა და მონასმებით ცოტას თუ ვინმეს დაუხატავს.

რა უმნიშვნელოა ქალი მამაკაცის წინაშეო და კიდევ ბევრი რამ სევდიანად სთქვა, რითაც ქალსა და მამაკაცს შორის გენდერული თანასწორობის იდეის წამოწევისათვის პირველი ნაბიჯები გადადგა, მაგრამ სამშობლო განსაცდელში ჩავარდა და წითელარმიელთა ურდოების წინააღმდეფ იომა, ბრძოლაში დაეცა, თავისი ლამაზი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანა. სულით ძლიერმა და ღვთისნიერმა ქალწულმა მარო მაყაშვილმა უშურველად გაიღო სასყიდელი ღმრთისაგან და ზეციურ საქართველოში დაიდო ბინა. მას შემდეგ ლამის საუკუნე გავიდა და არც მისი საფიცარი სამშობლოა მტრადმოკიდებულ ბოროტისაგან თავისუფალი, არც ქალბატონებია კაცების თანასწორი და სამწუხაროდ მრევლშიც მომრავლდნენ ისეთები, რომლებსაც სტოაში დგომა თუ ეგების და შუაგულ ტაძარში წმიდა ხატებთან ფარისევლობენ. ასევე ითქმის საერო ხელისუფლებაში მომრავლებულ ფარისევლებზე და კერპთაყვანისმცემელ მაამებლებზე.

წყაროსთან ჩაფიქრებული მარო მაყაშვილი სვამს კითხვას, რა არის სიყვარული, მაგრამ არ პასუხობს, რადგან პასუხს მკითხველს ანდობს. მართლა და მართლა რა არის სიყვარული?...

ბევრი კითხვა ჰქონდა მტერთან, ბევრი შეკითხვა – მოყვასთან, საკუთარ თავთანაც, მაგრამ არ დასცალდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ერთი წელი გადიოდა. 26 მაისის დღესასწაულის წინა დღეებში წერდა: „ქართველი ერი მხნე და გულადი არის, არავის დაანებებს თავის სამშობლოს, სამშობლოს სიყვარული უნათებდა გზას და ამისათვის მადლობას სწირავდა უფალს, ეკლესიაში კრძალვით შევიდოდა, სანთელს დაანთებდა და წმინდა ხატებთან მუხლმოდრეკილი მხურვალედ ლოცულობდა. გულწრფელი იყო და მონანული. უფალმა შეიყვარა გულწრფელად მონანული ქალწული მარო მაყაშვილი და მრავალმხრივი ნიჭით დააჯილდოვა. მათ შორის ხელოვნების სიყვარულის ნიჭით. „ევგენი ონეგინზე“ სამჯერ წასულა და კვლავაც ბევრჯერ წავალო. ყველა მსახიობს ცნობდა ან იცნობდა და უყვარდა ყველა ნიჭიერი შემსრულებელი. შინ მისული კლავიშებზე თითებს შეათამაშებდა და მუსიკით ტკბებოდა. სახლში მისულს მთელი ოპერაც დაუკრავს ხოლმე.

წინასწარგრძნობის ნიჭიც ჰქონდა მიმადლებული. 1918 წლის 1 დეკემბერს სევდიანი ჩანაწერი გაუკეთებია: „ეს დღე ისტორიულია ქართულ ცხოვრებაში ამ დღეს შესრულდა ნახევარი წელიწადი. რაც საქართველოს თავისუფლება აღიარეს... იყო მილოცვები... ყოველი ქართველი გრძნობდა თავის თავს თავისუფლად, აღტაცების ღიმილი უკრთოდა ყოველს და ღიმილიან თვალებში თითქოს ეს ეწერათ: „ჰო, ძლივს გვეღირსა!“ გვეღირსა! გვეღირსა! არა, ნუ ვჩქარობთ მტერი გარშემო გვყავს და გვითვალთვალებს... ძლივს გვეღირსა და ქართული დროშები დავინახეთ, რა მშვენივრად ფრიალებდნენ... მე კი სულ მაკანკალებდა. ჩემს არსებაში რაღაც თრთოდა... რა უნდა ჩვენგან? ნუთუ ერთი წვეთი სიყვარულისა და სიბრალულისა არ აქვთ. წმიდა გიორგი იყავ მფარველი საქართველოსი“.

მე კი სულ მაკანკალებდა, ჩემს არსებაში რაღაც თრთოდა“... სწორედ ეს იყო მისი წინათგრძნობა. თავისუფლება ძლივს გვეღირსა და დავკარგეთ. მთავრობამ ვერ დაიცვა საქართველოსთვის შექმნილ სასურველ ვითარებაში იოლად და იმპერიასთან შეუბრძოლველად ერთ მშვენიერ დღეს (1918 წ. 26 მაისი) გამოცხადებული დამოუკიდებლობა. ამიტომაც ვამბობთ „ძლივს გვეღირსა და დავკარგეთ“ და არა „მოვიპოვეთ და დავკარგეთ“.

მარო მაყაშვილის წინათგრძნობა რეალობად იქცა.

„გვეღირსა! გვეღირსა!... არა, ნუ ვჩქარობთ, მტერი გარშემო გვყავს და გვითვალთვალებს...“ – დამოუკიდებელი სამშობლოს ხელისუფალთ აფრთხილებდა ღვთისაგან საყვარელი ქალწული. არადა, მტერი მართლაც გარშემო გვყავდა და თბილისის თავზე წითელი დროშაც სულ მალე ააფრიალეს.

დაჭერები, დახვრეტები, გადასახლებები.

ვინ რას გაბედავდა, გაბედავდა და საშინელ რეპრესიებს დაატეხდნენ თავს.

საბჭოურ-ათეისტური რეჟიმის სისხლიან რეპრესიებს ემსხვერპა ქართველი ერის საუკეთესო შვილები, მწერლები, ხელოვნები, მეცნიერები.

ხალხმა ჯვარს აცვა ერი.

ხალხში გაბატონდა ბრბოს ინსტიქტი.

ბრბოს საშოში ნაშობმა ცოდვიშვილებმა დაანგრიეს ეკლესიები, ხელჰყვეს უძველესი ქართული კულტურის ძეგლები, მეზობლებს ჩამოურიგეს მამა-პაპათა სისხლით და ოფლით გაპოხირებული ქართული მიწები, გადაწერეს საქართველოს ისტორიაში ყველაზე საამაყო და ქართველი კაცის ყველაზე ტკივილიანი ფურცლები, სიცოცხლე მოუსწრაფეს ასიათასობით უდანაშაულო ადამიანს. გლოვობდა კრწანისი, გლოვობდა თბილისი...

თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი
ძილღვიძრად იყო ქალაქი ჩემი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი –
ისევ გოლთგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
. . . . . .
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, –
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

ეს ლექსი „მერანში“ დაიბეჭდა (ლექსი დათარიღებულია 1969 წლის 25 თებერვლით), რისთვისაც ავტორი კოლაუ ნადირაძე, „მერანის“ მთავარი რედაქტორი მამუკა წიკლაური, მისი მოადგილე იზა ორ-ჯონიკიძე, მთ. მხატვარი სპარტაკ ცინცაძე, მხატვარი კარლო ფაჩულია, რედაქციის გამგე გრიგოლ ჭულუხაძე, მთავლიტიც კი ცენზორი მარო არუცევა და სხვანი დაითხოვეს და საშინელი რეპრესიები დაატეხეს.

კოლაუ ნადირაძის (1895-1990) „25 თებერვალი 1921წ“ თებერვლის სევდის მხატვრულ ფორმად გარდაქმნის მრავალმხრივ საგულისხმო ნიმუშია, სადაც მწუხარება, სამგლოვიარო თალხი, სიონისა და ხალხის დუმილი თებერვლის ეროვნული ტრაგედიის ტკივილიანი შტრიხებია. ხსნა ისევ და ისევ მხრებზე აკიდებულ წამების ჯვარშია, რომელიც ქართველმა საუკუნეების მანძილზე ზიდა და დღემდე ეზიდება. „მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს, ისევ წამების ჯვარი აგკიდეს“ – გულისტკივილით ამბობს პოეტი, მაგრამ აქვე ისმის კითხვები: ვინ გაყიდა დედასამშობლო – მშობელი დედა? ვინ აჰკიდა მშობელ ერსა და დედასამშობლოს წამების ჯვარი, ვინ დააფარა სუდარა ჩვენს სწავლა განათლებას და კულტურას? ამ კითხვებზე მეტ ნაკლებად სარწმუნო ბევრი პასუხი არსებობს და თითეულ პასუხს აქვს არსებობის უფლება, მ. შ. სარწმუნოა მარო მაყაშვილის ნაფიქრალ-ნააზრევიდან გამომდინარე პასუხებიც: დედასამშობლო – მშობელი დედა უღირსმა შვილებმა გაჰყიდეს, წამების ჯვარი „ოხრად დარჩენილმა რუსმა“ აჰკიდა და, სუდარაც მანვე გადააფარა ჩვენს სწავლა განათლებას და კულტურას... ეგ ერთი ერია, მგონი ესეთი უღმერთო... ღმერთისგან დაწყევლილი... (მარო მაყაშვილი „გაზაფხული“).

ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე აბაშელის (1884-1954) კალამს ეკუთვნის შესანიშნავი პოეტური ნაწარმოებები, სადაც სამშობლოს მწარე ბედზე გულატკივებული პოეტი მკითხველს მოუთხრობს იმ განცდებზე, განწყობებზე და შთაბეჭდილებებზე, რომლებიც საქართველოში საბჭოურ-ათეისტური რეჟიმის დამყარების დღეებში დაეუფლა, მკითხველზე მხატვრული და ფსიქოემოციური ზემოქმედების ძალით გამოირჩევა ვრცელი პოეტური ნაწარმოები (ასსამოცდათორმეტი სტრიქონი – ე. ბ.) „შორეული ნაპირი“, ჩვენ აქ მივიყვანთ მხოლოდ სამ სტროფს, სადაც ჩვენ მიერ კურსივით გამოკვეთილი ის ორი სტრიქონია, რომელი ორი სტრიქონიც 1921 წლის შემდეგ მხოლოდ 1990 წელს გამოქვეყნდა, ისიც რუსთაველის საზოგადოებისა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიერ შედგენილ საზოგადოებრივ- პოლიტიკურ კრებულ „ამირანში“ ნოდარ წულეისკირის რედაქტორობით (იხ. ოპოზიციური ლიტერატურული – მხატვრული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრებული „ამირანი“. გამომც. „განათლება“, თბილისი, 1990 წ.). თბილისის თავზე ბოლშევიკური წითელი დროშა აფრიალდა და:

...ცეცხლში უეცრად გადასხვაფერდა
ძველი ფიქრები და იმედები,
და ილეწება ბორკილთან ერთად
წარსულ დიდების თეთრი სვეტები.

და ერის ტაძრის გამომსახველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი
ერთი ნაღველის ორი სახელი
კრწანისის ველი და თებერვალი

და ჩემს ფიქრებში ცრემლი გროვდება
ვიღაც ჩურჩულებს: არ არის მკვდარი!...
დროთა მიჯნაზე საღამოვდება
სადღაც ქვითინებს მწუხარე თარი...

1922 წლის დათარიღებული 24 სტრიქონიანი ლექსი „თეთრი კოშკი“ პოეტის ფსიქოლოგიზმის ცალკეული შტრიხების მხატვრულ ფორმას წარმოადგენს. პოეტი თითქოს წარმოსახვებში ეძებს და პოულობს კიდევაც მისთვის სასურველ რეალობას, მაგრამ ზოგჯერ არასასურველ რეალობას წააწყდება ხოლმე,

რაც პოეტის ემოციურ ფსიქონატურაში არარეალიზებულ განწყობათა მოჭარბებას იწვევს. მას „თეთრი კოშკის“ შეთხზვის დღეებში უკვე აქვს საბჭოურ-ათეისტურ რეჟიმში ცხოვრების ერთწლიანი გამოცდილება და ცდილობს წარმოსახვა მოლოდინით გააფერმკრთალოს, მანამდე კი:

შემოღამების გათავდება ფერიცვალება
და შუაღამე შეაჩერებს გაფრენილ ცხენებს
დასტოვებს ჰაერს შორეული მზის ბრწყინვალება
და ვარსკვლავებში ერთი წუთით დრო დაისვენებს.
მოგონებებით დათოვლილი სულისკვეთება
გარდასულ ჟამთა გააღვიძებს მძინარ ქარავანს,
ათასი წელი ძირს დასცვივა დროთა წვეთებად
და საქართველო კვლავ მოისხამს ნათელ შარავანდს...

ზემორე ორ სტროფში პოეტი არა მხოლოდ აწმყოზეა მიყურადებული, არამედ იმედისმომცემ მომავალზე, რომელიც ახარებს, მაგრამ სტკივა *„მოგონებებით დათოვლილი სულისკვეთება“*. პოეტი თხრობის ველზე მიმართავს განცდებისა და შთაბეჭდილებების მხატვრულ ინტერპრეტირებას, რისთვისაც იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი ფორმების მრავალმხრივ შესაძლებლობებს. ლექსის ბოლო სტრიქონებში პესიმისტური ნოტები ჭარბობს. პოეტი წარსულში ხედავს და აწმყოში აღიქვამს „დარკინულ ციხეს თამარისას“ და ბროლის ჯაჭვით გადარაზულ დარიალს“. წარსულის დიდებას ვერ აუფერულებს აწმყო, რომელიც სტკივა პოეტს და ამ ტკივილს ვერაფერს უხერხებს. თქმულის ლოგიკური შედეგია ფსიქოემოციური მუხტის კულმინაცია, რასაც ბოლოს სტროფის წაკითხვისას ვგრძნობთ და „დათალხული თეთრი კოშკის აქვითინებას“ პოეტთან ერთად განვიცდით:

...სიზმრით დაბინდულს მოგონებას შეეშინდება,
როცა დასცვივა დანგრეული კედლის თაღები,
ციხეს დასწვავენ მძარცველები და ყაჩაღები
და დათალხული თეთრი კოშკი აქვითინდება.
და დათალხული თეთრი კოშკი აქვითინდება...

და რეზო ამაშუკელმა სევდიანად სთქვა: მეზობელი აღარ დაგვრჩა ჩვენი მიწა რომ არ რგებოდაო.

და, აი:

- ყარსის 1921წ. ხელშეკრულების საფუძველზე(?!) საქართველოს ჩამოერთვა და თურქეთს გადაეცა:

1. ბათუმის ოლქის სამხრეთი (მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალი) – 936 კვ კმ 16380 მოსახლით;
2. ართვნის ოლქი ..... – 3389 კვ კმ 56480 მოსახლით;
3. არდაგანის ოლქი ..... – 5645 კვ კმ 85369 მოსახლით;

სულ ბოლშვიკებმა საქართველოს ჩამოართვეს და მეზობელ თურქეთს
გადასცეს ..... – 9970 კვ კმ 158229 მოსახლით.

- საქართველოს რევკომს ე. წ. შულავერის მთავრობამ 1921 წლის დეკლარაციის თანახმად მოძმე სომხეთს აჩუქა:

1. ვორონვოვ-ლორეს მანი ..... – 2367 კვ კმ 37800 მოსახლით;
2. ლოკ-ლალვარის ქესიდ ჩრდ. ფერდობი ..... – 208 კვ კმ;

სულ ჩვენს მეზობელ სომხეთს ერგო ..... – 2575 კვ კმ 37800 მოსახლით.

- ქართველი და აზერბაიჯანელი ბოლშვიკები შეთანხმდნენ და ამიერკავკასიის ცაკის დადგენილებით 1921-25 წლებში ქართულ მიწებს დაეპატრონა მოძმე აზერბაიჯანი:

1. აზეიბაიჯანმა შეიმატა ზაქათალას ოლქის ტერიტორია..... – 3994 კვ კმ 92608 მოსახლით;

2. ესეც მე მეკუთვნისო და თავის ტერიტორიად გამოაცხადა
გარეჯის ველი და ქვემო ყარაიაზის სექტორი ..... – 659 კვ კმ;
3. ელდარი სიღნაღის მაზრისა .... – 547 კვ კმ;
სულ აზერბაიჯანმა დაისაკუთრა ..... – 5200 კვ კმ 92608 მოსახლით.

- ქართველმა ბოლშვიკებმა დათმეს სოჭის მხარე, საქართველოს დემოკრატიული რესუბლიკის საჯარისო ნაწილები ვერ გაუმკლავდნენ მოძალებულ მტერს და 1918-1919 წ.წ. სოჭის მხარე დაახლოებით 4410 კვ კმ რუსი დამპყრობლების ხელში გადავიდა, სამაგიეროდ ცოტა მოგვიანებით დაგვიბრუნეს აფხაზეთის პილინკოვო (ამჟამად განთიადი) და ერმოლოვკა (ამჟამად ლესელიძე), სულ 268 კვ კმ 3500 მოსახლით.
- სსსრ ცაკის 1927 წლის დადგენილებით რუსეთმა მიიერთა მელხესტი და ცეკარო დუშეთის მაზრისა 167 კვ კმ 1600 მოსახლით.

ამდენად საქართველომ რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლიდან (1783 წ.) აფხაზეთისათვის რუსეთ-საქართველოს ომამდე (1993 წ.) დაკარგა, დათმო თუ დაათმობინეს 22322 კვ კმ.

აფხაზეთის ტერიტორია შეადგენს 8600 კვ კმ.

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 3900 კვ კმ.

ასე ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღისთვის, ე. ი. 1918 წლის 15 მაისისათვის საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია შეადგენდა დაახლ. 92 ათას კვ კმ-ს, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის დღისათის ე. ი. 1991 წლის 9 აპრილისათვის 69 ათას 700 კვ კმ-ს, ანუ 22,3 ათასი კვ კმ-ით ნაკლებს. 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ დღემდე და დღეის მდგომარეობით (აგვისტო, 2019 წ.) საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება 57,2 ათას კვ კმ-ზე.

შენიშვნის მაგივრად ვიტყვით, რომ სხვადასხვა ავტორებს ერთმანეთისაგან განსხვავებული რიცხვები მოჰყავთ, თუმცა დაკარგული ტერიტორიის განზომილებათა ზოგადი სურათი მაინც არ არის დიდად განსხვავებული.

ამ მონაცემების ძალზე ზოგადი შედარებითი ანალიზის გასაკეთებლად ვიხელმძღვანელეთ ივანე ჯავახიშვილის, პ. სურგულაძისა და პროფ. ლისტის კრებულით – „ისტორიული რარიტეტები“. გამომც. თეატრის მოღვაწეთა კავშირი, თბ. 1989წ. წიგნში დაბეჭდილია ხსენებული ავტორების მიერ 1918-1919 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები; საქართველოს გეოგრაფიული ატლასი და რუკები, რომლებიც გამოცულია საქ. მეცმიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის, საქ. გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის მიერ. თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა. თბილისი 1992წ. ასევე ვიხელმძღვანელეთ საქ. მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეს“ ისტორიის სერიით გამოცემულ ლევან თოიძის „25 თებერვლის შემდეგ“ (გამომც. „მეცნიერება“ თბ., 1990) და სხვა სამეცნიერო ხასიათის ლიტერატურით.

25 თებერვლის შემდეგ მართლაცდა როგორ დაპატარავებულა საქართველო, მაგრამ არა! მოვა დრო და საქართველო კვლავ მოისხამს ნათელ შარავანდს... ზღვაში გემები გაანათებს ცისფერ იალქნებს... აიტანს ცაში საკმეველი სულის ხარებას და აყვავდება სათნოება ნინოს ჯვარისა...“ (თეთრი კოშკი“ „ხოლო ვინმემ თუ გაბედა, რომ მოგვსპოს და გადაგვთელოს – ვიტყვი: მოკვდა საქართველო, გაუმარჯოს საქართველოს“ (იოსებ გრიშაშვილი „ახალ ხელისუფლებას“. „ამ რუსობამ ხალხიც კი ძალიან გააფუჭა და სინდისი დაუკარგა, ნამუსიც. ეხლა თავისუფლება გამოაცხადეს, კვლავ დამოუკიდებლები ვართ. ამისდა მიუხედავად, ადამიანი სულით და ხორცით დაეცა. დაავიწყდა რწმენაც და პატიოსნებაც. ამის მაგივრად რომ ყველანი ერთად იცავდნენ თავს ამ მონობიდან განსათავისუფებლად, ქართველი გამხეცდა და თავის მოძმე ქართველსავე ჰკლავს. საზღვარი არ არის, ადამიანი დაიღუპა, გაფუჭდა. აი, რუსობამ რა შედეგი მოუტანა ჩვენს ერს... რუსები! ეგ ერთი ერია მგონი ესეთი უღმერთო, უბედური... და ღმერთისაგან დაწყევლილი. ღმერთო, მოგვიმართე ხელი!... ერეკლევ, ერეკლევ რაზედ დაგვღუპე... რუსს რად მი-

გვეცი, – რად? რა დაგიშავა მშობელმა ერმა! ღმერთო!..“ (მარო მაყაშვილის „გაზაფხული“). „დამეხსენი, ჩრდილოელო!.. რა მაქვს შენთან საზიარო! თვით ოხერო, მოუვლელო, როგორ გინდა მომიარო?“ (აკაკი).

გეორგიევსკის ტრაქტატი რომ არა სპარსი და ოსმალო გადაგვყლაპავდაო... მტკნარი სიცრუეა, გადაწერილი ისტორიიდან ტროლებისათვის განკუთვნილი ამონარიდია. ორ საუკუნეზე მეტია უმწეობის განცდას ნერგავენ ჩვენში, ურუსოდ რა გვეშველებაო...

კრწანისის ველზე დაეცა ქართლ-კახეთის სამეფო (1795 წ. სექტემბერი).

იყო ღალატი, მარკოზაშვილის დარბაზელ ტროლების მხედრიონის მიერ ქართლ-კახეთის მოსახლეობის დეზინფორმირება, თითქოს ერეკლემ შეუთვალა მტერი ძლიერია, თავს უშველეთ და მთებში გახიზნეთო. მოხუც მეფეს, მამა ბატონს უღალატეს საკუთარმა შვილებმაც, უღალატეს რუსის ჯარის მეთაურებმაც, გვერდზე გადგნენ და შორიდან უყურებდნენ სეირს... გამხეცებულმა აღა მაჰმად ხანმა ცეცხლს მისცა თბილისი, დალეწა ყოველივე და ირანში უამრავი ქართველი ტყვე წაასხა. არადა გეორგიევსკის ტრაქტატის დადებისა და რუსეთის იმპერიის ქართველების მფარველად გამოცხადებიდან 12 წელიწადი იყო გასული.

რა ჰქნას რუსმა, ასეთია მისი ბუნება. კი, მაგრამ სინდისის ქენჯნა?..

მარინა ცვეტაევას თავზე უფრო უყვარს რუსი ერი, სლავური ჯიში და გენი, მაგრამ გული სტკივა თვისტომელთა გამო.

მილურსმული სამარცხვინო ძელს
სლავური სინდისის ძველის,
შუბლზე დამღითა და გულში გველით
ვამტკიცებ რომ ვარ უცოდველი...

ესოდენ ღრმად გააზრებულ სათქმელს კომენტარებით ვერაფერს შევმატებთ, ვიტყვი მხოლოდ ნაღდი პოეტის სინდისი ყოველთვის სუფთაა.

მილურსმული სამარცხვინო ძელს სლავური სინდისის ძველის – ამას რუსი პოეტი ამბობს და ჩვენში ზოგ მონა-მორჩილს უკვირს ქართველ მწერალს რომელიმე რუს ხელისუფალზე მცირედი აუგი თუ წამოსცდება. არადა კრემლში რახანია დაიწყეს საქართველოს ისტორიის გადაწერა. ღმერთმა იცოდეს ქართველს რუსი არ სძულს, პირიქით უყვარს და სტუმრად მოსულს ყურადღებას არ აკლებს, მაგრამ რუსი ხელისუფალი გვაძულებს თავს, თუმცა ქართველები ქრისტეს შევრდომილი ერი ვართ და სიძულვილი არ შეგვიძლია.

სულმნათი აკაკი „ჩვენს აღსარებაში“ ბრძანებდა: „ქართველების ისტორიული სიმართლე დღევანდელი უსამართლობით ვერ დაიჩაგრება. ქართველებს აქვს თავის საკუთარი ტერიტორია და მოითხოვენ მხოლოდ იმას, რაც ისტორიულად და რუსეთთან პირობის ძალით ეკუთვნის, რაც შეეხება ჩვენს მეზობლებს, ჩვენ მათი წინააღდეგი არც ვყოფილვართ და არც ვიქნებით! თუ კი რაიმე სიმართლე უჭირავთ ხელში, ჩვენ არ ვუშლით; ეძიონ, მაგრამ თავისა შინ კი... „შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერეო“ ტყუილა კი არ არის ნათქვამი – იმის თქმა, რომ შენ ნუღა იქნები და მე ვიყოო, არ არის კანონიერი!... და ის ქართველიც, რომელიც იტყვის: „სულ ერთია ვინც უნდა იდგეს ქართველების მაგიერ ჩვენს მიწა-წყალზეო“ შემცდარია და მისი აყოლა არ გვარგია“. არადა, ყველა მეზობელი დგას ოთხივ მხრივ ჩამოჭრილ ჩვენს მიწა-წყალზე. ეს რუსის დამსახურებაა... ამიტომაც ამბობდა მარო მაყაშვილი რუსზე ეგ ერთი ერია მგონი ესეთი უღმერთოო და საყვედურობდა დიდ მეფეს ერეკლე II რუსს რად მიგვეცი, რად?! რა დაგიშავა მშობელმა ერმა! ამავე მიზეზით, – რუსს რად მიგვეციო“ ყველა ქართველისათვის საყვარელ ბრძენ და მამაც მეფეს ერეკლე II რუს დამპყრობლებთან უთანასწორო ბრძოლაში სისხლად დაწურული ქალწულის გარდა ბევრმა მწერალმა, მეცნიერმა, დიდმა ხელოვანმა, საზოგადო და პოლიტიკურმა მოღვაწემ შეჰბედა სამდურავი. სულმნათ აკაკის, რომელიც ილია მართალთან ერთად რუსი დამპყრობლებისაგან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ედგა სათავეში, ერეკლე მეფეზე თავის აღსარებაში სევდაწაკრული სიტყვები თქვა: „გარეგან მოუსვენრობას (ლეკ-ოსმალო-სპარსების გამუდმებულ მტრობას გულისხმობს – ე. ბ.), შინაურ განხეთქილებას და ღრმა მოხუცებულობას ერეკლესას, ზედ და-

ერთო სნეულებაც (წყალმანკით იყო დასნეულებული – ე. ბ.) და ყველა ამან იქამდე მიიყვანა მეფე, რომ მოისურვა რუსეთთან შეერთება, მაგრამ ისეთი კი არა, რომელსაც დღესა ვხედავთ...“ პირდაპირ არ ამ-ბობს „გეორგიევსკის ტრაქტატი“ მცდარი ნაბიჯი გამოდგაო, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ევროპული ორიენტაციის დიდი მეფე ერეკლე II, კრწანისის ველზე საბედისწერო დამარცხების მერე მიხვდა, რომ საქართველო რუსეთის გზით ევროპაში კი არა – რუსულ ჩიხში შევიდოდა და სამწუხაროდ ასეც მოხდა.

ისტორიის გაკვეთილებმა ბევრი რამ თუ არა, ცოტა მაინც უნდა გვასწავლოს. არ ვიცი მარო მაყა-შვილის „გაზაფხულზე“ დაფიქრებამ, აკაკის, კოლაუს, იოსებ გრიშაშვილის, ალექსანდრე აბაშელისა და მარინა ცვეტაევას ნაფიქრალ-ნააზრევმა ვის რა გვასწავლა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, – საქართველო ბევრად უარეს განსაცდელში ჩავარდნილა და ღმერთის შემწეობით გადარჩენილა. უფალი ყოვლადმო-წყალეა და მწამს, რომ ამ მძიმე განსაცდელში არ მიგვატოვებს.

ღმერთმა დალოცოს საქართველო!



დევან გოგიჯერაშვილი

რამდენიმე ნიუანსი თეიმურაზ ლანჩავას შემოქმედებაში

ადამიანური არსებობა არ გახლავთ შემთხვევითი გამოხატულება სუბსტანციური მუდმივობისა, არამედ ის აუცილებლობით განპირობებული, მიზანმიმართული და შედეგობრივია. სიცოცხლის პირობებში, ადამიანი აღიქვამს სამყაროს მშვენიერებას; განიცდის რა აზროვნების სიამოვნებას, მის ცხოვრებას აქცევს სტაბილური სვლის ერთფეროვნებად, რომელშიც, ყოველ ნაბიჯზე, პოულობს სიახლეს, რომელი სიახლეც ასაზრდოვებს და უჩენს იმედს მომდევნო დღეების მრავალფეროვნებისა. ადამიანი გამჭრიახია, რაც მის შესაძლებლობებს მაღალ ხარისხში წარმოგვიდგენს; ადამიანი შემოქმედია, რაც მეტაფიზიკური აღქმის უწინარესი პირობაა, რომ დაუსრულებელი მოძრაობით მიუახლოვდეს და გაითავისოს მუდმივობის დიდებულება.

თეიმურაზ ლანჩავა სწორედ იმ მოაზროვნეთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთათვისაც არ არსებობს აბსოლუტური შედეგი, რომელთათვისაც „შემოქმედებითი წვა“ ტრანსცენდენტალური სამყაროს ეიდოსია.

თ. ლანჩავას შემოქმედება მრავალი ასპექტით შეგვიძლია განვიხილოთ. მისი წერის მანერა კლასიციზმის გავლენით ფიგურირდება, რაც რაციონალისტური აზროვნებით გამოიხატება. თუმცა, უშუალობა და მოვლენების აღწერის ორიგინალურობა ქმნის ესთეტიკურ ქარგას, რომელიც მას ამკვიდრებს, როგორც თვითმყოფად მწერალს, ვისი მისწრაფებებიც ირაციონალიზმის ელემენტებს შეიცავს... ლანჩავასათვის საკმარისი არ გახლავთ შემოქმედის შთაგონება, მას აუცილებელ პირობად მიაჩნია, რომ გონება აკონტროლებდეს ყოველგვარ წარმოსახულს, რაც ზეშთაგონებად ესახება ადამიანს. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ვთქვათ, რომ კლასიციზმის გავლენა დიდია. ასევე, ჩნდება მეორე მხარე: ლანჩავასათვის არ არსებობს აბსოლუტური იდეალი, რომელიც დასრულებულ, სრულყოფილ ეტალონად მოიაზრება, არამედ მისთვის იდეალები ჩნდება და ქრება..., რამდენადაც ადამიანური აზროვნებაა უკიდეგანო, იმდენადვე უკიდეგანოდ მიაჩნია მწერალს იდეალის ცნება და მის შემოფარგვლას ეწინააღმდეგება... ამ გამოვლინებით, გაურბის კლასიციზმს და გადადის ავანგარდიზმში, ეს მას იმ მრავალმხრივ შემოქმედათ წარმოგვიჩენს, რომლის ამოსავალი პრინციპები ინდივიდუალისტური კონცეფციიდან ყალიბდება.

თ. ლანჩავას შემოქმედება ხასიათდება ლოგიკური სემანტიკის ცნებათა თავისებურებებით, რაც კონტექსტუალურად გამოისახება ექსტენსიონალისტურ პარადიგმებში – სინთეზური ჭეშმარიტების სახით, ხოლო სიტყვათა კავშირის მნიშვნელობებში – ანალიზური ჭეშმარიტების სახით. მწერლის ლიტერატურული ეგზისტენცი სენტიმენტალისტურია, ამდენად, მისი ტროპები გარდაიქმნება ავტოფიქციად და საკუთარი „მე“-ს პოვნის აუცილებელ საშუალებად გვევლინება.

ტექსტის საზრისის ძიება ჰერმენევტიკული მეთოდოლოგიის დილემას წარმოადგენს. ავტორი ტექსტს ქმნადობის პროცესშიც არ ეკუთვნის, არათუ შექმნის შემდეგ, როცა ტექსტი საზოგადოების ნაწილი ხდება. ჰერმენევტიკული დაკვირვება მხოლოდ ენობრივი კატეგორიის მახასიათებლებს

გვიჩვენებს, მის წიაღსვლებში წვდომისათვის კი ავტორის ბიოგრაფიული მონაცემები გვეხმარება, ხოლო როცა იწყება ტექსტის საზრისის წვდომის მცდელობა, იმთავითვე უგულვებელყოფილია ავტორი და მხოლოდ ტექსტი რჩება, შიშველი ტექსტი... ჩვენ ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რომ ტექსტი დავუბრუნოთ ავტორს.

თ. ლანჩავას პროზაული ნაწარმოებები ხასიათდება მხატვრული მოჩვენებითობით, რომელიც სულაც არ წარმოადგენს არარეალურს. მისი შინაარსობრივი დატვირთვა, რიგ შემთხვევებში, ავტოფიქციურია და შემოქმედის ცხოვრების შელამაზებული ასახვაა. ავტორი გვევლინება ხელოვანად, ვისთვისაც ხელოვნება – ცხოვრებაა. ლანჩავას წერის მანერა განსაკუთრებულად უშუალოა, რაც სიტყვების ხასიათის მიხედვით თამაშსა და სიტუაციის მიხედვით – მდგრადობაში გამოიხატება.

თ. ლანჩავას თხზულებების საზრისი, სამყაროს აპოთეოზით, ადამიანურ სრულქმნილებაში მდგომარეობს, სადაც ცხოვრებისეული დეტალებისაგან იქმნება ესთეტიკური სიუჟეტი, რომლის ცენტრალური ფიგურა ჩვეულებრივი ადამიანია. ადამიანს აინტერესებს ადამიანური არსებობის საზრისი, ცდილობს ამაღლდეს საკუთარ გრძნობებზე, საკუთარ ემოციებსა და განცდებზე. გონების ფენომენი თეიმურაზ ლანჩავას თხზულებებში უდავოდ დომინანტია, რაც ჰუმანისტურ ნატურალიზმში გადადის და ფორმალურ იდეალებს ამკვიდრებს. მის შემოქმედებაში დრო გააზრებულია, როგორც სუბიექტური კატეგორიის ილუზია, რომლის მოხელთების საშუალებებს ეტაპობრივად ეძიებს. მისთვის დომინირებს აწმყო, რამდენადაც წარსულის მნიშვნელობა და მომავლის შესაძლებლობითი არსებობა ერთ მთლიანობად ესახება. იგი თავის ტექსტებში ამჟღავნებს სამყაროს საზრისში წვდომის სურვილს... ასახავს რა მოვლენებსა და ფაქტებს ინტერპრეტირებული სიტყვებით, ცდილობს, ადამიანებს დაანახოს ყოველდღიურობის ესთეტიკურად მშვენიერი და მახინჯი მხარეები. მისთვის ყოველი ნიუანსი ყურადღებაგასამახვილებელია, რადგან თუნდაც უმნიშვნელო დეტალი შეიძლება აღმოჩნდეს ტრანსცენდენტალური სამყაროს „გასაღები“, რომლის იმაგინაციური აღქმა ცალსახა, ვიწრო შეფასებებს უპირისპირდება.

თ. ლანჩავა უფრო იდეალისტია, ვიდრე მატერიალისტი, რაც მის თხზულებებში აშკარად იგრძნობა. მისთვის ადამიანს უდიდესი ღირებულება გააჩნია. სიტყვის ძალისა და ადამიანური ნდობის სურვილი თვალნათლივ ჩანს მისი ნაწარმოებების უმრავლესობაში. ამაოების განცდა პერმანენტულ ხასიათს ატარებს, რისი საშუალებითაც ავტორი მიისწრაფვის ყოველგვარ ადამიანურ მანკიერებაზე ამაღლებისაკენ. ტექსტუალური მეტამორფოზები აბსტრაქტულად განასახიერებს თეისტური ეგზისტენციალიზმის პრინციპებს. მის ტექსტებში წარმოდგენილია უზენაესი ღვთაება და მისწრაფება ამ ღვთაებისაკენ..., გაშარჟებულია მოჩვენებითი რწმენა და ადამიანური ინსტიქტების მნიშვნელობა სოციალური გარემოს მახასიათებლებით განისაზღვრება. ლანჩავას პათოსი არ გახლავთ დიდაქტიკური, მკითხველს არ ძაბავს და არ აქცევს დაქვემდებარებულ ერთეულად, რომლისთვისაც ავტორი მისაბაძ ავტორიტეტს წარმოადგენს, არამედ ის თითოეული მკითხველის ფსიქოლოგიურ თავისებურებებში წვდომას ცდილობს... უტოვებს რა არჩევანს, მკითხველის ინტერესს აღრმავებს და უბიძგებს ტექსტის ღრმა ანალიზისაკენ, რაც სავსებით ბუნებრივად გამოსდის.

თეიმურაზ ლანჩავას პრედიკატი ტელეოლოგიურია, რაც მნიშვნელოვნად უპირისპირდება კვიეტიზმს. რამდენადაც სამყაროში არსებობს ინტელიგიბელური მოვლენები და საგნები, იმდენადვე იხელთებს მწერალი ექსპლიკაციურ მეთოდს და აპორიული ურთიერთმიმართებით სახავს და ამკვიდრებს ფორმალურ ჭეშმარიტებებს, რომლებიც აფიცირდებიან ადამიანურ გრძნობებზე იმდაგვარად, რომ მჭვრეტელობითი შეფასებები რელატიური ხდება, რასაც გადავყავართ ტიპიზაციის პროცესში..., სწორედ აქედან გამომდინარე იკვეთება და ფიგურირდება ინდივიდუალიზმი, რაც თეიმურაზ ლანჩავას სრულქმნილ ხელოვანად წარმოგვიჩენს.

მეოცე საუკუნის შუა ხანების საფრანგეთიდან მომდინარეობს ტენდენცია და ეტაპობრივად იხვეჭს ძალაუფლებას, რაც ტექსტიდან ავტორის განდევნას გულისხმობს. აღნიშნულმა აზროვნებამ აპოგეას როლან ბარტთან მიაღწია, რომელმაც 1968 წელს გამოაქვეყნა მცირე მოცულობის თხზულება „ავტორის სიკვდილი“, რომელშიც აფიქსირებს თვალსაზრისს, რის მიხედვითაც ტექსტი მკითხველის საკუთრებაა და რამდენადაც დომინირებს ავტორი, იმდენადვე იღუპება მკითხველი...

ბარტი წერს: „ახლა უკვე ველარ მოგვატყუებენ ამგვარი ანტიფრასისებით, რომელთა მეშვეობითაც პატივცემული საზოგადოება კეთილშობილური გულისწყრომით ქომაგობს მას, ვისაც სინამდვილეში იგი ზღუდავს, უარყოფს, ახშობს და ანადგურებს. ახლა ჩვენ უკვე ვიცით: იმისათვის, რათა წერას განაღდებული ჰქონდეს მომავალი, აუცილებელია დავამხოთ მითი მის შესახებ – მკითხველის დაბადების საზღაური, – ავტორის სიკვდილია“. ბარტი დიდ წინააღმდეგობაში ვარდება: ტექსტის ქმნადობის პროცესში, ავტორი განუყრელია ტექსტისაგან... როგორც კი სრულიქმნება ტექსტი, ავტორს იმთავითვე ხელიდან ეცლება მისი გაკონტროლების, მორგების და გათავისების ბერკეტები. ტექსტი სრულფასოვანი, დამოუკიდებელი სახით ზოგადდება დროსა და სივრცეში, მას „იტაცებენ“ ადამიანები, ავტორი კი, რეალურად, მარტოსულ, საკუთარი ტექსტიდან განდევნილ, საზოგადოების ობიექტად ქცეულ ერთეულად გვევლინება და მისი დაკავშირება ტექსტთან ილუზიურია. საზოგადოება ვერ ითავისებს, რომ ავტორი ტექსტის ქმნადობის თანადროულად კარგავს ტექსტზე უფლებას და ეს მარადიულ გლოვად ექცევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ: კრიტიკოსის ვალია – ავტორს დაუბრუნოს ტექსტი. ჩვენი ხედვები ეწინააღმდეგება ბარტის ხედვებს, რადგან ბარტს კრიტიკოსი მხოლოდ ავტორის განმადიდებელ, მკითხველის დამჩაგვრელ და ტექსტის დამჩრდილველ სუბიექტად ესახება... ჩვენ კი აღვნიშნავთ, რომ ავტორი და ტექსტი განუყრელი მთლიანობაა, რომლის ყოველგვარი დანაწევრება იწვევს ემპათიურ დარდს ავტორისა, ტექსტი კი, მკითხველის სამსჯავროზე მარტოსულად დარჩენილი – კარგავს პირვანდელ სახეს. ბარტი იმთავითვე ცდებოდა, რადგან ტექსტის დაბრუნებისათვის ავტორი იმაზე მეტად იბრძვის, ვიდრე საზოგადოება იბრძვის ტექსტიდან ავტორის განდევნისათვის. საზოგადოება ცდება, რადგან დასრულებული ტექსტი ავტორს არ ეკუთვნის და, შესაბამისად, მისი განდევნაც არ არის საჭირო. ავტორი კი, ამაოების განცდით, მიისწრაფვის ტექსტის გათავისებისაკენ, რაც ქმნადობის პროცესის უნებლიე მოგონებით გამოიხატება. საზოგადოებამ უნდა დაუბრუნოს ტექსტი ავტორს!

თ. ლანჩავას, როგორც ტექსტდაკარგულ ავტორს, რომელსაც საზოგადოება ეცილება მისი ტექსტების ავტორობის უფლებას (რადგან საზოგადოება იმდენად ითავისებს ტექსტს, რომ ავტორს მისდაუნებურად დევნის; ბარტის მსგავსად მოფიქრალი ადამიანები კი – მიზანმიმართულად), გააჩნია მდგრადი განწყობილება ტექსტთან სტაბილური სიახლოვისა, ეს ერთეულთა ხვედრია; რამდენადაც ავტორი მუდმივ დაპირისპირებაშია საკუთარ თავთან, იმდენადვე აზოგადებს აღქმის არეალს და ტექსტის სრულქმნილების შემდეგ ცდილობს მის საზრისში წვდომას. ლანჩავა გვევლინება, როგორც საკუთარი ტექსტის მკითხველი, რომელიც იმდენივე სიახლეს პოულობს ტექსტში, რამდენსაც რიგითი მკითხველი. თეიმურაზ ლანჩავასათვის მარადიული „დაბრუნება“ ტექსტში ერთეულ სიახლეთა აღმოჩენაა, რაც სტაბილურად აქმნევინებს, ქმნადობის პროცესის დიდებულებას განაცდევინებს.

დასკვნით ნაწილში, შეგვიძლია დავაფიქსიროთ შემდეგი თვალსაზრისი: თ. ლანჩავას სუბსტანციური მისწრაფებები არაერთგვაროვანია, სადაც ასახვის ხერხები მუდმივ ცვალებადობაშია. რამდენადაც იცვლება ეპოქა და საზოგადოების ფსიქოლოგია, იმდენადვე მონაცვლეობს ჭეშმარიტების კატეგორია, რაც ლანჩავას აძლევს მანევრირების საშუალებას... ეს პროცესი შემოქმედის მუდმივ ზეშთაგონებად იქცევა. დაუსრულებელი მოძრაობითა და რაციონალიზმის დომინირებით, იგი გონითი სრულქმნილებისაკენ მიისწრაფვის... მისი ბუნება ვოლუნტარისტულია, რაც, იდეაში, მოასწავებს იმ მდგრადობის მოპოვებას, რასაც საუკუნეობრივი დიდება ჰქვია.



ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲥᲝᲖᲔᲤ ᲢᲝᲜᲑᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

დასავლეთს არა მსოფლიომ მიაყენა დარტყმა, არამედ, სწორედ, დასავლეთმა მიაყენა დარტყმა – და მეტად ძლიერი – დანარჩენ მსოფლიოს.

დასავლეთელი, რომელიც მოისურვებს გაერკვეს ამ თემაში, რამდენიმე წუთით მაინც უნდა დატოვოს „თავისი კოლბოხი“ და შეხედოს დანარჩენ მსოფლიოსა და დასავლეთს შორის შეჯახებას კაცობრიობის ვეებერთელა არადასავლური უმრავლესობის თვალებით. როგორადაც არ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან მსოფლიოს ხალხები კანით, ფერით, ენით, რელიგიითა და ცივილიზებულობის ხარისხით, დასავლეთელი მკვლევარის შეკითხვაზე – დასავლეთთან მათი დამოკიდებულების შესახებ, ყველანი – რუსები და მუსულმანები, ინდუსები და ჩინელები, იაპონელები და ყველა დანარჩენი – უპასუხებდა ერთნაირად. დასავლეთი, იტყვიან ისინი – ესაა თანამედროვე ეპოქის არქიაგრესორი და თითოეულს თავისი მაგალითი მოეძევება დასავლეთის აგრესიაზე. რუსები გაგვახსენებენ, – თუ როგორ იქნა ოკუპირებული მათი მიწები დასავლეთის არმიების მიერ 1941, 1915, 1812, 1709 და 1610 წლებში; აფრიკისა და აზიის ხალხები გაიხსენებენ იმას, თუ XV საუკუნიდან დასავლეთელმა მისიონერებმა, ვაჭრებმა და ჯარისკაცებმა როგორ მოაქციეს მათი მიწები ზღვიდან ალყაში. აზიელებს ამასთანავე შეუძლიათ გაიხსენონ ის, რომ იმავე პერიოდში დასავლეთმა დაიპყრო ორივე ამერიკის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ და აღმოსავლეთ აფრიკის თავისუფალი ტერიტორიების ლომის წილი. აფრიკელები კი გაიხსენებენ იმას თუ როგორ აქციეს ისინი მონებად და გადაიყვანეს ატლანტიკის ოკეანის გადაღმა, რათა გაეხადათ ცოცხალ იარაღად მათი ხარბი დასავლეთელი მეპატრონეების სიმდიდრის გასამრავლებლად. ჩრდილოეთ ამერიკის მკვიდრთა შთამომავალნი იტყვიან, თუ როგორ იქცნენ მათი წინაპრები თავიანთი ადგილებიდან აყრილნი, რათა გაეწმინდათ სივრცე თავიანთი დასავლეთევროპელი დაუპატიჟებელი სტუმრებისა და მათი აფრიკელი მონებისათვის.

დასავლეთელ ადამიანთა უმრავლესობაში ეს ბრალდებები გაოცებას, შოკსა და მწუხარებას გამოიწვევს, და ალბათ, აღშფოთებასაც. ჰოლანდიელები იტყვიან, რომ ისინი გამოვიდნენ ინდონეზიიდან, ხოლო ბრიტანელები – რომ მათ დატოვეს ინდოეთი, პაკისტანი, ბირმა და ცეილონი ჯერ კიდევ 1945 წელს, და რომ ბრიტანელთა სინდისზე არ ძევს არანაირი აგრესია სამხრეთ აფრიკაში 1899-1902 წლების ომის შემდეგ, ხოლო ამერიკელებზე – ესპანეთ-ამერიკის 1898 წლის ომიდან მოყოლებულნი. ჩვენ მეტად იოლად ვივიწყებთ, რომ გერმანელები, რომლებიც თავს დაესხნენ თავიანთ მეზობლებს, მათ შორის რუსეთსაც, პირველ მსოფლიო ომსა და განმეორებით მეორე მსოფლიო ომშიც, მიეკუთვნება დასავლეთს და რომ რუსები, ისევე როგორც აზიისა და აფრიკის ხალხები, ვერ ხედავენ დიდ განსხვავებას „ფრანკთა“ სხვადასხვა ურდოებს შორის, როგორადაც ისმის მასებში დასავლეთელი ადამიანების საერთო მსო-

ფლიო სახელწოდება. როგორც ცნობილი ლათინური ანდაზა ამბობს, „როდესაც მსოფლიოს გამოაქვს განაჩენი, უკანასკნელი სიტყვა ყოველთვის მისია“. **ეჭვს გარეშეა, რომ დასავლეთზე მსოფლიოს აზრი გარკვევით დასტურდება უკანასკნელი ოთხნახევარი საუკუნით, 1945 წლამდე. მთელი ამ დროის მანძილზე დასავლეთისადმი მსოფლიოს გამოცდილება აჩვენებს, რომ დასავლეთი, როგორც წესი, ყოველთვის აგრესორია, და თუკი რუსეთსა და ჩინეთთან დამოკიდებულებაში ნიშანი საპირისპიროდ შეიცვალა, ეს სრულიად ახალი სიტუაციაა, რომელიც წარმოიშვა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ; და დასავლეთის შიში და აღშფოთება რუსეთისა და ჩინეთის მიერ დასავლეთთან დამოკიდებულებაში განხორციელებული ახლანდელი აგრესიული მოქმედების გამო, მხოლოდ ადასტურებს, რომ ჩვენთვის, დასავლეთელებისათვის, ესაა სრულიად ახალი გამოცდილება – დაზარალდე დანარჩენი მსოფლიოს ხელით, როგორადაც დანარჩენი მსოფლიო იტანჯებოდა, უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე, დასავლეთისაგან.**

მაშ ასე, როგორია დანარჩენი მსოფლიოს გამოცდილება დასავლეთთან დამოკიდებულებაში? დავიწყოთ რუსეთის გამოცდილებით, ვინაიდან რუსეთი არის კაცობრიობის არადასავლური უმრავლესობის ნაწილი. **რუსები, თუმც კი იყვნენ ქრისტიანები და მრავალი დღესაც ასეთად რჩება, მაგრამ ისინი არასოდეს არ მიეკუთვნებოდნენ დასავლურ ქრისტიანობას. რუსეთი ქრისტიანად მოაქცია არა რომმა, როგორც, მაგალითად, ინგლისი, არამედ კონსტანტინეპოლმა; მიუხედავად მათი საერთო ქრისტიანული ფესვებისა, აღმოსავლურ მართლმადიდებლური და დასავლური ქრისტიანობა ყოველთვის უცხონი, ანტიპათიური და ხშირად მტრულიც კი იყვნენ ერთმანეთის მიმართ, რასაც, საუბედუროდ, ახლაც ვუყურებთ რუსეთსა და დასავლეთს შორის დამოკიდებულებაში, თუმცა ორივე მხარე იმყოფება თავისი ისტორიის ე. წ. პოსტქრისტიანულ სტადიაში.**

მიუხედავად ამისა, რუსეთის დასავლეთთან დამოკიდებულების ამ მეტად სამწუხარო ისტორიას, ჰქონდა საკმაოდ ბედნიერი პირველი თავი, ვინაიდან, მიუხედავად ცხოვრების განსხვავებული წესისა, რუსეთი და დასავლეთი საკმაოდ წარმატებულად ურთიერთმოქმედებდნენ ადრეული შუა საუკუნეების ხანაში. მიმდინარეობდა თანაზიარი ვაჭრობა, ხდებოდა დინასტიური ქორწინებები. მაგალითად, ინგლისის მეფის ჰაროლდის ქალიშვილი ცოლად გაჰყვა რუს მთავარს. გაუცხოება დაიწყო XIII საუკუნის დამდეგიდან, რუსეთზე თათართა თავდასხმის შემდეგ. დამპყრობლის უღელი დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან ისინი იყვნენ სტეპის მომთაბარეები და არ შეეძლოთ დამკვიდრებულიყვნენ რუსეთის ტყეებსა და ველებზე. თათართა ბატონობის შემდეგ რუსეთმა ზარალი განიცადა, არა იმდენად თათართაგან, რამდენადაც დასავლეთელი მეზობლებისაგან, რომლებსაც არ დაუყოვნებიათ რუსეთის დასუსტების გამოყენება იმისათვის, რათა მისგან მოეწყვიტათ და შემოეერთებინათ რუსეთის დასავლეთი მიწები, ბელორუსიასა და უკრაინაში, დასავლური ქრისტიანული სამყაროსათვის. მხოლოდ 1945 წელს რუსეთმა შეძლო დაებრუნებინა ის ვეებერთელა ტერიტორიები, რომელიც XIII და XIV საუკუნეებში დასავლეთის სახელმწიფოებმა წაართვეს მას.

შუა საუკუნეების დროის დასავლურმა დაპყრობებმა ასახვა ჰპოვა რუსეთის შიდა ცხოვრებასა და დასავლეთელი მჩაგვრელებისადმი დამოკიდებულებაზე. **რუსეთზე დასავლეთის ზეწოლამ იგი არა მხოლოდ ჩამოაცილა დასავლეთს, არამედ ის აღმოჩნდა ერთ-ერთი იმ მძიმე ფაქტორთაგან, რამაც აიძულა რუსეთი დამორჩილებოდა ახალ უღელს, მოსკოვური ხელისუფლების ძირეულ რუსულ უღელს, რომელმაც თვითმპყრობელური მმართველობის ფასად, რუსეთის მიწებს თავს მოახვია ერთიანობა, რომლის გარეშედეაც ისინი ვერ შეძლებდნენ გადარჩენას.** შემთხვევითი არაა, რომ ეს ახალი თვითმპყრობლური ცენტრალიზებული მმართველობა წარმოიშვა სწორედ მოსკოვში, ვინაიდან მოსკოვი იყო ავანპოსტი შესაძლო მორიგი დასავლური აგრესიის გზაზე. 1610 წელს პოლონელები, 1812 წელს ფრანგები, 1941 წელს გერმანელები – ყველანი ამ გზით მოდიოდნენ. **დიდი ხნიდან მოყოლებული, XIV საუკუნიდან დაწყებული, რუსეთში ყველა მმართველი რეჟიმების დომინანტური იყო თვითმპყრობელობა და ცენტრალიზაცია.** ალბათ, ეს რუსულ-მოსკოვური ტრადიცია თვით რუსებისთვისაც ისევე უსიამოვნო იყო, როგორც მეზობლებისთვისაც, მაგრამ, საუბედუროდ, რუსები მიეჩვივნენ მის მოთმე-

ნას, ნაწილობრივ უბრალოდ ჩვევით და აგრეთვე იმიტომაც, ეჭვს გარეშეა, რომ მას მიიჩნევდნენ ნაკლებ ბოროტებად, ვიდრე – პერსპექტივას – იყო აგრესიული მეზობლების მხრიდან დამორჩილებული.

ასეთი **თავშეკავებული დამოკიდებულება თვითმპყრობელური რეჟიმისადმი, რომელიც რუსეთში ტრადიციული გახდა,** წარმოადგენს ჩვენი, დასავლური თვალსაზრისით, ერთ-ერთ მთავარ სირთულეს რუსეთსა და დასავლეთს შორის დამოკიდებულებაში. **დასავლეთში ადამიანთა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ტირანია – ესაა აუტანელი სოციალური ბოროტება, საშინელი ძალისხმევის ფასად ჩვენ ჩავახშვეთ ტირანია, როდესაც მან თავი წამოსწია ჩვენს შორის ფაშიზმისა და ნაციონალ-სოციალიზმის სახით. ჩვენ ვგრძნობთ იმგვარივე ზიზღს მისდამი, მის რუსულ ფორმაში, თუნდაც იგი იწოდებოდეს ცარიზმად ან კომუნიზმად. ჩვენ არ გვსურს ვაკვირდებოდეთ ამ რუსული ფორმის ტირანიის გავრცელებას; განსაკუთრებით დავიწყეთ ფიქრი იმ საშიშროებაზე, რომელიც ემუქრება თავისუფლების დასავლურ იდეალებს, დღეს, როდესაც ჩვენ, ფრანკებმა, პირველად, თურქების მიერ ვენის ალყის დროიდან მოყოლებული, 1682-1683 წლიდან, ვიგრძენით თავი თავდაცვით მდგომარეობაში მყოფად, საფრთხის გამო დღევანდელი ჩვენი მღელვარება, რომელიც მომდინარეობს, ჩვენი შეხედულებით, რუსეთიდან, მიგვაჩნია სავსებით გამართლებულად.** ჩვენ ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ იმას, რომ ნიშნის შეცვლამ რუსეთსა და დასავლეთის დამოკიდებულებაში, 1945 წლის შემდეგ, არ გაგვიყვანა გვერდზე და არ გვაიძულა ჩვენ ბუნებრივ ახლანდელ საზრუნავში დაგვევიწყებია წარსული. თუკი ჩვენ შევხედავთ რუსეთსა და დასავლეთს შორის შეჯახებას არა ჟურნალისტის, არამედ ისტორიკოსის თვალით, დავინახავთ, რომ პირდაპირ მთელი საუკუნეების მანძილზე 1945 წლამდე, რუსეთს ჰქონდა ყველა საფუძველი ეცქირა დასავლეთისათვის არა ნაკლები ეჭვით, ვიდრე ჩვენ ვუცქერით რუსეთს დღეს.

უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის მანძილზე დასავლეთისაგან რუსეთზე საფრთხე, რომელიც XIII საუკუნიდან ქრონიკული გახდა, დასავლეთში ტექნიკურ რევოლუციასთან ერთად მხოლოდ ძლიერდებოდა და უნდა ვაღიაროთ, რომ, ერთხელ ამტყდარი ეს რევოლუცია არ ავლენს დღემდე ჩაცხრომის არანაირ ნიშნებს.

როგორც კი დასავლეთმა შეიარაღება დაიწყო სასროლი იარაღით, რუსეთი მაშინვე მიჰყვა მას და უკვე XVI საუკუნეში ეს ახალი დასავლური იარაღი გამოიყენა ვოლგის თათართა და ურალისა და ციმბირის პირველყოფილი ხალხების დასამორჩილებლად. მიუხედავად ამისა, 1610 წელს, დასავლური შეიარაღების უპირატესობამ შესაძლებლობა მისცა პოლონელებს აეღოთ მოსკოვი და შეენარჩუნებიათ იგი ორი წლის განმავლობაში, იმ დროს როდესაც შვედებმა გადაუკეტეს რუსეთს ბალტიის ზღვისა და ფინეთის ყურის გასასვლელები, დასავლეთის აგრესიის აქტებისადმი საპასუხოდ, რუსეთმა XVII საუკუნეში სრულად გადაიღო იმ დროის დასავლური ტექნოლოგია და აითვისა, ტექნოლოგიის გამოყენების განუყოფლად, დასავლური ცხოვრების ზოგიერთი ელემენტი.

თვითმპყრობელური ცენტრალიზებული მოსკოვური რეჟიმის დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ ეს ტექნიკური და მისი სოციალური რევოლუციაც, რომელიც რუსეთში მოხდა XVII და XVIII საუკუნეებში, განხორციელებულ იქნა ზემოდან ქვევით, ერთი ადამიანის ნებით, პეტრე დიდის გენიალურობით. პეტრე წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფიგურას დანარჩენი მსოფლიოს დასავლეთთან დამოკიდებულების გაგებისათვის, არა მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობაში, არამედ მსოფლიო მასშტაბში; ვინაიდან პეტრე – ესაა დასავლური სულისკვეთების ავტოკრატიული რეფორმატორის არქეტიპი და მან ორნახევარი საუკუნის მანძილზე გადაარჩინა მსოფლიო დასავლეთზე სრული დამოკიდებულებისაგან და ასწავლა მას დაპირისპირებოდა დასავლურ აგრესიას მისივე საკუთარი იარაღით. სულთანი სელიმ III და მაჰმუდი, პრეზიდენტი მუსტაფა ქემელ ათათურქი თურქეთში, მეჰმედ ალი ფაშა ეგვიპტეში, უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები, რომლებმაც განახორციელეს 1860 წლიდან ვესტერნიზაცია იაპონიაში, – ყველა ისინი, ნებით თუ უნებლიედ დაადგნენ პეტრე დიდის გაკვალულ გზას.

პეტრემ გაიყვანა რუსეთი დასავლეთთან ტექნოლოგიური შეჯიბრის ორბიტაზე და იგი დღემდე ამ ორბიტაზე მოძრაობს. რუსეთს არასოდეს არ შეეძლო დასვენება, ვინაიდან დასავლეთი მუდამ

აკეთებდა ახალ ნახტომებს. ამგვარად, პეტრემ და მისმა შთამომავლებმა XVIII საუკუნეში რუსეთი აიყვანეს იმ დროს დასავლური სამყაროს დონეზე, რისი წყალობითაც რუსებმა შეძლეს გაემარჯვებიათ 1709 წელს შვედ დამპყრობლებსა და 1812 წელს ფრანგ აგრესორებზე, მაგრამ XIX საუკუნეში დასავლეთში განხორციელებულმა სამრეწველო რევოლუციამ კვლავ უკან ჩამოიტოვა რუსეთი, და – როგორც შედეგი – რუსეთმა პირველ მსოფლიო ომში გერმანიის შემოჭრისაგან განიცადა მარცხი, იმგვარადვე, როგორც ორი საუკუნით ადრე – პოლონელებისა და შვედებისაგან. თანამედროვე კომუნისტურმა ავტოკრატიულმა მთავრობამ შეძლო შეეცვალა ცარიზმი, რუსეთის 1914-1918 წლებში დასავლური ტექნოლოგიით დამარცხების შედეგად და 1928 წლიდან 1941 წლამდე კომუნისტური რეჟიმი შეეცადა რუსეთისათვის გაეკეთებია ის, რაც შეძლო პეტრემ 230 წლის უკან.

თავისი ისტორიის თანამედროვე ფაზაში რუსეთს მეორეჯერ მოუწია, თვითმპყრობელი მმართველობის ნებით, აჩქარებული მარშით დაეწყო, კვლავ წინ წაწეული, დასავლურ ტექნოლოგიაზე დაწევა; და ტექნიკური ვესტერნიზაციის სტალინური ტირანიის გზა ხორციელდებოდა, როგორც ეს პეტრეს დროს იყო, უმძიმესი გაჭირვებისა და იძულების შედეგად. რუსეთში კომუნისტურმა ტექნოლოგიურმა რევოლუციამ წინასწარ განსაზღვრა მეორე მსოფლიოში ომში გერმანელ დამპყრობლებზე გამარჯვება, ისევე როგორც პეტრეს ტექნიკურმა რევოლუციამ უზრუნველყო 1709 წელს შვედ აგრესორებზე გამარჯვება და ფრანგებზე 1812 წელს. გერმანელთა მიერ ოკუპირებული რუსეთის მიწების გათავისუფლებისაგან რამდენიმე თვეში - 1945 წელს, რუსეთის ამერიკელმა მოკავშირეებმა იაპონიაში ჩამოაგდეს ატომური ბომბები, რამაც მსოფლიოს აუწყა დასავლეთის მესამე ტექნიკური რევოლუციის შესახებ. ასე რომ, რუსეთს მესამეჯერ მოუწია აჩქარებული მარშით ეცადა დასავლურ ტექნოლოგიაზე დაწევა, რომელმაც ახალი ნახტომი გააკეთა წინ და კვლავ უკან ჩამოიტოვა რუსეთი. ამ ახალი, რუსეთსა და დასავლეთს შორის პერმანენტული შეჯიბრის, მესამე სტადიის შედეგი ჯერ კიდევ მომავლის ბურუსშია დაფარული; თუმცა უკვე ახლა სრულიად ნათელია, რომ ტექნოლოგიურ გამოკიდების განახლება ქმნის ახალ სერიოზულ სირთულეებს ორ ექსქრისტიანული საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაში.

ტექნოლოგია – ეს მხოლოდ გრძელი ბერძნული სიტყვაა, რომელიც თავდაპირველად ნიშნავდა – „ჩანთა ინსტრუმენტებით"; ჩვენ უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს: რომელ ინსტრუმენტებს აქვს უფრო მეტი მნიშვნელობა ამ შეჯიბრებებში, ემსახურება კი ყველა ისინი სიძლიერისა და ძალის გამოხატვას? რა თქმა უნდა, ამ მიზანს ემსახურება საქსოვი დაზგაც, ლოკომოტივიც, აგრეთვე ტყვიამფრქვევი, თვითმფრინავი თუ ყუმბარა. **მაგრამ ამ ინსტრუმენტებში არის არა მხოლოდ მატერიალური საგნები, არამედ სულიერიც, გაცილებით მძლავრი, ყველა იმათ შორის, რაც ადამიანს შეუქმნია. ასეთ ინსტრუმენტად შეიძლება იქცეს, ვთქვათ, მსოფლმხედველობა; და რუსეთსა და დასავლეთს შორის შეჯიბრების ახალ რაუნდში, რომელიც 1917 წელს გაიხსნა, რუსებმა სასწორის თეფშზე მსოფლმხედველობა დადეს; და ამ სულიერ ინსტრუმენტს შესწევს ძალა გადაწონოს დასავლეთის მატერიალური იარაღი, მსგავსად რომის გალებისაგან გამოსყიდვის ისტორიაში, როდესაც ბრენის მიერ სასწორზე ნასროლმა მახვილმა გადაწონა რომის მთელი ოქრო.**

ამგვარად, კომუნიზმი არის იარაღი და როგორც ყუმბარა, თვითმფრინავი და ტყვიამფრქვევი, ესეც დასავლური წარმოშობის იარაღია. XIV საუკუნეში კარლ მარქსსა და ფრიდრიხ ენგელსს, ორ დასავლეთელ ადამიანს, აღზრდილს რეინის პროვინციასა და ცხოვრების დიდი ნაწილის ლონდონსა და მანჩესტერში გამტარებლებს, რომ არ გამოეგონებიათ ის, კომუნიზმი არასოდეს არ გახდებოდა რუსეთის ოფიციალური იდეოლოგია. რუსეთის ტრადიციაში არ არსებობდა წინაპირობაც კი იმისათვის, რომ იქ დამოუკიდებლად გამოეგონებიათ კომუნიზმი; და სრულიად აშკარაა, რომ რუსებს თავშიდაც კი არ მოუვიდოდათ მსგავსი რამ, დასავლეთში რომ არ გამოეგონებიათ, რომელიც გამზადებული იყო გამოყენებისათვის, რითაც 1917 წელს ისარგებლა კიდევაც რუსეთის რევოლუციურმა რეჟიმმა.

დასავლეთისაგან გარდა სამრეწველო მიღწევებისა გადმოიღო დასავლური იდეოლოგიაც და მიმართა იგი დასვლეთის წინააღმდეგ, და 1917 წელს ბოლშევიკემბა რუსეთის ისტორიას მისცეს სრულიად ახალი მიმართულება, ვინაიდან რუსეთმა პირველად აითვისა დასავლური მსოფლმხედ-

ველობა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთში ქრისტიანობა შევიდა არა დასავლეთიდან, არამედ ბიზანტიიდან, სადაც მას ჰქონდა გამოკვეთილი ანტიდასავლური სულისკვეთება და ფორმა; **XV** საუკუნეში მცდელობამ, რუსეთზე თავსმოეხვიათ ქრისტიანობის დასავლური ფორმა, სრული მარცხი განიცადა. 1439 წლის ფლორენციის საეკლესიო კრებაზე აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებმა, ბიზანტიის იმპერიის დარჩენილმა ნაწილმა, უგულოდ აღიარეს პაპის ტახტის მეთაურობა იმ იმედით, რომ პასუხად დასავლური სამყარო კონსტანტინეპოლს იხსნიდა თურქთა მიერ დაპყრობისაგან. კრებას ესწრებოდა მოსკოვის მიტროპოლიტიც, რომელიც ემორჩილებოდა კონსტანტინეპოლის ბერძენ პატრიარქს, და მანაც, მისი ქრისტიანი ძმების მსგავსად, რომლებიც წარმოადგენენ ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, ხმა მისცა; მაგრამ შინ დაბრუნების შემდეგ მის მიერ პაპის ტახტის აღიარება ანულირებულ იქნა, ხოლო თვით იგი გადაყენებული.

ორას ორმოცდაათი წლის შემდეგ, როდესაც პეტრე დიდი გაემგზავრა დასავლეთში იქაური ტექნოლოგიის შესასწავლად, უკვე აღარ იდგა საკითხი, რათა რუსეთს დასავლური ოსტატობის საიდუმლოებათა ნაცვლად, მიეღო ქრისტიანობის დასავლური ფორმა. **XVII საუკუნის დასასრულს დასავლეთში მოხდა მკვეთრი ცვლილება არა მხოლოდ რელიგიურ ფანატიზმთან დამოკიდებულებაში, არამედ საკუთრივ რელიგიასთანაც; ეს იყო საკუთარი რელიგიური შინა ომებით გამოწვეული მორალური დაღლილობის შედეგი.** ამგვარად, დასავლური სამყარო, რომელთანაც რუსეთი პეტრეს დროს მივიდა მოსწავლედ, უკვე იყო არარელიგიური სამყარო; და ყველაზე უფრო განათლებულმა რუსთა უმცირესობამ, რომლებიც იქცნენ რუსეთში ვესტერნიზაციის გამტარებლები, აირჩია დასავლეთელ თანამედროვეთა მაგალითი და ცივად დაიწყეს მოპყრობა ქრისტიანობის მართლმადიდებლური ფორმისადმი, თუმცა, არც დასავლური სარწმუნოება მიიღეს. აი, რატომ გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ, 1917 წელს, კომუნისტური იდეოლოგიის დანერგვით, რუსეთი გამოეთხოვა თავის საუკუნოვან ტრადიციას და პირველად ისტორიაში გადმოიღო დასავლური მსოფლმხედველობა.

მკითხველი, ალბათ, შეამჩნევს, რომ ეს მსოფლმხედველობა, რუსეთში 1917 წელს მიღებული, როგორც დასავლური იარაღი, განსაკუთრებულად მოსახერხებელი იყო მისთვის, რათა გაეჩაღებინა ანტიდასავლური იდეოლოგიური ომი. **დასავლეთში, როდესაც მოცემული მოძღვრება წარმოიშვა, იგი ერესად მიიჩნეოდა.** არსებითად ეს იყო დასავლეთის კრიტიკული მცდელობა, რომ თითქოსდა ქრისტიანულ საზოგადოებას არ აქვს უნარი გაჰყვეს საკუთარ ქრისტიანულ პრინციპებს ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სფეროებში; მაგრამ ეს ხომ დასავლური წარმოშობის იდეოლოგიაა, რომელიც წარმოადგენს ბრალდებას დასავლური ცხოვრების წესის მისამართით, – ეს სწორედ ის სულიერი იარაღია, რომელსაც მოწინააღმდეგე სიამოვნებით შეარჩევს და მიმართავს თავისი შემქმნელის წინააღმდეგ. **მოიპოვა რა ეს დასავლური იარაღი, რუსეთს აქვს შესაძლებლობა დასავლეთის წინააღმდეგ სულიერ სფეროში ბრძოლა გადაიტანოს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. ვინაიდან კომუნიზმი წარმოიშვა, როგორც დასავლური მოუსვენარი სინდისის პროდუქტი და მან დასავლურ სამყაროში რუსული პროპაგანდის სახით დაბრუნებულმა, სავსებით შესაძლებელია ააღელვოს სხვა სინდისიერი დასავლური სულები. ამიტომ ახლა, XVII საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, პირველად დასავლური სამყაროს ისტორიაში, როდესაც დაილია ისლამურ რწმენაში ახალმოქცეულ დასავლეთელთა ნაკადი, დასავლეთი კვლავ აღმოჩნდა შიგნიდან სულიერი ნგრევისა და გარედან შემოტევის საფრთხის წინაშე. ამგვარად, კომუნიზმა, რომელიც ემუქრებოდა დასავლურ ცივილიზაციას მისსავე საკუთარ ნიადაგზე, რუსების ხელში თავი წარმოადგინა გაცილებით უფრო ეფექტურ ანტიდასავლურ იარაღად, ვიდრე ნებისმიერმა მატერიალურმა შეიარაღებამ.**

ამასთანავე, კომუნიზმი რუსეთს იარაღად გამოადგა – თავის ბანაკში მიეზიდა მსოფლიოს ჩინური ნაწილი და კაცობრიობის იმ დიდი უმრავლესობის სხვა დანარჩენი ჯგუფები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არც რუსეთსა და არც დასავლეთს. ჩვენ გვესმის, რომ ამ ნეიტრალური ჯგუფებისადმი ლოიალობამ შეიძლება კარდინალური გავლენა მოახდინოს მთლიანად რუსეთ-დასავლეთის კონფლიქტზე, როდესაც ეს არარუსი და კაცობრიობის არადასვლური უმრავლესობა თავის ხმას მისცემს, მსოფლიოზე ბატონობისათვის მათ ბრძოლაში, ამა თუ იმ მხარეს. კომუნიზმს ძალუძს გაორმა-

გებული ძალით მიიზიდოს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ჩაგრული ხალხები, თუკი ამ იდეოლოგიას რუსეთი მათ შესთავაზებს. ვთქვათ, რუსეთის წარმომადგენელი ეუბნება აზიელ გლეხს: „თუკი თქვენ მიჰყვებით რუსეთის მაგალითს, კომუნიზმი თქვენ მოგცემთ ძალას გაუმკლავდეთ დასავლეთს, როგორც ეს შეძლო, თავისი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, კომუნისტურმა რუსეთმა“, მეორეც, რამაც შეიძლება მიიზიდოს, ეს არის ის, რომ კომუნიზმი ხალხებს პირდება აზიურ სახელმწიფოთა მოსახლეობაში მდიდარ უმცირესობასა და უღარიბეს უმრავლესობას შორის უკიდურესი უთანასწორობისაგან თავის დაღწევას, რასაც თავისუფალი მეწარმეობა არასოდეს არ დაჰპირებია და არც აპირებდა დაპირებას. მაგრამ უკმაყოფილო აზიური უმრავლესობა არაა კაცობრიობის ერთადერთი ნაწილი, რომელსაც იზიდავს კომუნიზმი. **ამ იდეოლოგიაში არის მიზიდულობის ძალა, რომელიც ზემოქმედებს ადამიანებზე, ვინაიდან კომუნიზმი პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ უზრუნველყოფს კაცობრიობის ერთიანობას, როგორც ჩვენ ატომურ ხანაში თვითნგრევის ერთადერთ ალტერნატივას.**

იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთსა და დასავლეთს შორის შეჯახებაში, ინიციატივა სულიერ სფეროში, განსხვავებით ტექნოლოგიური სფეროსაგან, გადავიდა, ყოველ შემთხვევაში, მოცემულ მომენტში, დასავლეთიდან რუსეთზე. ჩვენ აქ, დასავლეთში, არ შეგვიძლია ამას შევეგუოთ, ვინაიდან ეს დასავლური ერესი – კომუნიზმი, – რომელიც რუსებმა გამოიყენეს, დასავლეთელთა უმრავლესობას მიაჩნია უკუღმართობად, სიცრუედ, დამანგრეველ დოქტრინად და ცხოვრების წესისათვის სრულიად მიუღებლად.

თეოლოგს შეეძლო ეთქვა, რომ ჩვენმა უდიდესმა თანამედროვემ, დასავლეთელმა ერესიარხმა – კარლ მარქსმა, დაუშვა ერეტიკოსისათვის დამახასიათებელი შეცდომა, ჩავარდა ცდომილებაში, აღმოაჩინა რა დასავლურ სულიერ ორთოდოქსიაში გადაუდებელ რეფორმათა განზრახვა, მას მხედველობიდან გამორჩა ყოველივე სხვა დანარჩენი მოსაზრება და შედეგად გამოიგონა უფრო მეტად საზიანო წამალი, ვიდრე თავად ავადმყოფობაა.

ის, რომ რუსებმა წარმატებას მიაღწიეს, გამოსტაცეს რა დასავლეთს ინიციატივა, შიეარაღდნენ დასავლური ერესით, კომუნიზმად წოდებულით, რომლის შედეგადაც ანტიდასავლური პროპაგანდის შხამიანი ღრუბლები მიმოფანტეს მსოფლიოზე, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კომუნიზმი უსათუოდ გაიმარჯვებს. **მარქსისტული თეორია არამარქსისტის შეხედულებით მეტად ვიწროა და მეტად მახინჯი, რათა შეძლოს ადამიანთა მოლოდინების ყველა დროში დაკმაყოფილება.** მაგრამ მაინც, კომუნიზმის წარმატებები, რომლებიც სავსებით აშკარად გამოვლინდა, უნდა გახდეს მომავლისათვის გაფრთხილება; **და თუკი ჩვენ რაიმე უნდა გავარკვიოთ და შეგვიძლია გავიგოთ ჩვენთვის, ეს არის ის, რომ შეჯახება დანარჩენ მსოფლიოსა და დასავლეთს შორის გადადის ტექნოლოგიური სფეროდან სულიერ სფეროში;** და ჩვენი მომავლისათვის ისტორიის თავს ნათელი შუქი შეუძლია მოჰფინოს საბერძნეთასა და რომთან მსოფლიოს შეჯახების ისტორიას. მაგრამ, ვიდრე ამ მაგალითს განვიხილავდეთ, აუცილებელია შევეხოთ იმას, თუ რა წარმატებებს აღწევენ, როგორც დასავლეთთან, ასევე რუსეთთან თავიანთ დღევანდელ შეჯახებაში ისლამი, ინდოეთი და შორეული აღმოსავლეთი.

მთარგმნელი **ნუგზარ კუჭუხიძე**

მარიამ მარჯანიშვილი

ილია – ემიგრანტთა შემოქმედებითი საგანძურიდან

ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოგონებებში, პუბლიცისტიკაში, მემუარებსა და ეპისტოლეებში მრავალმხრივაა წარმოჩენილი დიდი ილიას ხატება, მისი განათლება, ფხიზელი გონი, მასშტაბური ხედვა, ძლიერი ნებისყოფა, მტკიცე ხასიათი, ეროვნული სული, მომავლის საქართველოს მესაჭეობა, რისთვისაც იგი არ ერიდებოდა კონფლიქტს, პოლემიკასა და დაპირისპირებას.

ილია იმ თაობის წევრი იყო, რომელთაც მახვილი უარყვეს და კალამი აიღეს. მათ კარგად ესმოდათ, რომ თავისუფლების ნების გამომჟღავნება ცოდნაშია. ცოდნა – განათლებაა, განათლება კი თავისუფლებაა.

ილია ჭავჭავაძემ საადგილმამულო ბანკის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, პრესისა თუ თეატრის სახით შექმნა დამოუკიდებელი ქვეყნის ჩანასახი და ჩამოაყალიბა მისი ეროვნული პროგრამა.

იდეების რეალიზება კი მისგან პრაგმატულ ხედვას მოითხოვდა. სწორედ, 1879 წელს ჩამოყალიბებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, გაფორმდა, როგორც პროვოკატრი რუსიფიკაციის საწინააღმდეგო მოძრაობისა, რომლის ჩამოყალიბება იყო ბრძოლა დემოკრატიისათვის. დემოკრატია კი თავისთავად მოითხოვდა განათლების სისტემის ტრანსფორმაციას.

და, ეს მოხდა მაშინ, როცა ათასწლობით შენახული ქართული ენა ჩვენი ერის „განათლებულთა მიერ“ ისე ლაჩრულად იქნა მკვდარი, რომ მშობლიურ ენაზე ლაპარაკსაც აღარ კადრულობდნენ.

„ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომლის პირისაგან მოგვესმენ მძლავრ ქართულად ნათქვამნი. სამაგალითონი, უმშვენიერესნი თხზულებანი მისნი“ (წერეთელი მ. „ერი და კაცობრიობა“, თბ., 1990:187).

„ჩვენ ქვეყანას ათასი გასაჭირი ადგა, კაცი არავინ იყო ხმის ამომღები ყველა საჭირბოროტო საკითხებზედ, და ილია პირველი იყო, რომ მეცნიერების იარაღით აღჭურვილი სწყვეტდა რთულ პრობლემებს ჩვენი ცხოვრებისა თავისებური სიღრმით და იმავე მშვენიერი ენით, რომელიც მან გაგვაგონა თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებში. ილია იყო შეუდარებელი პუბლიცისტი, ილია იყო გლეხთა მუდმივი მეგობარი, და იგი ამ მეგობრობას ხატავდა როგორც „გლახის ნაამბობში“, „ოთარაანთ ქვრივში“, ისე ბატონ-ყმობის, მონობის წყევლა-კრულვაში და გმობაში, – როგორც საჯარო კრებებზედ, ისე თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში.

საქართველოს დაბეჩავებულ საზოგადოებას ორგანონი ეჭირვებოდენ, ილია ჭავჭავაძე იყო სწორედ ის ადამიანი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მათ შექმნაში და მათში მუშაობით. მარტო ბანკში და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში რამდენი ენერგია ჩაჰკლა ილია ჭავჭავაძემ ქართული საზოგადოების აღსაღორძინებლად...

დიაღ, ილია ყოველმხრივი მოღვაწეობით გაცილებით მაღლა იდგა ყველა თავის თანამედროვეებზე და თანამოღვაწეებზედ, – თავისი მრავალფეროვანი ნიჭითა და ყოველმხრივი შემოქმედებით“ (წერეთელი მ. „ერი და კაცობრიობა“, თბ., 1990:287).

„მეცხრამეტე საუკუნეში მართალი იყო ქართველი საზოგადოება, რომელმაც ფრანგი მოგზაურის შეკითხვაზე: – ვინა გყავთ ყველაზე დიდი პიროვნებაო? – უპასუხა Il Ya Ilia (სიტყვათა თამაშია, ფრანგულად ნიშნავს: ეს არის ილია!)“.

ილია ჭავჭავაძემ პოლიტიკასა და ლიტერატურას შორის გამოძებნა შუალედური სფერო – საზოგადოებრივი არენა და პუბლიცისტიკა...

ყველაზე დიდი ხმაური ილიას მოღვაწეობაში „ბანკობიანას“ მოჰყვა. ცნობილი პოლიტიკური ემიგრანტი რევაზ გაბაშვილი იგონებს: „ნამდვილი ომი, – უამისოდ ვერც ერთი ქართული საქმე ვერ გასძლებს, – გათამაშდა ჩემს ყმაწვილობაში, როდესაც ილია ჯერ ცოცხალი იყო, – „ბანკობიანას სახელით“.

ხუმარანი თუ პოეტები, ჟურნალისტები და პუბლიცისტები, ტლანქი მოენე თუ კარიკატურისტები, მთელი ქართული საზოგადოება იყო გაყოფილი და აყოლილი თავად-აზნაურობის ამა თუ იმ ბანაკს: „ჭავჭავაძისტები“ და „მაჩაბელისტები“ გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს. ვანო მაჩაბელის მომხრე ქართლელი თავადაზნაურები ტივებით ჩამოდიოდნენ თბილისში და კახელნი ცხენ და ცხენ ან „დილიჟნებითა“.

ყოველი კრება იყო მძაფრი პაექრობა ილიას ენამჭევრობის „მძიმე არტილერიასა“ და ვანო მაჩაბლის მჭერმეტყველების „მსუბუქ ცხენოსნებს“ შორის.

...ილიას ძალუმი ლოღიკა, სარკაზმებითა და მჭრელი ირონიით შეზავებული სიტყვა, არა მარტო სჯობნიდა მუდამ, არამედ, რაც მთავარია, – ანელებდა მოწინააღმდეგეთა სიმძაფრეს და კრება არასოდეს გადასცდენია პარლამენტალურ წესებს...

საბოლოოდ ილიამ გაიმარჯვა, მისი პირადი მეგობარი ივანე მაჩაბელი კი მისტერიულად დაიკარგა. ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია, მაგრამ ზეთივით გადაესხა „ბანკობიანას“ ზღვას. სტიქიონი დაწყნარდა და მას აქეთ, ილიას მესაჭეობით, ბანკის გემს ყოველწლიურად მოჰქონდა საქართველოს სალაროში ერთი მილიონი მოგება“ (შარაძე გ. „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, თბ., 1986:147-148).

ილიას მითითებით დაარსებულმა ბანკებმა ასევე დიდი სამსახური გაუწია გლეხობას. სწორედ, ეს ბანკები დღითი-დღე აფართოებდნენ თავიანთ მუშაობას ყოველ დიდ სოფლებში. მაშინ, როცა მთავრობის მიერ დაარსებული ბანკები გლეხობას არავითარ სარგებლობას არ აძლევდა, პირიქით, ვორონცოვის მიერ დაარსებულმა „პრიკაზებმა“ დაავალიანეს და გააღატაკეს თავად-აზნაურობა.

ილიასთან დაკავშირებით, „ბანკობიანობის“ დროს კიდევ ერთმა გაბაშვილმა ვერ მოითმინა და ბრწყინვალე თავადიშვილს ილიას რომ შეეხო უკმეხი სიტყვით, – თავზე ქოლგა დაამტვრია ბრწყინვალე ლოჟაში. ეს იყო ეკატერინე გაბაშვილი!

ლეგენდა უმატებს: როცა ილიამ გაიმარჯვა, ბრწყინვალე თავადიშვილმა ბოდიში მოიხადა, დამსჯელ ხელზე ეამბორა ეკატერინეს და უთხრა: „მართალი ბრძანდებოდით, ქალბატონო, ილიას მგმობს იმაზე მეტიც ეკადრებოდაო!“ (შარაძე გ. „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, თბ., 1986:148).

თითქმის არ ყოფილა არც ერთი ქართული საქმე, რომლის დამწყებ-დამაარსებელი ილია ჭავჭავაძე არ ყოფილიყო. ორმოცდაათი წლის განმავლობაში ყველა ქართულ საქმეს ილიას კალთა ჰქონდა გადაფარებული და ამ კალთის ქვეშ იზრდებოდა და იფურჩქნებოდა ქართული აზრი.

ვინ არ იცის, რა დიდი მოტრფიალე იყო ილია ქართველი ერის წარსულისა: „ჩვენ ყველანი ერთნი ვართ. რაც წარსულში ერს შეუქმნია დიდი და სამარადისო ღირებულების მქონე, მას შესწავლა, ცოდნა, პატივი უნდა, რომ კულტურულ ერად დადგეს იგი სხვა კულტურულ ერთა შორის... გმობა წარსულისა საკუთარი თავის გმობაა...“

ალბათ, ამიტომ შეხაროდა დიდი ილია ჩვენ ქართველ ისტორიკოსებს და სათუთად ექცეოდა მათ ნაშრომ-ნამოღვაწარს...

ამასთან დაკავშირებით, უპრიანია, დავიმოწმოთ ქართული პოლიტიკური ემიგრანტის ვლადიმერ ახმეტელის მოგონება „ილია ბრძენის გამო“: „დიდ ილიას ღრმად ესმოდა ისტორიის ცოდნის მნიშვნელობა და მას მრავალი მადლიანი, ღრმა აზრიანი წერილები დაუბეჭდია ამის შესახებ: „ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაი-

წყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა, თავის ყოფილი ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავის წარსულის, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავალისა“ (შარაძე გ. „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, თბ. 1986:151).

დიდი პიროვნების სრულყოფილი სახეა გამოკვეთილი მწერალ გრიგოლ რობაქიძის მოგონებაში – „ივანე ჯავახიშვილი“, რომელიც ავტორს 1944 წელს დაუწერია ბერლინში და გამოქვეყნდა 1967 წელს პარიზში.

„1907 წელს საქართველოს დედაქალაქში ქართველი სწავლული მოხსენებას კითხულობს. თეატრში ტევა აღარაა. მსმენელთა შორის იმყოფება დიდი ქართველი ჭავჭავაძე ილია, რომლის თანადასწრება მთელ კრებას საზეიმო იერსა ჰფენს...

ბუნებრივია, დამსწრენი გულდასმით უსმენენ მომხსენებლის ყოველ სიტყვას და გრძნობენ რომ მათში თანდათან რაღაც იზრდება, რაღაც იმართება, ასე ტკბილი და ძალის მომგვრელი. მოხსენების დამთავრების შემდეგ მსმენელნი აღფრთოვანებით აცილებენ ახლად მოვლენილ სწავლულს, მაგრამ ყველას თვალი მაინც ილიასკენაა მიპყრობილი. უნდა გაიგონ, „თუ რას იტყვის დაუღალავი მოურავი საქართველოს კულტურისა“.

საბოლოოდ, ილიას სიტყვა ედება მთელ კრებას, – რიგიდან რიგებს – ვითარ მადლით განფენილი დასტური. სიხარული მატულობს. ბოლოს ეს „განაჩენი“ მომხსენებელსაც სწვდება: „მის მშვიდ სახეს ნათელი ეფინება – თითქოს ჰსურს გამხნევებულს გასძახოს ხევსურულად: „ჯანი მამიმატის!“ ახალგაზრდა სწავლული ივანე ჯავახიშვილია“.

მწერალი გრიგოლ რობაქიძე თავის მოგონებაში ილიას ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ წარმოგვიდგენს საქართველოს ყოფას და მის რჩეულ შვილს ივანე ჯავახიშვილს, სადაც აღნიშნავს: „ილია იღწვოდა საქართველოს მზეოსან ხელმწიფების აღდგენისათვის: სიტყვით, საქმით, მძიმე ცხოვრებით“.

ყოველივე ამას კურთხევა – მიღებული სწავლული ივანე ჯავახიშვილი ხედავს ეხლა ნათლივ: „მან უნდა განაგრძოს ეს გზა“.

...დიდია ნაშრომი ივანე ჯავახიშვილისა და ფასდაუდებელი მისი დანატოვარი...

ივანე ჯავახიშვილმა პირნათლად გაამართლა კურთხევა, დიდი ილიასაგან იდუმალი გზით მიღებული და ამით უკვდავჰყო თავისი პიროვნება ქართველი ერის დაუშრეტელ წიაღში“ (შარაძე გ. „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. I. თბ., 1991:191-192).

ყურადღებას იქცევს ილიას პიროვნებისა და მისი შემოქმედების მიმართ ემიგრანტ გიორგი კერესელიძის დამოკიდებულება. იგი დას წერდა: „ცისკრის“ „რამდენიმე წერილმა („ცისკარი“ №5, 1957) ილიას შესახებ დიდად დამაინტერესა. ილია ჩემთვის ღვთაებრივი მოვლენაა. მან გადაგვირჩინა სიკვდილის პირზე მისული საქართველო. სამწუხაროდ, კიდევ მთელი სიღრმით ვერ ჩავწვდით მისი შემოქმედების უსაზღვრო განძს. ზოგიერთთა ნაწერი, როგორც აქაური, ისე მანდაური ქართველებისა მცდარია, ღარიბი. თუნდ მისი „განდეგილი“ ავიღოთ მაგალითად. აქამომდე არ შემხვედრია არცერთი ისეთი განხილვა, რომელსაც ესმოდეს თუ რა რელიგიურ – ფილოსოფიური აზრი სდევს ამ გენიოსურ ნაწარმოებში.

ესეთი ორიგინალური, წმინდა ილიასებრი განხილვა კეთილსა და ბოროტის შორის ბრძოლისა ვგონებ არავისა აქვს. არც Flaubert'ს, არც Zola'ს; არც ტოლსტოის, არც ლერმონტოვს, არც Anatol France'ს და არც სხვას“ (კერესელიძე გ. ვეზინე 11 მკათათვე, 1958).

„წინასწარ კოცნით გიხდი მადლობას ილიას საიუბილეო წიგნისათვის. ილიას ხსოვნა აქაც ვიდღესასწაულეთ. და განა შეიძლება ქართველმა, ვინც ამ სახელის ღირსია, ილია დაივიწყოს?!“ (კერესელიძე გ. ვეზინე 16.05.1958).

ემიგრანტთა შემოქმედებითი საგანძურიდან ასევე მნიშვნელოვანია გიორგი ჟურულის – მოგონება „ილიასთან შორი ახლოს დგომით“: „მე ბედმა მარგუნა ერთგვარი პრივილეგია ილია ხშირად მენახა ხოლმე, მაგრამ ჩემი მასთან შორი-ახლოს დგომა უფრო შორი იყო, ვიდრე ახლო. იმ წრეებში, რომელიც მართლა ახლო იყო ჩვენ დიდ მოღვაწესთან, შედიოდნენ: ძმანი ყიფშიძენი, ნიკო ხიზანიშვილი, ანტონ ფურცელაძე, დავით მიქელაძე. აი ამათ მოეთხოვებოდათ ილიას ცხოვრების დახასიათება.

ილიასთან შესაძლებელი იყო ახლო დგომა, მაგრამ ამით ვერაფერს ინტიმურს, პირადულს ვერ დასტყუებდით მას. და, ეს იმიტომ, რომ დიდი

ილია პირადულ განცდების სფეროში, როგორც ვსთქვით, გულ-ჩათხრობილი ადამიანი იყო. თავის ფიქრებში განმარტოებულად გართული.

...მომესმა შიდა ოთახებიდან ყვირილი; ყური დაუგდე და ვიცანი ილიას ხმა, რომელიც ვიღაცას წყრომით ემუდარებოდა: „დამანებე თავი! ილაჯი ნუ გამიწყვიტე მაგ შენი კითხვებით!“ რომ ამ სახლში ყვირილით ლაპარაკი მომესმა, ეს არ გამკვირვებია, რადგან ვიცოდი, რომ ქალბატონ ოლღას ორთავ ყურში სმენა აკლდა.

შემოსვლისას მასპინძელმა ამ სიტყვებით მომმართა: „წყეული ხასიათი მაქვს, გულში რაც გინდა დარდი მქონდეს, არავის გავუზიარებ. მოხდება ხოლმე, რომ მთელი კვირაობით ჩემს ფიქრებს მარტოდ ვატარებ, ვარ გაჩუმებული და დამუნჯებული. არავინ იცის, რა მტკივა და რა მომდის; არც მიყვარს ამაზე სხვები დამეკითხონ, თუნდაც ეს სხვები მახლობლებიც იყვნენ. აშკარა იყო, იგი რაღაცას ნანობდა და სურდა, მე ეს მცოდნოდა“ (შარაძე გ. „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, თბ., 1986:155-56).

ასე რომ, თვით ილიამაც კარგად იცოდა თავისი ზნე, მისი გულჩათხრობილობა და პირადულ სფეროში მიუკარებლობა. და, ალბათ ამიტომაც უჭირდათ, მის უახლოეს მეგობრებსაც ილიას ბიოგრაფიული შტრიხების გადმოცემა.

ემიგრანტი გიორგი ჟურული თავის ვრცელ მოგონებაში ილიას პორტრეტის შესაქმნელად, ერთ მნიშვნელოვან დეტალზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელიც მეტყველებს დიდი შემოქმედის მაღალ ადამიანურ ღირსებებზე: „გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი მანსვეტაშვილი – დონ იაგო – ერთ ამბავს გადმოგვცემს, რომელიც გვიჩვენებს, როგორ შეიცვალა ილიაში მაჩაბლისადმი მამაშვილური თუ ამხანაგური სიყვარული მათი საბოლოო დაშორებით. ილიამ, თურმე, ხელი არ მისცა და თავის სახლიდან დაითხოვა ვიღაც მეგაზეთე, რომელმაც უმსგავსო და ვანო მაჩაბლის პიროვნებისათვის შეურაცხმყოფელი წერილი დასტამბა თავის ჟურნალში: – „მე არა მსურს ხელი გავუწოდო იმას, ვინც ჩემს მეგობარს შეურაცხყოფა მიაყენა“-ო. ამნაირად, იგი მტკივნეულად იტანდა არა მხოლოდ თავისი პირადობის შელახვას, არამედ მეგობრისასაც და ამისათვის თავსაც კი გამოიდებდა ხოლმე“... (შარაძე გ. „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, თბ., 1986:177).

მრავალ წელთა სვლის მიუხედავად ილიაზე ემიგრანტთა მოგონებებს, მემუარებს, პუბლიკაციებსა თუ ეპისტოლეებს თითქოს სიჩუმით მოცულ განმარტოებულ ტაძარში შევყავართ, სადაც მისი ხატება დღესაც აძლევს მიმართულებას ახალი თაობის ხედვას დიდ საგანმანათლებლო თუ მაღალ კულტურულ საქმიანობაში.

ილია ჭავჭავაძემ, როგორც ეროვნული სულის პიროვნებამ და სამოქალაქო პირმა საზოგადოებრივი ასპარეზი დამარცხებული სამშობლოს აღსადგენად გამოიყენა, მაგრამ რაკი დარწმუნდა, რომ ვერც პოლიტიკური კარიერა, ვერც მწერლობა, ვერც აჯანყება ქვეყანას თავისუფლებას ვერ მოუტანდა, ამიტომ აქცენტი განმანათლებლურ მოღვაწეობაზე, ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებასა და კლასთა შერიგებაზე გადაიტანა.

ილია პოლიტიკოსი არ იყო, მაგრამ ძალაუფლების მოთხოვნილებამ ბოლოს მაინც პოლიტიკამდე მიიყვანა. იგი დაეცა იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა საქართველოში ეროვნულ იდეოლოგიასა და უცხო, შორიდან მოტანილ მარქსიზმს შორის.

„ამ უკანასკნელის „რევოლუციონურმა“ სიმკაცრემ და დაუნდობლობამ იმსხვერპლა საქართველოს დიდი „წინასწარმეტყველი“ (ჟურ. „ბედი ქართლისა“, ივლისი, №24-25. 1957, მიხაკო წერეთლის პუბლიკაცია „ილია ჭავჭავაძის მოკვლა“).

ილია არ იყო ისეთი „ნაციონალისტი“, რომელსაც მხოლოდ მისი ერი სწამდა და სხვა არავინ. მან კარგად იცოდა, რომ უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად, ძალით, რევოლუციით მოპოვებული თავისუფლება მუდამ უგუნურ ხელმძღვანელობათა ტერორითა და სისხლის წყურვილით ერის საუკეთესო ნაწილის მოსპობით მთავრდებოდა. რადგან გახელებულნი და აღტკინებულნი უფრო მეტ ვნებას აყენებდნენ ერს, ვიდრე თავისუფლებას. რევოლუციის შემდეგ, ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ ძველი სანატრელად და სამოთხედ ეჩვენებოდათ ყველაფრისგან გაძარცულ ადამიანებს. მსგავს მოვლენებს ადგილი ჰქონდა არამარტო მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, არამედ მის დასასრულსაც, როდესაც ქართველის ხელით ილიას მსგავსად მოკლული იქნა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი. და, იქიდან მოყოლებული დღემდე, ჩვენდა სავალალოდ, სიკვდილის შემკვეთთა და შემსრულებელთა დაუსჯელობის სინდრომი ისევ სუფევს. და, კვლავ და კვლავ ერის საუკეთესო შვილები ჯვარზედ ჰყავთ გაკრულნი.

ერის მესაჭე გვასწავლიდა: „ჩვენ ყველანი, ერთნი ვართ“, ერთი ერის შვილნიო... და სამსახურიც საზოგადოებისა მისთვის ერის სამსახური იყო, გაუმჯობესებისათვის და წინსვლისათვის ყველა მის ნაწილთა, ყოველი მისი წევრის უზრუნველ-ყოფილ, თავისუფალ, შეგნებულ და ღირსების მქონე პიროვნებად ქცევისა, – ერთობ მთელი ერის სამარადისოდ და ღირსეულად თვითმყოფობისათვის“ (წერეთელი მ. „ერი და კაცობრიობა“, თბ., 1990:290).

ილია ჭავჭავაძე იყო დიდი ინტელექტი და დიდი ანალიტიკური ტალანტი, რომელიც მოვლენათა არსს სწვდებოდა, მათ განმსაზღვრელ პირობებს იკვლევდა, ამ მოვლენათა სახეცვლილებას აკვირდებოდა და მათს საზოგადოებრივ მნიშვნელობას აფასებდა. იგი ხმამაღლა აცხადებდა, რომ ერის ნივთიერი სიმდიდრე ყველას კეთილდღეობის წყარო უნდა იყოს, და არა ერის გარკვეული ნაწილისა და აქედან გამომდინარე მისი სიმდიდრის ზრდაც ყველას ერთნაირად მოეთხოვება.

ილია გახლდათ დიდი მოქალაქე და ამიტომ გულგრილობა და სოციალური ინდიფერენტიზმი უცხოა მისთვის. იგი მუდამ გარემოს გადასხვაფერებისაკენ მიისწრაფოდა, რჩევას იძლეოდა.

მისი ღრმა რწმენით საკუთარი ერის უფლებების დაცვა მეზობლის მტრობასა და წახდენას არ ნიშნავს. მისი იდეალი მუდამ ერთა შორის თანხმობა და მშვიდობა გახლდათ.

ილია მუდამ შეტევისათვის იყო მზად, რომელსაც თავიდანვე დაჰყვა საკუთარი „პიროვნული ძალის“ მახვილი გრძნობა, მას არამც თუ მორჩილება ეუცხოებოდა, არამედ ჩრდილში ყოფნაც არ შეეძლო და ჯერ კიდევ 21 წლის ასაკში აცხადებდა:

„ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ ძალმიც, ძმანო, ვერ რით გაძლება!“

ერის მესაჭეს მყარი საზოგადოებრივი პრინციპები გააჩნდა და მით ხელმძღვანელობდა პირად ურთიერთობაში თუ შემოქმედებაში.

ილიასათვის მტკივნეული საკითხებით ავსებულმა ეპოქამ თითქოს განვლო, მაგრამ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, – ამ პრობლემის რეციდივები დღესაც არსებობენ.

ალბათ, ამიტომაცაა, რომ ერის მიერ წმინდა ილია მართლად წოდებულსა, მასა და მის გარშემო დღესაც რაღაც იდუმალი, ღრმა სამყარო სუფევს.

ჭოროხი 3

2020

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2020 malkhaz.pagava@mail.ru